

ფადი ასლი: ისლამოფობია - საფრთხე ქვეყნის ეკონომიკისთვის

ოქტომბერი, 2013

# Forbes

GEORGIA

## 3016?

**ნინო**

**ბურჯანაძე**

დემოკრატიული  
მოძრაობა - ერთიანი  
საქართველოსთვის

**გიორგი**

**მარგველაშვილი**

ქართული ოცნება



**დავით**

**ბაჭრაძე**

ერთიანი  
ნაციონალური  
მოძრაობა

ფასი 7 ლარი

ISSN 2233-348



9 772233 348006



34 | მთავარი თემა



64 | მენარჩევი

42 | მთავარი თემა



# Forbes

**10** | ფაქტი და კომენტარი  
რატომ გადაიქცა ბიძია სემი მონსტრად.  
ავტორი: სიბ ფორბსი

**14** | ფაქტი და კომენტარი  
ახალი პრეზიდენტის ახალი ფუნქცია.  
ავტორი: გუგა სულხანიშვილი

## LEADERBOARD

**18** | უდიდესი ძარცვა

**20** | ფული სკოლაში

## მოსაზრება

**22** | მეფის სიტყვა  
როცა საპრეზიდენტო კამპანიის დაძაბული სეზონი კონკურენტუნარიან მეტოქეებს გვთავაზობს, არსებობს სერიოზული რისკი იმისა, რომ მომავალ პრეზიდენტს არ ექნება კარგად მომზადებული მისასალმებელი სიტყვა.  
ავტორი: შილიამ დანაბარი

**26** | ახალი პრეზიდენტი ახალი კონსტიტუციით  
კონსტიტუციის ახალი მოდელი ხელისუფლების შტოებს შორის კონფლიქტის წარმოქმნის ბევრ საბაბს იძლევა, მისი დაძლევის გზები კი ზოგჯერ მყიდვეა, ზოგჯერ კი საერთოდ არ არსებობს.  
ავტორი: ვახუშტი მენაბდე

50 | მთავარი თემა



# *Cartier*



*Ballon Bleu de Cartier*

*23 Rustaveli Avenue, tel: +995 32 2923366*



**30** | საპრეზიდენტო არჩევნები 2013  
ავტორი: შია ნოდია

**მთავარი თემა: საპრეზიდენტო არჩევნები**

**34** | პრეზიდენტობის კანდიდატი ღაწით ბაჭრაძე  
ავტორები: გუგა სულხანიშვილი, შოთა დიდგელაშვილი

**42** | პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე  
ავტორები: გუგა სულხანიშვილი, შოთა დიდგელაშვილი

**50** | გიორგი მარგველაშვილი - „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი  
„ქართული ოცნების“ კანდიდატმა, გიორგი მარგველაშვილმა, ინტერვიუზე უარი თქვა. Forbes Georgia მისგან დამოუკიდებლად შეეცადა კამპანიის გაანალიზებას.  
ავტორი: გიორგი ცხადია

**სტრატეგიები**

**54** | ცოდვილი ქალაქის უკანასკნელი მხსნელი  
შოუებიდან ატრაქციონის პარკებამდე ლას-ვეგასი ყოველთვის პოპულარია გზას სცენაზე დასაბრუნებლად. ასალი თეთრი რაინდი: მილიონდოლარიანი დი-ჯეები მეგაღამის კლუბებს ატრიალებენ.  
ავტორი: რაიან მაკი და ზაკ ო'შელი გრინბურგი

**ტექნოლოგიები**

**56** | დამხმარე პილოტი - დიდი ძმა მძღოლებს შეუძლიათ უფრო იაფფასიანი სადაზღვევო პოლისი შეიძინონ თუ სადაზღვევო კომპანიებს უფლებას მისცემენ, რომ მონიტორინგი გაუწიონ მანქანას. რა მოხდება მაშინ, თუ მიღებულ მონაცემებს მძღოლების წინააღმდეგ გამოიყენებენ?  
ავტორი: ადამ თანერი

**58** | მოგავლის ტექნოლოგიები ტელემაუწყებლობაში  
2025 წლისათვის გაყიდული ტელევიზორების თითქმის ნახევარს UHD ხელმისაწვდომობა ექნება და, გლობალური მასშტაბით, ოჯახების ერთი მეოთხედი, სულ მცირე, ერთი UHD TV-ის მფლობელი გახდება.  
ავტორი: ანა ცხოვრვათვა

# BOUCHERON

PARIS



QUATRE COLLECTION  
Black Edition

FIRST JEWELER OF THE PLACE VENDÔME\*

\*In 1893, Frédéric Boucheron is the first of the great contemporary jewelers to open a Boutique on the Place Vendôme

*Geneva*

TBILISI : 23 RUSTAVELI AVENUE  
+995 32 2922292 | [www.boucheron.com](http://www.boucheron.com)



74 | ინვესტიციები

98 | FORBES LIFE



60 | Google-ის პირველი პარტნიორი საქართველოში

ინტერნეტსივრცის გიგანტმა საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან, ევროპულ მაუწყებელთა კავშირის (EBU) რეკომენდაციის საფუძველზე, პარტნიორობის ხელშეკრულება გააფორმა.  
ავტორი: ანა ცხთორვათვა

მენარმეები

64 | ინსპერნუტის ნარკობარონი ანონიმურობის მექანიზმების სულ უფრო მეტად დახვეწამ შექმნა ონლაინ-ნარკობაზარი და ყველაფერი, რაც მასთან არის დაკავშირებული: კრიმინალური გარჩევები, უკანონო იარაღი, თავდასხმები კონკურენტებზე... და ფილოსოფოსობის მოყვარული მულტიმედიელიონერი ნარკობარონი: საშინელი პირატი რობერტსი.  
ავტორი: ენდი გრინბერგი

ინვესტიციები

70 | აქციები მოჰნილია აქციები იაფია  
ავტორი: ჰიმ თაბრავასი

72 | რისკიანი ღრუ რისკიანი ვაჭრობისთვის  
ავტორი: ა. გერი შილინგი

74 | ბიზნესგარემოს რელიგიური ფორმი

სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟს საქართველოს ვაჭრობის საერთაშორისო პალატის თავმჯდომარის, ფადი ასლის, საჯარო განცხადება მოჰყვა. მისი თქმით, ისლამოფობიური განწყობა ქვეყანას ძვირი დაუჯდება. Forbes Georgia გათავაზობთ ინტერვიუს ფადი ასლისთან.  
ავტორი: ანდრე ბუთხუზი



60 | ტექნოლოგიები

60 | LEADERBOARD



ნოვატორები

76 | „დიდი ძმის“ გონება როგორ აქცია „არანორმალურად“ თვითგამოცხადებულმა ფილოსოფოსმა კომპანია PALANTIR-ი ტერორისტების მოთვალთვალე, ყოვლისმხედველ, მულტიმედიარდიან მონაცემთა მოპოვების მანქანად.  
ავტორი: ენდი გრინბერგი და რაიან მაკი

84 | სასწაულომედიები როგორ შექმნეს მეწარმემ, გენიოსმა მკვლევარმა და დარგის ლეგენდამ საუკუნის ყველაზე „შემოქმედებითი“ ახალი მედიკამენტების კომპანია. ერთად მათ შესაძლოა, უბრალოდ, შეცვალონ მედიცინა.  
ავტორი: მეთიუ ჰარპერი



de GRISOGONO  
GENEVE



*Geneva*

23, Rustaveli Ave., 0108 Tbilisi, Georgia - Tel.: +995 32 29 22292  
Fax: +995 32 2921656 - E-mail: georgia@geneva.ge

[www.degrisogono.com](http://www.degrisogono.com)



58 | ტექნოლოგიები



90 | 100 ყველაზე ინოვაციური კომპანია: გენიალების გამოვლენის საიდუმლო კომპანია იტანჯება, როდესაც შეფის ახალი იდეების ხორცშესხმა უხდება. გამჭრიახი ლიდერი ქმნის ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია, თავად იფიქროს. ავტორი: ჯიფ დიევი და ჰელ ზრეზერსენი

96 | ინვესტირება ნოვატორებში შესაძლოა ვერ მიიღოთ დიდი მოგება სამცხენიერო მიღწევიდან. ის შესაძლოა მოგიტანოთ ყავის ჭიქამ. ავტორი: უილიამ ბოლდუინი

FORBES LIFE

98 | ღვინის ევანგელისტის გოლფერი PGA Tour-ის პროფესიონალი გოლფერები უკვე დიდი ხანია უშვებენ ღვინოს საკუთარი ეტიკეტებით, მაგრამ ძალიან ცოტა მათგანი თუ უყურებს თავის ყურძენს ისე სერიოზულად, როგორც ლუკ დონალდი. ავტორი: რენდოლფ ლეინი

100 | აზრები აშშ-ის პრეზიდენტთა გამონათქვამები.

ფოტოები ყდაზე: ნინო ბურჯანაძე და ღვინო ბატარაძე: ლაშა ლუღუნიშვილი, "LIG Studio"

Forbes Georgia - საერთაშორისო სავაჭრო პალატის მედიაპარტნიორი



Forbes

მთავარი რედაქტორი გუგა სულხანიშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი შოთა დიდმელაშვილი

არტდირექტორი ანა შუხაევა

ლიტერატურული რედაქტორი ირინა ბიაშვილი

ვებდირექტორი გოგი ქავთარაძე

ვებრედაქტორი ანი ერისთავი

დამატებადონებული სერგი ნემსიწვერიძე

მთარგმნელები შპს "ბეიკერლო"

ფოტოგრაფი ლაშა ლუღუნიშვილი

ნოთარგმნელები ნუკი ჭაბუკიანი

ჟურნალ Forbes Georgia-ს გამოსცემს სააქციო საზოგადოება Media Partners

გამომცემელი მიაა მირიჯანაშვილი

გაყიდვების დირექტორი თინა ოსეცაშვილი

ლოგისტიკის მენეჯერები ლაშა ლაზარაშვილი ლევან ლორთქიფანიძე

FORBES, INC

PRESIDENT AND EDITOR-IN-CHIEF Steve Forbes

CHIEF OPERATING OFFICER Timothy C. Forbes

VICE CHAIRMAN Christopher Forbes

VICE PRESIDENT, BUSINESS DEVELOPMENT Miguel Forbes

ჟურნალი Forbes დაარსდა 1917 წელს

ოქტომბერი 2013 N: 23

რედაქციის მისამართი: სამარტმველი, 0179, თბილისი, ვალიანტის ქ. 15; ტელ.: (+995 32) 223 77 07; 0-800-ლი: info@forbesgeorgia.ge Forbes Georgia არის ყოველთვიური გამოცემა. სახელწოდება: "საქართველო". შურნალი გამოდის 2011 წლის დეკემბრიდან. Forbes Georgia დარგის ინტერნეტ-სამართლებელი პარალელური ეროვნული ბიბლიოთეკის საბავშვო რესურსების დეპარტამენტის მიერ 2011 წლის 16 ნოემბერს. ISSN 2233-3487



დაბეჭდილი საბავშვო "ომეგა თეგი" PRINTED BY "OMEGA TEG" PRINT HOUSE საბავშვო, თბილისი, საბავშვო ქ. 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET ტელეფონი: 00 995 322 53 03 62 TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

Copyright 2011 სააქციო საზოგადოება Media Partners, სააგრო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივ ან მთლიანად გამოყენება აკრძალულია. Copyright 2011 Forbes, as to materials published in the US Edition of Forbes. All rights reserved. სააგრო ნიშანი Forbes წარმოადგენს Forbes Inc.-ის საკუთრებას. გამოყენების უფლებით სარგებლობს სააქციო საზოგადოება Media Partners შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულებით. Forbes Georgia is published by the Media Partners JSC under a license agreement with Forbes Media LLC, 60 Fifth Avenue, New York, New York 10011. Forbes is a trademark used under the license from FORBES LLC.

UDC (UAK) 338.22 (051.2) F-75

გამოცემა იყენებს ბესარიონ გუგუშვილის BPG-InfoTech ფონტებს: „ბბგ გარდნიან ვეგობური“ და „ბბგ პრინმა“.

# COLLECTION EXCELLENCE PLATINE („კოლექცია EXCELLENCE PLATINE“)

## PATRIMONY CONTEMPORAINE, ავტომატური მომართვით

**C**ollection Excellence Platine გაიხსნა 2006 წელს და მიესაღწეოდა ახალ მოდელს, რომელიც მომდინარეობს ელეგანტური Patrimony Contemporaine-ს ხაზიდან. ეს კლასიკური Haute Horlogerie პირველად გამოდის 42 მმ-იანი დიამეტრით, გამოშვებულია იშვიათი და შეზღუდული რაოდენობით - სულ 150 ცალი.

იშვიათად თუა შესაძლებელი ამგვარი მკაფიო ფორმებისთვის ასე გამოჩეხულად შესაფერისი მასალის პოვნა. თავისი აღიარებული ელეგანტობითა და Patrimony Contemporaine ხაზის უბრალოებისა და თავმდაბალი სტილის შეხამებით პლატინის მტკიცე და ძვირფას ბუნებასთან, Manufacture Vacheron Constantin არაჩვეულებრივი შესაათობის კიდევ ერთ ასპექტს ამჟღავნებს. ოსტატობის ისეთივე სულისკვეთებით შექმნილ მოდელში, ამ მოკაშვამე „ძვირფასეულობის ყუთს“ დაევაღა, რომ საუცხოო მექანიკური პატიოსანი თვალის სახლი გამხდარიყო - სწორედ ასეთი გახლავთ ამ საათის ბუდე, იმ ლეგენდარულ Calibre 1120-თან ერთად, რომელიც ბრწყინვალე რეპუტაციის მქონე ავტომატური მომართვის ულტრათხელ მექანიზმს წარმოადგენს. იგი მთლიანად ხელითაა დამუშავებული და ნაკეთი ვაშერონ კონსტანტინის მიერ. მას ასევე, პრესტიჟული ნიშანი Geneva აქვს დასმული.

წინათ მხოლოდ 40 მმ-იანი დიამეტრის მქონე ბუდით გამომავალი, Patrimony Contemporaine-ის კოლექციის ავტომატური მომართვის მქონე ეს ულტრათხელი მოდელი, გამოხატვის ახალ სფეროს პოულობს და იმ გათვითცნობიერებულთა იმედებს ამართლებს, რომლებსაც სურთ მაჯაზე ისეთი განსაკუთრებული ნაკეთობით დატკბნენ, რომელიც იმავდროულად უდავო ელეგანტობით იქნება გამოჩეხული. მისი დახვეწილი, მკაცრი ხაზები, კოხტა სილუეტი, ფართო ციფერბლავი და ეს ახალი, 42 მილიმეტრის დიამეტრის მქონე ბუდე, ასე კარგად რომ ეხამება გამჭვირვალე უკანა კედელს, კვლავაც ისეთ სამარადისო დიზაინს გვთავაზობს, რომელმაც მის წინამორბედებს ხანგრძლივი წარმატება მოუტანა.

ვაშერონ კონსტანტინთან, პლატინის ნაკეთობათა ისტორია 1820 წლიდან იწყება. იმ დროიდან მოყოლებული, ჟენევაში არსებული საათების ეს მწარმოებელი ამ ძვირფას ლითონს, ბევრ, ყველაზე რთულ და ორიგინალურ მოდელებში იყენებს. მაშინ, როდესაც 18 კარატის სინჯის მქონე ოქრო მხოლოდ 75% პლატინისგან შედგება, აქ 95%-იანი სუფთა პლატინა მონაწილეობს. ვაშერონ კონსტანტინმა, შეზღუდული ტირაჟის მქონე Collection Excellence Platine განსაკუთრებით იმისათვის შექმნა, რომ ხაზი გაუსვას ლითონის გამოჩეხულ თვისებებს.

პლატინა, რომელიც ადრე მხოლოდ სამეფო გვარის წარმომადგენ-



**VACHERON CONSTANTIN**  
Manufacture Horlogère, Genève, depuis 1755.

ლებისა და მაჰარაჯებისთვის იყო განკუთვნილი, ამჟამად დახვეწილი გემოვნების მქონე კოლექციონერებისა და მოყვარულების ჟინის საგანიც გახდა და, გარკვეული აზრით, პრესტიჟის გამომატველადაც გადაიქცა, რაც ასევე აღიარებულია კარგად მომზადებულ მცოდნეთა გამოჩეხული ელიტის მიერ. მათთვის ვაშერონ კონსტანტინის წარმოების საათის ქონა Collection Excellence Platine-დან ნიშნავს, ეკუთვნოდნენ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ექსკლუზიურ კლუბს - რომლის ახალი შეზღუდული ტირაჟით - 150 ცალი - გამოსული Patrimony Contemporaine ავტომატური მომართვით, დამატებით შანსს იძლევა ამ კლუბში შესასვლელად.

[www.vacheron-constantin.com](http://www.vacheron-constantin.com)

*Geneva*

# ფაქტი და კომენტარი – სტივ ფორბსი

„ყოველთა მსახვეჭელთაგან მოიხვეჭე სიბრძნე“

## რატომ გადაიქცა ბიძია სემი მონსტრად

ავტორი: სტივ ფორბსი, FORBES-ის მთავარი რედაქტორი

**მოთავალ ნელს,** პირველი მსოფლიო ომის დაწყების მე-100 და „დიდი დეპრესიის“ 85-ე წლისთავი ემთხვევა. თუკი რომის იმპერიის დაცემას არ გავითვალისწინებთ, პირველი მსოფლიო ომი კაცობრიობის ისტორიაში შეიძლება ყველაზე დიდ კატასტროფად ჩაითვალოს.

ომი რომ არა, „დიდი დეპრესია“ არასოდეს მოხდებოდა; იმდროინდელი მსოფლიო ეკონომიკური კრახის შედეგები ნამდვილად საზარელი იყო. დეპრესია რომ არ ყოფილიყო, არც ნაცისტური რევოლუცია იქნებოდა. ნაცისტური რევოლუცია რომ არა, მეორე მსოფლიო ომიც არ დაიწყებოდა.

იმ ორი კატასტროფის თანამედროვე ეკონომიკური მემკვიდრეობა საფრთხეს უქმნის ჩვენს მომავალს. ასეა მოგახსენებთ რატომ.

პირველი მსოფლიო ომის დროს გაღებულმა შემადრწუნებელმა ადამიანურმა მსხვერპლმა შეარყია ხალხის რწმენა იმ თითქოსდა უწყვეტი და უზარმაზარი პროგრესის – და მის საფუძველში არსებული იმ კეთილი მიზეზების – მიმართ, რომლითაც ხასიათდებოდა გასული საუკუნე, რადგანაც ხალხი საკუთარ თავს ეკითხებოდა, თუ რა იყო ამ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი. ომმა დასაბამი მისცა კომუნიზმის, ფაშიზმისა და ნაციზმის ტოტალიტარულ იდეოლოგიებს, რომლებმაც კინაღამ დაანგრეს დასავლური ცივილიზაცია. მათი მომწამლავი მემკვიდრეობა დღესაც აგრძელებს არსებობას ისლამურ ექსტრემიზმში. მის ტოქსიკურ ნახარში მარქსიზმში, ნაციზმში და ნიჰილიზმში ერთმანეთშია არეული.

XIX საუკუნის კეთილდღეობისა და მატერიალურ სფეროში არსებული უზარმაზარი მიღწევების მთავარი მიზეზი დიდი ბრიტანეთის წარმატება და მაგალითი გახლდათ. ამ ქვეყანას



ბევრად უფრო მეტი თავისუფლება და კანონის უზენაესობის ძლიერი და ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნდა, განსაკუთრებით კი – კერძო საკუთრების მიმართ, ვიდრე რომელიმე სხვა დიდ ერს (ლა-მანშის სრუტე ხელს უწყობდა ბრიტანეთის იზოლირებას იმ მუდმივი საფრთხეებისგან, რომლებიც კონტინენტზე მდებარე სახელმწიფოებს აიძულებდა უზარმაზარი თანხების გაღებას მუდმივი არმიების

შესანახად და, აქედან გამომდინარე, მათთვის დამანგრეველი გადასახადების შემოღებას). ამის შედეგად, ეს სამეფო ინოვაციების კერად იქცა. გამომგონებლები და მეწარმეები განუწყვეტლივ ატარებდნენ ექსპერიმენტებს წარმატების მოლოდინის მცდელობაში, რამაც ინდუსტრიულ რევოლუციას მისცა დასაბამი. ორთქლის ძრავას შექმნამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ინგლისს უკვე გააჩნდა ტექნოლოგიური მიღწევები საფეიქრო მრეწველობაში, გემთშენებლობასა და სხვა სფეროებში. ინგლისელი ფერმერის სასოფლო სამეურნეო მწარმოებლურობა სამჯერ აღემატებოდა მისი ფრანგი კოლეგისას.

1694 წელს, Bank of England-ის (ინგლისის ბანკი) დაფუძნებით დაწყებული, ინგლისი ამ სფეროშიც წინ წავიდა ფინანსური დაწესებულებების, ინსტრუმენტებისა და პრაქტიკის შექმნაში, რამაც მისი ეკონომიკური პროგრესი განაპირობა. ამგვარად, ლონდონს XVIII საუკუნის ძვირადღირებული ომებისა და ნაპოლეონის წინააღმდეგ ეპიკური ბრძოლის დაფინანსებაც შეეძლო, რაც, საბოლოოდ, 1815 წელს მძიმე გადასახადების შემოღებისა ან რაიმე სახის ფინანსური კრახის გარეშე დასრულდა და რამაც საფრანგეთის რევოლუცია გამოიწვია. ამის მთავარი მიზეზი კი 1717 წელს მიღებული გადაწყვეტილება გახლდათ,

BORN BY PASSION

BOVET  
1822



CHRONOGRAPH  
CAMBIANO  
SPECIAL EDITION  
DESIGNED BY *pininfarina*  
COUNTERS IN VENETIAN WOOD  
THE FIRST FULLY CONVERTIBLE  
AUTOMATIC CHRONOGRAPH



**Chronograph**  
watches & jewellery

თავისუფლების მოედანი 2, 0105, თბილისი, საქართველო  
ტელ: (+995 32) 250 50 00  
[www.chronograph.ge](http://www.chronograph.ge)

BOVET FLEURIER  SWITZERLAND

FOUNDING MEMBER OF THE QUALITY FLEURIER CERTIFICATION AND PARTNER OF THE FONDATION DE LA HAUTE HORLOGERIE

BOVET.COM



ბრძოლის ველი საფრანგეთში 1914 წელს. პირველი მსოფლიო ომის ბარბაზნები დღემდე ქუხან.

რომელიც გირვანქა სტერლინგის ღირებულების ოქროსთან მისადაგებას მოიაზრებდა და რამაც სტერლინგი - გლობალურ ვალუტად, ხოლო ლონდონი მსოფლიოს ფინანსურ ცენტრად გადააქცია, რადგან მან კაპიტალის გასაოცარი რაოდენობა გადმოაფრქვია, რაც ხელს უწყობდა ეკონომიკურ ზრდას მსოფლიოს ყველა კუთხეში. აშშ-მ ძალიან დიდი სარგებელი ნახა ბრიტანული კაპიტალის გადმოღინებიდან და თავისუფლების, მეწარმეობისა და ინდივიდუალური წარმატების მოპოვების სფეროში წინ გაუსწრო თავის დამაარსებელს.

სწორედ ამგვარმა არაჩვეულებრივმა წარმატებამ გამოიწვია სხვების მიერ მისი იმიტირება. XIX საუკუნის ბოლოს სხვა ქვეყნებმაც მიიბეს თავიანთი ვალუტა ოქროს და ბრიტანეთის წყალობით ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ამ ოპერაციის წარმატებით განხორციელებისთვის მთავარი სამთავრობო ხარჯების შეზღუდვა, დაბალი გადასახადების შენარჩუნება და ბიუჯეტის ბალანსი გახლდათ. ეგრეთ წოდებული კლასიკური ოქროს სტანდარტის ერა - XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, ვიდრე 1914 წლამდე - ხასიათდებოდა მთავრობის ფინანსური შორსმჭვრეტელობით, რაც არც მანამდე და არც მის შემდგომ აღარ განმეორებულა. იმისდა მიუხედავად, რომ ევროპულ სახელმწიფოებს დიდი სამხედრო დაწესებულებები გააჩნდათ, მათზე დახარჯული ფინანსების ოდენობა, ეკონომიკურ პროდუქციასთან პროპორციაში, წარმოუდგენლად მცირე იყო. მაგალითად, პირველ მსოფლიო ომამდე რამდენიმე წლით ადრე გერმანიას სურდა საკუთარი არმიის გაზრდა მისი კონკურენტი ქვეყნების - საფრანგეთისა და რუსეთის - მზარდი ძალების საპასუხოდ. მაგალითისათვის, გერმანიაში მიმდინარე საყოველთაო

გერმანია, ამ მიზნის განხორციელებისას, თავს ოქროს სტანდარტის მიერ დაწესებულ იკრძალვების წყალობით იზღუდავდა.

პირველი მსოფლიო ომის მოთხოვნებიდან წაღვეს ეს ფინანსური შეზღუდვები. ომის შემდგომ მოქმედ პოლიტიკოსებს ჯერ კიდევ სრულად არ ჰქონდათ დაკარგული იმ დამატარებელი და უზარმაზარი ძალაუფლების გემო, რომელიც მათ ომმა მისცა; ამასთან, ისინი ვერ ივიწყებდნენ, თუ რა ადვილად შეეძლო მთავრობას ეროვნულ ფინანსურ საშუალებებზე მონოპოლიის დამყარება გადასახადების დაწესების, ინფლაციისა და კაპიტალის კონტროლის საშუალებით. „დიდმა დეპრესიამ“ ეს ჯერ კიდევ შემორჩენილი შეზღუდვები სრულიად გაანადგურა, რადგან ჯონ მეინარდ კეინზმა და სხვებმა წარმატებით გააფრცხელეს მერკანტილიზმი - შუასაუკუნეობრივი იდეოლოგია, რომლის დროსაც მთავრობები სულთამხუთავების როლს ასრულებდნენ ეკონომიკური მდგომარეობის დარეგულირებისას, ეროვნული სიმდიდრის ზრდის სახელით. მერკანტილიზმი იყო მარცხი - კონტრასტი ისეთ ქვეყნებს შორის, როგორებიც, ერთი მხრივ, შოლანდია, ბრიტანეთი, ხოლო შემდეგ ახლადგამოჩენილი აშშ იყვნენ, რომლებმაც მკაცრად გააკრიტიკეს ეს მიმდინარეობა, ხოლო მეორე მხრივ ისინი, რომლებიც ისევ განაგრძობდნენ მის დემონსტრირებას. მაგრამ მოხდა ისე, როგორც ეს ხშირად გვინახავს საშინელებათა ფილმებში, როდესაც ურჩხული ისევ ბრუნდება ჭაობიდან. ნეომერკანტილისტებმა მაცდუნებელი პირობა დადეს, რომ შესაძლებელი იქნებოდა გლობალური ეკონომიკის შეუფერხებელი, ბალანსირებული და უწყვეტი ზრდა და სრული

დასაქმება მეცნიერულად მანიპულირებადი სახელმწიფო ხარჯებისა და ფულის გამოშვებით. თავისუფალი ბაზრები არსებითად არასტაბილური გახლდათ. ისინი გაფრთხილებას იძლეოდნენ და „დიდ დეპრესიამ“ მიუთითებდნენ. ხოლო ის ფაქტი, რომ სწორედ მთავრობების ბრალი იყო ნებისმიერი მსხვილი ეკონომიკური კატასტროფა - „დიდი დეპრესიის“ ჩათვლით - ყურადღების მიღმა რჩებოდა. ეს ახალი „ფოკუსების ჩატარების ოსტატები“ ამბობდნენ, რომ ეკონომიკურ განვითარებას სწორედ ხარჯვა უწევს სტიმულირებას და არა კერძო სექტორიდან უკონტროლოდ აღებული რესურსები, რაც ზიანს აყენებს როგორც ინვესტიციებს, ასევე ეკონომიკურ ექსპანსიას. პოლიტიკოსებს მოეწონათ ეს მესიჯი. მათი ინსტიტუტური ცუდი ჩვევა ფულის ამოღებისა და მისით ხმებისა და ძალაუფლების ყიდვისა ახლა მოულოდნელად ღირსებად, პროგრესის მამოძრავებელ ძალად იქცა.

აშშ-ში რვა ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში მთავრობის როლი განუწყვეტლივ იზრდებოდა. რომ არა რონალდ რეიგანი, მისი ეკონომიკური სტიმულირების პოლიტიკა და ასევე გონივრული, სალი საგარეო პოლიტიკა, მეოცე საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლები არ იქნებოდა დიდი ეკონომიკური აღმავლობის ხანა ან თვალისმომჭრელი ტექნოლოგიური წინსვლის ეპოქა; ის წლები უკმარისობისა და სტაგნაციის ისეთი სარკისებური იმიჯი იქნებოდა, რომელიც ამჟამად გვანადგურებს.

ამერიკელების უმეტესობას თანდათან ალატაკებს თავაწყვეტილი ფედერალური ძალაუფლება მაშინ, როდესაც პრივილეგიებული უმცირესობა მდიდრდება. ასევე ცხადია, რომ ზიანს გვაყენებს მუდმივად ზრდადი გადასახადები და მარეგულირებელი უფლებამოსილებების უსაზღვრო ზრდაც, რომელიც ბიუროკრატებს უპრეცედენტო ძალაუფლებას აძლევს ადამიანებზე ზემოქმედებისთვის. და თუკი არსებობს ფორმულა დამანგრეველი პოლიტიკური კონფლიქტისა, რომელიც სულ უფრო მეტად ზღუდავს ჩვენს თავისუფლებას, ეს სწორედ ამგვარი ფორმულაა. **F**

იდეალურად სუფთა სარეცხი და **50%** ფასდაკლება

## ბოუი-ს 2 პროდუქტზე

ერთი თვის განმავლობაში უკან დაბრუნების შესაძლებლობით



ელიტ ელექტრონიკსი  
**ELIT ELECTRONICS**



**BOSCH**

შემწილია ცხოვრებისთვის

# ფაქტი და კომენტარი - გუგა სულხანიშვილი

## ახალი პრეზიდენტის ახალი ფუნქცია

ავტორი: გუგა სულხანიშვილი

27 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნებია. ქვეყანას ნოემბერში მეოთხე პრეზიდენტი ეყოლება. დამოუკიდებელ საქართველოში მოსახლეობამ პირველი პრეზიდენტი 1991 წლის 26 მაისს აირჩია. მანამდე ზვიად გამსახურდია 1990 წლის ოქტომბრიდან უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობებს ასრულებდა. მისი და მისი პარტიის ინიციატივით 1991 წლის 31

მარტს მოეწყო საერთო სახალხო რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობის 98 პროცენტმა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა ხმა. იმავე დღეს აშშ-ის 102-ე მოწვევის კონგრესმა 94-ე საგანგებო რეზოლუციით ლეგიტიმურად ცნო რეფერენდუმის შედეგები.

დამოუკიდებლობა რეფერენდუმიდან რამდენიმე დღეში, 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა. ეს იყო პოლიტიკურად და ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანი, მაგრამ დეკლარაციული აქტი. შემდეგ იყო აგვისტოს მოსკოვის პუტჩი, ხოლო რეალური დამოუკიდებლობა ბელოვეჟსკაია პუშჩაში მიღებულ საბჭოთა კავშირის დაშლის გადაწყვეტილებასთან ერთად მოვიდა საქართველოში.

ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ ოპონენტებთან ურთიერთობა უჭირდა. მგონი, საერთოდ, ყველასთან უჭირდა ურთიერთობა; არ სურდა პოლიტიკურ ოპონენტებთან დიალოგი. მისი დევიზი „საქართველო ქართველებისთვის“ არ შეესაბამებოდა თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნის ღირებულებებს. ამერიკასა და დასავლეთს მასონებსა და იმპერიალისტებს ეძახდა. არანაკლებ მძაფრი იყო მისი რიტორიკა რუსეთთან მიმართებით. თუმცა მოსკოვის ბრძანებას, საქართველოს დაეშალა უკანონო საჯარისო ფორმირება (უკანონო - მოსკოვისთვის, საუბარია ეროვნულ გვარდიაზე) გამსახურდია უმაღლეს დონეზე.



მაგრამ გამსახურდიას არ დათანხმდა ეროვნული გვარდიის მთავარსარდალი თენგიზ კიტოვანი. მეგობრობა მტრობაში გადაიზარდა, რაც საბედისწერო აღმოჩნდა გამსახურდიასთვის. დეკემბერში სამოქალაქო ომი დაიწყო და 1992 წლის იანვარში გამსახურდია ქვეყნიდან გაიქცა.

საქართველოს შემდეგი პრეზიდენტი 1995 წლის ნოემბერში ედუარდ შევარდნაძე გახდა. მანამდე

ის სახელმწიფო საბჭოს მეთაურობდა, რომელიც ქვეყნის მთავარი მმართველი ორგანო იყო სამოქალაქო ომის შემდეგ.

შევარდნაძე მეორედაც აირჩიეს პრეზიდენტად - 2000 წლის 9 აპრილს.


შევარდნაძის დროს მოხდა საქართველოს დასავლური კურსის დეკლარირება. მან მოახერხა იმ სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირების თარეშის აღკვეთა, როგორც იყო მხედრონი, სხვადასხვა გვარდია თუ უზნის საძმო. შევარდნაძის დროს ჩაეყარა საფუძველი ქართულ პარლამენტარიზმს, რამაც პოლიტიკური დებატების ინსტიტუციონალიზაცია მოახდინა.

მაგრამ შევარდნაძემ ვერ მოახერხა ქვეყნის ინტეგრირება. აღარაფერს ვამბობ ომების შედეგად დაკარგულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, სერიოზული პრობლემები გაჩნდა აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში. სამეგრელოშიც კი. ეს რეგიონები ღიად აცხადებდნენ თავიანთ არალოიალურ დამოკიდებულებას ცენტრის მიმართ.

შევარდნაძემ ასევე ვერაფერი მოუხერხა ტოტალურ კორუფციას და სახელმწიფო ინსტიტუტების უკიდურეს სისუსტეს. შევარდნაძის პრეზიდენტობის ბოლო წლებში საქართველო დასავლური პოლიტიკური წრეების კულუარებში არ შემდგარ სახელმწიფოთა რიცხვში მოიხსენიებოდა. საქართველოს საერთაშორისო სარბიელზე







წონა არ გააჩნდა და თუ რამე იყო პოზიტიური, ესეც იმავე შვედრანდამის მიერ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს დაგროვილი პირადი რენომეს ხარჯზე. ესეც დღითი დღე ორთქლდებოდა.

შემდეგი პრეზიდენტი 2004 წლის იანვარში მიხეილ სააკაშვილი გახდა, ვარდების რევოლუციიდან ორ თვეში. ის ახლაც პრეზიდენტი 27 ოქტომბრამდე, მას შემდეგ, რაც 2008 წელს ხელმოწერა აირჩიეს.

სააკაშვილმა კორუფცია მინიმუმამდე დაიყვანა, დაბალი რანგის ჩინოვნიკების დონეზე საერთოდ მოსპო. გაძლიერდა სახელმწიფო ინსტიტუტები და მათ შორის ურთიერთქმედება. ეფექტიანად ამუშავდა საბაჟო, საგადასახადო და პოლიცია. ქვეყნის ბიუჯეტი ათჯერ და მეტად გაიზარდა. საქართველოს ცხრა წლის განმავლობაში ჰქონდა საშუალოდ 5-6%-იანი ეკონომიკური ზრდა. საგრძნობლად გაძლიერდა ქვეყნის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა.

გადაიჭრა აჭარის, ჯავახეთისა და სამეგრელოს დეზინტეგრაციის პრობლემები. სააკაშვილმა მოახერხა და საქართველო-რუსეთს შორის არსებული პრობლემები საერთაშორისო ასპარეზზე დისკურსის საგანი გახდა. სააკაშვილი შეეცადა კონფლიქტი საერთაშორისო სამართლის ნორმების ჩარჩოებში მოექცია. საქართველო თავისი ინტერესების დაცვას შორეულ კონტინენტებზეც ცდილობდა: ლათინურ ამერიკასა და ოკეანიაში. საქართველო პრაქტიკულად რუსეთისგან დამოუკიდებელი გახდა ეკონომიკურ საკითხებში.

მაგრამ სააკაშვილის მიდრეკილება, ერთპიროვნულად მიეღო გადაწყვეტილებები, საზოგადოებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მის მიერ ასე გაძლიერებულ სახელმწიფო ინსტიტუტებს და, განსაკუთრებით, პროკურატურას, პოლიციას არათუ საზოგადოება, მისივე პოლიტიკური

სპექტრი და სასამართლოც კი ვეღარ აბალანსებდა. სააკაშვილის ავტოკრატიულობისკენ მიდრეკილი მმართველობის სტილი და ძალოვანი უწყებების უპირობო დომინირება აშკარა დისონანსში მოვიდა დეკლარირებულ დემოკრატიული და დასავლური ყაიდის სახელმწიფო მოწყობასთან.

ამას დაერთო ის, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს შეცვლილი კონსტიტუციით 2014 წლიდან გაცილებით მეტი უფლებამოსილება პრემიერ-მინისტრს ექნება და არა პრეზიდენტს. და სააკაშვილმა არც ერთხელ საჯაროდ არ განუმარტა საზოგადოებას, რომ ის თავისი დაუძინებელი ძტრის, ვლადიმერ პუტინის მოდელის შემოთავაზებას არ აპირებს. ანუ არ აპირებს პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ დაიჭიროს პრემიერ-მინისტრის პოსტი.

ახალი კონსტიტუციით ახალი პრე-

ზიდენტის უფლებამოსილება საგარეო წარმომადგენლობითა და ომის დროს მთავარსარდლობით შემოიფარგლება. იმედი ვიქონიოთ, რომ მეორე ფუნქციის შესრულება მომავალ პრეზიდენტს არ მოუწევს... და არც მის შემდეგს... და არც იმის შემდეგს!

რალა რჩება პრეზიდენტის იურისდიქციაში? თითქოს არც არაფერი. მაგრამ ასე მარტივად არ არის საქმე. წარმოიდგინეთ ამბიციური პოლიტიკური ფიგურა, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობა ენდობა: ის ხომ აირჩიეს ძალიან მაღალი ლეგიტიმურობის პრინციპით – პირდაპირი სახალხო არჩევნებით. ის საზოგადოების წარმომადგენელია ქვეყნის უმაღლეს ეშელონებში. მაგრამ მას პრაქტიკულად არა აქვს პასუხისმგებლობები. ეკონომიკური ვარდნა? მთავრობის ბრალია! სოციალური პრობლემები? ის არაფერ შუაშია, მთავრობა ვერ მუშაობს. და მას აქვს ტრიბუნა: ის პრეზიდენტი. მთავარია, მოინდომოს და შეუძლია ხუთი წლის განმავლობაში ტელეეთერიდან გააოუხვლავად აკრიტიკოს მთავრობა, შექმნას საზოგადოებრივი ტენდენციები და მიმართულებები, მომართოს და მუდმივ სიფხიზელში ამყოფოს საზოგადოება, არ მისცეს მას მოდუნების საშუალება. ოღონდ ეს ყველაფერი იმ შემთხვევაში, თუ ის, ვინც არ უნდა იყოს პრეზიდენტი, ამას მოინდომებს. თუ არ მოინდომებს, ცხადია, არც იზამს.

ჩემი აზრით, მომავალი პრეზიდენტის მთავარი ფუნქციაც სწორედ ეს არის – მისი მეშვეობით უნდა აქცევდეს საზოგადოება მთავრობას წინეხის ქვეშ. რამდენადაც კარგად არ უნდა მუშაობდეს მთავრობა, არ უნდა მოხდეს წინა ხელისუფლების მსგავსი გადაცდენები. მინდა ამ პრიზმიდან შევხედოთ პრეზიდენტობის კანდიდატებს.

ცესკომ, თუ არ მეშლება, 12 კანდიდატი დაარეგისტრირა. ამას არც აქვს მნიშვნელობა, რამდენი. ნუ მიწყენენ კანდიდატები და მათი მცირერიცხოვანი მომხრეები (აღბათ, ის, რასაც ახლა ვიტყვი, გულის სიღრმეში მათაც კარგად იცინან), მაგრამ სერიოზული პოლიტიკური ფიგურა ამ კანდიდატთა შორის სამია: ბურჯანაძე,

მარგველაშვილი და ბაქრაძე.

ბურჯანაძისთვის ეს არჩევნები პოლიტიკაში „ქამ ბექის“ სერიოზული შანსია. ის ორჯერ ასრულებდა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობებს. წლების განმავლობაში იყო საქართველოს მეორე პირი. მაგრამ მას მეტი უნდოდა ყოველთვის. თუნდაც მას შემდეგ, რაც პირველად გახდა ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს პარლამენტის თავმჯდომარე. პატარა დეტალი ავიღოთ: როდესაც ის უცხოეთში ვიზიტით მიემგზავრებოდა, ითხოვდა, რომ მისი დახვედრის რანგი პირველი პირის შესაბამისი ყოფილიყო. მისი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გაყრაც, ვფიქრობ, იმ მიზეზით არ მომხდარა, რომ ის პარტიის ქმედებებს არ ამართლებდა – დამეთანხმებით, ალბათ, რომ მას აქვს უნარი, ბევრი რამ გაამართლოს, თუ საქმე მოითხოვს. მან დაინახა, რომ ამ პარტიის ფარგლებში ის არასოდეს გახდება პირველი. მას ნაციონალები არ წარადგენენ პრეზიდენტად თუ პრემიერად. ეს ერთ-ერთი ხილული მიზეზი იყო მისი „გადახტომის“.

შეძლებს თუ არა ბურჯანაძე პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში აკრიტიკოს მთავრობა და მომართოს საზოგადოება? აუცილებლად! ის ამ ფუნქციას სიამოვნებით იტვირთებს. მას ხომ პირველობა უნდა.

საინტერესო ისაა, სხვა რა ფარული და ნახევრად ფარული გეგმები აქვს ბურჯანაძეს.

მარგველაშვილზე, როგორც პოლიტიკოსზე, ამ სამეულში, ალბათ, ყველაზე ნაკლებია ცნობილი. ის არც ადრე ყოფილა პოლიტიკოსი, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ პოლიტიკასთან ახლოს ტრიალებდა. ამიტომ, მისი რეალური ამბიციებიც უცნობია. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ ის არ დაიწყებს იმ პარტიის მიერ დაკომპლექტებული მთავრობის კრიტიკასა და ოპონირებას, რომელმაც იგი შვა როგორც პოლიტიკოსი და, არჩევნების მოკვების შემთხვევაში, როგორც პრეზიდენტი.

ის უფრო მეტად ქართული საზოგადოებისა თუ პოლიტიკური სპექტრის

იმ მიმართულების წარმომადგენელს წააგავს, რომლებიც თვლიან – პრეზიდენტის „ქართული ოცნების“ იქნება, ნაციონალები საბოლოოდ ამოიძირკვებიან ხელისუფლებიდან, მათ საბოტაჟს ბოლო მოეღება, საზიზღარი კოჰაბიტაცია დამთავრდება, ჩიტები აჭიკჭიკდებიან და ყველანი ბედნიერად ვიცხოვრებთ.

ბაქრაძეც ხუთი წელი იყო ქვეყნის ფორმალურად მეორე პირი. დიახ, ფორმალურად, რადგან ყველამ კარგად ვიცით, ვინც იყვნენ სააკაშვილის დროს რეალური მეორე და მესამე პირები. მიუხედავად იმისა, რომ ბაქრაძის ამბიციები დროდადრო გამოკრთებოდა ხოლმე, მას რაიმე ღონისძიებებისთვის არ მიუმაართავს, რომ თავისი „მეორეპირობა“ რეალობად ექცია. იგი პარტიულ კონიუნქტურას ექვემდებარებოდა.

ბაქრაძე მომლოდინე პოლიტიკოსია. ახლაც, ბოლო ერთი წელია, ის გამოირჩევა როგორც ყველაზე ნაკლებაგრესიული ნაციონალი „ქართული ოცნების“ მიმართ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ კრიტიკას იშურებს მმართველი გუნდის მისამართით, მაგრამ აშკარად განსხვავდება იმ მეინსტრიმული რისხვის ტონალობისგან, რომელსაც ნაციონალები „ქართული ოცნების“ მიმართ არ მალავენ. ბაქრაძე ასევე შესამჩნევად მეტს საუბრობს მათი მმართველობის დროს დაშვებულ შეცდომებზე.

ბაქრაძის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში საინტერესო სურათი შეიძლება მივიღოთ: ყველაზე რბილი, უკიდურესად პროდასავლური ნაციონალი პრეზიდენტი „ქართული ოცნების“ მთავრობის დიფუზური გუნდის წინააღმდეგ. ბაქრაძე, მისი პოლიტიკური ყაიდიდან გამომდინარე, არამც და არამც არ გაიტანს ამ დაპირისპირებას ინსტიტუციურ ფარგლებს გარეთ. მაგრამ დაპირისპირებები იქნება! დაპირისპირებები – ცხარე და პოლიტიკური.

Forbes Georgia-ს მომდევნო ნომერი რომ გამოვა, უკვე გვეცოდინება, ვინ იქნება საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი, თუ მეორე ტური არ დაინიშნა.

ცხადია, შევხვდავთ, ვინ ვის გააკრიტიკებს და ვინ ვის არ გააკრიტიკებს. **F**

# \$5,2 მილიარდი

– 2012 წელს 165 ქვეყანაში გაყიდული Red Bull-ის ქილების რაოდენობა, რაც 12,8%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე.



## დანაშაულის ადგილები უდიდესი ძარცვა

როდესაც ივლისის ერთ დღეს ქუდი და კაშნეთი სახედაფარულმა მამაკაცმა კანის სასტუმრო Carlton-იდან \$136 მილიონად ღირებული ბრილიანტები და სამკაულები გამოიტანა, ბევრმა მიიჩნია, რომ ეს ყველაზე დიდი ქურდობა იყო კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში. თუმცა უფრო დიდი ქურდობებიც

მოხდარა. მათ უმეტესობას ერთი საერთო წიშანი აქვს: მძარცველი შესაძლოა იპოვონ, ნაძარცვი კი – ძალიან იშვიათად. ქვემოთ გთავაზობთ ბოლო ნახევარი საუკუნის ყველაზე დიდ ძარცვებს, მოყოლებული 1963 წლიდან, როდესაც მოხდა \$49-მილიონიანი (ინფლაციის გათვალისწინებით) „მატარებლის დიდი ძარცვა“.



### ქალაქის ობლიგაციები

**ლონდონი, 1990**  
**\$933 მილიონი**

კურიერი, რომელსაც სახაზინო თამასუქები და სადებოზიტო სერტიფიკატები გადაჰქონდა, ქუჩაში დანის მუქარით გაძარცვეს. მოგვიანებით დაიჭირეს ნაქურდლის გადამამუშაველი, რომელიც ნაძარცვის გადაცემული აგენტებისათვის მივიდვას ცდილობდა. ფულის უდიდესი ნაწილი დააბრუნეს.



### Isabella Stewart Gardner Museum

**ბოსტონი, 1990**  
**\$536 მილიონი**

პოლიციელის ფორმაში გადაცემულმა ორმა უცნობმა მამაკაცმა მუზეუმის მცველები გააკოჭა და 13 შედევი გაიტაცა. დღეს გამოძიების ფედერალური ბიურო აცხადებს, რომ მძარცველების ვინაობა დადგენილია, თუმცა ნაშუქვრები ვერ იპოვეს.



### Dar Es Salaam Bank

**ბაღდადი, 2007**  
**\$318 მილიონი**

კერძო ბანკიდან მისივე დაცვის თანამშრომლებმა ღამით ნაღდი ფული გაიტანეს. ფიქრობენ, რომ მიმალვამ მათ ადგილობრივ აჯანყებულთა ჯგუფები დაეხმარნენ. დამნაშავეები ვერ დაიჭირეს.



### Knightsbridge-ის სადებოზიტო სეიფი

**ლონდონი, 1987**  
**\$197 მილიონი**

იტალიელმა განგსტერმა ვალერიო ვინჩიმ მოახერხა ბანკის მომსახურე პერსონალის ყურადღების მოდუნება და ძვირფასეულობით სავსე სეიფის გატანა. ის მაშინ დაიჭირეს, როდესაც თავისი Ferrari-ს წასაცვანად გამოიწვია. სასჯელის მოხდის შემდეგ ის იტალიაში, პოლიციასთან შეტაკებისას დაიღუპა.



### British Bank of the Middle East

**ბეირუტი, 1976**  
**\$144 მილიონი**


შეიარაღებული თავგებულადებული ავბააკები თავს დაესხნენ ბანკს და გაიტაცეს ნაღდი ფული, ოქრო და სამკაულები. ძარცვა დღემდე გაუხსნელია; ვრცელდებოდა ხმები, რომ ამ ძარცვაში გარეული იყვნენ პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია (PLO), ფლანგისტები და ბრიტანეთის სპეცდანიშნულების რაზმები.

## სათამაშოები წყლის ფრთები

DEEP FLIGHT SUPER FALCON-ი – რეაქტიული გამანადგურებლისა და დიდი თეთრი ზვიგენის ნაზავი, დელფინის სიმარდით დასრიალებს წყალქვეშ. RED BULL-ის მილიარდერმა დიტრის მატეშიცმა HAWKES OCEAN TECHNOLOGIES-ი დაიჭირა ავამ \$1,7-მილიონიანი სათამაშოს შესაქმნელად, რათა ფიჯიზე მდებარე მისი მდიდრული კურორტის, LAUCALA ISLAND-ის, სტუმრებს ამ „დიდი თევზით“ ზღვაში გასეირნების შესაძლებლობა მისცემოდათ.

ფრთები უზრუნველყოფს უარყოფით ამწევ ძალას და იძლევა სამი განზომილებით მოძრაობის საშუალებას, წყალქვეშა თვითმფრინავის მსგავსად. მისი შემქმნელი გრეგემ ჰოუკისი ამბობს: „ცხვირი ქვემოთ და ჰეი, მიფრინავთ!“

სანავე ხრახნი იკვებება ლითიუმის ელემენტებით (როგორც ელექტროავტომობილში) და უნუძლია ნავის გადაადგილება 4 კვანძით, რაც შესაძლებლობას აძლევს არ ჩამორჩეს, ვთქვით, კუზიან ვეშაპს ან ვეფხვისებრ ზვიგენს.



კომპოზიციური მასალისაგან დამზადებული გაქსი გლუვი და მსუბუქია, რაც ზრდის მანევრირების საშუალებასა და აკუმულატორის მოქმედების ვადას.

წინა ინდიკატორი განათავსებულია კაბინის გარეთ, რათა უზრუნველყოს ისეთი საკვანძო მონაცემების მიწოდება, როგორიცაა წყლის სიღრმე, დახრილობა და ხელოვნური ჰორიზონტი. ამგვარად გეგოდინებათ, რა მიმართულებით მიგურავთ ბნელ წყლებში.

აკრილის ორ ილუმინატორს ზღვის წყლის მსგავსი რეფრაქციის ინდექსი აქვს, რაც იძლევა ღია კაბინის შთაბეჭდილებას – წყალქვეშა Red Baron-ივით.

400 ფუტის სიღრმეზე არსებული უდიდესი ზეწოლის პირობებში, კორპუსი უსაფრთხო და კომფორტულია პილოტი-სა და მგზავრებისათვის. სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემა ჟანგბადს 24 საათის განმავლობაში აწოდებს.



advertisement



consulting



entertainment

**ACE studio**  
advertising agency

# \$127,7 მილიონი

- 2013 წლის ჩოგბურთში დიდი მუხარადის ტურნირის მთლიანი საპრიზო ფონდი. აშშ-ის ღია ჩოგბურთის ჩემპიონატი: 33,6 მილიონი დოლარი.



## ფული სკოროში

### რა უყვართ მათ

როჯერს უყვარს პიცა, სერენა ერთობა Green Day-ით. აქვე გაეცნობით, თუ რისი შეძენა შეუძლიათ ჩოგბურთის ვარსკვლავებს წინა წელს მიღებული ფულადი ანაზღაურებით.



**როჯერ ფედერერი**  
\$71,5 მილიონი  
პიჯის წვეულება, შვეიცარიაში მცხოვრები ყველა (8 მილიონი) ადამიანისთვის.



**მარია შარაპოვა**  
29 მილიონი  
მისი Sugarpova-ს ტკბილეულობის 4 841 402 ჩანა.



**ნოვაკ დიოკოვიჩი**  
\$26,9 მილიონი  
მთელი pule, მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ყველი, რომლის გაკეთებაც 203 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელაა შესაძლებელი.




**სერენა უილიამსი**  
\$20,5 მილიონი  
ბილეთები Green Day-ის 35 432 კონცერტზე.



**ენდი მიურეი**  
\$14,9 მილიონი  
სათამაშო ცენტრები და ინტერნეტი, მთელი მისი მშობლიური ქალაქისთვის (მოსახ. 7 911) Call of Duty (ვიდეოთამაში „მოვალეობის გრძობა“) სათამაშოდ 5,08 წლის განმავლობაში.

## შაქითხვა 50 მილიარდს


რამდენი კომპანია დაგიფუძნებიათ?



— FORBES-ის მსოფლიო მილიარდობა სიის წევრების ანონიმური ბაზრითვის შეფუძნება.

## პერსპექტიული პიროვნებები

### მოგზაური, ვებმასტერი, მოდელიერი



#### ჯემი ვონგ VAYABLE

თავისი 32 წლის ასაკისთვის ვონგი უკვე 35 ქვეყანაშია ნამყოფი, იგი თავისუფლად ლაპარაკობს ოთხ ენაზე და ორი წელი DAILY SHOW WITH JON STEWART-ის მკვლევარის როლში გაატარა. 2010 წელს მან VAYABLE-ი გახსნა, რომელიც მოგზაურებს 5000 ადგილობრივი გიდის მიერ ორგანიზებულ ტურებთან აკავშირებს მთელ მსოფლიოში. წყნარი ოკეანის რეგიონში გასურთ არდადეგების გატარება? სინჯეთ კომუნალური დღესასწაული ფიჯის პრინციანთან ერთად. სან-ფრანსისკოში მდებარე კომპანია თითოეული გიდის მომსახურების ღირებულებას 15% და მთლიანი ტურისტული პაკეტის 3% იღებს. ვონგმა უკვე შეაგროვა 2,1 მილიონი დოლარი სხვადასხვა ინვესტორისგან, მათ შორის SV ANGEL-სა და CRUNCHFUND-განაც. EXPEDIA-ს ყოფილი გენერალური დირექტორი ერიკ ბლანჩფორდი გამგეობის წევრია.



#### მაიკლ მაიერნიკი SPINNAKR

თავდაპირველად იგი სათავეში ედგა GIV.TO-ს, პროგრამული უზრუნველყოფის კომპანია, რომელიც არაკომერციულ ორგანიზაციებს ფულის მოზიდვაში ეხმარებოდა ინტერნეტის მეშვეობით. შემდეგ კი, 2011 წელს, 29 წლის მაიერნიკმა თავისი ტალანტი კომერციულ სექტორში მოსინჯა. ამის შედეგია SPINNAKR-ი, სტარტაპი, რომელიც თავაღყურს ადევნებს ვებგვერდის ტრაფიკს და ეხმარება არაკომერციულ ორგანიზაციებს საკუთარი ვებგვერდების სხვადასხვა მნახველისთვის მისადაგებაში. მაგალითად, ის მნახველები, რომლებიც ამ ვებგვერდებზე სამუშაოს საძიებელი გვერდებიდან ნდებოდნენ, სამუშაოზე მიწვევის განცხადებებს ხედავდნენ, და ეს მაშინ, როდესაც სხვებს შეეძლოთ მხოლოდ ფასდაკლების შემთავაზების დანახვა. ყოველთვიური ხელმონერა ამ პროგრამულ უზრუნველყოფაზე 50-დან 500 დოლარამდე ღირს, მისი მახასიათებლების შესაბამისად. იენისში MAYERNICK-მა 1 მილიონი დოლარი შეაგროვა სარისკო წამომწყების დასაფინანსებლად ANDREESSEN HOROWITZ-ის ექვსკაციანი კომპანიისთვის, 500 სტარტაპისა და POINT NINE CAPITAL-გან.



#### დავიდ აიზენბერგი FLOORED

აიზენბერგმა მხოლოდ ხუთი თვე გაატარა BAIN-ის კონსულტანტის თანამდებობაზე, ვიდრე BONOBOS ნომერი პირველი თანამშრომელი გახდებოდა. BONOBOS-ი მამაკაცების სამოსის ინტერნეტის კომერციული სტარტაპია. ამჟამად 28 წლის აიზენბერგი FLOORED-ს მართავს - 16-კაციან ორგანიზაციას, რომელიც ოფისისა და სახლების 3D მოდელებს ქმნის. ნიუ-იორკში მდებარე კომპანია სკანირებას უკეთებს ოფისებისა და სახლების შიდა სივრცეებს ლაზერული კამერებით და ციფრულ იმიჯებს ქმნის. კერძო საკუთრების მფლობელები ამ მომსახურებაში, ყოველ კვადრატულ ფუტზე 3 დოლარის ოდენობის თანხას უხდიან. აიზენბერგმა გასულ დეკემბერს 1,1 მილიონი დოლარი მიიღო LERER VENTURES-ის, FELICIS VENTURES-ის, BROOKLYN BRIDGE VENTURES-ისა და სხვებისგან.





# მეფის სიტყვა

მაშინ, როცა საპრეზიდენტო კამპანიის დაძაბული სეზონი კონკურენტუნარიან მეტოქეებს გვთავაზობს, არსებობს სერიოზული რისკი იმისა, რომ მომავალ პრეზიდენტს არ ექნება კარგად მომზადებული მისასალმებელი სიტყვა. ამის გათვალისწინებით, თავს უფლება მივეცი შემეთხზა სამი მთავარი კანდიდატის საჯარო გამოსვლა, რითაც, ჩემი აზრით, ამოვავსებ მათს კამპანიებში არსებულ ნაპრალებს და ამომრჩევლის ყურადღებას მივმართავ ფართო სურათზე, ნაცვლად ვიწროპარტიული პარტყ-პოლიტიკისა.

### ბიორგი მარბველაშვილი

პატივცემულო მეგობრებო, ძვირფასო ქართველებო, საპატიო სტუმრებო, მოგესალმებით!

მე დიდად დავალებული ვარ (განსაკუთრებით თქვენგან, ბატონო ბიძინა) და ჩემთვის უდიდესი პატივია, რომ დღეს აქ ვდგავარ, თქვენ წინაშე, როგორც ახლად არჩეული პრეზიდენტი.

პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ ვესაუბრე ჩემს კონკურენტებს და მათ უკვე მომილოცეს ეს ისტორიული გამარჯვება. მე მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნინოს, მისი თბილი სიტყვებისა და გამხნვევებისათვის.

„გიორგი, - მითხრა მან, - მინდა იცოდე, რომ ჩვენი ურთიერთობა ამით არ დასრულდება და მას შემდეგ, რაც ბიძინა პოლიტიკური არენიდან წავა, მე თქვენთვის მოვიცლი“.

მე ვდგავარ აქ, როგორც ყველა ქართველის პრეზიდენტი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პარტიას ან რომელ საპრეზიდენტო კანდიდატს უჭერდნენ ისინი მხარს - თუკი, რა თქმა უნდა, ეს პარტია მაინცადამაინც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არ არის. მე ვდგავარ აქ, როგორც ჩვენი საყვარელი ქვეყნის ლიდერი - ქრისტიანებისა თუ მუსლიმანებისათვის, ქართველებისათვის, სომხებისა თუ

აზერბაიჯანელებისათვის - ყველასთვის, გარდა გვებისა, არა, ლევან? და გარდა მუსლიმანებისა... და სომხებისა... და აზერბაიჯანელებისა... მშვენიერი ჩოხაა, სხვათა შორის, ლევან.

ჩვენ საარჩევნო ბრძოლის ქარცეცხლი გავიარეთ, მაგრამ ქართველმა ხალხმა უკვე გააკეთა საკუთარი არჩევანი და ეს არჩევანი დანარჩენ ორ კანდიდატზე არ შეჩერებულა. ჩემს სასარგებლოდ ხმის მიცემის შედეგად ახლა ქვეყანას ჰყავს - როგორც პრემიერმა აღნიშნა ჩემი საპრეზიდენტო კამპანიის დასაწყისში - ნამდვილად ევროპული ყადის პრეზიდენტი. და მე, სანამ პრეზიდენტის კაბინეტი მბარია, ყოველდღე ვიბრძობ იმი-სათვის, რომ ეს შეფასება გავამართლო: როგორც ყველა სხვა ევროპელი ლიდერი, მეც საიდუმლოდ განვიმსჯელები ზიზღით ამერიკელებისადმი, თუმცა ძირითადად მაინც მათ ჭკუაზე ვივლი; ამავე დროს, მე გპირდებით, რომ დავაბოზებ ურთიერთობებს კრემლთან ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე და არანაირი რეალური სარგებლის სანაცვლოდ; მე გპირდებით, რომ ვიქნები უმოქმედო, როცა ეკონომიკა ერთი კრიზისიდან მეორეში გადაეშვება.

გპირდებით, რომ კეთილსინდისიერად შევასრულებ დაკისრებულ მოვა-

ლებებს - ანუ კეთილსინდისიერად შევასრულებ ყველაფერს, რასაც ბიძინა ივანიშვილი მეტყვის. გპირდებით, რომ გამოვიყენებ ამ თანამდებობას ქართველი ხალხის გასაერთიანებლად - ყოველ შემთხვევაში ხალხი იმაზე მაინც შეთანხმდება, რომ ერთი უფერული საჯარო მოხელე ვარ, რომელსაც პრეზიდენტის პოსტზე არაფერი ესაქმება. მე მჯერა, რომ ჩვენ ერთხმად შევთანხმდებით ამაზე.

დიდი მადლობა. ღმერთმა დაგლოცოთ.

### დავით ბაქრაძე

პატივცემულო მეგობრებო, ძვირფასო ქართველებო, ბატონო ყოფილო პრეზიდენტო, მოგესალმებით!

დღეს ისტორიული დღეა. ესაა დღე, როდესაც საქართველო საბოლოოდ გამოემშვიდობა თითქმის ერთწლიან პირობულ ავტორიტარიზმს, პოლიტიკურ დევნასა და ეკონომიკურ კოლაფსს და დაუბრუნდა ჩვეულ ყოფას - რუსეთთან კონფლიქტის, მასობრივი მოსმენებისა და პოლიტიკური დევნის ბუნებრივ კურსს.

ესაა დღე, როდესაც ქართველმა ხალხმა ზურგი აქცია ცარიელ დაპირებებსა და დამსხვრეულ ოცნებებს და კიდევ ერთხელ დაადგა გზას, რომელიც საქართ-





ველოს აქცევს ახალ სინგაპურად, დუბაის (და ოდნავ - ესტონეთის) ელემენტებით. მე გპირდებით, რომ ჩვენ ამ ოცნებას ნამდვილად ავისრულებთ.

მე ვდგავარ, აქ, თქვენ წინაშე, როგორც ყველა ქართველის პრეზიდენტი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ ჩემთვის არ მოგიციათ ხმა - არ ინერვიულოთ, არ გიბრაზდებით. თუმცა მაინც იცოდეთ, რომ ვანომ იცის, სად ცხოვრობთ.

აღსანიშნავია, რომ ჩემთვის ეს გამარჯვება მეტი თავმდაბლობის საბაბია. მე ძალიან კარგად ვუყვი, რომ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩემმა პარტიამ შეცდომები დაუშვა. მაგრამ ადამიანი იმით ხარ გონიერი არსება, რომ ყველთვის შეეცადო, აღარ გაიმეორო შეცდომა. ჩვენ აღარასოდეს მივანიჭებთ ორმაგ მოქალაქეობას მილიარდერს! ჩვენ აღარასოდეს დაგუშვებთ, რომ საიდუმლო მიყურადებისა და ვიდეოჩანაწერების პრაქტიკა იმდენად გავრცელდეს, რომ ჩვენ თვითონვე აღმოჩნდეთ მათზე აღბეჭდილი! ჩვენ აღარასოდეს მოვახდენთ ოკუპანტი მონღოლოიდი ბარბაროსების (რომლებიც ტყე-ღრუში დარბობდნენ, როდესაც ჩვენ რუსთაველი გვყავდა) პროვოცირებას მათი ბელადის შეურაცხყოფით!

აგრეთვე მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი სახელგანთქანი წინამორბედის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ - მადლობა, მიშა! მადლობა, მიშა, იმისათვის, რომ შექმენი ჩვენი პარტია და აქციე ჩვენი ქვეყანა სახელმწიფოდ, რომელსაც ჩამოშლა არ ემუქრება. მადლობა, მიშა, იმისათვის, რომ შექმენი ის დემოკრატიული ინსტიტუტები, რომელთა მეშვეობითაც მივაღწიეთ დღევანდელ გამარჯვებას. მადლობა, მიშა, გასული ოქტომბრისთვის, კინაღამ რომ დააპატიმრებინე ჩვენი თავი, ისეთი დამთმობი საჯარო გამოსვლა გქონდა. გაგეფრთხილებინეთ მაინც!

დღეს უკვე ყველასთვის ცხადია, რომ მიშა არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც კი ოდესმე უნახავს მსოფლიოს და რომლის მსგავსიც საქართველოს ისტორიაში - ყოველ შემთხვევაში დავით აღმაშე-

ნების შემდეგ - არ ყოფილა. სწორედ ამ ყოველივეს გათვალისწინებით, მე მსურს განვაცხადო ბატონი მიხეილის ახალი როლის შესახებ: იგი გახდება ლაზიკის მერი - ქალაქისა, რომელიც უნდა აშენდეს ანაკლიისაგან ათი კილომეტრით დაშორებულ ხელოვნურ კუნძულზე. ჩვენ დიდი სიამოვნებით გატყობინებთ, რომ მალე იგი იქ გადავა საცხოვრებლად, თუმცა ვერთმდერენების აეროდრომსა და საზღვაო პორტის მშენებლობას, დამატებით, სულ მცირე, ხუთი წელიწადი დასჭირდება.

დაბოლოს, მე მსურს გავიხსენო ჩვენი ეროვნული გმირის, რონალდ რეიგანის სიტყვები: „მოდი, დაცვხოთ რუსეთს!“

### ნიმო ბურჯანაძე

პატივცემული მეგობრებო, ძვირფასო ქართველებო, ბატონო ლავროვ, გამარჯობა!

ხედავ, მიშა?! ხომ გეუბნებოდი, შევძლებ-მეთქი? იმედი მაქვს, უკვე ბარგს

## არსებობს სერიოზული რისკი იმისა, რომ მომავალ პრეზიდენტს არ ექნება კარგად მომზადებული მისასალმებელი სიტყვა.

ალაგებ, მისტერ, რადგან საღამოსთვის უკვე ნეტარი ვასილის ტაძარზე უნდა კონწიალებდე ერთი ადგილით.

და ჰო, კიდევ, გულუბრყვილო „მეოცნებენო“, თქვენი ღალატის ტოლფასი „კოპაბიტაციით“, არც თქვენ დამვიწყებინხართ. ყველანი ციხეში წახვალთ იმ უდიდესი დანაშაულის გამო, უფრო ადრე რომ ვერ ან არ გააცნობიერეთ და გამოიყენეთ ჩემი გენიალურობა.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩემში იოტისოდენა ვჭვსაც არ იწვევდა არჩევნებში გარდაუვალი და ძლევა მოსილი გამარჯვება, ბოლო დღეების განმავლობაში მე მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი ბატონ ლავროვთან და აი, სულ ახლახან,

ტელეფონით ვესაუბრე თვით მას - ბატონი ვლადიმირ პუტინის პირად მდივანს! მე მინდა დიდი სიხარულით გამცნოთ, რომ ჩემი ზებუნებრივი დიპლომატიური უნარ-ჩვევების დამსახურებით ისეთ შეთანხმებას მივაღწიე, რომლითაც ჩვენი ყველა პრობლემა მოგვარდება!

დიახ, დიახ, ისინი ამბობდნენ, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ, სულ მცირე საფასურის - ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების განთავსებისა და ევროკავშირსა და ნატოში შესვლაზე სამუდამოდ უარის თქმის - სანაცვლოდ, მე მივიღე სერიოზული დაპირება, რომ რუსეთი ჩვენს მიმართ გარკვეული დროის მანძილზე ტაქტიანი იქნება!

დიახ, მე მივაღწიე ამას - არა მიშამ თავისი კავშირებით ვაშინგტონში, არა ბიძინამ, თავისი წევრობით მილიარდერთა კლუბში, არამედ მე! მე მივიღე ბატონი ლავროვის მკაფიო გარანტია, რომ ისინი ძალიან სერიოზულად დაფიქრდებიან ჩვენთან ცალმხრივი სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ. მან განმიცხადა, რომ პრეზიდენტ პუტინს (იგი ის კაცია, რომელთან ურთიერთობაც მე ძალიან კარგად ვიცი) მალე მზად ექნება გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს საქართველოს რეინტეგრაცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან. მე დიდი სიამაყით ვაანონსებ ამ ახალი გაერთიანების სახელს: „ტრანსკავკასიური სამხედრო ოლქი“.

მაგრამ მე არ მინდა ჩემი მიმართვა ყველასთვის ობტიმისტურ ნოტაზე დავასრულო. ამ არჩევანის შედეგად ქართველ ხალხს ეძლევა შანსი, იფიქროს მომავალზე. გპირდებით, რომ ერთად ჩვენ მივაღწევთ ისეთ მომავალს, რომელშიც აბსოლუტურად ყველა, ვინც რაიმე სახით დაკავშირებული იყო ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან (მას შემდეგ, რაც მე მათი რიგები დაეტოვე) ციხეში იჯდება. ეს ის მომავალია, რომლისაც ჩვენ ყველას უნდა გვწამდეს.

დიდი მადლობა, თუმცა კი, სინამდვილეში, თქვენ უნდა იყოთ ჩემდამი მადლიერი. **F**



**avines**  
S U S T A I N A B L E   B E A U T Y

ექსკლუზიური დისტრიბუტორი  
საქართველოში UCG Georgia

ტელ: 225 04 06  
[info@ucgroup.ge](mailto:info@ucgroup.ge)  
[www.ucgroup.ge](http://www.ucgroup.ge)



# ახალი პრეზიდენტი ახალი კონსტიტუციით

კონსტიტუციის ახალი მოდელი ხელისუფლების შტოებს შორის კონფლიქტის წარმოქმნის ბევრ საბაბს იძლევა, მისი დაძლევის გზები კი ზოგჯერ მყიდვია, ზოგჯერ კი საერთოდ არ არსებობს.

## ხელისუფლების დანაწილება და პრეზიდენტის როლი

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთშეკავებასა და გაწონასწორებაზეა დამყარებული. ეს იმას ნიშნავს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება, პარლამენტი და სასამართლო განუწყვეტელივ ერთმანეთის საქმიანობაში. ამით კონსტიტუციონალიზმი ცდილობს თავიდან აიცილოს ძალაუფლების ერთ წერტილში კონცენტრირება, მუდმივად წაახალისოს ეს სუბიექტები ერთმანეთის მიმართ უნდობლობისკენ და მათ შორის პერმანენტული კონკურენცია უზრუნველყოს. სწორედ ეს კონფლიქტი წარმოშობს დემოკრატიულ პროცესებს. თუმცა კონსტიტუცია ამ კონფლიქტებიდან რაც შეიძლება მცირე დანაკარგებით გამოსვლის მექანიზმებს უნდა ითვალისწინებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტი კრიზისად იქცევა.

ამ რთული ბალანსის მიღწევას სხვადასხვა ქვეყანა კონსტიტუციური ინსტიტუტების ათასგვარი მოდიფიცირებით ცდილობს. რამდენი ფერიც არის მსოფლიო პოლიტიკურ ატლასზე – კონსტიტუციური წესრიგის იმდენი მოდელია მსოფლიოში, მაგრამ ძალიან თუ განვაზოვადებთ, სამკლასიკურ ვარიანტს მივიღებთ: საპრეზიდენტო რესპუბლიკას, საპარლამენტო რესპუბლიკასა და შერეული მმართველობის მქონე რესპუბლიკას.

პირველ შემთხვევაში აღმასრულებელი



ბელი ხელისუფლებისა და სახელმწიფოს მეთაური პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტია. მთავრობა, როგორც კოლექციური ორგანო, არ არსებობს. ხელისუფლების შტოებს ერთმანეთზე ზემოქმედების შედარებით ნაკლები საშუალებები აქვთ და ზოგადადაც უფრო დიფერენცირებულნი არიან. პრეზიდენტი ვერ დაითხოვს პარლამენტს, ხოლო საკანონმდებლო ორგანო მთავრობას უნდობლობას ვერ გამოუცხადებს.

მეორე შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების ბირთვს მთავრობა წარმოადგენს, რომელიც კოლექციური ორგანოა და რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. მას ნდობას პარლამენტი უცხადებს. პრეზიდენტი არაპირდაპირი გზით აირჩევა. მისი ფუნქციები

ძირითადად სიმბოლურია. იგი სახელმწიფოს მეთაურის როლს ასრულებს. მთავრობასა და პარლამენტს უფრო მეტად შეუძლიათ ერთმანეთის საქმიანობაში ჩარევა და მისი შემოწმება. პრეზიდენტს უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი, ხოლო პარლამენტს – უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას. საპარლამენტო რესპუბლიკა უფრო რთული მოდელია, ვიდრე საპრეზიდენტო.

ზემოთ აღწერილი მოდელების შეჯერების მცდელობა მესამე ტიპში. აქ აღმასრულებელი ხელისუფლება გადანაწილებულია პრეზიდენტსა და მთავრობას შორის. პრეზიდენტი მთავრობისა და სახელმწიფოს მეთაურია, მაგრამ პარალელურად არსებობს პრემიერის ინსტიტუტი და კოლექციური მთავრობა. აქაც, ისევე

როგორც წინა შემთხვევაში, ხელისუფლების შტოები აქტიურად ერთვებიან ერთმანეთის საქმიანობაში. პრეზიდენტს უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი, ხოლო პარლამენტს – უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას. აღნიშნულ ვარიანტს ერთი თავისებურება ახასიათებს: თუ პრეზიდენტი აკონტროლებს საპარლამენტო უმრავლესობას, მაშინ ვიღებთ არაბუნებრივად ძლიერ ფიგურას სახელმწიფოს მეთაურის სახით, რაც ზოგიერთ შემთხვევაში სუპერსაპრეზიდენტო მმართველობაში გადაიზრდება (გაანჩინა ქვეყნის პოლიტიკურ კონტექსტს), მაგრამ თუ საკანონმდებლო ორგანოში მისი მოწინააღმდეგე პოლიტიკური ჯგუფები დომინირებენ, მაშინ ქვეყანა, ფაქტობრივად, საპარლამენტო მმართველობის პირობებში აგრძელებს არსებობას.

ჩვენი ქვეყნის მოდელი არასდროს არ ყოფილა ზედმიწევნით რომელიმე ტიპის მმართველობის მოდელის შესაბამისი და მუდმივად მათ შორის მერყეობდა. თუმცა სამი წლის წინ საქართველომ კონსტიტუციაში არსებითი ცვლილებები განახორციელა, რომლებმაც სრულიად შეცვალა ხელისუფლების დანაწილების აქამდე არსებული მოდელი.

27 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. თუ ყველაფერი პირველ ტურში გადაწყდება, მაშინ ახალი პრეზიდენტის არჩევიდან მესამე კვირა დღეს მისი ინაუგურაცია შედგება და, ფიცის სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, 2010 წლის ცვლილებები ძალაში შევა – ამჟამინდელი მთავრობა უფლებამოსილებას იხსნის პარლამენტის წინაშე; ხდება ახალი მთავრობის ფორმირება. ქვეყანას ახალ კონსტიტუციურ რეალობაში უწევს ცხოვრების დაწყება.

ამგვარი ცვლილებების ფონზე, მნიშვნელოვანია, როგორი ფუნქციებით არის აღჭურვილი საქართველოს პრეზიდენტი, როგორია მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში და რა ფუნქციის შესრულება მოუწევს მას.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქარ-

თველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია იქმნებოდა, მის ამოცანას ხელისუფლების დანაწილების ახლებური, ეფექტიანი სისტემის შექმნა წარმოადგენდა. როგორც მუშაობის პროცესმა და საბოლოო შედეგმა აჩვენა, პრეზიდენტის ფუნქციები არსებითად შემცირდა. და ამის ხარჯზე პრეზიდენტის როლი უფრო მნიშვნელოვანი გახდა, რამაც ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაცენა, მაგრამ ეს სხვა ტექსტის თემაა, ისევე როგორც ურთიერთობა პარლამენტსა და მთავრობას შორის. თუმცა აქ იმის თქმა შეიძლება, რომ პარლამენტის როლი, პრეზიდენტის დაუსტების პირდაპირპროპორციულად არ გაზრდილა და ზოგიერთ შემთხვევაში იგი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კიდევ უფრო დამოკიდებული გახდა.

ახალ მოდელში ერთი მნიშვნელოვანი ტერმინოლოგიური ცვლილება განხორციელდა, რამაც კონსტიტუციის შინაარსზე არსებითი გავლენა მოახდინა. ძველ მოდელში ეწერა, რომ „საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში. იგი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი“.

ახლებური ფორმულირების მიხედვით კი საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ კონსტიტუციურმა ინსტიტუტმა დაკარგა ისეთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, როგორც არის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვა. ამავდროულად იგი აღარ არის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში. თუმცა არ შეცვლილა პრეზიდენტის არჩევის წესი – იგი კვლავ პირდაპირი წესით ირჩევა.

პრეზიდენტმა ასევე იტვირთა ერთგვარი არბიტრის ფუნქცია, მაგრამ იმისთვის,

რომ გამოირიცხოს მიკერძოება, მას აეკრძალა პარტიული თანამდებობის დაკავება. თუმცა კენჭისყრის დროს სა-მოქალაქო სექტორი ამას პოლიტიკური ინტერესებისგან დისტანცირებისთვის არასაკმარის მექანიზმად მიიჩნევდა და პრეზიდენტისთვის საერთოდ პარტიული საქმიანობის აკრძალვას მოითხოვდა. როგორც შედეგმა გვაჩვენა, მმართველი უმრავლესობის მაშინდელმა წევრებმა ეს შენიშვნა არ გაითვალისწინეს.

## მთავრობა და პრეზიდენტი

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მეთაურის მოწინააღმდეგე მთავრობის დაკომპლექტებაში. პრეზიდენტის როლი მთავრობის ფორმირებაში მეტწილად ფორმალურია და პრეზიდენტი ვალდებულია, პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენოს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილი კანდიდატურა. პრეზიდენტისთვის არჩევანის ერთადერთი შესაძლებლობა არის შემთხვევა, როდესაც პარლამენტის მიერ ორგანის შეთავაზებული მთავრობის ჩაგდება შემდეგ, პარლამენტის სიითი შემადგენლობის ორი მესუთედი წარადგენს პრეზიდენტობის კანდიდატს. თუ პარლამენტის წევრთა სხვადასხვა, მაგრამ რიცხობრივად თანაბარი შემადგენლობა ორ კანდიდატურას წარადგენს, პრეზიდენტი წამოაყენებს ერთ-ერთ წარდგენილ კანდიდატურას. კონსტიტუციის მიხედვით კი, თუ პარლამენტმა ამის შემდეგ ნდობა არ გამოუცხადა მთავრობას, პრეზიდენტი ვალდებულია დაითხოვოს პარლამენტი. ეს უფლებამოსილება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც პრეზიდენტს შეუძლია ისეთი კანდიდატი წარადგინოს პარლამენტში, რომელსაც მხარდაჭერის ნაკლები შანსი აქვს და ამით მისი დათხოვნის ინსპირირება მოახდინოს.

მთავრობის ფორმირებისას პრეზიდენტი ყველაზე აქტიურად ამ უკანასკნელისთვის უნდობლობის გამოცხადების

პროცესში ერთვება. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ძველი მთავრობის გადაყენება და ახლისთვის უნდობლობის გამოცხადება ერთი კენჭისყრით ხდება. როდესაც ძველ მთავრობას პარლამენტი უნდობლობას უცხადებს, მას უნდა ჰყავდეს ახალი კანდიდატი, რომელიც, კენჭისყრის ინციტატორთა იდეის განხორციელების შემთხვევაში, ავტომატურად გახდება პრემიერი. პრეზიდენტს უფლება აქვს სწორედ ამ კანდიდატს დაადოს ვეტო, რომლის გადასალახად საკანონმდებლო ორგანოს სიითი შემადგენლობის 3/5 სჭირდება. ეს მნიშვნელოვანი უფლებამოსილებაა, რადგან თუ პარლამენტმა ვეტო ვერ დაძლია, პრეზიდენტს უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი.

პრეზიდენტს მთავრობასთან მართებით ერთი უფლებამოსილება კიდევ რჩება: მას შეუძლია მთავრობის სხდომაზე ცალკეულ საკითხთა განხილვა მოითხოვოს და მონაწილეობა მიიღოს ამ განხილვაში.

### პრეზიდენტის როლი საკანონმდებლო პროცესსა და რეფორმების დანიშვნაში

საქართველოს პრეზიდენტს აღარა აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და საკანონმდებლო პროცესზე ის მხოლოდ ვეტოს მეშვეობით ახდენს გავლენას. თუმცა ვეტოს გადალახვისთვის საჭირო ხმების რაოდენობა მცირდება. ვეტო გადალახულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი; ორგანული კანონის პროექტის შემთხვევაში - თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი; კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღებისას - თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედისა.

კიდევ ერთი უფლებამოსილება რეფორმების დანიშვნას შეეხება. პრეზიდენტს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია საქართველოს პარლამენტის,

საქართველოს მთავრობის, ან არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის მოთხოვნით დანიშნოს რეფორმდუმი.

### კონტრასიგნაცია

კონსტიტუციაში შემოღის ახალი ინსტიტუტი - კონტრასიგნაცია. ეს ნიშნავს, რომ პრეზიდენტის ზოგიერთი აქტი მხოლოდ მას შემდეგ შედის ძალაში, რაც პრემიერ-მინისტრი ხელმოწერით დაადასტურებს მის შინაარსზე თანხმობას. პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც საჭიროებს კონტრასიგნაციას, ქვეყნდება და სამართლებრივ შედეგებს მხოლოდ კონტრასიგნაციის შემთხვევაში წარმოშობს.

კონსტიტუციაში მოცემულია პრეზიდენტის ძირითადი უფლებამოსილებების ჩამონათვალი, სადაც მითითებულია ის უფლებამოსილებები, რომლებზეც პრემიერის თანხმობაა საჭირო და ისინიც, რომლებზეც ასეთი თანხმობა საჭირო არ არის. თუმცა კონსტიტუციაში გვხვდება კიდევ ერთი ბუნდოვანი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც გარკვეული უფლებამოსილების განხორციელება „მთავრობასთან შეთანხმებით“ უნდა მოხდეს. ცხადია, ეს კონტრასიგნაცია არ არის, ეს არც წინასწარი თანხმობაა, რადგან ორივე შემთხვევაზე პირდაპირ არის მითითება გაკეთებული. არ არის ნათელი, რა ფორმით აძლევს პრეზიდენტს მთავრობა თანხმობას ამ უფლებამოსილების განხორციელებისთვის და რით განსხვავდება ეს ორი, ზემოაღნიშნული (წინასწარი თანხმობა და კონტრასიგნაცია) მექანიზმისგან. აღნიშნული გაუგებრობა შესაძლოა კონსტიტუციური კონფლიქტის საფუძველი გახდეს.

### შეჯამება

თუ პრეზიდენტის უფლებამოსილებებს შევაჯამებთ, მათი რამდენიმე კატეგორიად დაყოფა შეიძლება.

**პრეზიდენტის**, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, ფუნქციები (ძირითადად ფორმალური შინაარსის უფლებამოსილებები);

პრეზიდენტის, როგორც საგარეო

ურთიერთობებში წარმომადგენლის ფუნქციები (ესეც მეტწილად ფორმალური უფლებამოსილება);

პრეზიდენტის, როგორც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციები (მნიშვნელოვანი მხოლოდ საომარ ვითარებაში);

**სხვადასხვა** კონსტიტუციური ინსტიტუტის კომპლექტაციაში მონაწილეობა (იუსტიციის უმაღლესი საბჭო, უშიშროების საბჭო, მხედართმთავრების დანიშვნა, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოები, ცესკო, მარეგულირებელი კომისიები, ეროვნული ბანკი და სხვა);

პრეზიდენტს ასევე რჩება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება, რომელიც ეფექტიანი იარაღია პარლამენტისა და მთავრობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების გასაუქმებლად.

ჩვენეული პრეზიდენტის ინსტიტუტის მოდელი საკმაოდ ლაბილურია. ის საკუთარ ადგილს კონსტიტუციურ სისტემაში პოლიტიკურ ძალთა ბალანსის მიხედვით პოულობს. თუ საკანონმდებლო ორგანოს აკონტროლებს პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც ქვეყნის მეთაური წარმოადგენს - იგი ჩრდილში მდგომი ფიგურა, მეორე რიგის ლიდერია. არც ერთი რეალური ძალაუფლების მქონე პოლიტიკოსი არ ისურვებს პრეზიდენტობას მაშინ, როდესაც არსებობს ძალიან ძლიერი პრემიერის ინსტიტუტი. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ საპარლამენტო უმრავლესობა და პრეზიდენტი სხვადასხვა გუნდის წევრები არიან, ამ უკანასკნელს საკმარისზე მეტი ბერკეტი რჩება იმისთვის, რომ პრობლემები შეუქმნას მმართველ ძალას და ამავდროულად ქვეყნის კონსტიტუციური სისტემა პოლიტიკურ კრიზისამდე მიყვანოს.

რეალურად ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა ის არის, რომ ახალი მოდელი ხელისუფლების შტოებს შორის კონფლიქტის წარმოქმნის ბევრ საბაბს იძლევა, თუმცა ზოგჯერ მისი დაძლევის ძალიან მყიფე გზებს, ზოგჯერ კი ასეთ გზებს საერთოდ არ გვთავაზობს. **F**

# თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

„რეალობის ნატიფი გრძნობით...“

19 სექტემბერი - 8 ოქტომბერი

საერთაშორისო პროგრამა

საერთაშორისო პროგრამა - NEW

ქართული სპექტაკლების პროგრამა - Georgian Showcase

მასტერკლასები, ტრენინგები და ფესტივალის  
შეხვედრები

[www.tbilisiinternational.com](http://www.tbilisiinternational.com)

[www.facebook.com/TbilisiInternational](https://www.facebook.com/TbilisiInternational)



# საპრეზიდენტო არჩევნები 2013

თუ პანონის ლოგიკიდან ამოვალთ, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვანი იქნება საქართველოს ისტორიაში. ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის მომენტიდან ძალაში შევა საკონსტიტუციო ცვლილებები, რაც მის უფლებამოსილებას არსებითად შეკვეცს. პრეზიდენტს ძალიან მცირე გავლენა ექნება აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებაზე: გადამწყვეტი საპარლამენტო უმრავლესობის ნებაა, ხოლო მისი ლიდერი - პრემიერ-მინისტრი, მთავარი თანამდებობის პირია ქვეყანაში. კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემქმნელთა ჩანაფიქრით, პრეზიდენტის უფლებამოსილება უფრო „მთვლემარეა“: სანამ საპარლამენტო უმრავლესობა მყარია, მისი როლი მცირეა, მაგრამ სახელისუფლებო კრიზისის ვითარებაში მას შეუძლია, არბიტრის ფუნქცია შეასრულოს.

თუმცა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საქართველოში თანამდებობის რეალურ პოლიტიკურ წონას მხოლოდ ფორმალური წესები არ განსაზღვრავს. ამის საუკეთესო მაგალითია კოჭაბი-ტაცია პრეზიდენტ სააკაშვილსა და პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს შორის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ამ პერიოდში ძალაში რჩებოდა კონსტიტუციის ძველი ვარიანტი, რომელიც პრეზიდენტს ძალიან დიდ ძალაუფლებას ანიჭებდა. მაგრამ არჩევნებში მისი პარტიის მარცხის შემდეგ მიხედვით სააკაშვილმა არჩია, ნებაყოფლობით უარი ეთქვა თავისი უფლებების უმეტეს ნაწილზე, ასე რომ, ფაქტობრივად, ის ოპოზიციურ ფიგურად იქცა და არა სახელმწიფოს მეთაურად.



ამიტომ ამ ეტაპზე ჯობია სიფრთხილე გამოვიჩინოთ: სინამდვილეში, ჩვენ უბრალოდ არ ვიცით, რეალურად რა როლს ითამაშებს მომავალი პრეზიდენტი. ეს მის პიროვნებაზე იქნება დამოკიდებული და პოლიტიკურ გარემოზე. ეს უკანასკნელი კი გამორჩეულად გაურკვეველია.

ამას განაპირობებს პრემიერ-მინისტრის და ქვეყნის ყველაზე მდიდარი ადამიანის, ბიძინა ივანიშვილის განზრახვა, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წავიდეს. თავისთავად, პრემიერის გადადგომა სერიოზულ პრობლემას არ უნდა ქმნიდეს, მას რომ მყარი უმრავლესობა უმაგრებდეს ზურგს: ერთ ლიდერს მეორე შეცვლის და, ძირითადი პრინციპების დონეზე მაინც, იმავე პოლიტიკას გააგრძელებს. მაგრამ საქართველოს სხვა პოლიტიკური ტრადიცია აქვს: აქ მთავარი ლიდე-

რის პერსონაა, პარტია კი მხოლოდ მისი დანამატია. ჩვენს შემთხვევაში, ეს ესეხება როგორც კოალიცია „ქართულ ოცნებას“, ისე მის ბირთვის - იმავე სახელის მქონე პარტიას. ისინი საპარლამენტო არჩევნების წინ გაერთიანდნენ ბიძინა ივანიშვილის, მაშინ სრულიად ახალი პოლიტიკური ფიგურის, გარშემო და, მათივე აღიარებით, საერთო პროგრამა კი არა, წინა ხელისუფლების გადაყენების სურვილი ამომრავებდათ. არც ისაა საიდუმლო, რომ კოალიციის წარმატება დიდწილად მისი ლიდერის, ქართული საზომებით, უზარმაზარმა ფინანსურმა რესურსებმა განაპირობა.

აქედან გამომდინარე, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ივანიშვილის გარეშე „ქართული ოცნება“ (კოალიციაც და პარტიაც) ქმედუნარიან გაერთიანებებად დარჩნენ. ამ კონტექსტში განსაკუთრებით დამინტრიგებელია ბიძინა ივანიშ-

ვილის დაზუსტებები იმის თაობაზე, რომ ის გადადგომის შემდეგაც შეეცდება გავლენის მოხდენას პოლიტიკურ პროცესზე როგორც სამოქალაქო საზოგადოების მოღვაწე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში არც პოლიტიკაში დაბრუნებას გამოირიცხავს.

თუ ასეა, სახელდობრ რას ნიშნავს ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა? ობიექტურად, მას, როგორც მმართველი კოალიციის შემქმნელსა და დამფინანსებელს, ექნება საიმისო ბერკეტები, რომ ფორმალური პოსტის გარეშეც სერიოზული გავლენა მოახდინოს მთავრობის საქმიანობაზე. მაგრამ საკითხავია, შეეცდება თუ არა ის ამ ბერკეტების გამოყენებას, ხოლო თუ შეეცდება, რამდენად ეფექტური იქნება მმართველობის ასეთი, დემოკრატიული ქვეყნებში უპრეცედენტო ფორმა? მეორე მხრივ, თუ ივანიშვილი ნამდვილად განზე გადავა, რამდენად შეძლებს მისი მემკვიდრე (ვისი ვინაობაც ჯერ არ ვიცით) პრემიერ-მინისტრის პოსტზე შეინარჩუნოს ეს მეტად ჭრელი გაერთიანება და ქვეყნის ეფექტური მართვა შეძლოს? ან, იქნებ, ბოლო მომენტში ივანიშვილი გადაიფიქრებს და, საკუთარი მომხრეებისა და თანამებრძოლების თხოვნით, მაინც დარჩება პოსტზე?

ამ შეკითხვებზე არავის აქვს პასუხი, რაც ნიშნავს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებიც გადამწყვეტ სივსადეს ვერ მოიტანს. მაგრამ ისინი დიდწილად განსაზღვრავს ძალთა განლაგებას, რის ფონზეც შეიძლება ახალი პოლიტიკური რეალობა ჩამოყალიბდეს.

ამ კონტექსტში უნდა ვიმსჯელოთ ძირითად კანდიდატებზე და მათ შანსებზე. გიორგი მარგველაშვილი მმართველი კოალიციის კანდიდატი და, მასასადამე, ფავორიტი. მაგრამ ანალიტიკოსთა უმრავლესობა (ბიძინა ივანიშვილისადმი მათი განწყობის მიუხედავად) მას სუსტ ფიგურად მიიჩნევს. მას საზოგადოება ნაკლებად იცნობს და არასოდეს უთამაშია დამოუკიდებელი პოლიტიკური რო-

ლი, თუმცა გარკვეულ პერიოდებში ჯერ ზურაბ ჟვანიას, შემდეგ კი ნინო ბურჯანაძის ორბიტაზე ტრიალებდა. თავად კოალიციის ლიდერმა მისი არჩევანი იმას დაუკავშირა, რომ სიამოვნებს ფილოსოფიური განათლების მქონე მარგველაშვილთან ინტელექტუალური დისკუსიები. შეიძლება ის ვარაუდობს, რომ მარგველაშვილი ვერ შეძლებს დამოუკიდებელი პოლიტიკური ცენტრის შექმნას და პრემიერ-მინისტრის კონკურენტ ფიგურად ვერ იქცევა. ნებისმიერ შემთხვევაში, მასზე არჩევანის შეჩერება ივანიშვილის მხრიდან საკუთარ ძალებში დარწმუნებულობას მაღალ ხარისხს აჩვენებს: ვინც არ უნდა წამოაყენოს მმართველმა კოალიციამ, ის გაიმარჯვებს.

ფავორიტს შედარებით სერიოზულ კონკურენციას ორი კანდიდატი გაუწევს. „გაერთიანებულ ნაციონალურ მოძრაობას“, ყოფილ სახელისუფლებო, დღეს კი - ძირითად ოპოზიციურ ძალას, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე წარმოადგენს. ნაციონალური მოძრაობა განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშაა. უშუალოდ არჩევნების

ციის მცდელობას ხელისუფლების ენაზე „სამართლიანობის აღდგენა“ ქვია, რაც ნიშნავს, რომ წინა ხელისუფლების ლიდერებმა პასუხი უნდა აგონ დანაშაულზე, რომელიც, „ოცნების“ მომხრეთა აზრით, ჩაიდინეს. „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი ციხეშია და რამდენიმე ბრალდებით სასამართლოს ელის, სისხლის სამართლის საქმეებია გახსნილი პარტიის ბევრ სხვა წამყვან ფიგურაზე, ხოლო საპრეზიდენტო ვადის დამთავრების შემდეგ იმავეს ჰპირდებიან პრეზიდენტ სააკაშვილსაც. გარდა ამისა, პარტიის საჯარო ღონისძიებებს ხშირად ახლავს ძალადობა ბრბოს მხრიდან, რომლის ინიციატორებს უარეს შემთხვევაში ასლარიანი სასჯელი ელის.

ამ პირობებში, შედარებით მაღალი შედეგი საპრეზიდენტო არჩევნებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პარტიისთვის იმის საჩვენებლად, რომ ის ძლიერ და ლეგიტიმურ ოპოზიციურ ძალად რჩება ქართულ პოლიტიკაში, ხოლო მომავალში წამყვანი პოზიციების დაბრუნების შანსებიც აქვს. ამდენად,

---

---

## საზოგადოებაში განიხილება ვერსია, რომ პრემიერის ნამდვილი კანდიდატი სწორედ ბურჯანაძეა და არა მარგველაშვილი. ამას ხსნის არა მხოლოდ ქართველები, მიღრეპილება კონსპირაციის თეორიებისკენ, არამედ ივანიშვილის პასიურობა საარჩევნო პროცესში და წარსული გამონათქვამები.

---

---

შემდეგ კოალიციის ლიდერები პირდებოდნენ თავიანთ მომხრეებს, რომ ის მალე შეწყვეტდა არსებობას, თუმცა შემდგომ - შესაძლოა, დასავლეთის გავლენით - მათი რიტორიკა შედარებით უფრო შემრიგებლური გახდა, რაც „ოცნების“ რადიკალური მომხრეების რისხვას იწვევს. „ნაციონალური მოძრაობის“ განადგურების ან მარგინალიზა-

არჩევნებში მეორე ადგილიც პარტიისთვის წარმატება იქნება - რისი მიღწევაც სავსებით რეალურია. დავით ბაქრაძე ამისთვის საუკეთესო კანდიდატია: ის განსაკუთრებით გაწონასწორებულ პოლიტიკოსად ითვლება და მისაღებია მათთვისაც, ვისაც მიხეილ სააკაშვილის ჰიპერაქტიურობა და რადიკალიზმი აშინებს.





მესამე და ყველაზე არაპროგნოზირებადი კანდიდატი სააკაშვილის ყოფილი თანამებრძოლი ნინო ბურჯანაძეა. ამ პოლიტიკოსმა რადიკალური ცვლილება განიცადა: ზომიერების განსახიერებიდან მგზნებარე რევოლუციონერამდე, პროდასავლური კურსის მყარი დამცველიდან ღიად პრორუსული პოზიციის მქონე პოლიტიკოსამდე. რაღაც ეტაპზე ის ჩამოწერეს, როგორც წარსულის პოლიტიკოსი; სკანდალურმა ვოიაჟებმა რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან 2008 წლის ომის შემდეგ მას საზოგადოების ყურადღება, მაგრამ არა მხარდაჭერა დაუბრუნა. მისი ძირითადი დაპირებები, ერთი მხრივ, „ნაციონალური მოძრაობის“ საბოლოო განადგურება და მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებაა, მეორე მხრივ კი - ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე უარის თქმა და რუსეთის მიმართ უფრო ლიბერალური პოლიტიკა: ანუ იმ მოლოდინების გამართლება,

რაც ამომრჩეველთა ნაწილს „ქართული ოცნებისგან“ ჰქონდა, მაგრამ არ შეუსრულდა.

ბურჯანაძისთვის არჩევნები პოლიტიკაში რეალური დაბრუნების შანსია, და, როგორც ჩანს, მას შეუძლია ამ ამოცანის შესრულება. ყველაზე იდუმალი ფაქტორი მის მიმართ ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულებაა. საზოგადოებაში განიხილება ვერსია, რომ პრემიერის ნამდვილი კანდიდატი სწორედ ბურჯანაძეა და არა მარგველაშვილი. ამას ხსნის არა მხოლოდ ქართველების მიდრეკილება კონსპირაციის თეორიებისკენ, არამედ ივანიშვილის პასიურობა საარჩევნო პროცესში და წარსული გამონათქვამები, რომ ბურჯანაძემ უნდა ჩაანაცვლოს „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ძირითადი ოპოზიციური ძალა. შესაძლოა, ეს ვერსია გადაჭარბებული იყოს, მაგრამ სრულიად რაციონალური ვიგარაუდოთ, რომ, რაღაც დონემდე,

ბურჯანაძის გაძლიერება ივანიშვილის ინტერესებში შედის. მან შეიძლება შექმნას ე. წ. „ლიბერალური ოპოზიცია“, ხელი შეწყოს „ნაციონალური მოძრაობის“ მარგინალიზაციას და, ამავე დროს, „ქართული ოცნება“ დასავლეთის წინაშე შედარებით უფრო ზომიერ და, ამიტომ, მხარდასაჭერ ძალად წარმოაჩინოს.

სარწმუნო წინასაარჩევნო გამოკითხვების არარსებობა აძნელებს კანდიდატების შანსების გათვლას. მით უმეტეს, შარშანდელმა გამოცდილებამ გვასწავლა, რომ ბოლო მომენტში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. ჯერჯერობით ჩანს, რომ საქართველოს საკმაოდ კონკურენტული არჩევნები ელის და გამორიცხული არ არის, გამარჯვებული მეორე ტურში გამოვლინდეს. ამ უკანასკნელმა შეიძლება გადამწყვეტი როლი ვერ ითამაშოს ქვეყნის მართვაში, მაგრამ არჩევნების შედეგები სერიოზულ გავლენას მოახდენს პოლიტიკური პროცესის შემდგომ განვითარებაზე. **F**

# ILIA STATE UNIVERSITY



## BUSINESS SCHOOL

ინოვაციები

საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირება

CASE STUDY- ს მეტოქით სწავლება

IBR ილიაუნი ბიზნეს რევიუ

**გზა წარმატებულ ბიზნესისაკენ**

# კრედიტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე

მსაპრონინ: გუგა სულხანიშვილი  
შოთა დიღმელაშვილი

**ბატონო დავით, როგორია თქვენი მოლოდინი საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ხმების რამდენი პროცენტის მიღებას ვარაუდობთ?**

რთული არჩევნები იქნება და პროცენტებზე საუბარი ძალიან ნაადრევია. მოსახლეობის თითქმის ნახევარი დღეს არ არის ჩამოყალიბებული, თუ რომელ პოლიტიკურ ძალას აძლევს ხმას, ამიტომ ეს კამპანია ძალიან მნიშვნელოვანია და სწორედ კამპანიის პროცესში გამოჩნდება, საით გადაიხრება მოსახლეობის ეს ნაწილი. იმის მიხედვით, ვისკენაც გადაიხრება ეს ნაწილი, მას ექნება შესაბამისი შედეგიც. თუმცა, თუ უფრო ზოგადად და გლობალურად შევხედავთ ამ არჩევნებს, არჩევნებში გამარჯვება არ არის მხოლოდ პროცენტები და მიმართა, რომ არჩევნებში გამარჯვება იქნება ისიც, რომ ქვეყანაში სიტუაცია შემობრუნდება; რომ ქვეყანა დაპირისპირებიდან და დაყოფიდან, რაც ბოლო 11 თვეში მოხდა, შერიგებისა და გამთლიანებისკენ წავა და, ზოგადად, მობრუნდება სიტუაცია, სადაც ყველა პოლიტიკურ პარტიას ექნება ნორმალურად მუშაობის საშუალება. ამიტომ სიტუაციის შეცვლა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე კონკრეტული ციფრები, რომლებზეც დღეს საუბარი, უბრალოდ, რთულია.

**მინდა პრემიერ-მინისტრის ციტირება მოვახდინო და შემდეგ თქვენი კომენტარი მოვისმინო ამასთან დაკავშირებით: „საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მარგველაშვილს დღეს არ ჰყავს რეალური კონკურენტი და ის პირველსავე ტურში დიდი შედეგით გაიმარჯვებს“.**

ვინ გაიმარჯვებს და რა შედეგით, ამას ხალხი, ამომრჩეველი განსაზღვრავს და მე ნებისმიერი ასეთი პროგნოზი ხალხის შეურაცხყოფად მიმაჩნია.

როდესაც ციფრების შესახებ მკითხეთ, მე შეგნებულად არ დაგისახელეთ არც ერთი კონკრეტული ციფრი – არა იმიტომ, რომ არ ვიცი კვლევის შედეგები, ან არ მაქვს საკუთარი პროგნოზი, უბრალოდ, მიმაჩნია, რომ არჩევნებამდე პოლიტიკოსი არ უნდა

საუბრობდეს იმაზე, თუ რა იქნება. რა იქნება, ამას წყვეტს ხალხი, ამას წყვეტს ამომრჩეველი და მსგავსი კატეგორიული პროგნოზების გაკეთება არჩევნებამდე, ამ ამომრჩევლის შეურაცხყოფაა.

მაგრამ ერთს კი ვიტყვი, რომ ნამდვილად არ იქნება ისე მარტივად, როგორც ამას პრემიერ-მინისტრი ასე დარწმუნებით ამბობს.

**ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს აშკარად დაირღვა ბალანსი ძალოვან სტრუქტურებსა და პოლიტიკურ სპექტრს შორის. ძალოვანი მინისტრები განუზომლად უფრო დიდი უფლებამოსილებით სარგებლობდნენ, ვიდრე დანარჩენი პოლიტიკოსები. რა იყო ამის მიზეზი? რამ გამოიწვია ეს ტენდენცია?**

ამ გადასახედიდან ჩანს, რომ ეს ნამდვილად ერთ-ერთი პრობლემა იყო. გეტყვით ამ პრობლემის მიზეზსაც და ამ პრობლემის შედეგსაც.

მიზეზი იყო შემდეგი: რომ არ მომხდარიყო თავის დროზე პოლიტიკური ლიდერების გადაყვანა ძალოვან სამინისტროებში, ამ სამინისტროების რეფორმა, უბრალოდ, ვერ მოხდებოდა – ვერც პოლიციის რეფორმა, ვერც არმიის რეფორმა, ვერც პროკურატურის რეფორმა. გვახსოვს ყველას, რომ ათი წლის წინ ეს სტრუქტურები კორუმპირებული იყო და მათ აბსოლუტურად არ ჰქონდათ ხალხის ნდობა.

იმისთვის, რომ ამ სტრუქტურების რეფორმა მომხდარიყო, იქ უნდა წასულიყვნენ პოლიტიკური ლიდერები, გუნდის პოლიტიკური მძიმეწონოსნები. ეს გარდაუვალი იყო, მაგრამ მეორე პრობლემა, რომელიც ამან გამოიწვია, გახლდათ ის, რომ როგორც კი შენს ლიდერს ნიშნავ გარკვეული უწყების ხელმძღვანელად, იმ უწყებაში ავტომატურად გისუსტდება გარე კონტროლი.

ანუ როგორც კი შენი ლიდერი მიდის რომელიმე სამინისტროს ხელმძღვანელად, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ პარლამენტის ზედამხედველობა იმ სამინისტროს მიმართ სუსტდება, გამომდინარე ამ ლიდერის ავტორიტეტიდან და პოლიტიკური წონიდან.



**„ვერ შევძელით ის, რომ ბოლომდე დაგვეცვა ბიზნესი სამართალდაცავი ორგანოების ჩარევისა და პათი კარნახისგან. ეს პრობლემა ნამდვილად იყო“.**

ერთგვარი დილემასავით შეიქმნა. ანუ, ერთი მხრივ, რომ არ წასულიყვნენ ლიდერები მინისტრებად – ვერ გარდავექმნიდით ძალაოვან სექტორს და ვერ შევექმნიდით იმ თანამედროვე პოლიციას, არმიას, პროკურატურას, რომელიც დღეს არის, მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ იმის გამო, რომ იქ მოხვდნენ პოლიტიკური მძიმე წონოსნები, შეუძლებელი გახდა სისტემის გარედან კონტროლი. როგორც კი სისტემას გარედან კონტროლი მოაკლდა და ჩაიკეტა, სისტემაში პრობლემები გაჩნდა.

ის დანაშაულები და პრობლემები, რაც ჩვენ ვნახეთ, სწორედ ჩაკეტილი სისტემის შედეგი იყო. როცა გვეკითხებიან, იყო თუ არა პრობლემა სისტემური, სისტემური ნამდვილად არ იყო, რადგან არავისგან ჰქონდათ ამ ადამიანებს დავალება, რომ ადამიანი ეწამებინათ ან დაემცირებინათ. სისტემურობის ელემენტი იყო ის, რომ როგორც კი მოაკლდა პოლიტიკური კონტროლი ძალაოვნებს, მაშინვე სისტემა ჩაიკეტა და ჩაკეტილ სისტემაში წარმოიქმნა დანაშაული და სწორედ ჩაკეტილმა სისტემამ დაბადა ისეთი ადამიანები, ვინც ამას აკეთებდა. ამიტომ, ერთი მხრივ, მიზეზი იყო ის, რომ გარდაუვალი იყო მძიმეწონოსნების, ლიდერების გაშვება, მაგრამ შედეგად ამან მოიტანა ის, რომ სისტემა ჩაკეტილი და ჩაკეტილ სისტემაში გაჩნდა პრობლემები. ამიტომ, სამომავლოდ ესეც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მწარე გაკვეთილია, რომელიც, ვფიქრობ, უფრო კარგად გავაანალიზებთ. ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, ძალაოვანი სექტორი უმნიშვნელოვანესია და იქ მუდმივად უნდა იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც რეფორმებს წინ წაიყვანენ, მაგრამ ამან არ უნდა ჩაკეტოს სისტემა, არ უნდა შეასუსტოს საპარლამენტო კონტროლი, არ უნდა შეასუსტოს სამოქალაქო და პოლიტიკური კონტროლი. შესუსტებული კონტროლი და სისტემის ჩაკეტვა მაშინვე შექმნის ისეთივე პრობლემებს, როგორც იყო წინა წლებში, ამიტომ ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და სერიოზული გაკვეთილია, რომელიც წინა წლებიდან უნდა გამოვიტანოთ.

**თქვენ ახსენეთ ციხის მოვლენები და მიუხედავად**

**იმისა, დადგმული და შეკვეთილი იყო ისინი თუ არა, სადავო არ არის, რომ ძალადობას ადგილი ჰქონდა ციხეშიც და მის გარეთაც. გქონდათ თუ არა თქვენ, როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს, ამის შესახებ ინფორმაცია და არ რეაგირებდით, თუ ინფორმაცია არ გქონდათ?**

რაც შეეხება ციხეს, ეს მართლაც ემოციურად ძალიან მძიმე მომენტი იყო ჩემთვისაც, ყველა ჩემი თანაგუნდელისთვისაც. ემოციური შოკი იყო ამ კადრების ნახვა. როგორც დღეს გაირკვა, ამ კადრების ნაწილი მართლაც სპეციალურად და ხელოვნურად იყო დადგმული, თუმცა პრობლემა ბევრად უფრო სიღრმისეული გახლდათ და პრობლემა იყო არა ის, რომ ვიღაც ადამიანმა იკადრა და ასეთი კადრი დადგა, არამედ პრობლემა იყო ის, რომ ციხეში ძალადობას მართლაც ჰქონდა ადგილი. რაც შეეხება ფაქტებსა და ცოდნას, ამ სიღრმის პრობლემაზე და მათ შორის, პირველ რიგში, ციხეში სექსუალურ ძალადობაზე საუბარი ნამდვილად არ ყოფილა სახალხო დამცველის არც ერთ ანგარიშში. მე სახალხო დამცველის ანგარიშებს მუდმივად ვეცნობოდი.

ამ პრობლემაზე საუბარი არ ყოფილა – როგორც ჩანს, პატიმრები ერიდებოდნენ. უფრო მეტსაც გეტყვით: დღესაც კი, როდესაც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ 11 თვე გავიდა, ციხეში სექსუალური ძალადობის მუხლით არც ერთი საქმე არ არის აღძრული და არც ერთი ადამიანი არ არის დასჯილი. ანუ არა მხოლოდ წინა წლებში, დღესაც კი, ამ მუხლით პრაქტიკულად არანაირი სამართლებრივი მოქმედება არ არის, ამიტომ ეს საკითხი არ იყო არც სახალხო დამცველის ანგარიშში და, შესაბამისად, ამ თემაზე საუბარიც არ იყო. რაც შეეხება ძალადობას, ანუ ფიზიკურ შეურაცხყოფასა და ცემას, ასეთი არასათანადო მოპყრობის ფაქტები იყო სახალხო დამცველის ანგარიშებში. ყველა შემთხვევაში, სადაც საკითხი იყო პრობლემური, როგორც მახსოვს, მე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს, შემეძლო გამეცა სპეციალური ნებართვა, რომ დეპუტატები ციხეებში შესულიყვნენ, ენახათ პატიმრები, დალაპარაკებოდნენ მათ და სიტუაცია შეესწავლათ. მე ასეთი 43 ნებართვა მაქვს გაცემული.

უბრალოდ, რომ შეადაროთ, წინა ოთხი წლის განმავლობაში 30 ნებართვა იყო გაცემული ანუ რეალურად 30 პროცენტით უფრო მეტი ნებართვა მაქვს გაცემული ციხეში შესვლის, ვიდრე ეს იყო წინა პარლამენტის დროს. ყოველთვის, როდესაც ცნობილი ხდებოდა, რომ ვიღაცას არასათანადოდ მოეპყრნენ, ან ცემას ჰქონდა ადგილი, ან ძალადობას, ყოველთვის ვცდილობდი, რომ შესულიყვნენ დეპუტატები. თან ამ 43 ნებართვიდან 29 არის გაცემული პარლამენტის ოპოზიციონერი წევრებისთვის. ანუ ისინი, ვინც ციხეში სიტუაციის სანახავად შედიოდა, ძირითადად ოპოზიციონერი დეპუტატები იყვნენ. ამიტომ ყოველთვის, როცა იყო ძალადობის ან ცემის ფაქტები და ეს პრობლემა მოდიოდა ჩვენამდე, მე ვაკეთებდი იმას, რაც შემეძლო გამეკეთებინა. კერძოდ, ეს იყო დეპუტატების ციხეში შეშვება, სიტუაციის ადგილზე გაცნობა, შემდეგ ამ



ინფორმაციის მიტანა სასჯელაღსრულების მინისტრთან და პროკურატურაში. მაგრამ რაც შეეხება სექსუალურ ძალადობას, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ასეთი ფაქტები არც მაშინ იყო ანგარიშში და დღესაც, ახალი ხელისუფლების მოსვლის II თვის თავზე, არც ერთი ადამიანი ამ ფაქტის გამო დასჯილი არ არის და არც ერთი სისხლის სამართლის საქმე არ არის აღძრული. ანუ, როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით, უფრო მეტად საქმე გვექონდა გაზვიადებასთან, ვიდრე რეალობასთან. თუმცა პრობლემა ისაა, რომ მართლაც არასათანადო მოპყრობა, ცემა, ძალადობა იყო და ცნობილიც ხდებოდა. და უკვე გითხარით, რა რეაგირებას ვახდენდი და რისი გაკეთება შემემძლო ამასთან დაკავშირებით.

**კახა ბენდუქიძე ბიზნესთან სახელმწიფოს დამოკიდებულების მაქსიმალური ლიბერალიზაციის მომხრე იყო. 2009 წელს ის სახელმწიფო საქმიანობას ჩამოშორდა. ამის მიზეზი ის ხომ არ იყო, რომ სახელმწიფომ შეცვალა ბიზნესთან ლიბერალური დამოკიდებულების კურსი. და საერთოდ, რა კომენტარს გააკეთებდით თქვენი მმართველობის პერიოდში სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის თაობაზე?**

ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარე, ვფიქრობ, იყო ის, რომ ჩვენ ვიყავით მკვეთრად ჩამოყალიბებული მემარჯვენე ორიენტაციის ხელისუფლება, რომლის მთელი ამოცანა თავიდან ბოლომდე იყო ბიზნესისა და ეკონომიკისთვის ხელშეწყობა, სახელმწიფოს როლის მინიმიზაცია და არათუ იმის დაშვება, რომ სახელმწიფოს ხელი შეეშალა ეკონომიკისთვის, არამედ პირიქით,

სახელმწიფო დახმარებოდა ეკონომიკას. ამიტომ ეს ფილოსოფია და ხაზი იყო თავიდან ბოლომდე და იმუშავა, რისი დამადასტურებელია ათჯერ გაზრდილი ბიუჯეტი, სამჯერ გაზრდილი მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP), ქვეყანაში დაწყებული და განხორციელებული ამდენი პროექტი... თუმცა ბუნებრივია, რომ გარკვეულ ეტაპზე სახელმწიფო ასევე დგება არჩევანის წინაშე და მან უნდა აიღოს გარკვეული სოციალური ტვირთი. ანუ რაც უნდა მემარჯვენე იყოს ხელისუფლება თავისი ბუნებით, არსებობს სოციალური სამართლიანობა, არსებობს ის, რომ ამ ქვეყანაში ძალიან ბევრ ადამიანს უჭირს. ამიტომ გინდა ეს თუ არ გინდა, უნდა აიღო და იტვირთო გარკვეული სოციალური ტვირთი. ეს სოციალური ტვირთი იყო თუნდაც ის დახმარების ბარათები, თუნდაც ის ვაუჩერები, სოციალური დახმარებები. აუცილებელი იყო, რომ მოსახლეობისათვის მინიმალური დაცვის კალათა შექმნილიყო, რომ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას მინიმალური შემოსავალი მაინც ჰქონოდა. ამიტომ, ჩვენს შემთხვევაში, იყო არჩევანი. ერთი მხრივ, გასაგებია, რომ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკური სირთულეებია, მოსახლეობას სჭირდება თუნდაც მინიმალური სოციალური დაცვა. ჩვენ ამას ვაკეთებდით და, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიც უნდა ვაკეთოთ. მოსახლეობის სოციალური დაცვის გარეშე სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა ვერ შედგება. მეორე მხრივ, ჩვენ ვიყავით მემარჯვენე ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს აკეთებდა, რომ სახელმწიფოს როლი და ჩარევა ყოფილიყო მინიმალური და ეკონომიკას ემუშავა თავისუფლად. აი ეს იყო ჩვენი მიდგომა.

რაც შეეხება კონკრეტულად ბიზნესს, ერთი მხრივ, ჩვენ ძალიან ბევრი გავაკეთეთ ბიზნესის თავისუფლებისთვის, მართლა მინიმუმამდე დავიყვანეთ სახელმწიფოს როლი, შევამცირეთ ყველანაირი ლიცენზია და ნებართვა, გავამარტივეთ პროცედურები, დავწიეთ გადასახადები, მოვხსენით კორუფციის პრობლემა, ანუ ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ ბიზნესისათვის. მეორე მხრივ, იყო პრობლემებიც, რა თქმა უნდა, და მე ამაზეც ღიად ვსაუბრობ. მათ შორის, ვერ შევძელით ის, რომ ბოლომდე დავგვეცვა ბიზნესი სამართალდამცავი ორგანოების ჩარევისა და მათი კარნახისგან. ეს პრობლემა ნამდვილად იყო. ეს არის ის საკითხი, რომელზეც ჩვენ უნდა ვიფიქროთ და მომავალში აუცილებლად გამოვასწოროთ. მაგრამ ამ პრობლემასთან ერთად, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო ის პოლიტიკური გარემო, რომელიც შევქმენით და ამის დასტური იყო ეკონომიკური ზრდა, რომელსაც მივაღწიეთ.

როდესაც დღეს საუბრობენ, რომ ეს ეკონომიკური ზრდა იყო ხელოვნური, გეტყვით, რომ არ არსებობს ხელოვნური ზრდა, რომელიც შვიდ და რვა წელს გრძელდება.

თუ ვინმემ იცის ხელოვნური ზრდის რეცეპტი, როგორ გაზარდოს ეკონომიკა ხელოვნურად ზედმედ რვა წლის განმავლობაში, ღმერთმა მოახმაროს და გაზარდოს, გინდა ხელოვნური დაარქვას და გინდა ბუნებრივი. გაზარდოს ეკონომიკა რვა წლის მანძილზე და იყოს ხელოვნური თუნდაც. ამიტომ, ეს თავისთავად სისულელეა, როგორ შეიძლება თქმა, რომ ეკონომიკა რვა წელი ხელოვნურად იზრდება.

როდესაც გვეუბნებიან, რომ ბიუჯეტი გამოიწურა და ახლა იმიტომ ვეღარ იზრდება, ჩვენ ჩავიბარეთ 600-მილიონიანი ბიუჯეტი და ჩავაბარეთ 9-მილიარდიანი ბიუჯეტი.

თუ ვინმემ იცის რეცეპტი, 600 მილიონიდან როგორ გამოწეროს 9 მილიარდი - გამოწეროს ის ცხრა მილიარდიდან, დავგიტოვოს 20-მილიარდიანი ბიუჯეტი და თანახმა ვარ, ხმას აღარ ამოვიღებ. ანუ როგორ შეიძლება გამოწერო 600 მილიონი ისე, რომ მიიღო 9 მილიარდი, როგორ შეიძლება გამოწერო ლიბონი ისე, რომ მიიღო საზამთრო. პატარადან, რაც არ უნდა გამოწერო, დიდს ვერ მიიღებ. ეს ელემენტარული ლოგიკაა, ამიტომ ეს ყველაფერი, უბრალოდ, დღევანდელი უნარობის გამართლებაა და სიმართლე ისაა, რომ მიუხედავად იმ პრობლემებისა, რაც მე ვთქვი და მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოვახერხეთ ბოლომდე ბიზნესის დაცვა სამართალდამცავების ჩარევისგან, მათი იზოლირება, მაინც ეკონომიკური გარემო იყო კარგი, ეკონომიკა იზრდებოდა, ბიზნესი იზრდებოდა. დღეს საქართველოში რამდენ-

ნიმე სამინისტროა, რომელთა ბიუჯეტები ჯამში აღემატება ათი წლის წინანდელი მთელი საქართველოს ბიუჯეტს. ზრდა რომ არ ყოფილიყო, დღეს აქამდე ვერ მოვიდოდით.

**არ გაქვთ იმის შიში, რომ ბევრი ამომრჩევლისთვის თქვენ ასოციირდებით იმასთან, რომ თუ თქვენ გაიმარჯვებთ, დაბრუნდება საშინაო პოლიტიკის ის მკაცრი ხაზი, რომელსაც ბევრი „რეჟიმს“ ეძახის: მოსმენები, დაჭერები.**

არა, ჩემი გამარჯვების შემთხვევაში ასეთი მკაცრი ხაზი ნამდვილად არ და ვერ დაბრუნდება რამდენიმე მიზეზის გამო. ეს კითხვა ძალიან ბევრი ადამიანისგან გამიგია და ამ კითხვას მე შემეძლია მარტივად ვუპასუხო.

როდესაც ურემი გადაბრუნდება, გზა კარგად ჩანს. ჩვენი ურემის გადაბრუნების შემდეგ ძალიან კარგად გამოჩნდა გზა, თავისი პლუსებითა და მინუსებით. ადამიანი იმიტომ ხარ გონიერი არსება, რომ ყოველთვის შეეცადო, აღარ გაიმეორო შეცდომა, შეეცადო გამოასწორო მინუსი და შეეცადო სხვანაირად შეხედო იმას, რაც შენში არ მოსწონთ გარშემომყოფებს.

აი ეს ხდება დღეს და როდესაც მეკითხებიან, რა არის ეს რებრენდინგი, რებრენდინგი არ არის არც პარტიის ლოგოს შეცვლა, არც ფერის შეცვლა. ეს არის აზროვნების შეცვლა და დღეს პარტიის ძირითად გუნდში, იმ ლიდერებში, ვინც არიან პარტიის ლიდერები, ეს მიდგომა არის შეცვლილი.

ჩვენ კარგად დავინახეთ ის პრობლემებიც და შეცდომებიც,

**„ადამიანის აზროვნება და გონი სწორედ ამაში ჩანს, რომ თუ რამე კარგი იყო, ისევ შესთავაზოს საზოგადოებას და გააგრძელოს და თუ რამე ცუდი და პრობლემური იყო, დაუსვას წერტილი, თუნდაც მისივე კრავებატული ინტერესიდან გამომდინარე. ამიტომ, ძველი ფორმით რაც იყო, დასრულდა. წარსული დასრულდა, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ არ შედიან“.**

კარგად დაგინახეთ ის პოზიტივიც და გაკეთებული საქმეც და ადამიანის აზროვნება და გონი სწორედ ამაში ჩანს, რომ თუ რამე კარგი იყო, ისევე შესთავაზოს საზოგადოებას და გააგრძელოს და თუ რამე ცუდი და პრობლემური იყო, დაუსვას წერტილი, თუნდაც მისივე პრაგმატული ინტერესიდან გამომდინარე. ამიტომ, ძველი ფორმით რაც იყო, დასრულდა. წარსული დასრულდა, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ არ შედიან და არც ვაპირებთ, რომ შევიდეთ და ამიტომ დღეს ვართ პოლიტიკური ძალა, რომელიც ყველაფერს უყურებს ამ გადმოსახედიდან, საკუთარი გამოცდილების გადმოსახედიდან, მათ შორის კარგი გამოცდილებისაც და ცუდი გამოცდილებისაც და ისევე ვიმეორებ, ადამიანი იმიტომ არის გონიერი არსება, რომ უცადოს, კარგი მეტი იყოს და ცუდი შეცვალოს, რათა გარშემომყოფების მეტი მხარდაჭერა დაიმსახუროს.

ასე ხდება ცხოვრებაშიც, ასე ხდება პოლიტიკაშიც და ასე მოხდება, ბუნებრივია, დღესაც, როდესაც მე ვსაუბრობ წინა წლებზე, რა თქმა უნდა, მე მომაქვს წინა წლებიდან ძალიან დიდი გამოცდილება, მათ შორის დიდი პოზიტიური გამოცდილება, როგორც უნდა მართო ქვეყანა და როგორც უნდა ააშენო სახელმწიფო. მომაქვს იმის გამოცდილებაც, რა არ უნდა გააკეთო და ამ გადასახედიდან ეს ყველაფერი ძალიან კარგად ჩანს.

**მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში თვალს ვადევნებთ სხვადასხვა საპრეზიდენტო კანდიდატის აქტივობებს. ასევე ვხედავთ ახლანდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, აქტივობას. მისი ასეთი აქტიურობა ჩრდილქვეშ ხომ არ აქცევს თქვენს კამპანიას და ხომ არ გაუჭირდება საზოგადოებას, მისი ამ აქტიურობის ფონზე, აღვქვან ნაციონალური მოძრაობის მთავარ ფიგურად?**

მიხეილ სააკაშვილი არის საქართველოს პრეზიდენტი. როგორც პრეზიდენტს, მას უფლება აქვს, იაქტიუროს და არა მხოლოდ უფლება – მისი მოვალეობაც არის, რომ იაქტიუროს. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, ჩვენ ვგვიარეთ პრაიმერის პროცესი და ბევრი მეკითხებოდა, რა საჭირო იყო პრაიმერი, საჭირო იყო სწორედ ამიტომაც, რომ გამოჩენილიყო, დღეს რა პოზიციაზეა პარტია და ვის უჭერს პარტია მხარს. პრაიმერი არ იყო მხოლოდ პიროვნებებს შორის შეჯიბრება, ეს იყო მიდგომებს შორის შეჯიბრება.

მე დღეს ვლაპარაკობ პარტიის სახელით და ჩემი კამპანია მიმართული იქნება სწორედ საზოგადოების დამშვიდებასა და ერთიანობაზე და არა რევიანშიზმსა და საპასუხო ზიზღზე. მე ამას ყველა გამოსვლაში ხაზგასმით ვამბობ და ვიმეორებ, რომ მანდატი, რომელიც მე მივიღე პარტიისგან – საქმე, რომელსაც მე დღეს ვაკეთებ – არ არის არც რევიანში, არც შურისძიება, არც სამაგიეროს გადახდა – თუნდაც იმისთვის, რომ დღეს შეიძლება ვიღაც უსამართლოდ დაიჭირეს ან იდევნება. ეს არ არის შურისძიებისა და სამაგიეროს გადახდის კამპანია. პირიქით, ჩვენ ამას წერტილი უნდა დავუსვათ. ერთხელ და სამუდამოდ ამ ქვეყანაში წერტილი უნდა დავსვას იმას, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ

იწყება განსხვავებულად მოაზროვნებისა და წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა დევნა.

აი ეს არის ჩემი ფუნქცია და ჩემს მთავარ მოვალეობას ამ კამპანიაში სწორედ ამაში ვხედავ: რომ პროცესი წავიყვანო არა იქითკენ, რომ ისევე ვიფიქროთ რევიანში, ვიფიქროთ იმაზე, რომ ნაციონალები მობრუნდებიან და დასჯიან იმათ, ვინც დღეს მათ ებრძვის. არავის არ დავსჯით, ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით. მე ვარ დღეს ის კანდიდატი და ის ადამიანი, რომელსაც მხარი დაუჭირა პრაიმერში მთელმა პარტიამ და მე ვამბობ სრული პასუხისმგებლობით – არ იქნება არც ერთი მცდელობა რევიანშიზმისა და დასჯის. პირიქით, მე მოვდივარ იმიტომ, რომ ამ ყველაფერს წერტილი დავუსვა და საზოგადოება წავიყვანო დამშვიდებისა და გამთლიანებისკენ. ეს არის ჩემი კამპანიის მთავარი ხაზი და მოტივი.

**ნაციონალური მოძრაობა და პირადად თქვენს საქართველოს ნატოში გაწევრიანების ძალიან აქტიური მომხრეები ხართ. თუ შეიძლება, გვითხარით, საქართველოს ნატოში გაწევრიანება თითოეულ კონკრეტულ მოქალაქეს რა სიკეთეს მოუტანს?**

მთავარი მონაპოვარი იქნება უსაფრთხოება. ნატოში გაწევრიანება ნიშნავს ყველაზე დიდი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის წევრობას, რომლის წევრიც პრაქტიკულად დაზღვეულია ისეთი პრობლემებისგან, როგორც ჩვენ გავგინრდა 2008 წელს. ომის საფრთხე და რისკი ამ ქვეყანაში დავიწყებას მივცემა, ანუ მთავარი პოზიტივი უსაფრთხოება იქნება. გარდა ამისა, იქნება სტაბილურობა და სტაბილურობას მოაქვს ძალიან ბევრი თანამდევი პოზიტიური ეფექტიც – თუნდაც ეკონომიკური ზრდა, ანუ ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც გაიგებს, რომ საქართველო გახდა ნატოს წევრი, მიიღებს სიგნალს, რომ საქართველო უკვე დაცულია ნებისმიერი უცხოური აგრესიისგან. ეს არის სიგნალი დაცულობისა და სტაბილურობის. ნებისმიერი ინვესტორი ბევრად უფრო დიდი ხალისით ჩამოვა საქართველოში, რომელიც ნატოს წევრია და დაცულია, ვიდრე საქართველოში, რომელიც შეიძლება ყოველ წუთს მორიგი რუსული აგრესიის მსხვერპლი გახდეს. დაცულობასა და უსაფრთხოებას მოაქვს ინვესტიციებიც, მოაქვს ეკონომიკური განვითარებაც, მოაქვს სტაბილურობაც. ამიტომ, საბოლოო ჯამში, ნატო არ არის მხოლოდ უსაფრთხოება, ნატო არის უსაფრთხოება, სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება და ქვეყნის წინსვლა. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ ნატოში გაწევრიანებას ჩვენთვის ალტერნატივა არა აქვს.

**როგორია თქვენი პოზიცია რუსეთთან მიმართებით? როგორი ურთიერთობა უნდა გვქონდეს რუსეთთან?**

რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას უნდა ვცვალოთ, რა თქმა უნდა, ეს ბუნებრივია, მაგრამ ამ პროცესს აქვს ჩარჩოებიც, შეზღუდვებიც და ფორმებიც. პირველი, რაც არსებობს, არის ის რეალობა, რომელიც შეიქმნა და ყველას უნდა ესმოდეს, რომ ჩვენი



ურთიერთობა ვერ გაუმჯობესდება, სანამ საქართველოს ტერიტორიაზე იარსებებს სამი რუსული საელჩო - თბილისში, სოხუმსა და ცხინვალში. ამიტომ, როდესაც დღევანდელი ხელისუფლება საუბრობს, რომ, მოდი, სუფთა ფურცლიდან დავიწყეთ ურთიერთობა, კი - ურთიერთობა უნდა დავიწყეთ, მაგრამ სუფთა ფურცლიდან ვერასდროს ვერ დავიწყებთ იმიტომ, რომ ვერ დავივიწყებთ, რომ ამ ფურცელზე არის ორი ქართული რეგიონის ოკუპაცია, ვერ დავივიწყებთ, რომ ამ ფურცელზე არის 400 ათასი დევნილი. ერთი მხრივ კარგია, რასაც ხელისუფლება ცდილობს, რომ ბაზარი გაიხსნას, ფრენები იყოს, ვიზები გაიყოს, ადამიანებმა იარონ, რა თქმა უნდა, ეს კარგია, მაგრამ ეს არანაირად არ უნდა იყოს საპირფონე იმისა, რაც არსებობს ჩვენს ურთიერთობაში.

რუსეთს უნდა ველაპარაკოთ, მაგრამ უნდა ველაპარაკოთ ძალიან პრინციპულად, ძალიან მტკიცედ. მე წლები გავატარე რუსეთთან მოლაპარაკებაში, მე ვიყავი იმ გუნდის წევრი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო და გადაწყვიტა რუსი მესაზღვრეების საქართველოდან გაყვანა, ვიყავი იმ გუნდის წევრი, რომელმაც მიადგინა სტამბულის 1999 წლის შეთანხმებას, რომლითაც რუსული ბაზები გავიდნენ საქართველოდან. მე წლების განმავლობაში ვიყავი ჩართული მოლაპარაკებაში რუსეთთან და ვიცი ერთი რამ - თუ გინდა, მათგან შედეგი მიიღო, ძალიან მტკიცედ და პრინციპული უნდა იყო. უნდა ველაპარაკო, მაგრამ მტკიცედ და ბოლომდე უნდა დაიცვა შენი პოზიცია, აი ეს არის რუსეთთან საუბრის სწორი ტონი და ნებისმიერი სხვა მცდელობა - საკუთარ თავზე და ქვეყანაზე გადაბრალება, მინიშნებები, რომ რაღაცისთვის მზად ხარ, ეს რაღაც ინდიკატორები, რომ რაღაცას დაუთმობ, ეს ყველაფერი ახალისებს მტაცებელურ ინსტიტუტს, რომ თუ მეტად მოგაწვება - მეტს მიიღებს. ამიტომ უნდა ვიყოთ ძალიან მტკიცე, უნდა გავაგრძელოთ ჩვენი

სვლა ნატოსა და ევროკავშირისკენ.

ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან მხოლოდ მაშინ გაჯანსაღდება, როდესაც საქართველო იქნება ევროკავშირისა და ნატოს წევრი, როგორც ეს მოხდა ბალტიის ქვეყნებისა და აღმოსავლეთ ევროპის შემთხვევაში, რადგან რუსეთში არიან პრაგმატული ადამიანები, პრაგმატული პოლიტიკოსები. სანამ მათ ესმით სიგნალი, რომ რატომაც არა - ევრაზიულ კავშირში შეიძლება შემოვიდეთ, რა თქმა უნდა, ისინი ყველანაირად ეცდებიან, რომ შეგვიყვანონ ევრაზიულ კავშირში. მაგრამ როგორც კი ისინი დანახავენ, რომ შენ შეუქცევადად წახვედი ნატოსა და ევროკავშირში და გახვედი მათი გავლენის სფეროდან, ისინი ამ რეალობასაც მიიღებენ, იმიტომ რომ კრემლში, დამერწმუნეთ, არ არიან რელიგიური და იდეოლოგიური ფანატიკოსები; არიან პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანები, რომელთაც ესმით რეალური გეოპოლიტიკური ვითარება. როგორც კი რეალური გეოპოლიტიკით ჩვენ მოვქცევით მათი გავლენის სფეროს გარეთ, ანუ გავხდებით ევროპისა და ნატოს ნაწილი, ისინი ამ რეალობას მიიღებენ ზუსტად ისე, როგორც მიიღეს ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შემთხვევაში. ეს იქნება პირობა ჩვენი ურთიერთობების გაუმჯობესებისა. რუსეთის თვალში საქართველო იქნება უკვე მეზობელი და არა ტერიტორია, რომელიც რაღაც კავშირებში უნდა შეიყვანო. უნდა ვიყოთ ძალიან მტკიცე, ძალიან თანმიმდევრული, უნდა ველაპარაკოთ რუსეთს, მაგრამ ეს ლაპარაკი არ უნდა იყოს ალტერნატივა და მიჩქმალვა იმ პრობლემებისა, რომლებიც გვაქვს და ეს ლაპარაკი არ უნდა იყოს ალტერნატივა იმისა, რომ მთელი სისწრაფით ვიმოძრაოთ ევროკავშირისკენ.

**რა არის ამჟამინდელი ეკონომიკური ვარდნის ძირითადი მიზეზები?**

მე მგონია, ორი ძირითადი მიზეზი აქვს ამას. პირველი არის არასტაბილურობის განცდა. დაპირისპირების, არეულობის, არასტაბილურობის განცდა, რომელიც არსებობს საზოგადოებაშიც, ბიზნესშიც, არსებობს ინვესტორებშიც. პრაქტიკულად 11 თვის განმავლობაში ვხედავთ, რომ ძირითადი ახალი ამბავი ქვეყანაში მუდმივად არის, რომ სადღაც ვილაცხმეოთ იჩხუბეს, სადღაც რაღაც კამათი იყო, სადღაც ვილაც დაიჭირეს, სადღაც რაღაც საქმე აღიძრა. პრაქტიკულად ქვეყანაში ამ 11 თვის განმავლობაში ნეგატიური ნიუსი ბევრად მეტი იყო, ვიდრე პოზიტიური და ძირითადი ნაწილი ამ ნეგატიური ნიუსებისა ეხებოდა ქვეყანაში არსებულ სწორედ დაპირისპირებას, კონფლიქტს, მოუგვარებელ ვითარებას, არშემდგარ კოშბიტაციას და ასე შემდეგ. ეს არის ინვესტორისა და ბიზნესისთვის მტრული გარემო. ბიზნესს ყველაზე მეტად ეშინია არასტაბილუ-



რობის, არეულობის, დაპირისპირების.

მეორე მიზეზი, ვფიქრობ, იყო მთავრობის შეუთანხმებელი და არაკოორდინირებული მუშაობა. აბსოლუტურად სხვადასხვა სიგნალს გზავნიდნენ მინისტრები. მაგალითად, იმავე შრომის კოდექსთან დაკავშირებით, ერთი მინისტრი აცხადებდა, რომ ეს კოდექსი კიდევ უფრო მეტად მარცხნივ უნდა წავიდეს მეტი რეგულირების თვალსაზრისით, ხოლო მეორე მინისტრი აკრიტიკებდა, რომ ეს როზა ლუქსემბურგის კოდექსია და ამიტომ მიუღებელია. ასეთი განსხვავებები ძალიან ბევრ ეკონომიკურ საკითხში დაფიქსირდა. ამას დაუმატეთ ის ხშირი, სრულიად ქაოსური ინციდენტები, რომლებიც პარლამენტში შემოჭვრდათ ცალკეულ დეპუტატებს და რომლებიც აფრთხობდა ბიზნესს. მაგალითისთვის, რამდენჯერ იყო საუბარი კაბინოების დახურვაზე? საბოლოო ჯამში კაბინოები არ დაიხურა, მაგრამ კაბინოს ნებისმიერი მფლობელისთვის ან პოტენციური ინვესტორისთვის ეს იყო სიგნალი, რომ მან თანხა აღარ ჩადოს ამ სფეროში. ანუ მთავრობის შეუთანხმებელი მოქმედებები იყო მეორე მიზეზი, პირველი მიზეზი – არასტაბილურობა. ვფიქრობ, რომ ეს ორი ძირითადი მიზეზია, რის გამოც ეკონომიკა უკან წავიდა.


**მიგაჩინათ თუ არა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ძალიან ხშირ შემთხვევაში სცდება თავისი კომპეტენციის ფარგლებს?**

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა ძალიან დელიკატური თემაა და ისეთ სახელმწიფოში, როგორც საქართველოა, რელიგიას აქვს ძალიან ძლიერი და აქტიური ადგილი – ისტორიულადაც, პოლიტიკურადაც, დღევანდელ რეალობაშიც. რა თქმა უნდა, ორივე მხარე უნდა ეცადოს, რომ ძალიან ფაქიზად იმოქმედოს. სახელმწიფოს უფლება და მოვალეობაა, რომ გვერდით დაუდგეს მართლმადიდებელ ეკლესიას იმ ფარგლებში, რასაც საკონსტიტუციო შეთანხმება ითვალისწინებს და ყველაფერი გააკეთოს ქვეყანაში რელიგიური თავისუფლების უზრუნველყოფისთვის.

ამავე დროს, ეკლესიაც უნდა ეცადოს, რომ ძალიან ფაქიზად გამოიყენოს ის ძალიან დიდი ავტორიტეტი, რომელიც მას აქვს საზოგადოებაში. ეს ის სფეროა, სადაც ორივე მხრიდან საჭიროა სიფაქიზე, სიფრთხილე. საჭიროა იმის გააზრება, რომ ყველა ვემსახურებით ქართულ სახელმწიფოს და არც ერთმა მხარემ თავისი ნაბიჯით არ უნდა დააზიანოს ქართული სახელმწიფო.

**ვინ არის თქვენი საპრეზიდენტო კამპანიის მთავარი სპონსორი და რა თანხას შეადგენს კამპანიის ბიუჯეტი?**

ამ კამპანიის ძირითადი სპონსორი არის ხალხი. ჩვენ გვაქვს შემოსავლების ორი ძირითადი წყარო: ერთი გახლავთ ის, რაც სახელმწიფომ გამოუყენა კვალიფიციურ პოლიტიკურ პარტიებს და გარდა ამისა, არსებობს შემოწირულობები კერძო პირებისგან, დონორებისგან. ეს არის ჩვენი დაფინანსების ძირითადი წყარო, რომელიც აბსოლუტურად ღია და გამჭვირვალეა. ჩვენ ვაბარებთ დეკლარაციას, ჩვენი კამპანიის ბიუჯეტი გადაცემულია აუდიტის



სამსახურისთვის. ჯერჯერობით საბოლოო ბიუჯეტზე საუბარი რთულია, იმიტომ რომ კამპანიის ნახევარიც არ არის გასული. თუმცა, როდესაც არჩევნები დასრულდება, ჩვენ, კანონის დაცვით, მთლიანად წარვადგენთ ხარჯებს და ისინი იქნება აბსოლუტურად გამჭვირვალე.

**რატომ თვლით, რომ საზოგადოებამ სწორედ თქვენს კანდიდატურას უნდა დაუჭიროს მხარი?**

მე მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოს წინაშე ძალიან ბევრი გამოწვევაა და ამ გამოწვევებზე პასუხი მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული სწორედ მომავალ პრეზიდენტზე. ეს გამოწვევებია: არასტაბილურობა, დაპირისპირება და პოლარიზაცია. ახალი პრეზიდენტი უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც შეუძლია იყოს მაგალითი განსხვავებული მოსაზრების ადამიანებთან ურთიერთობისა, ადამიანების გაერთიანებისა, ის არ უნდა იწვევდეს აგრესიას და პირიქით, უნდა ამთლიანებდეს საზოგადოებას.

მეორე გამოწვევა უკავშირდება საგარეო პოლიტიკას. ახალ პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს იმის კვალიფიკაცია, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი დარჩეს უცვლელი და ქვეყანა გახდეს ევროპისა და ნატოს ნაწილი.

მესამე გამოწვევა უკავშირდება ქართულ ეკონომიკას, რომელიც ყველა ოჯახზე მოქმედებს. ამიტომ მიმაჩნია, რომ ახალ პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს კვალიფიკაცია და ცოდნა ეკონომიკურ საკითხებში, თუ როგორ წაიყვანოს ქვეყანა წინ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი თემები. მაქვს თუ არ მაქვს მე ეს კვალიფიკაცია და რამდენად შევსაბამები ამ საკითხებს, ამას ხალხი და ამომრჩეველი გადაწყვეტს. მე ვხედავ იმას, რა არის საჭირო ქვეყნისთვის. მე ვფიქრობ, რომ ამ სიტუაციაში შემძლეა, ჩემს თავზე ავიღო ძალიან დიდი ტვირთი და დამერწმუნეთ, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობა ძალიან დიდი ტვირთია. მე ამას არ ვაკეთებ სიამოვნებისთვის და არ შეიძლება ადამიანი სიამოვნებისთვის იყრიდეს კენჭს პრეზიდენტობაზე. ეს არის ტვირთი დღესაც და, გამარჯვების შემთხვევაში, ათჯერ მეტი ტვირთი იქნება. მე ამ ტვირთს ვიღებ საკუთარ თავზე იმიტომ, რომ ვფიქრობ, მე შემიძლია ვემსახურო ჩემს ქვეყანასა და ჩემს ხალხს. **F**

# პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე

მსაპრინციპო: გუგა სულხანიშვილი  
და შოთა დიღმელაშვილი

## პირველად როდის ირწმუნეთ, რომ საქართველოს პრეზიდენტობა შეგიძლიათ?

არ დაგიმაღავთ და ეს განცდა პირველად მაშინ გამიჩინდა, როდესაც პრეზიდენტის მოვალეობას ვასრულებდი. 2003 წელს ნამდვილად გავართვი თავი ძალიან მძიმე ამოცანას, რათა მშვიდობა შენარჩუნებულიყო და არსებული მდგომარეობა სამოქალაქო დაპირისპირებაში არ გადაზრდილიყო. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მოვახერხეთ თავიდან აგვეცილებინა ძალიან მძიმე მოვლენების განვითარება, მე მაინც მიმანჩადა, რომ კიდევ უფრო მეტი რამ არის საჭირო პრეზიდენტობისათვის და 2007 წელსაც არ მივიღე გადაწყვეტილება, კენჭი მეყარა პრეზიდენტად. მე ძალიან მიკვირს ხოლმე იმ ადამიანების, რომლებიც თვლიან, რომ როგორც კი პოლიტიკაში მოვლენ, მაშინვე პოლიტიკოსები არიან და მზად არიან ნებისმიერი თანამდებობისთვის, იმიტომ რომ მე ძალიან კარგად მესმის, რომ პრეზიდენტობა, რა თქმა უნდა, დიდი პრივილეგიაა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა საკუთარი ქვეყნის წინაშე.

## რა მოლოდინი გაქვთ მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, ხმების რამდენი პროცენტის მიღებას ვარაუდობთ?

დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ საკმაოდ დიდი შანსი გვაქვს გამარჯვების. სავარაუდოდ, იქნება მეორე ტური, რომელშიც ერთი სახელისუფლებო კანდიდატი იქნება, იმიტომ რომ ჩვენ დღეს კლასიკური ორხელისუფლებიანობა გვაქვს ქვეყანაში, როდესაც ხელისუფლებაშია „ნაციონალური მოძრაობაც“ და „ქართული ოცნებაც“. ვფიქრობ, მეორე ტურში ვიქნებით გიორგი მარგველაშვილი და მე და დღევანდელი დინამიკითა და რეალობით მე ნამდვილად მაქვს დიდი უპირატესობით გამარჯვების შანსი.

## პრემიერ-მინისტრის ციტირება მინდა მოვახდინო

და შევითხვაც მის ციტატაზე დაყრდნობით დაგისვათ: „საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მარგველაშვილს დღეს არ ჰყავს რეალური კონკურენტი და ის პირველსავე ტურში დიდი შედეგით გაიმარჯვებს“. რა კომენტარს გააკეთებდით?

მე არ ვეთანხმები ბატონ პრემიერ-მინისტრს და შემიძლია გითხრა, რომ საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში ყოფნის და დღეს უკვე ისიც ძალიან კარგად ვიცი, რომ ხშირად ხელისუფლების გადმოსახედიდან ბევრი რამ ისე არ ჩანს, როგორც ეს სინამდვილეში არის, მით უმეტეს, თუ არ გაქვს დიდი გამოცდილება, მათ შორის - ოპოზიციაში ყოფნის. ვფიქრობ, რომ პრემიერ-მინისტრი ძალიან ცდება, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ არასწორია მისი მხრიდან მსგავსი ტიპის განცხადებები, რადგან საქართველოში არ არის მყარი დემოკრატიული სტრუქტურები და პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებული ასეთი განცხადება ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეიძლება მიიღოს, როგორც დირექტივა და დაკვეთა, რომ რადაც უნდა დაუჯდეთ, მარგველაშვილი გავიდეს.

პიროვნულად მე არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს ბატონი გიორგის, პირიქით, ჩვენ ვმეგობრობდით და ნამდვილად პოზიტიურად შემიძლია ის დავახასიათო, მაგრამ ასევე შემიძლია გითხრა, რომ პრეზიდენტობისათვის ძალიან ბევრი რამ არის საჭირო და მხოლოდ კარგი ადამიანობა და კეთილსინდისიერება არ კმარა.

თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველი პოლიტიკოსი, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ ვლადიმერ პუტინს შეხვდა, რამაც დიდი რეზონანსი გამოიწვია და თქვენ არაერთხელ განაცხადეთ, რომ ნდობით ვლადიმერ პუტინს. რა არის ამ ნდობის საფუძველი და თუკი ეს საფუძველი და ნდობა გამართლდა, როგორ





**ხედავთ თქვენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ამ ნდობის გამართლების შემთხვევაში?**

რამდენადაც მე მსმენია და ვფიქრობ, რომ ეს თქვენც გსმენიათ, ვლადიმირ პუტინს აქვს რეპუტაცია ადამიანის, რომელიც ან არ იძლევა დაპირებებს, ან თუ მოხდება შეთანხმება და პოზიციათა შეჯერება, შემდეგ ის ამ პოზიციებს, როგორც წესი, იცავს ხოლმე. მე შემიძლია გითხრა, რომ მქონდა გამოცდილება მასთან ურთიერთობის გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, თუნდაც 2003 წელს, როდესაც მე მას პირველად შევხვდი, ჩვენ გვექონდა ძალიან მძიმე და სერიოზული მოლაპარაკებები. მე მაშინ პრეზიდენტის მოვალეობას ვასრულებდი. ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო, საკმაოდ რთული, თუმცა კონსტრუქციული და შემდგომში ვხედავდი, რომ ყველა იმ შეთანხმებას, რომელსაც ჩვენ მაშინ მივაღწიეთ, პუტინი მიჰყვებოდა და არ არღვევდა. გარდა ამისა, ასევე ერთ-ერთი მაგალითი იყო თუნდაც 2004 წლის აჭარის ეგრეთ წოდებული რევოლუციის მოვლენები, როდესაც ვლადიმირ პუტინი შეგვპირდა, რომ არ ჩაერეოდა ნეგატიურად ამ პროცესში და რომ რუსული ბაზა არ იმოქმედებდა, ასე ვთქვათ, საქართველოს დესტაბილიზაციის მიმართულებით და საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ - მან ეს პირობა აბსოლუტურად პირნათლად შეასრულა. მე არ მაქვს არც ერთი მაგალითი პუტინის მხრიდან შეთანხმების დარღვევისა რუსულ-ქართულ ურთიერთობებში. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი არ ვიცი, მაშინ

როდესაც შემიძლია რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო სააკაშვილის მხრიდან არასწორი ნაბიჯების და მათ შორის იმ შეთანხმების დარღვევის, რომელიც არსებობდა, თუმცა ახლა ამაზე ბევრი საუბარი ნამდვილად არ მინდა. რაც შეეხება იმას, რომ მე აგვისტოს ომის შემდეგ შევხვდი ვლადიმირ პუტინს, ვნანობ, რომ უფრო ადრე არ შევხვდი მას, იმიტომ რომ, რუსეთსა და საქართველოს შორის სხვაგვარი ურთიერთობა რომ ყოფილიყო, შესაძლოა, აგვისტოს ომი თავიდან აგვეცილებინა, და შევხვდი სწორედ იმიტომ, რომ საქართველოში აღარასდროს გამეორდეს ის, რაც მოხდა 2008 წლის აგვისტოს, რომ არასოდეს ქართველი დედები არ უშვებდნენ შვილებს წინასწარ წაგებულ ომში და მე დავინახე, რომ არის საკითხები, რომლებიც გასაგებია პუტინისთვის და მას ძალიან კარგად ესმის, რომ ჩემთვის, როგორც საქართველოს შვილისათვის, ქართველი პოლიტიკოსისათვის და ალბათ ყველა პოლიტიკოსისათვის საქართველოში, არსებობს წითელი ხაზი, როგორც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, როგორც არის საქართველოს სუვერენიტეტი, რაც ჩვენი უზენაესი ღირებულებებია, იგივე ის, რომ საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს დასავლური ღირებულებების პატივისცემულ ქვეყნად და ასე შემდეგ. ანუ ამ ადამიანს ძალიან კარგად ესმის ობიექტური რეალობა. მე, რა თქმა უნდა, არ მაქვს იმის ილუზია, რომ ვინმე საქართველოს აჩუქებს, ასე ვთქვათ, იმავე აფხაზეთს. ეს არასწორი ტერმინია, რადგან იქ ხალხი ცხოვრობს, ადამიანები ცხოვრობენ და ეს არ არის უსულო საგანი, რომელიც შეიძლება გადასცე ან გადმოსცე ვინმეს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში სწორი პოლიტიკის წარმართვის შემთხვევაში, თუ რეალურად შევძლებთ, რომ ეს ურთიერთობები ავსკოთ ერთმანეთის კანონიერი, მე ამას ხაზს ვუსვამ, კანონიერი ინტერესების პატივისცემის საფუძველზე, შევძლებთ გამოსავლის პოვნას, რომელიც გამოვიყვანო იმ ჩიხიდან, რომელშიც აღმოვჩნდით. ამავდროულად, როდესაც ვლაპარაკობთ აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული ოსეთის პრობლემის მოგვარებაზე, ბუნებრივია, ძალიან კარგად მესმის, როგორც პოლიტიკოსს, რომ უპირველესი ამოცანა არის აფხაზ და ოს ხალხთა ნდობის აღდგენა, იმ ჩატეხილი ხიდების გამთლიანება, რომლებიც, სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს კიდევ უფრო სერიოზულად ჩატყდა. მე ვიმედოვნებ და ვფიქრობ, რომ არ ვცდები, როდესაც მაქვს იმედი, რომ პუტინი და რუსეთი ამ პოზიტიურ მოლაპარაკებებს ხელს არ შეუშლის, კიდევ ერთხელ

ვიმეორებ, სწორი და ერთმანეთის კანონიერი ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე აგებული პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში.

### რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების შემთხვევაში საქართველო კვლავ ისწრაფვის ნატოსკენ?

გავყოთ ეს ორი კითხვა. პირველი, რაც შეეხება ურთიერთობების მოწესრიგებას, დალაგებას თუ ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას- ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა, თუნდაც ყველაზე მძიმე და რთული, საკითხის მოგვარების დროს, ილაპარაკებენ დიპლომატები და არა ქვემეხები. ეს არის ძალიან მარტივი ფორმულა, რომელიც ყველა ნორმალური პოლიტიკოსისათვის უნდა იყოს ამოსავალი წერტილი. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, უნდა გაკეთდეს ძალიან სერიოზული ინვენტარიზაცია იმ პრობლემებისა, რომლებმაც თავი მოიყარა რუსულ-ქართულ ურთიერთობებში და ვფიქრობ, რომ სრულმასშტაბიანი მოლაპარაკებები უნდა დაიწყო, რომლებშიც ყველა მხარე წარმოადგენს თავის ხედვას ამ პრობლემის მოგვარების საკითხზე და უნდა მოხდეს მათი შეჯერება. პირველ ყოვლისა, უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი პრობლემის ძალისმიერი მეთოდებით მოგვარება და ამ ძალისმიერი მეთოდებში მე ვგულისხმობ თუნდაც სოფელ დიცთან საზღვრის გადმოწევას, როდესაც ცალმხრივად იქნა გადმოწეული ეგრეთ წოდებული საზღვარი საქართველოს ტერიტორიაზე და ყველა სადავო საკითხის მოგვარება უნდა დაიწყო ეტაპობრივად.

ნორმალური ურთიერთობები რუსეთთან ნიშნავს იმას, რომ თანდათანობით აღდგება პოლიტიკური დიალოგი, ყველა პრობლემა განხილული იქნება მოლაპარაკების მაგიდასთან, პარალელურად აღდგება საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, გაიხსნება რუსული ბაზარი საქართველოსთვის - არა ისე, როგორც ახლა, ფრაგმენტულად, არამედ ეს უფრო ფართომასშტაბიან სახეს მიიღებს.

ჩვენი მოსახლეობისათვის ეს არის პრინციპულად მნიშვნელოვანი, თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ მოსავალი ადამიანებს ხეებზე უღებდათ, ისინი მთელი წლის განმავლობაში შრომობენ და მათ არა აქვთ საშუალება, რომ მათ მიერ მოპოვებული პროდუქცია გაასაღონ, იმიტომ რომ რუსული ბაზარი დღევანდელი მდგომარეობით პრაქტიკულად შეუცვლელია საქართველოსთვის და ბუნებრივია, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობების მოწესრიგება აუცილებლად გულისხმობს, როგორც მინიმუმ, ნეიტრალური, სასურველია, პოზიტიური როლის თამაშს რუსეთის მხრიდან ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური პრობლემის მოგვარებაში.

ამავდროულად, რა თქმა უნდა, არც რუსებს და არც არავის არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ საქართველო დათმობს თავის სუვერენიტეტს და არც მგონია, რომ ვინმეს ამის ილუზია აქვს.

ყოველ შემთხვევაში, მე იმავე ვლადიმერ პუტინთან სა-

„მე არ მაქვს არც ერთი მაგალითი პუტინის მხრიდან შეთანხმების დარღვევისა რუსულ-ქართულ ურთიერთობებში. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი არ ვიცი“

უბრის დროს სულაც არ დამრჩენია შთაბეჭდილება, რომ მას აქვს რაიმე ტიპის ილუზია საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და არც მგონია, რომ რომელიმე გონიერ პოლიტიკოსს, გნებავთ რუსეთში, გნებავთ სადმე სხვაგან, XXI საუკუნეში არ ესმოდეს, რას ნიშნავს დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოების ურთიერთობები.

ასე რომ, რთულად, მაგრამ არის შესაძლებლობები და რამდენადაც ეს უცნაურად უნდა ჩანდეს, არის ინტერესების თანხვედნაც, მაგალითად, იგივე მშვიდობა და სტაბილურობა მთლიანად კავკასიის რეგიონში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთის სახელმწიფოსათვის, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საქართველოსათვის და ჩვენ ძალიან კარგად გვგისმის, რომ რუსეთისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს როლი კავკასიაში სტაბილურობის შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის და ასევე ჩვენთვის არის მნიშვნელოვანი რუსეთი იმ თვალსაზრისით, რომ კავკასიაში იყოს მშვიდობა და არ იყოს, ასე ვთქვათ, ფეთქებადსაშიში ვითარება.

არის ბევრი სხვა მიმართულება, სადაც ასევე შეიძლება ჩვენი ინტერესების თანხვედნა მოხდეს.

თქვენ დასვით მეორე საკითხი, როდესაც ლაპარაკობდით ნატოსკენ სწრაფვაზე. საქართველო არის სახელმწიფო, რომელსაც აქვს არჩეული ევროპული დემოკრატიული კურსი, ჩვენ, ბუნებრივია, ჩვენ თავს ვხედავთ ევროპის ნაწილად, მაგრამ ჩვენ უნდა ვიყოთ პრაგმატული პოლიტიკოსები და იმ ფონზე, როდესაც ჩვენ, რა თქმა უნდა, გავაღრმავებთ ჩვენს ურთიერთობებს დასავლელ პარტნიორებთან, ძალიან კარგად უნდა დავინახოთ, რა შანსი აქვს დღეს საქართველოს ნატოში გაწევრიანების.

მე ვფიქრობ, რომ ნატოში საქართველოს გაწევრიანება ზოგ შემთხვევაში სპეკულაციის საგნად და რაღაც პრობლემების მოუგვარებლობის გამართლებად უფრო იქცა, ვიდრე რაიმე რეალურად.

მე ვიყავი და ვარ ის ადამიანი, რომელსაც დღესაც მიაჩნია,

რომ საქართველოსათვის იქნებოდა დიდი წარმატება და მიღწევა, თუ საქართველო გახდებოდა ნატოს წევრი, მაგრამ დღეს ჩვენ ვართ რეალობაში, როდესაც აი ამ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, თქვენ ძალიან კარგად იცით, დაახლოებით 20 წუთის ავტომობილით სავალ გზაზე რუსული სამხედრო ბაზაა განთავსებული.

მე დავსვამ კითხვას და ჩვენმა მკითხველმა თავად გადაწყვიტოს: აქვს თუ არა საქართველოს შანსი დღეს ან უახლოეს პერსპექტივაში ნატოში გაწევრიანებისა, ვიდრე რუსული ბაზა საქართველოს დედაქალაქიდან 20 წუთის გზაზე დგას.

რა თქმა უნდა, არა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გამოვეთიოთ ნატოს პროცესებს, ნატოსთან თანამშრომლობის პროცესებს.

თქვენ იცით, რომ ნატოსთან ძალიან აქტიურად თავად რუსეთიც თანამშრომლობს, ზოგ შემთხვევაში უფრო აქტიურადაც კი, ვიდრე საქართველო. ჩვენ უნდა ვიყოთ ღრმად ჩართული ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესებში, ვითანამშრომლოთ ამ ორგანიზაციებთან, ვისწრაფოდეთ მათი სტანდარტების მიღწევას ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ რეალიზმიდან უნდა ამოვიდეთ: დღეს საქართველოს ნატოში გაწევრიანების შანსი არა აქვს, ვიდრე საქართველოს ტერიტორიაზე დგას რუსული ჯარი და ჩემი ამოცანა კი, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ნამდვილად იქნება, რომ რუსული ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან გავიდეს, ჩვენ შევძლოთ აფხაზებსა და ოსებთან საერთო ენის გამოწახვა, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, გაძლიერება.


**თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველი პოლიტიკოსი, რომელმაც 7 ნოემბრის ამ მოვლენებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა და თქვენ განაცხადეთ, რომ ცხოვრების ნორმალური რეჟიმის აღდგენით ქართული საზოგადოება და ქართული სახელმწიფო შედგა. რა განსხვავებას ხედავთ თქვენ 7 ნოემბრისა და 26 მაისის მოვლენებს შორის? არსებობს თუ არა თქვენი მხრიდან სხვადასხვა ინტერპრეტაციის საფუძველი და თუ არსებობს, რატომ?**

მე ძალიან ბევრი ადამიანი მაყვებრის ამ სიტყვებს, თუმცა არავინ არ უწევს ანგარიშს იმას, რომ როდესაც მე ვთქვი, რომ სახელმწიფო შედგა, მე არ მითქვამს, რომ კარგი სახელმწიფო შედგა, მაგრამ სახელმწიფო, რომელსაც საკუთარი თავის დაცვა შეუძლია, ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ შემდგარი სახელმწიფოა. 7 ნოემბერს რეალურად მართლაც იყო

ძალიან დიდი საშიშროება, სხვათა შორის, ასევე ძალიან ბევრი ჩემი ოპონენტი არ იხსენებს იმას, რომ 7 ნოემბერს, საბედნიეროდ, არ დაფუძულან ადამიანები და 7 ნოემბერს ეს იყო, ასე ვთქვათ, პოლიციის მიერ განხორციელებული აქცია, რომელიც იყო მიტინგის დაშლისაკენ მიმართული, მართალია, იყო ძალიან მძიმე შემთხვევები ძალის გადამეტებისა, მაგრამ ეს იყო შედარებით ერთეული შემთხვევები და მათ არ მოჰყოლია ტრაგიკული მსხვერპლი. ამავდროულად ჩემი პოლიტიკური ოპონენტები არასდროს არ იხსენებენ იმას, რაც ალბათ თქვენც მკითხველისთვისაც უპრეცედენტო სიახლე იქნება, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარემ, მასობრივი არეულობის დროს სტრატეგიული ობიექტის, პარლამენტის კარები გაგაღე და გააფთრებული ხალხი შემოვიშვი პარლამენტის შენობაში, რომ ისინი გაზისან და გააგებული სპეცნაზელებისგან მეხსნა და ვფიქრობ, რომ გარკვეული წვლილი ამანაც შეიტანა, რომ 7 ნოემბერს მსხვერპლი არ იყო. რაც შეეხება 26 მაისს, მე თქვენ მოგართმევთ აუცილებლად იმ ჟურნალს, რომელიც ჩვენ 26 მაისთან დაკავშირებით გამოვეშვი. ამ ჟურნალში არის მოყვანილი სქემა, რომელშიც ძალიან ნათლად ჩანს, რომ, განსხვავებით თუნდაც 9 აპრილისგან, 1989 წლის 9 აპრილის აქციის დარბევისაგან, როდესაც დაიღუპნენ ადამიანები რუსთაველზე და როცა აქცია დაგეგმილი იყო საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებისა და სპეცდანიშნულების რაზმების მიერ, მაშინ ხალხს გასასვლელი და გასაქცევი დაუშატეს, ხოლო 26 მაისს ადამიანები მოაქციეს ალყაში, ადამიანებს არ მისცეს გაქცევის საშუალება, ეს არ იყო აქციის დასარბევი ან დასაშლელი ქმედებები, ეს იყო საგანგებო და სამაგალითო დასჯა აქციის მონაწილეებისა, როდესაც ათასამდე ადამიანი იქნა დაპატიმრებული, როდესაც ბორკილებდადებულ ადამიანებს ორი და სამი კაცი სცემდა, როდესაც ადამიანებს, ასე ვთქვათ, სასიკვდილოდ იმეტიბდნენ, და მე შემძლია გითხრათ, რომ ჩვენს ესკორტს,

რომელიც ნამდვილად არ გაქცეულა და არც პოლიციელი არ მოუკლავს, როგორც ამას გვაბრალებდნენ და ამის ოფიციალური დასკვნები არსებობს, რომ ეს იყო ცილისწამება და შავი PR ჩემ წინააღმდეგ, ეს როდესაც ნამდვილი ტყვეები, ეს საქმე დღემდე არ არის, სამწუხაროდ, გამოძიებული. ანუ 2007 წლის 7 ნოემბერს სახელმწიფომ გამოიყენა ძალა, გადაჭარბებული, და მოიქცა არასწორად, ხოლო რაც შეეხება 2011 წლის 26 მაისს, სახელმწიფომ ჩაიდინა დანაშაული საკუთარი ხალხის წინაშე. აი ეს არის განსხვავება.

**ამჟამინდელი ეკონომიკური ვარდნის მიზეზებად რას დაასახელებდით?**



**„ვფიქრობ, რომ ალბათ  
იმ ადამიანებმა,  
ვისაც ძალიან მაღალი  
შემოსავლები აქვს,  
გარკვეულწილად  
უფრო მეტი თანხა უნდა  
შეიტანონ სახელმწიფო  
ბიუჯეტში“**

ყოველ შემთხვევაში, სწორი ეკონომიკური პოლიტიკა მე ვერ წარმომიდგენია როგორ შეიძლება ვარდნის მიზეზი იყოს. მე მგონია და ყოველ შემთხვევაში მე ასე ვისწავლე, რომ თუ ახორციელებ სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას, იღებ სწორ შედეგს. ის, რომ დღეს არის ეკონომიკური ვარდნა, ის რომ მაისში იყო ეკონომიკური ზრდა 0 %, შემდეგ ივნისში იყო უკვე მინუსებში წასული, ივლისშიც - ეს, ჩემი აზრით, არის ძალიან სერიოზული შეცდომების შედეგი, რომლებიც ალბათ დაშვებული იქნა მთავრობის მხრიდან. მე ვშიშობ, რომ, ასე თუ გაგრძელდა, ქვეყანას შეიძლება ძალიან სერიოზული ეკონომიკური პრობლემები შეექმნას. ასე რომ, გადაწყვეტილებები მისაღებია.

**თქვენ როგორ ფისკალურ პოლიტიკას ემხრობით დღევანდელი საქართველოსთვის? გვანტერესებს თქვენი პარტიის იდეოლოგიური ვექტორი ეკონომიკური თვალსაზრისით.**

იცით, საერთოდ ჩვენი პარტია არის მემარჯვენე-ცენტრისტული პარტია. თუმცა თქვენ ძალიან კარგად მოგეხსენებათ, თქვენ იცით ქართული რეალობა და თქვენ იცით ძალიან კარგად, რომ ქვეყანაში არის უმძიმესი სოციალური ვითარება და მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ჩვენთვის უფრო მისაღებია მემარჯვენე-ცენტრისტული იდეოლოგია, ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში თვალს ვერ დავხუჭავთ იმ უმძიმეს სოციალურ პრობლემებზე, რომლებიც ქვეყანაში არის. იმიტომ რომ სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს საკუთარ მოსახლეობასა და საკუთარ მოქალაქეებზე, ჩემი მთავარი ამოცანა იქნება პრეზიდენტის რანგში, რომ მე დავხუჭავთ მთავრობას ეკონომიკური პოლიტიკის კორექტირებაში და მე იმედი მაქვს, რომ ასეთი ტიპის თანამშრომლობა მთავრობასთან ნამდვილად შედეგება, იმიტომ რომ სამთავრობო პროგრამაში ძალიან ბევრი არის პოზიტიური, მაგრამ არარეალისტური. მე ვთვლი, რომ ჩვენი მომავალი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილის შექმნა, ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას

და მაქსიმალური შედეგები უნდა მივცეთ მცირე და საშუალო ბიზნესს იმისათვის, რომ ბიზნესმა შეძლოს თვითგანვითარება. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ქვეყანაში შეიქმნას საშუალო ფენა, რასაც არც ერთი ხელისუფალი პრაქტიკულად ბოლო პერიოდის განმავლობაში, სამწუხაროდ, ხელს არ უწყობდა, ალბათ, როგორც მე ახლა ვხვდები, პრაგმატული პოლიტიკური მოსაზრებით, იმიტომ რომ საშუალო ფენის მართვა არის გაცილებით უფრო ძნელი, ვიდრე არაფრის მქონე ადამიანების. ჩემი ამოცანა იქნება სწორედ ის, რომ რაც შეიძლება შემცირდეს სოციალურად დაუცველი ადამიანების რაოდენობა, ადამიანებს ჰქონდეთ ნორმალური დაზღვევა, საყოველთაო დაზღვევა არსებობდეს ქვეყანაში, ადამიანებს ჰქონდეთ ის პენსია, რომელიც შეესაბამება საარსებო მინიმუმს, ხოლო შრომისუნარიან ადამიანებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ იმუშაონ და შეძლონ თავიანთი ოჯახების გამოკვება. ასევე მე ვფიქრობ, რომ ალბათ იმ ადამიანებმა, ვისაც ძალიან მაღალი შემოსავლები აქვს, გარკვეულწილად უფრო მეტი თანხა უნდა შეიტანონ სახელმწიფო ბიუჯეტში. ჩვენ ახლა ვფიქრობთ და საბოლოოდ ვმსჯელობთ იმასთან დაკავშირებით, გადასახადები გარკვეულწილად აიწიოს თუ არა, მაგრამ აქაც გონივრული ზღვარი უნდა იყოს, რა თქმა უნდა, და არა 70% და თუნდაც 50 %, მაგრამ ან წახალისება იმ საწარმოებისა, რომლებიც ძალიან დიდ თანხას საქველმოქმედო ან ეკონომიკის გაძლიერებაში შეიტანენ, ან დაბეგვრა გარკვეული წესით, ეს პოზიცია აუცილებლად უნდა შეჯერდეს და გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა ვერ განვითარდება. შრომის კოდექსიც ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს და ამასთან დაკავშირებითაც, ვფიქრობ, ძალიან სერიოზული კონსულტაციები გვექნება მთავრობასთან.

**გადასახადების აწევა არ უწყობს ხელს ბიზნესის განვითარებას და ამ მიმართებით რამდენად მემარჯვენე-ცენტრისტულია თქვენი პოზიცია?**

მე არ ვლაპარაკობ მცირე და საშუალო ბიზნესზე, მე ხაზი გავუსვი, რომ ლაპარაკია იმ გარკვეულ ზღვარს ზემოთ შემოსავლის მქონე საწარმოებზე, რომლებსაც მაღალი ან ძალიან მაღალი შემოსავლები აქვთ.

**რა კომენტარს გაუკეთებთ პრემიერის განცხადებას პოლიტიკიდან წასვლასთან დაკავშირებით?**

იცით რა? ეს პრემიერის გადაწყვეტილებაა და ჩვენ ამას პატივი უნდა ვცეთ, ისევე როგორც ნებისმიერი დამოუკიდებელი ადამიანის გადაწყვეტილებას. მე ვფიქრობ, რომ მის წასვლას ამ ეტაპზე მოჰყვება გარკვეული სირთულეები ქვეყნისათვის, იქიდან გამომდინარე, რომ გუნდი, რომელიც პრემიერის მიერ არის შექმნილი და რომელიც არის დღეს ხელისუფლებაში, არ არის მონოლითური გუნდი, ეს გუნდი შედგება სრულიად სხვადასხვა იდეოლოგიის, სრულიად სხვადასხვა ფასეულობის, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე კონკრეტული



პოლიტიკური დაჯგუფებებისაგან და ძალიან დიდი ალბათობით ეს გუნდი დაიშლება პრემიერის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ. ბუნებრივია, პრემიერი, დარწმუნებული ვარ, რომ არ ფიქრობს, რომ ის პოლიტიკიდან წავა, მაგრამ პოლიტიკაში მაინც დარჩება. ანუ თუ ის მართლა მიდის, მაშინ ეს ნიშნავს, რომ მას პოლიტიკურ პროცესებზე პირდაპირი ზეგავლენა აღარ ექნება, ასეთ შემთხვევაში მისი გუნდი ძალიან დიდი ალბათობით დაიშლება.

**მიგანიათ თუ არა, რომ საქართველო სექულარული სახელმწიფო უნდა იყოს?**

საქართველო უნდა იყოს სახელმწიფო, სადაც ყველას და ყველაფერს ექნება თავისი ადგილი. საქართველოსათვის არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ეროვნული ფასეულობები, ჩვენი ტრადიციები, ჩვენი რელიგიური შემწყნარებლობა, რითაც ქართველი ხალხი და ქართველი ერი ყოველთვის ძალიან ამყობდა და ჩვენ შეგვიძლია უნიკალური მაგალითები მოვიყვანოთ საქართველოს ისტორიიდან შემწყნარებლობისა, ამავდროულად ჩვენ პატივი უნდა ვცეთ იმას, რომ საქართველოში ძალიან ძლიერია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლი, და იმ ვითარებაში, როდესაც ეკლესია არ ჩაერევა სახელმწიფოს

საქმიანობაში და არ ერევა, ეს მისი უწმინდესობის ძალიან დიდი დამსახურებაა, მე ვფიქრობ, რომ აქ საგანგაშო და პრობლემური ნამდვილად არაფერია. ეკლესია და სახელმწიფო გამიჯნულია ერთმანეთისაგან საქართველოს კონსტიტუციით, მაგრამ ის, რომ ქართულ ეკლესიას აქვს განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში დასაბამიდან დღემდე, ეს არც დასამალია და არც, ასე ვთქვათ, ცუდი, პირიქით, მე ვფიქრობ, რომ ეკლესიას კვლავ შეუძლია საზოგადოებაში, ხალხში განამტკიცოს ის პოზიტიური ფასეულობები, როგორც არის ოჯახის ფასეულობა, როგორც არის აუცილებლობა იმისა, რომ ახალგაზრდა პატივს სცემდეს და უყვარდეს საკუთარი სამშობლო, იყოს ტოლერანტული სხვა რელიგიის წარმომადგენლების მიმართ, იმიტომ რომ, თავისთავად მართლმადიდებლური რწმენა ნიშნავს იმას, რომ შენ ტოლერანტი უნდა იყო ყველა სხვა განსხვავებულის მიმართ.

**არ ფიქრობთ, რომ მართლმადიდებლური ეკლესია ხანდახან თავისი კომპეტენციის საზღვრებს სცილდება და ერევა ისეთ საკითხებში, რომლებიც ცალსახად სახელმწიფო საკითხებია?**

არა, არ ფიქრობ. მე როცა ვლაპარაკობ მართლმადიდებ-



ლურ ეკლესიაზე, მე უპირველეს ყოვლისა ვსაუბრობ მის უწმინდესობა პატრიარქზე. თუ სადმე, რომელიმე მღვდელმსახურმა რაიმე ზედმეტის უფლება მისცა თავის თავს, ეს არ მიმაჩნია მე ტრაგიკულ მოვლენად, ამის კორექტირებას ყოველთვის გააკეთებს ეკლესია. მე კი არ მახსოვს, რომ საქართველოს პატრიარქი ზედმეტად ჩარეულიყო პოლიტიკურ პროცესებში.

### **თქვენი საპრეზიდენტო კამპანიის სპონსორი ვინ არის ?**

თქვენ შეგიძლიათ ნახოთ - ეს არის ჩვენს ვებგვერდზე გამოქვეყნებული. ასევე არის გამოქვეყნებული ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და კონტროლის პალატის ვებგვერდებზე - შემოწმრულებები, რომლებიც ჩვენს პარტიაში შემოდის. დღეს ჩვენი პარტიის წარმომადგენლებმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგინეს იმ 80 ათასი ადამიანის ხელმოწერა, რომლებიც მხარს უჭერენ ჩემს პრეზიდენტობას. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი, ვისაც ამის შესაძლებლობა აქვს, საპრეზიდენტო ფონდში გარკვეულ შემოწმრულებებს შემოიტანს.

დღეს საქართველოში არის უფრო მარტივი სიტუაცია, ვიდრე იყო წელიწად-ნახევრის წინ, როდესაც ნებისმიერი პარტიისთვის შემოწმრულება ბიზნესმენს შეიძლებოდა არა მარტო საკუთარი ბიზნესის ფასად დასჯდომოდა, არამედ მას შეიძლება ციხეში ამოეყოს თავი, ამიტომ ადამიანებს აღარ უშინიათ და ადამიანები გარკვეულწილად გვეხმარებიან. თუმცა ეს არ არის იმ რაოდენობის თანხა, რომელიც ჩვენ გარკვეული ხელგაშლილობის საფუძველს მოგვცემს.

### **რატომ მიგაჩნიათ, რომ სწორედ თქვენ უნდა მოგვეცეთ ამომრჩეველმა ხმა არჩევნებზე?**

ძალიან მწელია, საერთოდ, საკუთარ თავზე ლაპარაკი ჩემნაირი ტიპის ადამიანისათვის და მე ვამბობ ხოლმე, რომ ერთადერთი, რის გამოც არჩევნები არ მიყვარს, არის ის, რომ შენ უნდა ილაპარაკო, რომ შენ ხარ ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე კარგი, საუკეთესო და ამით დაარწმუნო, ასე ვთქვათ, ამომრჩეველი შენს სისწორეში.

იცით რაშია საქმე? - მე ვთვლი, რომ დღევანდელი კანდიდატებიდან, ვინც დღეს არის დასახელებული და უკვე ვვლარ დასახელებულ სხვა კანდიდატები, მე გამომარჩევს ძალიან ბევრი რამ. მათ შორის უზარმაზარი პოლიტიკური გამოცდილება, რომელიც მე მაქვს და რაც ჩემთვის დღეს ძალიან ფასეულია - ეს პოლიტიკური გამოცდილება მოიცავს როგორც ხელისუფლებაში ყოფნის გამოცდილებას, ასევე ოპოზიციაში ყოფნის გამოცდილებას და მე ვიტყვი, რომ არასოდეს ჩემი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ოპოზიცია აღარ დაირაგრება და ოპოზიციის უფლებები შელახული არ იქნება. მე შემძლია გითხრა, რომ მე მაქვს ძალიან დიდი გამოცდილება როგორც პოლიტიკური, ასევე ნეგატიური. ბუნებრივია, ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის დროს იყო დაშვებული შეცდომები ჩემი მხრიდანაც და სხვების



მხრიდანაც და მე მაქვს უნარი, რომ ამ შეცდომებზე - საკუთარ შეცდომებზე და სხვის შეცდომებზე - ხმაიძალა ვილაპარაკო და აქედან დასკვნები გამოვიტანო. მე მაქვს ძალიან სერიოზული საერთაშორისო კონტაქტები, რომლებიც ჩემს ქვეყანას ნამდვილად გამოადგება და ეს კონტაქტები, რა თქმა უნდა, არ შემოიფარგლება რომელიმე ერთ ქვეყანაში არსებული კონტაქტებით. მე მაქვს ძალიან სერიოზული კონტაქტები როგორც რუსეთში, ასევე აშშ-ში, როგორც ევროპაში, ასევე ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში, იქნება ეს უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, აზერბაიჯანზე და სომხეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ და თურქეთზე. ვთვლი, რომ მაშინ, როდესაც მაქვს პრაქტიკულად, პირადი ნაცნობობა ამ სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობის ლიდერებთან, ეს ძალიან სერიოზულად წაადგება ჩემი ქვეყნისთვის სასიკეთოდ გასატარებელ საგარეო პოლიტიკურ კურსს.

მე შემძლია აღვადგინო ის დიალოგი, რომელიც აუცილებელია ქართველებსა და აფხაზებს და ქართველებსა და ოსებს შორის აღდგეს. მე ნამდვილად მაქვს იმის შესაძლებლობა, რომ დავიწყო ჩატეხილი ხიდის აღდგენა და ამავდროულად, ვთვლი, რომ მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღდგეს.

ჩვენ აღარ უნდა დავუშვათ შეცდომა, როდესაც ყველა ინსტიტუცია იქნება თავმოყრილი ერთი პოლიტიკური ძალის ხელში, როდესაც არ იქნება დაბალანსებისა და ურთიერთკონტროლის სისტემა. მე ნამდვილად ვარ ის ადამიანი, რომელიც - თუნდაც შეზღუდული საკონსტიტუციო უფლებამოსილების ფარგლებში - რა თქმა უნდა, ხალხის მხარდაჭერითა და ხალხის მაღალი ნდობით აღჭურვილი, შეძლებს იმას, რომ მთავრობა აკონტროლოს, მთავრობას არ დააშვებინოს შეცდომა და, ამავდროულად, ბუნებრივია, მეც მზად ვარ მივიღო ნებისმიერი წინადადება, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ მეც თავიდან ავირიდო რაიმე შეცდომის დაშვება.

მე ვფიქრობ, რომ ეს საუკეთესო არჩევანი იქნება საქართველოსთვის. **F**

# გიორგი მარგველაშვილი – „ქართული ოცნების“ პრემიუმენტობის კანდიდატი

Forbes Georgia-ს ამ ნომერში პრემიუმენტობის კანდიდატებთან ინტერვიუ იგეგმებოდა, მაგრამ „ქართული ოცნების“ კანდიდატმა, გიორგი მარგველაშვილმა, ინტერვიუზე უარი თქვა.

ავტორი: გიორგი ცხადაია

**გ**იორგი მარგველაშვილის საპრემიუმენტო კამპანიის პრესსამსახურის უფროსის, შალვა რამიშვილის განმარტებით, მარგველაშვილთან ინტერვიუ სხვა კანდიდატების ტექსტზე ვრცელი უნდა ყოფილიყო და ამ გზით სხვა კანდიდატებისგან გამორჩეული, რაზეც, ბუნებრივია, „ფორბსის“ რედაქცია ვერ დათანხმდებოდა.

ერთი მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ მარგველაშვილის პოლიტიკურ შეხედულებებზე მსჯელობა მის სხვა გამოცვლებზე, სტატიებზე და ინტერვიუებზე დაყრდნობით მომიწევს და, მეორე მხრივ, თავად ეს ნაბიჯიც სავსებით მართებულად შეგვიძლია „ქართული ოცნების“ საპრემიუმენტო კანდიდატის პოლიტიკურ პოზიციად ჩავთვალოთ.

ის, რომ მარგველაშვილს არ სურს ოპონენტების გვერდით თავისი ინტერვიუს თანაბარ პირობებში გამოქვეყნება, იმაზე მიანიშნებს, რომ „ქართულ ოცნებას“ უჭირს ოპონენტებთან ურთიერთობა და პირდაპირ ამომრჩევლებთან ურთიერთობას ამჯობინებს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მარგველაშვილი სხვა

ოპონენტებს ჯერ კიდევ არ მიიჩნევს ლეგიტიმურ და თანასწორ მოწინააღმდეგეებად.

ოპონენტების პოლიტიკური ლეგიტიმურობის უჭვევმ დაყენება იმას ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლდა იმ მეგალომანიური მიდრეკილებებისაგან, რაც, როგორც წესი, ქართველ ხელისუფალთ ახასიათებთ. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ერთი პერიოდი საერთოდ არ თანხმდებოდნენ არათუ პოლიტიკურ ოპონენტებთან სადებატოდ დასხდომაზე, არამედ ოპოზიციურად განწყობილი ჟურნალისტების სატელევიზიო გადაცემებში მისვლაზეც კი. მათ, მარგველაშვილის ამჟამინდელი საარჩევნო შტაბის მსგავსად, „ფორმატი არ აკმაყოფილებდათ“. ორივე შემთხვევაში ოპონენტი მიიჩნევა არა მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ინტერესებისა და მოსაზრებების გამოხატველად, არამედ სოციალურ დევიაციად, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა განადგურდეს.

რაც უნდა იყოს მიზეზი, შედეგად გამოდის, რომ ჯერ კიდევ მხოლოდ ძალასა და ძალადობაზე დამყარებული პოლიტიკა გვაქვს და არა არგუმენტებსა

და იდეოლოგიებზე. პოლიტიკური ოპონენტების იგნორირება ან მათთან თანაბარ სადისკუსიო რეჟიმში ჩაყენებაზე უარის თქმა იმას ნიშნავს, რომ მარგველაშვილისთვის ყველაფერი მხოლოდ ძალით და არა არგუმენტებით შეიძლება გადაწყდეს და მნიშვნელობა არა აქვს, ვის რა არგუმენტი ექნება. რასაკვირველია, „ქართულ ოცნებას“ დღეს ყველაზე უფრო ძლიერი საარჩევნო რესურსი აქვს ივანიშვილის ფინანსური კაპიტალისა და სახელისუფლებო რესურსების სახით, მაგრამ ამ რესურსისა და აბსტრაქტული „ნდობის“ გარდა, თავის ოპონენტებთან შედარებით, არანაირი გამოკვეთილი იდეოლოგიური უპირატესობა არ გააჩნია. მარგველაშვილმა არგუმენტების ნაკლებობა თავადაც დაადასტურა „ლიბერალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, სადაც ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რით განსხვავდება მისი პოზიცია ოპონენტების პოზიციისგან, პასუხობს:

„სიმართლე რომ გითხრათ, კანდიდატებზე რომ მეკითხებით, მაშინ ვიწყებ მათ თაობაზე ფიქრს, რეალურად კი მათზე ბევრად ნაკლებად ვფიქრობ... თქვენნი კითხვები, გარკვეულწილად, პოლიტოლოგის მიმართ დასმული კითხვებია,

რომელიც ამ ეტაპზე სრულიად არ ვარ. მე ხომ აღარ ვარ პოლიტიკის თეორეტიკოსი. ვარ შუა დუღილში. ასე რომ, საერთოდ არ განვიხილავ”.

როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატი საკუთარი პოზიციის სისწორის ახსნას მხოლოდ იმ ფაქტით ცდილობს, რომ მას ბიძინა ივანიშვილი უჭერს მხარს, ვთქვათ, კობა დავითაშვილისგან (მასსა და მარგველაშვილს შორის არსებულ სხვაობებზე ქვემოთ ვისაუბრებ) ან ნინო ბურჯანაძისგან განსხვავებით, თავისთავად პოლიტიკური კულტურის ნაკლებობაზე, ან საერთოდ არარსებობაზე მიუთითებს.

მართალია, მარგველაშვილი საკუთარი პოლიტიკური პოზიციების ოპონენტების პოზიციებისგან მკაფიოდ დიფერენცირებაზე უარს ამბობს, მაგრამ მის გამოვლენასა და ქცევებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რით განსხვავდება მისი პოზიცია სხვა კანდიდატების პოზიციებისგან. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში თავად ვეცდები მისი სხვადასხვა მიზეზით ცუდად არტიკულირებული პოზიცია ოპონენტების პოზიციებს შევადარო.

მარგველაშვილს თავდაპირველად მიაჩნდა, რომ „ქართული ოცნება“ რუსული პროექტია და მასთან თანამშრომლობისგან თავს იკავებდა. მოგვიანებით, როგორც თავად ამბობს, დარწმუნდა, რომ ბიძინა ივანიშვილი არ არის რუსული პროექტი და რომ მას რუსეთის სახელისუფლებლო წრეებთან ურთიერთობა არ ჰქონდა. როგორც შემდგომ გაირკვა, „ქართული ოცნება“ მართლაც არ აპირებდა პროდასავლურ კურსზე უარის თქმას, ბიძინა ივანიშვილს, უბრალოდ, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება უნდოდა.

ამავე დროს, არც „ქართული ოცნება“ და არც მარგველაშვილი ღიად პრორუსული ძალისთვის ხელის შეშლას დღემდე არ ცდილობენ. „ნაციონალური მოძრაობისაგან“ განსხვავებით, ისინი ბურჯანაძეს ღიად არ უპირისპირდები-

ან და მასზე კომენტარსაც არ აკეთებენ. არადა, ამ დროს, ბურჯანაძე თავს წარმოაჩენს ღიად პრორუსულ ძალად, რომელსაც საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების ერთადერთ გზად რუსეთთან დაახლოება მიაჩნია.

„ლიბერალთან“ ინტერვიუში თავად მარგველაშვილი, როცა ბურჯანაძესთან მის დამოკიდებულებაზე ეკითხებიან, პასუხობს: „არ დავიწყებ ბურჯანაძის განხილვას. ეს არ არის ჩემი სტილი, რომ ახლა ბურჯანაძე განვიხილო. ეს არც ჩემი კამპანიის ფორმატია“.

„ქართული ოცნება“ და მარგველაშვილიც ბურჯანაძესთან დაპირისპირებას მხოლოდ იმიტომ არ ერიდებიან, რომ ღიად პრორუსული ძალის დაგმობას ფრთხილობენ (ვინაიდან ამან შეიძლება ივანიშვილის ამბიციებზე, რომ რუსეთთან ურთიერთობები დააღაგოს, უარყოფითად იმოქმედოს), არამედ იმიტომაც, რომ ბურჯანაძემ ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა ივანიშვილის მიერ მთავარ სლოგანად წამოწეული „სამართლიანობის აღდგენის“ თემა. ბურჯანაძე იმუქრება, რომ თუ გაიმარჯვებს, წინა ხელისუფლების წევრებს უფრო მკაცრად დაუწყებს დევნას, ვიდრე ახლანდელი ხელისუფლება. „ქართულ

ოცნებას“, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობასთან“ კოალიციის რეჟიმი აქვს გამოცხადებული, თავისივე ამომრჩევლის წინაშე ამგვარ არგუმენტთან დაპირისპირება გაუჭირდება.

ადრე თუ გვიან, მარგველაშვილს შეიძლება მაინც მოუწიოს ბურჯანაძის პირისპირ დარჩენა, მაგრამ ჯერჯერობით იგი მასთან იდეოლოგიურ სხვაობებზე ბევრს არ ფიქრობს. როგორც მინიმუმ, მარგველაშვილი ხმამაღლა ვერ ბედავს იმის თქმას, თუ რით განსხვავდება მისი და „ქართული ოცნების“ პოზიცია ამ საკითხებთან მიმართებით ნინო ბურჯანაძის პოზიციისგან. მისი ერთადერთი „არგუმენტი“ ის არის, რომ მას ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა აქვს, დანარჩენ კანდიდატებს კი არა აქვთ.

სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე მარგველაშვილს მკაფიო პოზიცია აქვს – იგი გამოკვეთილი ცენტრისტი-მემარცხენეა. ამით მისი პოზიცია უფრო მეტად „ნაციონალური მოძრაობის“ დომინანტურ პოზიციას ემთხვევა (თუმცა, როგორც მოგეხსენებათ, „ნაციონალური მოძრაობაში“ არსებობს მკვეთრად ლიბერტარიანული პოზიციაც, რომელსაც დღეც პარლამენტის წევრი ზურაბ ჯაფარიძე გამოხატავს). საპრეზიდენტო



კანდიდატებს შორის, შალვა ნათელაშვილის გარდა, თავად კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრ კობა დავითაშვილს გამოკვეთილი მემარცხენე პოზიცია უკავია, მარგველაშვილისგან განსხვავებით. ქვემოთ ჯერ მარგველაშვილის პოზიციას დავახასიათებ და შემდეგ მას დავითაშვილს შევადარებ.

პირველად მარგველაშვილის მიერ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის თაობაზე მისი ხედვის შესახებ საუბარი მაშინ დაიწყო, როდესაც მან განათლების მინისტრის პოსტზე ყოფნისას სასკოლო სახელმძღვანელოების მოსწავლეებისთვის უფასოდ დარიცხების გადაწყვეტილება მიიღო. მაშინ ამბობდნენ, რომ მარგველაშვილი მემარცხენეა და სჯერა, რომ სახელმწიფომ მოქალაქეების სოციალური უზრუნველყოფა თავის თავზე უფრო მეტი ხარისხით უნდა აიღოს. ამ დროს, მარგველაშვილის პოზიციას პროსახელისუფლებო პოლიტიკური ექსპერტი გია ხუხაშვილიც კი უპირისპირდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ მარგველაშვილმა „ქართული ოცნების“ მიერ შემოთავაზებულ ცვლილებებს შრომის კოდექსში „როზა ლუქსემბურგის ოცნება“, ანუ კომუნისტური ინიციატივა უწოდა. ამ დროს, მარგველაშვილისგან მკვეთრად

განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა, რომელმაც შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებები ერთმნიშვნელოვნად დადებითად შეაფასა.

თავად მარგველაშვილი კითხვაზე – უფრო მეტად მემარცხენეა, თუ მემარჯვენე, პასუხობს, რომ უფრო მეტად მემარცხენეა. ამავე დროს მიანიჩა, რომ ეს საკითხი კონტექსტურია და „კრიზისის მენეჯმენტის“ პირობებში სხვადასხვანაირად შეიძლება გადაწყდეს. ეს პოზიცია, პრინციპში, შეიძლება არ განსხვავდებოდეს ბაქრაძის ან ბურჯანაძის პოზიციებისგან და შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც ოდნავ მარცხნისკენ გადახრილი ცენტრისტული. მართალია, „ქართული ოცნების“ და ახლანდელი ხელისუფლების სხვა წევრებს (მაგალითად, იმავე წულუკიანს) ამ საკითხზე გაცილებით უფრო თანმიმდევრული პოზიცია აქვთ, ვიდრე მარგველაშვილს, მაგრამ, საერთო ჯამში, აქაც მარგველაშვილის პოზიცია „ქართული ოცნების“ ოფიციალურ პოზიციას ემთხვევა.

ამ საკითხზე „ქართული ოცნების“ ოფიციალური პოზიციისგან განსხვავებული პოზიცია აქვს კობა დავითაშვილს, რომელიც დამოუკიდებელ კანდიდატად

იყრის კენჭს. დავითაშვილი მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკა არასაკმარისად მემარცხენეა. პირველად დავითაშვილის განსხვავებული დამოკიდებულება ეკონომიკური საკითხების მიმართ მაშინ გამოჩნდა, როდესაც მან ჯანდაცვის სამინისტროს პოზიცია – სადაზღვევო კომპანიებისთვის სახელმწიფო პროგრამების გარეშელების თაობაზე – გააპროტესტა და სადაზღვევო კომპანიებს „წურბელები“ უწოდა. თუ ოდესმე მარგველაშვილსა და დავითაშვილს, ან ერთდროულად რამდენიმე საპრემიუმო კანდიდატს შორის დებატები შედგება, ეს განსხვავებას აუცილებლად წინა პლანზე გამოვსად და მარგველაშვილს სოციალურ-ეკონომიკურ თემებზე თავისი პოზიციის დაფიქსირებას უფრო მკვეთრად მოუწევს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მარგველაშვილის პოლიტიკური პროფილის დასახასიათებლად გამოვსადგება, არის მისი დამოკიდებულება საჯარო პოლიტიკის მიმართ. აქ მარგველაშვილს ჰქონდა როგორც ჩაგარდნები, ასევე წარმატებები. წარუმატებლობებიდან სამს გამოვყოფდი: აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის შეჩერებას, გამომცემლობებთან კონფლიქტსა და დეგალის კონცეფციის მივიწყებას.

აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმება მას შემდეგ მოხდა, რაც განათლების სამინისტრომ უნივერსიტეტის ინსპექცია ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტში გარკვეული (ძირითადად, ტრივიალური) დარღვევები არსებობდა. განათლების სამინისტრო და განათლების მინისტრი მარგველაშვილი თავს იმით იმართლებდნენ, რომ პროცედურულად და სამართლებრივად ყველა ნორმა წესრიგში იყო, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას მაინც მიენიჭა პოლიტიკურად მოტივირებულის იარაღი. მიზეზი ის გახლდათ, რომ მსგავსი შემოქმედა არც ერთ სხვა ისეთ ავტორიზებულ უნივერსიტეტში არ ჩატარებულა, რომლებზეც დარღვევების



არსებობის ისეთივე საფუძვლიანი ეჭვი შეიძლება ყოფილიყო, როგორც აგრარული უნივერსიტეტის შემთხვევაში.

უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმებას საზოგადოების მხრიდან ხმაური მოჰყვა. თავიდან მარგველაშვილი დათმობას არ აპირებდა, მაგრამ მოგვიანებით – გაიაზრა რა, რომ შეცდომა დაუშვა – განაცხადა, რომ „ბენდუქიძეს პოლიტიკურ დევნილად თავის წარმოჩენა არ გამოუვალი“. უნივერსიტეტს ავტორიზაცია რამდენიმე კვირაში აღუდგინეს.

მეორე შემთხვევა მარგველაშვილის დავას შეეხება სახელმძღვანელოების გამოცემვებთან. აქ ყველაფერი სამართლებრივი პროცედურების დაცვით მიმდინარეობდა, თუმცა მარგველაშვილმა გადაწყვეტილება ძალზე სწრაფად მიიღო და გამოცემვებებს სულის მოსათქმელი დრო და საშუალება არ მისცა. რა თქმა უნდა, ნაბიჯი პოპულარული და გამართლებული აღმოჩნდა, მაგრამ თვითონ შესრულება საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა გააპროტესტა.

მესამე და, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ჩავარდნა დვალის კონცეფციის დავიწყება იყო. ივანიშვილის ერთ-ერთი მთავარი დაპირება შეეხებოდა უნივერსიტეტების დამოუკიდებლობისა და უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებას. დასავლეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი ფიზიკოსის, ვია დვალის, ხელმძღვანელობით შექმნილ კომისიას უნდა შეემუშავებინა პროექტი, რომლითაც მოხდებოდა უმაღლესი განათლების სისტემის საფუძვლიანი რეფორმირება და უნივერსიტეტების ავტონომიის უზრუნველყოფა. სამწუხაროდ, დვალის კონცეფციამ წინ ვერ წაიწია და განათლების სამინისტროსაც მის განსახორციელებლად ნაბიჯები არ გადაუდგამს. ვია დვალის თქმით, კონცეფცია სამოქმედო გეგმად იმიტომ ვერ გადაიქცა, რომ მასსა და ხელისუფლებას შორის კომუნიკაციის ნაკლებობა იყო. მარგველაშვილი ამ კომუნიკაციის ნაკლებობას დვალის საზღვარგარეთ

## მარგველაშვილი ნაკლებს ფიქრობს მასსა და ოპონენტებს შორის არსებულ განსხვავებებზე და მთავარ ბათვლას ივანიშვილის პოლიტიკურ კაპიტალზე აკეთებს.

ყოფნასა და კოალიტაციის რეჟიმს აბრალებს. მაგრამ ფაქტია, რომ თავად განათლების სამინისტრო ამ ინიციატივას მაინცდამაინც არ ლობირებდა.

მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ ჩავარდნები გამოვყავი, მაგრამ მარგველაშვილის მინისტრობის დროს გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც განათლების სისტემის გასაუმჯობესებლად. მარგველაშვილის დროს მოხდა ის, რომ ბაკალავრიატის 14 მიმართულება (მათ შორის, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ინჟინერია და აგრონომია) მთლიანად დაფინანსდა სახელმწიფოს მიერ. ასევე, დოქტორანტურაში სწავლა უფასო გახდა და გამოსწორდა უთანასწორობა ადმინისტრაციის წევრებისა და პროფესორების ხელფასებს შორის (ადრე ადმინისტრაციას უფრო მაღალი ხელფასი ჰქონდა). ეს ყველაფერი – განსაკუთრებით კი უფასო პროგრამების ინიციატივები – სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განათლების სისტემისთვის.

საერთო ჯამში, მარგველაშვილი აღმოჩნდა მინისტრი, რომელმაც მოახერხა გარკვეული მნიშვნელოვანი ინიციატივების განხორციელება, მაგრამ ამავე დროს, რამდენიმე კრიტიკულ სიტუაციაში, სასწორზე დააყენა თავისი და მთლიანად სახელისუფლებო გუნდის რეპუტაცია (განსაკუთრებით, აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმების დროს).

ყველაფერი რომ შევაჯამოთ, ისეთ სურათს ვიღებთ, რომ მარგველაშვილი ნაკლებს ფიქრობს მასსა და ოპონენტებს შორის არსებულ განსხვავებებზე და მთავარ გათვლას ივანიშვილის

პოლიტიკურ კაპიტალზე აკეთებს. მისი პოზიციები როგორც საგარეო პოლიტიკის საკითხებთან, ასევე სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებთან მიმართებით ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია და საკმარისად გამოკვეთილი არ არის (და ამას თვითონაც არ უარყოფს). ზემოთქმულს თუ დავუმატებთ იმასაც, რომ საჯარო თანამდებობაზე მუშაობის დროსაც არასტაბილურ მინისტრად წარმოაჩინა თავი, ვიღებთ პრეზიდენტობის კანდიდატს, რომელსაც, ღირსებებთან ერთად, თან სდევს გაურკვეველობა და უსიამოვნო ჩავარდნის მუდმივი მოლოდინი. შეიძლება ითქვას, რომ მარგველაშვილი დღეს ისეთივე გაურკვეველი კანდიდატურაა, როგორი გაურკვეველიც არის დღევანდელი „ქართული ოცნება“ როგორც კოალიცია (და როგორი გაურკვეველიც არის ზოგადად თანამედროვე ქართული პოლიტიკა). ამ მხრივ, გასაკვირი არც ისაა, რომ ეგზისტენციალურ გაურკვეველობაში მყოფმა ბიძინა ივანიშვილმა სწორედ მარგველაშვილი აირჩია საპრეზიდენტო კანდიდატად და არა ვინმე უფრო მეტად გამოკვეთილი პრეფერენციების მქონე პოლიტიკოსი (მაგალითად, ვინმე რესპუბლიკელი ან კონსერვატორი). შესაძლოა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ასეთმა პოლიტიკურმა ფიგურამ უფრო მეტად შეძლოს გაჩენილი პოლიტიკური განსხვავების შერბილება და რადიკალური პოზიციების განეიტრალება. ან პირიქით, შეიძლება პრორუსულ ძალებთან ღიად და მკაფიოდ დაპირისპირების საკითხში მისმა ინერტულობამ ქვეყნის დასავლურ საგარეო ვექტორს საფრთხე შეუქმნას. **F**

# სოდვილი ქალაქის უპანასკნელი მხსნელი

შოუებიდან ატრაქციონის პარკებამდე ლას-ვეგასი ყოველთვის პოულობდა გზას სცენაზე დასაბრუნებლად. ახალი თეთრი რაინდი: მილიონდოლარიანი დი-ჯეები მეგალამის კლუბებს ატრიალებენ.

ავტორი: რაიან მაკი და ზაკ ო'მელი პრინსტონი



**ფოტოზე:** Hakkasan-ი და სხვა „სუპერკლუბები“ განაპირობებენ ვეგასში მოთამაშეების დაბრუნებას – და ისეთი დი-ჯეების ხელში ჩასაგდებად გამართულ ომს, როგორებიც კალვინ ჰარისი და ტიესტო არიან.

**დ**ილის 1:30. ლას-ვეგასში კვირადღე დგება, ნილ მოფიტს კი ერთი წვითი არ ჩასვლია პირში. მისი 3000 სტუმარი, რომელიც Hakkasan-ის 80 000 კვადრატული ფუტის ფართობის მქონე ღამის კლუბების კომპლექსში (რომლებსაც მოფიტი უწევს ზედამხედველობას) სტრობოსკოპული სინათლის სხივებზე ირხევა, კიდევ სხვა ისტორიაა. არყით, რვედ ბულით და კიდევ ვინ იცის, სხვა რა სასმელებით გაუღწეოთლები ხტიან და ტრიალებენ კალვინ ჰარისის ბოლოდროინდელი ელექტრონული მუსიკის ნარევეზე. კალვინ ჰარისი ის დი-ჯეი გახლავთ, რომელმაც გასულ წელს 46 მილიონი დოლარი მიიღო, ანუ უფრო მეტი, ვიდრე დერეკ

იეტერმა და კენიე უესტმა ერთად აღებულმა. მოფიტისთვის 300 000 დოლარის გადახდა, რომელსაც, როგორც ჩანს, ჰარისი ამ ერთ ღამეში მისგან მიიღებს, ნამდვილად გამართლებულია. ის ისეთივე „ერთ სულზე მათემატიკას“ იყენებს, რომელსაც ლას-ვეგასში მოთამაშეებთან დაკავშირებით იყენებენ: სტუმრები – გარდა რამდენიმე VIP-ისა და მიმზიდველი ახალგაზრდა ქალბატონებისა – ალბათ 50 დოლარს მხოლოდ კლუბში შესასვლელად გადაიხდიან, 100 დოლარს კი – სასმელებში. მოფიტს საკუთარი მაღალი რანგის მოთამაშეებიც ჰყავს: ერთი მუჭა ასეთი სტუმარი 10 000 დოლარს ან უფრო მეტსაც კი დატოვებს კლუბის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მაგიდაზე. „კალვინი პროდუქტია, – ამბობს ის, – რომელიც ჩვენი ბიზნესმოდელისთვის შესაფერისი აღმოჩნდა“.

ეს ფორმულა უახლეს მაღამოს წარმოადგენს „სოდვილი ქალაქის“ ჭრილობების მოსაშუშებლად. სტუმრების რაოდენობა, რაც ვეგასის ქონების მეტრიკის მთავარი მაჩვენებელია, 5%-ით დაეცა 2007 – 2010 წლებში. უარესი ის არის, რომ იმავე პერიოდში სათამაშო ბიზნესის შემოსავალი დაეცა 18%-ით, მაშინ როდესაც ნევეადის ერთჯერადი ოლიგოპოლია იღბლის თამაშებზე აგრძელებს მის განადგურებას და ლას-ვეგასს კვლავ განახლებას აიძულებს. ბაგსი სიგალმა აღიარა, რომ ბრწყინვალეებასა და შოუს შეუძლია უდაბნოს კამათლების ქალაქი მთავარ ტენდენციად აქციოს ქვეყანაში (აზარტულთამაშებიანი ბროდვეი). ასეთ შემთხვევებში საჭირო ხდება მოქნილობა. წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ლას-ვეგასი იქცა ოჯახებისადმი კეთილგანწყობილ თემატურ პარკად (დისნეილენდი აზარტული თამაშებით), რასაც მოჰყვა კომერციულ ცენტრად გადაქცევა (როდო-დრაივი აზარტული თამაშებით). მისი დღევანდელი მხსნელია ღამის კლუბები და ელექტრონული საცეკვაო მუსიკა, მსოფლიოს ზოგიერთ უმდიდრეს ტიტანებთან ერთად, რომლებიც მსხვილ ფსონს ჩამოდიან „იბიცა აზარტულ თამაშებთან ერთად“ ფორმულისთვის.

სტივ უინმა 100 მილიონი დოლარი დახარჯა მის ეპონიმიურ კაზინოში სამეფო გვირგვინის ძვირფასი თვალვით ღამის კლუბის XS-ის გასასხნელად და ახლა კიდევ სამი დამხმარე გასართობი დაწესებულება მუშაობს მის ორ კაზინოში. ისეთ კლუბებში, როგორიცაა Tao შელდონ ედელსონის Venetian-ში და Cosmopolitan-ის Marquee, დღის გარე კლუბებიც მუშაობენ იმისათვის, რომ წვეულების გაგრძელება 24 საათის განმავლობაში იყოს შესაძლებელი. მაისში მილიარდებზე მეტი ბარკლიმ და Cirque du Soleil-ის გაი ლალიბერტემ გახსნეს Light at the Mandalay Bay, გასართობი ცენტრი, რომელიც 25 მი-

ლიონი დოლარი დაჯდა.

მოფიტის მთავარმა სპონსორმა, აბუ-დაბის შეიხმა მონსურ ბინ ზაიდ ალ ნაიანმა 2008 წელს ქალაქ მანჩესტერის საფეხბურთო კლუბი შეიძინა და 100 მილიონ დოლარზე მეტი დააბანდა Hakkasan-ში, რომელიც MGM Grand-ში გაიხსნა Light at the Mandalay Bay-ზე ერთი თვით ადრე. ქვეყნის უდიდესი, ყველაზე ძვირად ღირებული კლუბი მოიცავს დაკიდებულ სცენას მოცეკვავეებისთვის, იატაკიდან ჭურამდე სიდიდის LED-ის ეკრანებსა და ორსართულიან ჩანჩქერს.

მაშინ როდესაც კლუბში თავმოყრილი ბრბო მთლიანად იმდენსაც კი არ ხარჯავს, რასაც სათამაშო ავტომატების ხშირი სტუმრები და კამათლების მოთამაშეები ხარჯავენ, ელექტრული მუსიკის სცენა, როგორც ჩანს, გამართლებული ცდუნებაა. წელს ვეგასი, პირველად მისი ისტორიის მანძილზე, სავარაუდოდ, 40 მილიონ სტუმარს მიიზიდავს იმ 115 000-ის ჩათვლით, რომლებიც დი-ჯეის მიერ მართულ სამდიან Electric Daisy Carnival-ს დაესწრნენ ივნისში. „ვერ იპოვით ისეთ გასართობს ან ღონისძიებას, კაზინოში რომ არ ჰქონდეს ადგილი. არა მგონია, ვინმეს ამ ქალაქში მართლა სცოდნოდა, რომ ელექტრული მუსიკა ასე გაამართლებდა“, – ამბობს MGM Grand-ის პრეზიდენტი სკოტ სიბელა.

მოფიტს სულ რამდენიმე კლუბის მმართველად ჰქონდა ნამუშევარი ცენტრალურ ინგლისში, სანამ საფესტივალო ბიზნესში მოხვედებოდა, რომლის უდიდესი ნაწილიც Live Nation-მა იყიდა 2005 წელს. იმ დროისთვის, ვიდრე

MGM-ს კლუბ Hakkasan-ის გასახსნელად ადგილის გაქირავებაში დაარწმუნებდა, იგი უკვე ლას-ვეგასში იყო გადასული და განსაზღვრული წარმატებითაც სარგებლობდა. ამ კლუბის გახსნამ დააჩქარა ტალანტებისთვის ომის გაჩაღება, რადგან კლუბები კარგად იხდიან ისეთ ცდუნებაში, რაც დამტკიცებულია, რომ ამართლებს, რათა დაიკვან საკუთარი ინვესტიციები, რაც ისეთების წისქვილზე ასხამს წყალს, როგორცაა ჰარისი, ტიესტო (32 მილიონი დოლარი გასულ წელს) და დევიდ გეტა (30 მილიონი). კაზინოები ბუკს უკრავენ ძვირად ღირებულ დი-ჯეებს მთელ ლას-ვეგასში ისეთივე სიამოვნებით, როგორც თავის დროზე რეკლამას უკეთებდნენ Rat Pack-სა და ილუზიონისტებს: ზიგ-რიდსა და როის.

„როდესაც Hakkasan-ი ბაზარზე გამოჩნდა, იგი მოულოდნელად დაგვესხა თავს და გაცილებით მეტი თანხა შესთავაზა ჩვენს არტისტებს, ვიდრე ჩვენ ვთავაზობდით“, – ამბობს შონ კრისტი, რამდენიმე Wynn კლუბის უფროსი პარტნიორი. ნიკ „Afrojack“ ვან დე ული, დი-ჯეი, რომელსაც იოლად შეუძლია მიიღოს ღამეში 100 000 დოლარი, ამბობს, რომ Hakkasan-მა მას მის ჩვეულებრივ ჰონორარზე ორჯერ მეტი თანხა შესთავაზა, მაგრამ იგი მაინც XS-ში დარჩა, რადგან არ სურდა „ყველაფრის თავიდან დაწყება“ (რა თქმა უნდა, მისმა ჰონორარმა კონკურენტული მატება“ განიცადა იმისათვის, რომ კლუბში დარჩენილიყო).

მაშ, სანამ დი-ჯეები სარგებელს იღებენ, როგორ გააქვთ თავი ამ ძვირად ღირებულ სუპერკლუბებს? მოფიტი, რომელიც ძალიან თავმდაბალია, როდესაც საქმე რიცხვებს ეხება, ამბობს, რომ ისინი „მნიშვნელოვნად“ უსწრებენ წინ ბიუჯეტს. FORBES-ის შეფასებით კლუბმა 100 მილიონი დოლარი მიიღო პირველი 12 თვის განმავლობაში დაახლოებით 20%-იანი მოგებით. ამ ტემპით Hakkasan-ს ხუთი წელი დასჭირდება საკუთარი კაპიტალდაბანდების ამოსაღებად. მანამ კი კლუბს შეუძლია გახურებული იყოს ერთთვიანი ბაზრის გემოთი.

მაგრამ ახალი ბუმი ხალხს კვლავ ვეგასში აბრუნებს – და იმ შემთხვევაშიც კი, თუ Hakkasan-ი გაჭირვებით მიაღწევს ისეთ მდგომარეობას, როდესაც არც მოგება ექნება, მაგრამ არც წაგებაში იქნება, მისი ინვესტორები თავიანთ მოგებას მაინც ამოიღებენ ბრენდის გაფართოებით – მათ უკვე აქვთ კლუბების, რესტორნებისა და ბუტიკი სასტუმროების გახსნის გეგმა მთელ მსოფლიოში.

„მა ძალზე კირკიტა ხასიათის ადამიანი ვარ, – ამბობს მოფიტი და ფხიზლად სვამს Starbucks-ის დაბალკაბიანი ლატეს პატარა ყლუბებით, რაც მისი ერთადერთი ვეგასური სისუსტეა. – ან მთლიანად ვიღებ მონაწილეობას რაიმეში, ან საერთოდ არ ვმონაწილეობ.“

„მა ძალზე კირკიტა ხასიათის ადამიანი ვარ, – ამბობს მოფიტი და ფხიზლად სვამს Starbucks-ის დაბალკაბიანი ლატეს პატარა ყლუბებით, რაც მისი ერთადერთი ვეგასური სისუსტეა. – ან მთლიანად ვიღებ მონაწილეობას რაიმეში, ან საერთოდ არ ვმონაწილეობ.“

## ბენდენცია



რაზე საუბრობს Forbes.com-ის 48 მილიონი მომხმარებელი? ამის უკეთ გასარკვევად თვლით გადაავლეთ ქვემოთ მოცემულ ტექსტს ან აკრიფეთ შემდეგი მისამართი:

[FORBES.COM/INVESTING](http://FORBES.COM/INVESTING)

### კომპანია

### INDIAN-ის მითოსიკლიბები

შეტყობინება მკვდრეთით აღმდგარი საგზაო კლასიკის შესახებ 370 000 მნახველს იზიდავს – ეს კი ჯანსაღი სამომხმარებლო ინტერესის მაჩვენებელია მწარმოებელი Polaris-თვის

### პირთხემა

### მარი მარაპოვა

მსოფლიოს ნომერი მესამე ჩოგანი კვლავ პლანეტის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მდებარეობით სექსის ათლეტია. ჩოგბურთელებმა წარმატებით დაიკავეს 10-დან 7 საუკეთესო ადგილი.

### ინსტრუმენტი

### სადამფრვო გაცემები

რამდენად იმპულსური ObamaCare-ის წარდგენა ახლოვდება – 1 ოქტომბრამდე თითქმის არაფერი რჩება, მკითხველები ინტერნეტს შტატიდან შტატში გარდამავალი ინფორმაციის მოსაპოვებლად ეტანებიან.

**„ქეშის“ ელექტრონული მეფეები**

მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი დი-ჯეები ლას-ვეგასში და მის გარეთ საცეკვაო მუსიკის ბუმით მიღებული ჯილდოების მოსავალს იმკვიან.

DJ	მასშტაბი (წლიური)
1. კალვინ ჰარისი	\$46
2. ტიესტო	32
3. დევიდ გეტა	30
4. სკვილიშ ჰაუს მარია	25
5. დედბაუს	21


SOURCES: SONICKS, POLLSTAR, AGENTS, MANAGERS, PROMOTERS, DJs.



# დამხმარე პილოტი – დიდი ძმა

მძღოლებს შეუძლიათ უფრო იაფფასიანი სადაზღვევო პოლისი შეიძინონ თუ სადაზღვევო კომპანიებს უფლებას მისცემენ, რომ მონიტორინგი გაუწიონ მანქანას. რა მოხდება მაშინ, თუ მიღებულ მონაცემებს მძღოლების წინააღმდეგ გამოიყენებენ?

ავტორი: ალან ტანერი



წარმოიდგინეთ, რომ საკმაოდ კარგი მძღოლი ხართ. სირქარეს არ აჭარბებთ, ყოველთვის საჭირო დისტანციას ინარჩუნებთ და იშვიათად გადახართ მანქანით გვიან ღამე. თქვენ იდეალური კანდიდატი ხართ ტელემეტიკური მოწყობილობისთვის. ისევე როგორც თვითმფრინავის შავი ყუთი, ეს მოწყობილობა აგროვებს წამობრივ მონაცემებს ავტომობილის მოქმედების შესახებ და საშუალებას აძლევს სადაზღვევო კომპანიას, ფრთხილად მოსიარულე მძღოლებს უფრო დაბალი ფასები შესთავაზოს.

მეორე მხრივ, წარმოიდგინეთ მძღოლი, რომელიც სირქარის გადაჭარბების მოყვარულია. მას უყვარს ღამღამობით მანქანით სიარული, უეცრად დამუხრუჭება და მისი ავტომობილის ზღვრული სირქარეების მოხიზვა. მასაც შეუძლია ტელემეტიკური მოწყობილობის დაყენება ინსტრუმენტების პანელზე ისეთი სადაზღვევოსაგან, როგორცაა Progressive-ი. აქამდე აშშ-ის ამ ტელემეტიკურ პიონერს არ დაუჯარიმებია მძღოლები ამ მოწყობილობის საშუალებით. მაგრამ სულ მალე იგი ამას გააკეთებს.

„მომავალ წელს ალბათ ისეთ მოდელზე გადავალოთ, რომლის საშუალებითაც უფრო მეტი კლიენტისთვის შევძლებთ ფასდაკლების შეთავაზებას. ალბათ ჩვენი კლიენტების დაახლოებით 80% მიიღებს ფასდაკლებას, მაგრამ შემდეგ ზოგიერთს ცოტათი მეტის გადახდა მოუწევს“, - თქვა დევიდ პრატმა, Progressive-ის სადაზღვევო სისტემა

„გადაიხადე, როგორც მართავ“-ის გენერალურ-მა მენეჯერმა. კომპანია დააწესებს დამატებით გადასახადს, შესაძლოა, სადაზღვევო პოლისის 10%-ს, თქვა მან. „არავინ არაფერიც რომ არ გადაიხადოს დამატებით, შენ მაინც მოგიწევს გადახდა ავტომობილის ცუდი მართვისთვის“, მთლიანობაში, უფრო მაღალი სადაზღვევო მოთხოვნების შესაბამისად.

სხვადასხვა სახის კომპანიები რეგულარულად ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ინფორმაცია მომხმარებლების შესახებ და შემდეგ ხშირად ყიდნიან მათ შესაბამისი უფლების აღების გარეშე. მომხმარებლები ჩვეულებრივ არაფერს იღებენ სანაცვლოდ. ამისგან განსხვავებით ტელემატიკური დაზღვევა არჩევანს სთავაზობს კლიენტებს, რომელიც ნამდვილ სარგებელს უქადის მათ. მას შემდეგ, რაც 1998 წელს Progressive-მა (რომელიც არ ყიდის მონაცემებს) დაიწყო თავისი პირველი სამონიტორინგო მოწყობილობების შეთავაზება კლიენტებისთვის, პროგრამა 1,8 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა წლიური სადაზღვევო შენატანების მიხედვით, რაც კომპანიის შემოსავლების 10% შეადგენს. პროგრამა გამოცადა 1,4 მილიონ მძღოლზე მეტმა და ახალი კლიენტების მიახლოებით ერთმა მესამედმა აირჩია იგი. იმ კლიენტების დაახლოებით ორ მესამედს, რომლებმაც ეს პროგრამა აირჩიეს, ბოლოს ფასდაკლება გაუკეთდათ, ჩვეულებრივ 150 დოლარის ოდენობით, რაც დაახლოებით, პოლისის ღირებულების 10-15 პროცენტს შეადგენს. Allianz Telematics-ის გენერალური დირექტორის, ჟაკ ამსელემის, მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აშშ-ის სხვა სადაზღვევო კომპანიებმა, State Farm-ისა და Allstate-ის ჩათვლით, ტელემატიკური დაზღვევა შემოიღეს და ორმა მილიონმა ევროპელმა მძღოლმა გადაწყვიტა ამ გზას დასდგომოდა. მისი კომპანია ტელემატიკურ სადაზღვევო პოლისებს ათ ევროპულ ბაზარზე ყიდის. ABI Research-ის თანახმად, 2017 წლისთვის, მთელ მსოფლიოში ტელემატიკური ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მძღოლების რიცხვი, 2010 წლის მონაცემებით არსებული 1,85 მილიონიდან 89 მილიონამდე გაიზარდება,

აქამდე სადაზღვევო კომპანიებს არ სურდათ პირველი კლიენტების ჯარიმებით დაშინება, მაგრამ მალე იძულებულნი გახდებიან ჯარიმები შემოიღონ იმისთვის, რომ ალტურვილობის, მომსახურებისა და ფასდაკლებების სუბსიდირება მოახდინონ უსაფრთხო მძღოლებისთვის. „ცუდ მძღოლებს როდისმე მაინც შეექმნებათ მართვის გამოსწორების ან გადასახადთან შეგუების აუცილებლობა იმ რეალური საფრთხის გამო, რომელსაც თავად წარმოადგენენ“, - ამბობს ამსელემი. ცუდი მძღოლები, როგორც ჩანს, შეგნებულად არასდროს აირჩევენ უმაღლეს გადასახადს, მაგრამ ადამიანები, როგორც წესი, ვერ ხვდებიან, თუ როგორი მძღოლები არიან. „ყველა, ვინც კი საკუთარ თავს კარგ მძღოლად მიიჩნევს, მართლა კარგი მძღოლი როდია“, - თქვა ამსელემმა.

ბრიტანული სადაზღვევო კომპანია Insure the Box-ი რისკის გარეშე მუშაობს. მისი პოლისები მოითხოვს პროფესიონალური წესით დაყენებულ მრიცხველებს, რომლებიც ავტომობილებში პოლისების მოქმედების მთლიანი ვადის მანძილზე რჩება. ეს მრიცხველები ათობით მონაცემს იჭერს, მათ შორის იმასაც, როდესაც ავტომობილის გვერდით სივრცე დაკავებულია ან როდესაც მანქანა მოულოდნელად შემოტრიალდება. 17-დან 21 წლამდე ასაკგაზრდებისთვის საშუალოდ 3600 დოლარამდე დაწესებული წლიური გადასახადებით ამ მოწყობილობას შეუძლია კარგ მძღოლებს ბრიტანეთში 1500 დოლარი დააზოგვინოს. კომპანიას 100 000 მომხმარებელი ჰყავს. გენერალური დირექტორი მაიკ ბროკმანი ამბობს, რომ ცუდი მძღოლები ჩვეულებრივ ამგვარ სადაზღვევო პოლისს არ ყიდულობენ. „თუ ვხედავთ კიდევ, რომ ასაკგაზრდა მამაკაცი მძღოლები ყოველგვარი სიფრთხილის დაცვის გარეშე მართავენ ავტომობილს, არ ვაუქმებთ პოლისს, არამედ მათ ერთდღიან უფასო სწავლებას ვთავაზობთ მართვის სკოლაში, რათა შევავანებინოთ, რომ ავტომობილი საშიში სატრანსპორტო საშუალებაა, რომელსაც ადამიანების მოკვლა შეუძლია, თავად მძღოლის ჩათვლითაც კი“. ეს კი, შეიძლება, ყველაზე ძლიერმოქმედი ინფორმაცია აღმოჩნდეს ყველა სხვა მონაცემთა შორის. **F**

**მოწყობილობები**

**TILE**



უბრალოდ მიამაგრეთ ერთ-ერთი ასეთი ციფქნა პლასტიკური Bluetooth-ით ალტურვილი ოთხკუთხა მოწყობილობა თქვენს ლეპტოპს, ტელეფონს, ხელჩანთას ან კატას და იმის შანსი, რომ აღარ დაკარგავთ თქვენს კუთვნილებას (და გონებას) უსაზღვროდ გაიზრდება. ელემენტები არ ესაჭიროება; კომპანია შეგახსენებთ, რომ ის უნდა გამოცვალოთ ერთი წლის შემდეგ. Tile-ის აპლიკაცია იყენებს GPS-ს ნივთის ბოლო ადგილმდებარეობის შესანახად და გატყობინებით, როდის უახლოვდებით მას (50-დან 150 ფუტამდე არეალში). ეს მოწყობილობა მუშაობს iOS სისტემის მქონე თითქმის ყველა მექანიზმთან. ერთი ასეთი მოწყობილობის ღირებულება 18,95 დოლარია.

# მომავლის ტექნოლოგიები ტელემაუწყებლობაში

2025 წლისათვის გაყიდული ტელევიზორების თითქმის ნახევარს UHD ხელმისაწვდომობა ექნება და, გლობალური მასშტაბით, ოჯახების ერთი მეოთხედი, სულ მცირე, ერთი UHD TV-ის მფლობელი გახდება.

ავტორი: ანა ცხომერაბოვა



მათ შორის SAT>IP-სა და Ultra-HD სერვისების დემონსტრაციას მოიცავდა.

SAT>IP ინიცირება როგორც სატელიტური სიგნალის გავრცელება ინტერნეტპროტოკოლის მეშვეობით (Satellite Signal Distribution via IP) და წარმოადგენს რევოლუციურ ტექნოლოგიას სატელიტური სიგნალის ნაკლებდანახარჯიანი გავრცელებისათვის სახლის ან კერძო ინტერნეტპროტოკოლის ქსელების მეშვეობით. SAT>IP ეფექტიანად გარდაქმნის სატელევიზიო სიგნალს სატელიტური სტანდარტიდან (DVB-S ან DVB-S2) ისეთ სტანდარტზე,

13-17 სექტემბერს, ამსტერდამში, IBC-ის (International Broadcasting Convention) ყოველწლიურ ღონისძიებაზე გასართობი და საინფორმაციო კონტენტის შემქმნელებმა, მენეჯერებმა და მიმწოდებლებმა მოიყარეს თავი. 50 000-ზე მეტი ადამიანი 160-ზე მეტი ქვეყნიდან სექტემბრის შუა რიცხვებში ამსტერდამში იმისთვის ჩავიდა, რათა ღონისძიების ფარგლებში გამართულ კონფერენციებს დასწრებოდა და, რაც მთავარია, ელექტრონული მედიის დარგში 1 400-ზე მეტი წამყვანი კომპანიის მიერ შეთავაზებულ ტექნოლოგიურ სიახლეებს გასცნობოდა.

სატელიტურმა ოპერატორმა, SES-მა ამსტერდამში საზოგადოებას გამოუჩინა – Shaping the Future – შესთავაზა, რომელიც უკანასკნელი თაობის სატელიტური და სამაუწყებლო ტექნოლოგიებისა და სატელიტური ოპერატორის უახლესი სერვისების,

რომელიც ინტერნეტმოწყობილობებისთვისაა შესაფერისი. მნიშვნელოვანია, რომ SAT>IP შესაძლებლობას იძლევა, სატელიტური ტელევიზია ხელმისაწვდომი იყოს ისეთ მოწყობილობებზეც კი, რომლებსაც არ გააჩნიათ ინტეგრირებული სატელიტური რესივერი.

სიგნალის მიწოდების პროცესი შემდეგნაირად გამოიყურება: სატელიტიდან DVB-S/S2 სიგნალი მიეწოდება SAT-IP სერვერს, რომელიც გარდაქმნის მას IP სიგნალად და შემდეგ IPTV სიგნალის სახით ანაწილებს ნებისმიერი ტიპის ინტერნეტპროტოკოლის ქსელზე – WiFi, ჩვეულებრივ საკაბელო ინტერნეტზე, ან ოპტიკურ-ბოჭკოვან ინტერნეტქსელზე SAT>IPClient-ებისათვის. იქ, სადაც SAT>IP ხელმისაწვდომია, ნებისმიერი IP მოწყობილობა ავტომატურად იღებს სატელიტურ სიგნალს – პლანშეტი, პერსონალური კომპიუტერი, სმარტფონი, ლეპტოპი,

ტელევიზორები, სათამაშო მოწყობილობები, მედიკამენტები და ა.შ. თუმცა ბევრი მოწყობილობა სიგნალის მისაღებად ხშირად პროგრამული უზრუნველყოფის განახლებას, ან სპეციალური აპლიკაციის ინსტალირებას საჭიროებს.

ამგვარად, SAT>IP-ის მეშვეობით, ერთ სივრცეში მყოფ რამდენიმე ადამიანს შეუძლია, უყუროს ტელეპროგრამებს სხვადასხვა მოწყობილობით, სხვადასხვა ეკრანზე ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე და, რაც მთავარია, ერთნაირად მაღალი ხარისხის სიგნალით, მაშინ როცა, დღეისათვის, პირდაპირ ეთერში სატელევიზიო კონტენტის ყურება ინტერნეტთან მიერთებული მოწყობილობებით უმრავლეს შემთხვევაში დაბალი ხარისხითაა შესაძლებელი. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ SAT>IP, გარდა გარე მოწყობილობების ღირებულებისა, მაცურებლისათვის არანაირ დამატებით ხარჯს არ გულისხმობს. მას უფასოდ მიეწოდება ის ტელეარხები და პროგრამები, რომლებიც უფასოდ ვრცელდება ეთერში.

ის, თუ რამდენი პროგრამის ტრანსმისიაა შესაძლებელი პარალელურ რეჟიმში, დამოკიდებულია IP ქსელის სიჩქარეზე. თუკი ავიღებთ ყველაზე მცირეს (საკაბელო ინტერნეტისათვის), 100 მბიტ/წმ სიჩქარეს, შესაძლებელია, სულ მცირე, 8 HD არხის ან 25-დან 30-მდე SD არხის ერთდროულად მიღება.

SES-მა ამსტერდამის კონფერენციის ფარგლებში საზოგადოებას ამცნო, რომ SAT>IP მოწყობილობა და პროგრამული უზრუნველყოფა ბაზარზე უკვე არსებობს. ისეთმა მწარმოებლებმა, როგორც არიან - Inverto, Telestar-ი, Schwaiger-ი და Grundig Satellite Systems-ი (GSS) უკვე წარადგინეს პირველი პროტოტიპები. ლუქსემბურგში მდებარე კომპანიის SAT>IP სერვერის სერტიფიცირება SES-მა უკვე განახორციელა და პროდუქტი ხელმისაწვდომია Telestar-ის ბრენდის სახელით.

რაც შეეხება მეორე ინოვაციურ სერვისს, რომელიც SES-მა ამსტერდამში წარადგინა, ეს არის Ultra-HD. კონფერენციაზე ითქვა, რომ HD სტან-

დარტი დროთა განმავლობაში პროგრესირებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ 2011 წლიდან დღემდე ამ სტანდარტის არხები მუდმივად იზრდება და ნავარაუდევია, რომ მომავალი ათი წლის განმავლობაში მათი რაოდენობა 19%-ით მოიმატებს. ამ გათვლებზე დაყრდნობით, სატელევიზიო ოპერატორი ვარაუდობს, რომ UHD არხების საერთო რაოდენობა 2025 წლისათვის 1000-ს გადააჭარბებს, რამდენადაც ამ პერიოდის განმავლობაში ძირითად სპორტულ მოვლენებს ოპერატორები UHD არხებით დაინტერესების დონის გასაზრდელად გამოიყენებენ.

სტატის - „ულტრამაღალი დეფინიცია: შემდგომი თაობა მაღალრეზოლუციური კონტენტისათვის“ - თანახმად, 2012 წელს საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების გაერთიანებამ (ITU) ორი ახალი სტანდარტის რატიფიცირება მოახდინა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად - UHD-1-ის and UHD-2-ის. ორივე სტანდარტი დღეისათვის არსებული 1920x1080-პიქსელიანი Full HD (FHD; 2K)-ის რეზოლუციის ფორმატის გაფართოებას წარმოადგენს: UHD-1 ვერტიკალური და ჰორიზონტალური რეზოლუციით 3840x2160 პიქსელი და UHD-2 კიდევ უფრო მეტი გაფართოებით 7680x4320 პიქსელამდე.

2025 წლისათვის გაყიდული ტელევიზორების თითქმის ნახევარს UHD ხელმისაწვდომობა ექნება და, გლობალური მასშტაბით, ოჯახების ერთი მეოთხედი, სულ მცირე, ერთი UHD TV-ის მფლობელი გახდება.

დღეისათვის SES-ი UHD სერვისის ერთ-ერთ გამოწვევად მიიჩნევს უმაღლესი ხარისხის შენარჩუნების საკითხს ყველა იმ ახალ მოწყობილობაზე, რაც ერთ ჩვეულებრივ ოჯახში შეიძლება შეგვხვდეს. აქედან გამოსავალი კი მეორე, ასევე ინოვაციურ სერვისში, SAT>IP-ში მდგომარეობს: ის DVB-S/S2 სიგნალს IP სიგნალად გარდაქმნის ისე, რომ გამოსახულება უმაღლესი ხარისხის რეზოლუციას არ დაკარგავს. პრობლემაც გადაჭრილია. **F**

## სტატისტიკურად:

- **თეთრიპური სისტემები** 4K

UHD-ის გაშვებისათვის მზად 2016/2017 წლებისათვის იქნება და როგორც მოსალოდნელია, სერვისის მასობრივ კომერციულ ბაზარს 2022/2023 წლებისთვის მოიპოვებს.

- **2020 წლისათვის**, 213 UHD

არხი იარსებებს, რომელსაც 140 მილიონი ტელემაყურებელი ეყოლება თითოეულ ოჯახში სულ მცირე ერთი UHD TV-ითა და 50 მილიონზე მეტი დაინსტალებული UHD set-top box-ით (STBs).

## ინისათვის, რომ ცხადი გახდეს, რა განარჩევს UHD-ს ჩვეულებრივი სტანდარტისაგან, საკმარისია თვალი გადავაკვლოთ რეზოლუციის არსებულ სტანდარტებს:

რეზოლუცია	აბრევიატურა	პიქსელები
სტანდარტული რეზოლუცია	SD (Standart Definition)	960x540
მაღალი რეზოლუცია	HD (High Definition)	1366x768
Full HD	FHD	2K 1920x1080
ულტრამაღალი რეზოლუცია	UHD (Ultra High Definition)	4K 3840x2160

# Google-ის პირველი პარტნიორი საქართველოში

ინტერნეტსივრცის გიგანტმა საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან, ევროპულ მაუწყებელთა კავშირის (EBU) რეკომენდაციის საფუძველზე, პარტნიორობის ხელშეკრულება გააფორმა.

ავტორი: ანა მხოვრიაშვილი



**G**oogle-მა საქართველოში პირველი პარტნიორი შეიძინა. „საზოგადოებრივი მაუწყებელი უკვე დიდი ხანია ევროპულ მაუწყებელთა კავშირის წევრია და სწორედ ამ ორგანიზაციის რეკომენდაცია გახდა გადამწყვეტი, ჩვენი და Google-ს თანამშრომლობის თვალსაზრისით, რადგან მანამდე საქართველოსთან თანამშრომლობა Google-სთვის პრიორიტეტული არ იყო. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება ძალიან ბევრ უპირატესობას აძლევს საზოგადოებრივ მაუწყებელს. თავად ის ფაქტი, რომ მსგავსი რამ მოხდა საქართველოში და მედიასივრციდან ვართ

ერთადერთი, რომელმაც ასეთი ხელშეკრულება გააფორმა, ვფიქრობ, უკვე დიდი მიღწევაა“, - ამბობს საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერძენიშვილი.

Google-თან პარტნიორობა საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის ორი რამის გამოა სასარგებლო - საავტორო უფლებების დაცვისა და საძიებო სისტემებში უპირატესობის გამო. როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდების ტექნიკური პრედიუსერი ირაკლი ჭეიშვილი ამბობს, ეს თანამშრომლობა არის გარანტი, რომ ინტერნეტსივ-

რცეში საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდუქცია საავტორო უფლებების თვალსაზრისით უფრო მეტად დაცული იქნება. „მას შემდეგ, რაც Google-მა Youtube-ი შეიძინა, ის ინტერნეტსივრცის აბსოლუტურ ლიდერად იქცა. ჩვენი თანამშრომლობა Google-თან საშუალებას გვაძლევს განვათავსოთ ჩვენი პროდუქცია და, ჩვეულებრივი მომხმარებლის ფორმატისგან განსხვავებით, ის დაცულია საავტორო უფლებებით. ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ჩვენს ვიდეოს გადმოწერს და შეუთანხმებლად ატვირთავს თავის Youtube არხზე, Google-ი თავად დასჯის. სანქცია ამ შემთხვევაში არის ვიდეოს წაშლა და თუ ქმედება განმეორდა, მისი არხის დაბლოკვა“, - ამბობს ირაკლი ჭეიშვილი.

რაც შეეხება პრიორიტეტულობას საძიებო სისტემაში, თინათინ ბერძენიშვილი ამბობს, რომ პარტნიორობის შედეგად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ნებისმიერი გადაცემა უფრო ადვილად იძებნება, ვიდრე ისეთი კონტენტი, რომელსაც არაპარტნიორი მაუწყებელი ან მედიასაშუალება ათავსებს.

„ვინაიდან Google-ი თანამშრომლობს ჩვენთან, საძიებო სისტემაში ნებისმიერი სიტყვის ჩაწერისას პრიორიტეტი ჩვენს გადაცემებს ენიჭება - საინფორმაციო იქნება თუ სხვა ტიპის. ანუ, ჩვენი მოძებნა უფრო ადვილია. ძიების რეზულტატებში ხშირად პირველი წყარო ვართ“, - დასძენს ირაკლი ჭეიშვილი.

აღსანიშნავია, რომ Google-ისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის პარტნიორობა არანაირ გადასახადს არ გულისხმობს, ის უფასოა. როგორც თინათინ ბერძენიშვილი ამბობს, პირიქით, საზოგადოებრივი მაუწყებელი სიმბოლურ შემოსავალსაც კი იღებს ამ პარტნიორობის შედეგად.

„ეს ბევრი არ არის, მაგრამ მაინც. Google-ი ჩვენს კონტენტთან ათავსებს რეკლამას კონტრაქტის საფუძველზე და თითოეულ იუზერზე, რომელიც შედის და ნახულობს ვიდეოს, გარკვეული თანხა მოდის. ეს, რა თქმა უნდა სიმბოლურია, საუბარია რამდენიმე ათასზე, შესაბამისად, ამ თანხას ისევ უკან, რეკლამაში ვატრიალებთ“, - ამბობს თინათინ ბერძენიშვილი.

ამ შემთხვევაში, რეკლამიდან მიღებული შემოსავალია პარტნიორობით Google-ის დაინტერესების მიზეზიც. ცხადია, ყოველ განთავსებულ რეკლამიდან შემოსავალს ინტერნეტგეგანტიც იღებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის სარგებელი უფრო სხვა ტიპის, არაფინანსური შემოსავალია. ირაკლი ჭეიშვილი ამბობს, რომ პარტნიორობის შედეგად, საზოგადოებრივი მაუწყებლის საიტზე შემოსვლელთა რაოდენობა დაახლოებით 30-40%-ით გაიზარდა და მუდმივად ზრდას განაგრძობს.

„ჩვენს Youtube არხზე, youtube.com/user/georgian-pb, განთავსებულია „პირველი არხისა“ და „მეორე არხის“, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს ვიდეოები, ასევე არის თქვიჯი-ის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც დიდი გეგმები გვაქვს“, - ამბობს ირაკლი ჭეიშვილი და აქვე აღნიშნავს, რომ Youtube არხის სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი მაუწყებელი საავტორო მასალის მიწოდებით ქართულ მედიაში პირველ ადგილს იკავებს.

„რომ აიღო რამდენიმე ზეპოპულარული საიტი, რომლებსაც ყველაზე მეტი ნახვები აქვთ საქართველოში, ისინი 90-99%-ით მეკობრეულ ნაწარმზე არიან დამოკიდებულნი, ხშირ შემთხვევაში ყოველგვარი ლიცენზიისა და თუნდაც ტელევიზიებთან შეთანხმების გარეშე ავრცელებენ არასავტორო კონტენტს. რაღაც ეტაპზე მათ აუცილებლად შეექმნებათ გარკვეული ტიპის პრობლემა ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიო კანონმდებლობიდან გამომდინარე და ჩვენ, ვინც ყოველთვის ვიცავდით საავტორო უფლებებს, თავისთავად ცხადია, მოწინავე პოზიციაზე აღმოვჩნდებით ჩვენი სწორი მიდგომის გამო“, - დასძენს ირაკლი ჭეიშვილი.

საზოგადოებრივი მაუწყებელში მიიჩნევენ, რომ ეს ინსტიტუტი უნდა იყოს გარკვეული სტანდარტების დამდგენი და ამიტომაც ყოველთვის ცდილობენ ყველაფერი, რითაც არხი სარგებლობს ან რასაც აკეთებს, ლიცენზირებულად ხდებოდეს. შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებელი ცდილობს დანერგოს ლიცენზირებულობის სტანდარტი და იმედი აქვს, რომ მას სხვა მედიასაშუალებებიც მიბაძვენ.

„ადრე თუ გვიან საქართველოში უნდა მივეჩვიოთ ყველაფრის ლიცენზირებულ გზით მოხმარებას. როცა გვეკითხებიან, მაინც რითაა განსაკუთრებული ეს თანამშრომლობა Google-თან, ვბასუსხობთ, რომ, სულ მცირე, ეს არის ის, რომ ჩვენ ვართ ლიცენზირებული მომხმარებელი და, როგორც მინიმუმ, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა 1000-კაციანი გუნდი ლიცენზირებულად სარგებლობს Google-ის მომსახურებით“, - ამბობს თინათინ ბერძენიშვილი.

# მეტი HP ქართულ ბაზარზე

ავტორი: ანა ცხომერაძე



**H**P ENVY და HP PAVILION - ეს ნოუტბუკების ის ორი ახალი ხაზია, რომლებითაც Hewlett Packard-მა, რომელიც უკვე 15 წელია, რაც ქართულ ბაზარზე წარმოდგენილი, საკუთარი პორტფელი გააფართოვა. სპეციალურად ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე კომპანიამ სამი ტიპის ნოუტბუკი წარადგინა: მომხმარებელთა ფართო წრეზე გათვლილი HP PAVILLION-ი, გართობის მოყვარულებისათვის შექმნილი HP ENVY და სპეციალურად საქმიანი ადამიანებისათვის დამზადებული HP SPECTRE-ი, რომლის ბატარეაც ცხრა საათს ძლებს მუშაობის რეჟიმში, ხოლო თავად ნოუტბუკი ერთ კილოგრამს იწონის. HP ENVY-სა და PAVILION-ის ხაზის ნოუტბუკები ქართულ ბაზარზე 600-დან 3000 ლარამდე საფასო კატეგორიაში იქნება წარმოდგენილი სპეციფიკაციებისა და მონაცემების მიხედვით. ამასთან, თითოეული ხაზის ყველა ნოუტბუკი ალტურვილია Beats Audio ხმის სისტემით, რომელიც მათ ლუბტოპებისათვის უჩვეულოდ მაღალ აუდიოშესაძლებლობებს ანიჭებს.

„დიდხანს განვიხილავდით ჩვენი ბრენდ-მაღაზიის გახსნის საკითხს, თუმცა საბოლოოდ მაინც ბრენდ-ზონის გახსნა გადავწყვიტეთ ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პარტნიორის, „ელიტ ელექტრონიკის“

მაღაზიაში, თუმცა ჩვენი პროდუქტები საქართველოს თითქმის ყველა სხვა ტექნიკის მაღაზიაშიც იქნება ხელმისაწვდომი“, - განაცხადა HP-ის ვიცე-პრეზიდენტმა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მაღაზიათა ქსელის გენერალურმა მენეჯერმა, ახიმ კატლერმა. მისი თქმით, საქართველოში კომპანია 70-ზე მეტ მაღაზიასთან თანამშრომლობს და გაყიდვებისა და სერვისების 24-ზე მეტი პარტნიორი ჰყავს.

კატლერი მიიჩნევს, რომ ქართულ ბაზარს დიდი პოტენციალი აქვს და სწორედ ამან განაპირობა HP-ის გადაწყვეტილება პორტფელის გაფართოებისა და ბრენდ-ზონის გახსნის შესახებ.

„მართალია, დღეისათვის სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში IT მოთხოვნა დაბალია, მაგრამ ჩვენ პოტენციალს ვხედავთ და დარწმუნებულები ვართ, რომ მალე საქართველოში უფრო მეტ ადამიანს ენდომება ლეპტოპის, სმარტფონის, ტაბლეტის ყიდვა. სამომხმარებლო სექტორში ჩვენს პროდუქტებზე მოთხოვნის მნიშვნელოვან ზრდას ვვარაუდობთ“, - ამბობს კატლერი.

მისი შეფასებით, საერთო ჯამში, ქართული ბაზარი საკმაოდ რთულია, თუმცა მაინც ფიქრობს, რომ ქართველი მომხმარებელი ახალი ტექნოლოგიების მისაღებად მზადაა.

„სწორედ ამიტომ მიმჩნია, რომ ბაზარს კარგი პოტენციალი აქვს“, - ამბობს ის და დასძენს, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორც, მაგალითად, საქართველოა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრ ოჯახს აქვს სახლის სტაციონარული კომპიუტერი, თუმცა მომავლის პერსპექტივაში ყველაფერი მობილურობაზე იქნება დამოკიდებული.

სწორედ ზემოხსენებული ტრენდების გათვალისწინებით, HP-ის დღეისათვის სამომხმარებლო სექტორისათვის განკუთვნილ ნოუტბუკებზე აკეთებს აქცენტს. მსოფლიოში პერსონალური კომპიუტერების ბაზარი ძალიან კონკურენტულია და, შესაბამისად, ყველა კომპანია ცდილობს, რომ თავისი პროდუქტების ფასი უფრო ხელმისაწვდომი გახადოს.

„როგორ შევამცირებთ ფასს? ეს შესაძლებელია, თუ მოვახდენთ კომპიუტერების საწარმოების ცენტრალიზებას, ანუ უფრო ნაკლებ ადგილებში ვაწარმოებთ მათ. იმის მაგივრად, რომ წარმოება უამრავ ქვეყანაში გვექონდეს, პირიქით, ქვეყნების ჯგუფს ვავიწროებთ“, - განმარტავს კატლერი.

კითხვაზე, რა არის ის განსაკუთრებული რისკი, რომელიც ქართველმა მომხმარებელმა HP-ის პროდუქციას შეიძლება მიანიჭოს უპირატესობა, კატლერი ამბობს, რომ ეს არის პირველ რიგში თავად ბრენდი, რომელიც გავლენიანია და სანდო. „მეორე არის ის, რომ ჩვენ ყოველთვის ვფიქრობთ, რა სჭირდებათ ჩვენს მომხმარებლებს და რა ნოვაციის შეთავაზება შეგვიძლია ჩვენ“. **F**

# Radio *Commersant*

A hand in a dark suit jacket and white striped shirt cuff points towards a glowing, rounded rectangular button labeled 'FM95.5'. The background is a dark blue gradient with several overlapping, semi-transparent, light blue rounded rectangular shapes that resemble a digital interface or a network of nodes.

FM95.5

ბიზნესის პერსონალური რადიო

*Commersant.ge*



# ინტერნეტის ნარკობარონი

ანონიმურობის მექანიზმების სულ უფრო მეტად დახვეწამ  
შექმნა ონლაინ-ნარკობაზარი და ყველაფერი, რაც მასთან არის  
დაკავშირებული: კრიმინალური გარჩევები, უკანონო იარაღი,  
თავდასხმები კონკურენტებზე – და ფილოსოფოსობის მოყვარული  
მულტიმილიონერი ნარკობარონი: საშინელი პირატი რობერტსი.

ავტორი: მნდი გრინბერგი  
ილუსტრაცია: დანიელ ჰერცბერგი

საშინელი პირატი რობერტსი (Dread Pirate Roberts) იმდენად ფრთხილობს, რომ სწრაფი ტექსტური შეტყობინებების სერვისსაც კი არ ენდობა, რომ აღარაფერი ვთქვათ ტელეფონზე ან სკაიპზე. ერთხელ, ინტერვიუსწინა კეთილგანწყობის მოპოვების რვათვიანი მცდელობისას, საიდუმლო შეხვედრა შევთავაზე შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ. „პირადი შეხვედრა გამორიცხვლია, – მითხრა მან. – პირადად ჩემს უახლოეს მრჩეველებსაც კი არ ვხვდები“. როდესაც ვინაობისა და ეროვნების შესახებ ვკითხე, ისე დაფრთხა, რომ სხვა შეკითხვებზეც აღარ მიპასუხა და, მას შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში კონტაქტი აღარ გვქონია.

ყველა ჩემი კომუნიკაცია რობერტსთან ექსკლუზიური შეტყობინებების სისტემით და ინტერნეტფორუმებით ხორციელდება ვებგვერდზე, რომელიც მისი საკუთრებაა და თავადვე მართავს. ვებგვერდის სახელია Silk Road-ი („აბრეშუმის გზა“). მასზე წვდომისათვის აუცილებელია ანონიმურობის პროგრამული უზრუნველყოფა Tor-ი, რომელიც შიფრავს ინტერნეტტრაფიკს და სამჯერ ცვლის მას ათასობით კომპიუტერს შორის მთელ მსოფლიოში. Tor-ი შეიქმნა შევადაროთ პარტიზანული რაზმის მეთაურის ფურგონის საბარგულში თვალახვეულ მგზავრობას, რადგან ის შექმნილია იმისათვის, რომ მე და ჩემისთანებს საშუალება არ მოგვცეს, განვსაზღვროთ Silk Road-ის სერვერების ან თავად საშინელი პირატი რობერტსის ადგილსამყოფელი. „ჩემზე უმაღლესი სახელმწიფო ეშელონები ნადირობენ, – ამბობს რობერტსი. – რისკზე წასვლა არ შემიძლია“.

შესაძლოა ეს სიტყვები პარანოიდულად მოგეჩვენოთ, მაგ-

რამ ძლიერი ამა ქვეყნისანი მართლაც მისდევნენ მის კვალს. ბოლო ორწლიანხვერის განმავლობაში Silk Road-ი გადაიქცა ინტერნეტის ყველაზე ხალხმრავალ ბაზრად, სადაც იყიდება ჰეროინი, მეტამფეტამინები, კრეკი, კოკაინი, LSD, ექსტაზი და იმდენი ტიპის მარიხუანა, რომ ამსტერდამის ნებისმიერ კაფეს შეშურდებოდა. ნარკოტიკებთან ბრძოლის სააგენტო არ აკეთებს კომენტარს, ატარებს თუ არა გამოძიებას Silk Road-თან დაკავშირებით, მაგრამ განცხადებაში წერს, რომ იცის ამ გვერდის შესახებ და „ძალიან პროაქტიურად მიჰყვება ფენდაფენს“ ციფრული იატაკქვეშეთის „მუდმივად განახლებად ტექნოლოგიურ მიღწევებს“. სენატორმა ჩაკ შუმერმა მოითხოვა Silk Road-ის დახურვა და მას უწოდა „ნარკოტიკების ინტერნეტით გასაღების ყველაზე უტიფარი მცდელობა, რაც კი ოდესმე გვინახავს“.

ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ჩამოტვირთოს და გაუშვას Tor-ი, გადაცვალოს რამდენიმე დოლარი ან ევრო ციფრულ ვალუტაზე, ბიტკოინზე, და შევიდეს Silk Road-ის ვებგვერდზე ნარკოტიკებისთვის, რომლებსაც ვაკუუმში შეფუთულს ფარულად გაუგზავნიან შესაბამის მისამართზე აშშ-ის საფოსტო სამსახურის საშუალებით, პირდაპირ ფედერალური მთავრობის ცხვირწინ. კარნეგი მელონის უნივერსიტეტის მკვლევარის, ნიკოლას კრისტინის შეფასებით, eBay-ის ტიპის მომსახურება 2012 წლის პირველ ნახევარში \$1,2-მილიონიან თვიურ შემოსავალს იძლეოდა. FORBES-ის თანახმად, მას შემდეგ ვებგვერდმა ორჯერ გაზარდა პროდუქციის ნუსხა და ახლა მისი წლიური შემოსავლის პოტენციური მონაცემები \$30-დან \$45 მილიონამდე მერყეობს. Tor-ის ქსელის ერთ-ერთმა ანალიზმა, რომელიც

დუბლინის Trinity College-ის სტუდენტმა ჩაატარა, აჩვენა, რომ Silk Road-ს დღეში დაახლოებით 60 000 მნახველი ჰყავს, რომელთა უმეტესობას სურს იყიდოს ან გაყიდოს ნარკოტიკები და სხვა აკრძალული საქონელი, მაგალითად, კონტრაფაქტული სიგარეტი ან ყალბი დოკუმენტები. Silk Road-ი ყველა გაყიდვიდან იღებს საკომისიოს, რომელიც იწყება 10%-დან და მცირდება უფრო მსხვილი გარიგებების შემთხვევაში. გამომდინარე იქიდან, რომ Silk Road-ი ამ საკომისიოს იღებს ბიტკოინებში, რომელიც 200-ჯერ აღემატება დოლარს, ამ ვებგვერდის გახსნის დღიდან (2011 წ.), რობერტსმა და ნებისმიერმა მისმა მეწილემ, როგორც ჩანს, მილიონობით მოგება ნახეს.

მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს Silk Road-ი მიზანში ჰყავს ამოღებული, ფედერალები კი სულ უფრო ინტენსიურად მიჰყვებიან Silk Road-ისა და ჩრდილოვანი ბაზრის სხვა ვებგვერდების სამოქმედო არეალს, „შავი ინტერნეტის“, კვალს, რობერტსი მაინც დათანხმდა FORBES-თან პირველ საჯარო ინტერვიუზე, რაც შემდეგი მიზეზით იყო განპირობებული: რეალური სამყაროს ნარკობიზნესის მსგავსად, ვირტუალური სამყაროს ნარკომოვაჭრეთა შორისაც დაიწყო სასტიკი ომი. კონკურენტები, მათ შორის, ახლად შექმნილი ვებგვერდი სახელად Atlantis, რეალური მარკეტინგული ბიუჯეტითა და გენერალური აღმასრულებლით, რომელიც ნაკლებად ზრუნავს საკუთარ კონფიდენციალობაზე, რობერტსის-კენ მიმართულ საყოველთაო ყურადღებას იპარავენ.

„აქამდე ყველაფერს ვაკეთებდი იმისათვის, რომ Silk Road-ი რაც შეიძლება შეუმჩნეველი ყოფილიყო... ხალხი ერთმანეთისგან იგებდა მისი არსებობის შესახებ, - ამბობს რობერტსი, - თუმცა Silk Road-ი უკვე ორ-ნახევარი წელია, რაც არსებობს. ჩვენ ბევრ რამეს გავუძელით და, როგორც ჩანს, ჩვენმა მტრებმა უკვე იციან ჩვენ შესახებ“.

რობერტსს პოლიტიკური ამოცანებიც აქვს: ის საკუთარ თავს განიხილავს არა მხოლოდ ქუჩის ნარკოდილერების ხელშეწყობად, არამედ ასევე რადიკალურ ლიბერტარიანულ რევოლუციონერად, რომელიც ანარქიულ ციფრულ სივრცეში ძირს უთხროს გადასახადებით გამდიდრებულებსა და სახელმწიფო მარეგულირებლებს - ერთგვარი ჟულიან ასანჯი შპრიციტი. „მუდმივად გაჩუმებულები ვერ ვიქნებით. ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი შეტყობინება და დადგა დრო, როდესაც მსოფლიომ უნდა მოისმინოს ის, - ამბობს რობერტსი. - ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, არ არის ნარკოტიკების გასაღება ან 'ხალხისათვის მათი შეჩეჩება'. საქმე ეხება ჩვენი უფლებებისათვის ბრძოლას და მორჩილებაზე უარის თქმას, როდესაც ცუდი არაფერი გაგვიკეთებია“.

„Silk Road-ი ამ შეტყობინების ხალხისათვის გადაცემის მექანიზმია, - მწერს ის ინტერნეტის დამოფრული სიცარიელიდან, - ყველაფერი დანარჩენი მეორადია“.

სანამ რობერტსი ფილოსოფოსობს, მისი კონკურენტები საკმარის მოტივაციას პოულობენ Silk Road-ის სარფიანი ნარკოვაჭრობის ნაწილის ხელში ჩასაგდებად. 26 ივნისს YouTube-ზე გამოჩნდა Atlantis-ის სარეკლამო ვიდეორგოლი, რომელიც მოვითხრობდა კარიკატურული ჰიპსტერის, „ჩარლის“ ისტო-



რიას. იმ ტექსტის თანახმად, რომელიც ისმის კადრს გარეთ, ჯინგლ-მუსიკის ფონზე, ჩარლის უყვარს „ბალახის გაბოღება“. ის სამუშაოდ გადავიდა სხვა ქალაქში, სადაც ვერ იშოვა მარიხუანა, სანამ არ აღმოაჩინა Atlantis-ის „ვირტუალური შავი ბაზარი“, რომელზეც შეუკვეთა 'ბოლი' და „ისე დაბოლდა, რომ ფრანგივით აიჭრა ზეცაში“.

რამდენიმე დღეში YouTube-მა ეს ვიდეო თავისი ვებგვერდიდან მოხსნა სერვისის პირობების დარღვევის გამო, მაგრამ ამ პერიოდისათვის მას უკვე ჰქონდა 100 000 ნახვა, რამაც ბიტკოინზე დაფუძნებულ ახალ ბაზარს გზა გაუხსნა საზოგადოებრივი ინტერნეტინფორმირებულობისაკენ. Atlantis-ის სარეკლამო ვიდეორგოლმა დაარტყა Silk Road-საც, უწოდა რა საკუთარ თავს „მსოფლიოს საუკეთესო ანონიმური ინტერნეტ-ნარკობაზარი“. მეორე დღეს Atlantis-ის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, სახელად „ჰაისენბერგმა“, ჯგუფურ ჩეთში ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ Atlantis-ი და ისე შეეფარდება Silk Road-ს, როგორც „Facebook-ი - Myspace-ს“. სოციალური ახალი ამბების ვებგვერდ Reddit-ზე ჩატარებული კითხვა-პასუხის სესიის კომენტარებში, რომლებიც ახლა უკვე წაშლილია, Atlantis-ის პრეზიდენტმა, „ვლადიმერმა“, ჩამოთვალა თავისი ვებგვერდის უპირატესობები Silk Road-თან შედარებით. მაგალითად, გვერდის ნაკლებად გათიშვა ინტერნეტიდან და უფრო დაბალი გადასახადები გამყიდველებისათვის. „Silk Road-ს უფრო მეტი მომხმარებელი ჰყავს, მაგრამ ჩვენი ვებგვერდი უკეთესია (პირდაპირ რომ ვთქვათ)“.

მაშ ასე, ბრძოლა ინტერნეტნარკობაბრისათვის დაწყებულია.

**საშინელი პირატი რობერტსი** უყოყმანოდ ასახელებს Silk Road-ის წარმატების ერთ-ერთ მთავარ სეგმენტს: ბიტკოინის სახელით ცნობილ კრიპტოგრაფიულ ციფრულ ვალუტას. „ნარკოტიკებთან დაკავშირებული ომი სახელმწიფოს ბიტკოინის საშუალებით მოვუგეთ“, – წერს ის.

ბიტკოინი, რომელიც ფართო მოხმარებაში Silk Road-ის შექმნის პერიოდში შემოვიდა, არ წარმოადგენს ფინანსური კონფიდენციალობის პანაცეას, როგორც ეს ზოგს ჰგონია – მისი ტრანსაქციების გამოაშკარავება იმავე მექანიზმებითაა შესაძლებელი, რომლებიც ფულის გათეთრების ფაქტების გამომიხილვისას გამოიყენება. მაგრამ დოლარის, ევროსა და იენისგან განსხვავებით, მთელ ინტერნეტსივრცეში მოძრავი \$1 მილიარდის ღირებულების ბიტკოინების საიმედოობას განაპირობებს კომპიუტერული სიმძლავრე, განაწილებული ათასობით მომხმარებელზე, რომელთა კომპიუტერებში გამკვეთული კრიპტოვალუტის პროგრამული უზრუნველყოფის უკან არც ბანკი დგას და არც მთავრობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფრთხილ მომხმარებელს არასოდეს მოუწევს საკუთარი ანგარიშების მიხმა თავის

ფულის ნაკადი და გადანაწილება. ნაწილ-ნაწილ ხდება განტოლებიდან სახელმწიფოს ამოღება და ძალაუფლების ინდივიდუალთათვის დაბრუნება“.

რა თქმა უნდა, ამდღეული სიტყვები პიროვნების თავისუფლებაზე გამიზნულია გარეგნული ბრწყინვალეების შესაქმნელად, რათა გაამართლოს უკანონო, საშიში და დამოკიდებულების გამომწვევი ნივთიერებებით ვაჭრობის მოგებიანი ბიზნესი. მაგრამ რობერტსი ამტკიცებს, რომ თუ მის კლიენტებს სურთ ჰეროინი და კრეკი, მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, იყიდონ ეს ნარკოტიკები და თავად გაუმკლავდნენ შედეგებს. ბიტკოინზე დაფუძნებული სხვა იატაკქვეშა ვებგვერდებისგან განსხვავებით, Silk Road-ი კრძალავს ყველაფერს, გარდა იმისა, რასაც, რობერტსის განსაზღვრებით, „უმსხვერპლო კონტრაბანდა“ ეწოდება. ის არ დაუშვებს ბავშვთა პორნოგრაფიით, მოპარული საქონლით ან იარაღით ვაჭრობას, თუმცა ეს უკანასკნელი საკითხი ბუნდოვანია. ვებგვერდმა ჩაატარა იარაღით ვაჭრობის ექსპერიმენტი და შესაძლოა კვლავ მიუბრუნდეს მას, ამბობს რობერტსი.

**„ნარკოტიკებთან დაკავშირებული ომი სახელმწიფოს ბიტკოინის საშუალებით მოვუგეთ, – ამბობს რობერტსი. – საუბარია კოლოსალურ გადანაცვლებაზე მსოფლიო ძალაუფლების სტრუქტურაში“.**

რეალურ იდენტობაზე. შედეგად, ბიტკოინით დაფინანსებული სერვისი ღრმად იძირება შავ ინტერნეტში და Tor-ის მსგავსი ინსტრუმენტების საშუალებით შენიღბული, გვთავაზობს ყველაფერს, დაწყებული კიბერშეტევებით, დამთავრებული იარაღით, ასაფეთქებელი ნივთიერებებითა თუ მოპარული საკრედიტო ბარათებით.

კარგად აურიეთ თქვენი მონეტები ფულის „მრეცხავი“ უამრავი სერვისიდან ერთ-ერთში – Silk Road-ს თავის ვებგვერდზე ავტომატურად აქვს ერთი ასეთი მომსახურება ყველა ოპერაციისთვის – და მათთვის თვალის მიდევნება ძალიან რთული იქნება. FBI-იდან გამოყოფილი ერთ-ერთი შიდა ანგარიშის თანახმად, თვითონ FBI-ც კი ვეღავს, რომ ბიტკოინის კომპლექსურობა და ცენტრალური ძალაუფლების არარსებობა „სხვადასხვა სახის რთულ პრობლემას უქმნის“ კრიმინალური კაპიტალის გამოაშკარავების საქმეს. ფაქტობრივად, ეს ისევე მოსახერხებელია, როგორც PayPal-ი და თეორიულად ისევე ანონიმური, როგორც ნაღდი ფული.

„საუბარია პოტენციურ კოლოსალურ გადანაცვლებაზე მსოფლიო ძალაუფლების სტრუქტურაში, – წერს რობერტსი. – ახლა ადამიანებს შეუძლიათ აკონტროლონ ინფორმაციისა და

გარდა ბიტკოინის იატაკქვეშა ეკონომიკის საჩოთირო ეთიკისა, ვალუტის მკვეთრი ცვალებადობა უფრო მნიშვნელოვან პრაქტიკულ პრობლემას ქმნის. Silk Road-ი ვებგვერდზე მოვაჭრეებს უფლებას აძლევს ბიტკოინებში გამოხატული თავიანთი ფასები დოლარს მიიბან. ასე რომ, გრამი ჰეროინი ვებგვერდზე \$200 ღირს, იმის მიუხედავად, ბიტკოინი 50 ცენტად იცვლება ბირჟაზე, როგორც ეს იყო 2011 წლის დასაწყისში, თუ \$266-ად – მაქსიმუმში, რომელიც დაფიქსირდა 2013 წლის აპრილში (დღეს ის დაახლოებით \$100 ღირს). ვებგვერდი თავის მომხმარებლებს სთავაზობს ვალუტის დაზღვევის სისტემასაც, რომელიც იცავს დილერებს ბიტკოინის ღირებულების რყევისგან, სანამ მათი საქონელი გზაშია.

ბიტკოინმა იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე თანამედროვე შავი ინტერნეტბაზრისთვის პირობების შექმნაა, აცხადებს რობერტსი, მან ის და Silk Road-ი ერთმანეთს შეახვედრა. როგორც რობერტსმა ინტერვიუში აღიარა, რეალურად ის არ გახლავთ ამ ვებგვერდის შემქმნელი. Silk Road-ის შექმნას ის მიაწერს სხვა, კიდევ უფრო გასაიდუმლოებულ მეწარმეს, რომელთან დაკავშირებით საუბარზეც უარი განაცხადა. ამ საიდუმლო პიროვნების ფსევდონიმზე შესაძლოა „საშინელი პირატი რობერტსი“ იყო, სანამ ამ სახელს მემკვიდრეს არ გადასცემდა. ახლანდელმა რობერტსმა ეს ვებგვერდი 2011 წლის დასაწყისში, მისი შექმნიდან ცოტა ხანში აღმოაჩინა. მისი სიტყვებით, მან მალევე მიაგნო უსაფრთხოების სისტემის ხარვეზს პროგრამულ უზრუნველყოფაში, სადაც Silk Road-ის ფონდები ინახებოდა. ამ შეცდომას შეეძლო ჰაკერისთვის ვებგვერდის ტექნიკური უზრუნველყოფის იდენტიფიცირებისა და ბიტკოინების მოპარვის

საშუალება მიეცა. ნაცვლად იმისა, რომ თვითონ გამოეყენებინა აღნიშნული „ხვრელი“, რობერტს დაეხმარა ვებგვერდის შემქმნელს სისტემის შეკეთებაში, მოიპოვა მისი ნდობა და ბიზნესში მისი აქტიური პარტნიორი გახდა. საბოლოოდ, როგორც ახლანდელი რობერტსი ამბობს, მან იყიდა Silk Road-ი და მასზე სრული კონტროლი დაამყარა. „ფაქტობრივად, ესტაფეტის ჩემთვის გადმოცემა მისი იდეა იყო, – ამბობს რობერტსი. – სანაცვლოდ მან კარგი კომპენსაცია მიიღო“.

2012 წლის თებერვალში Silk Road-ის ფორუმებზე გამოჩნდა შეტყობინება, რომელიც მომხმარებლებს ამცნობდა, რომ ვებგვერდის ადმინისტრატორი ამიერიდან იწოდებოდა „საშინელ პირატ რობერტსად“. ეს სახელი ნასესხებია გაბედული ნიღბიანი გმირისგან ფანტასტიკის ჟანრის ფილმიდან The Princess Bride („პრინცესა-პატარძალი“) – აღსანიშნავია, რომ ის ფილმში პირატების ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა. რობერტსი მალე მოერგო თავის ალტერ ეგოს, დაიწყო რა მაღალფარდოვანი მანიფესტების გამოქვეყნება SilkRoad-ის ლიბერტარიანული პოლიტიკური იდეალების შესახებ და სიყვარულით საგვებგზავნილების მიძღვნა თავისი ერთგული მომხმარებლებისა და გადამყიდველებისადმი; ის Dread Pirate Roberts Book Club-საც (საშინელ პირატ რობერტსის წიგნის კლუბი) კი მასპინძლობდა, სადაც მიჰყავდა დისკუსიები თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ავსტრიული სკოლის წარმომადგენლების შესახებ. ვებგვერდზე გაკეთებული კომენტარები რობერტსს უწოდებდნენ „გმირს“, „სამუშაო ადგილების შემქმნელს“, „ჩვენს ჩე გევარას“; იყო ასეთი გზავნილებიც: „მისი სახელი სამუდამოდ დარჩება ისტორიის უდიდეს პიროვნებათა შორის, როგორც სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ჯარისკაცისა“.

როდესაც რობერტსს ვკითხე, როგორ განსაზღვრავდა საკუთარ როლს SilkRoad-ში – როგორც გენერალური ადმინისტრატორის, თუ როგორც მფლობელის, მან მიპასუხა, რომ საკუთარ თავს განიხილავს „ნდობის ცენტრად“ მყიდველებსა და გამყიდველებს შორის, რაც მას რთული ამოცანის წინაშე აყენებს, რადგან ყველა მხარეს სურს ანონიმური დარჩეს. Silk Road-მა ნელ-ნელა ყველა დაარწმუნა, რომ ის არ არის ფალსიფიცირებული ნარკოტიკების ტიპური ვებგვერდი ან კანონდამცველთა ხაფანგი. მან ბრძნულად გამოიყენა ისეთი ნდობის მექანიზმები, რომლებსაც eBay-სა და Airbnb-ის მსგავსმა კომპანიებმა გაუკეთეს პოპულარიზაცია, მათ შორის, გამყიდველთა რეიტინგები და ესკროუ (კონტრაქტი, რომელიც შესამე პირთან ინახება და განსაზღვრული პირობის შესრულების შემდეგ იძენს ძალას), რომლის თანახმად ვებგვერდი გამყიდველს ფულს უზღდის მხოლოდ მას შემდეგ, რაც მყიდველი მიიღებს მის მიერ შეძენილ საქონელს.

„Silk Road-ი სინამდვილეში ნარკოტიკებს არ ყიდის. ის ყიდის დაზღვევას და ფინანსურ მომსახურებას, – ამბობს კარ-

ნევი მელონის უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა პროფესორი ნიკოლას კრისტინი. – დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაისურებს ყიდი თუ კოკაინს. ეს ბიზნესმოდელი არის უსაფრთხოების კომოდიტირება“.

Silk Road-ში შემოსული მილიონების დიდი ნაწილი, რობერტსის თქმით, კვლავ მის სწრაფად მზარდ შავ ბაზარში ბანდდება. რობერტსი თავიდან იცილებს შეკითხვებს მისი კუთვნილი სიმდიდრისა და ცხოვრების წესის შესახებ. ის ამბობს, რომ ზღუდავს საკუთარ ხარჯებს, რათა ყურადღება არ მიიქციოს, თუმცა ერთ-ერთი ფორუმის შეტყობინებაში აღიარა, რომ უყვარს „მსოფლიოში საუკეთესო სიამოვნებების მიღება“. ერთ-ერთი ამგვარი სიამოვნებაა „კანაბისის (მარიხუანას) წებოვანი კვირტების მოწევა გრძელი სამუშაო დღის შემდეგ“.

„რაც შეეხება ჩემს კაპიტალს, Silk Road-ის, როგორც ორგანიზაციის, მომავალი ღირებულება ჩრდილავს ჩემს ლიკვიდურ აქტივებს.... მე არ გავყიდი მას ათწინა ან, შესაძლოა, თერთმეტწინა თანხაზე დაბალ ფასად, – ამბობს ის და მის ნათქვამში პატივმოყვარეობა გამოსჭვივის, – ერთხელაც Forbes-ის მილიარდერთა სიაში საშინელი პირატ რობერტსის ჩაწერა მოგიწევთ“.

**არსებობს კანონი**, რომელიც ისეთივე მარადიულია, როგორც თვით შავი ბაზრები: უკანონო ფულს ძალადობა სდევს თან. ციფრულ ბაზარზე ეს ძალადობა ვირტუალურია, მაგრამ ფინანსურად იგი ისევე რეალურია, როგორც კონკურენტის საწყობისთვის ცეცხლის მოკიდება.

აპრილის ბოლოს Silk Road-ი ერთი კვირით ინტერნეტიდან გაითიშა უწყვეტი კიბერშეტევების გამო, რომლებმაც მის კონფიდენციალურ მონაცემებს ვერაფერი დააკლო, მაგრამ ყველა მისი სერვერი დააზიანა. რობერტსის სიტყვებით, ეს იყო Silk Road-ის ისტორიაში ყველაზე დახვეწილი შეტევა. ჰაკერებმა გამოიყენეს Tor-ის სისტემაში არსებული მანამდე უცნობი ხარვეზები და რამდენჯერმე შეცვალეს ტაქტიკა, რათა გვერდი აეარათ უსაფრთხოების სისტემისათვის.

ეს შეტევა მოხდა რამდენიმე კვირაში მას შემდეგ, რაც სცენაზე კონკურენტი Atlantis-ი გამოჩნდა. Reddit-ის მომხმარებელთა უმეტესობას მიაჩნია, რომ თავდასხმა სწორედ ამბიციურმა ახალბედებმა უზრუნველყვეს. იმ ერთი კვირის განმავლობაში, როდესაც Silk Road-ი არ მუშაობდა, გამყიდველები და მყიდველები აქტიურად გადადიოდნენ ახალ სერვერში.

„ჭორებია და მეტი არაფერი“ – ამბობს Atlantis-ის გენერალური ადმინისტრატორი ვლადიმირი, როდესაც მას დაშიფრულ ჩეთში ვესაუბრები (რობერტსის მსგავსად, ვლადიმირიც ბევრს არაფერს ამბობს საკუთარ თავზე, გარდა იმისა, რომ გამოცდილება აქვს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებაში, ცოტა ხანს მარიხუანით ვაჭრობდა და უყვარს ჰალუსინოგენები). „ეჭვი მეპარება, რომ ეს შეტევა იყო. უფრო სავარაუდოდ მიმარ-

ნია, რომ მათ ინფრასტრუქტურული პრობლემები ჰქონდათ“.

რობერტსი საერთოდ არ აკეთებს კომენტარს აპრილის შეტევების წყაროსთან დაკავშირებით. ის მეუბნება, რომ ბედნიერია ინტერნეტნარკობაზარზე კონკურენციის არსებობის გამო იმის მიუხედავადაც კი, რომ ივნისში Atlantis-მა ამაყად გამოაცხადა ბრუნვის \$500 000-იანი ზღვრის გადალახვის შესახებ. რობერტსი მიუთითებს, რომ კიდევ ერთმა სხვა ვებგვერდმა, Black Market Reloaded-მა, დიდი ხანია Silk Road-ის მოდელი გადაიღო და უფრო ფართო ასორტიმენტსაც კი სთავაზობს მომხმარებელს, უკანონო იარაღის ჩათვლით, მაგრამ დღემდე ვერ ახერხებს შეაგროვოს აუდიტორია, რომელიც რობერტსის მომხმარებელთა რიცხვს ოდნავ მაინც მიუახლოვდება. „მომწონს ქუსლებზე რომ მამბიჯებენ ფეხს, - მეუბნება რობერტსი, - ეს მოტივაციას მაძლევს“.

თუმცა Atlantis-ის სარეკლამო განცხადების გამოჩენიდან რამდენიმე დღის შემდეგ Silk Road-ს ფორუმებზე „წამბაძველებთან“ დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარში რობერტსი საპასუხო ცეცხლს ხსნის: „თუ ვინმეს გამოვო-

მაისში ბიტკოინ-სერვისის, Liberty Reserve-ის, მფლობელებს წაუყენეს ბრალდება \$6 მილიარდის გათეთრებაში. იმავე თვეს, ბიტკოინის უმსხვილესმა გამცველმა ბირჟამ, ტოკიოს Mt. Gox-მა, განაცხადა, რომ ის მოითხოვდა ყველას იდენტიფიკაციას, ვინც მონიღომებდა რეალური ფულის გადაცვლას ციფრულზე. ივლისში FBI-მ გამოიყენა Tor-ის ერთ-ერთი სუსტი წერტილი იმისათვის, რომ დაეპატიმრებინა ბავშვთა პორნოგრაფიის ვებგვერდის საგარეულო ადმინისტრატორი ირლანდიაში. დაბოლოს, შესაძლოა რობერტსისთვის ყველაზე სახიფათო იყოს ეროვნული უსაფრთხოების სამმართველოდან მოსული სიგნალი, რომ მან აამოქმედა ერთობლივი სადაზვერვო სისტემა ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოსთან (DEA) და სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად.

ყოველივე ეს აიძულებს რობერტსს, უნდობლად მოეციდოს კომუნიკაციის ნებისმიერ საშუალებას, რომლებიც შესაძლოა სამართალდამცავებმა გატეხონ. 2012 წელს, ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს მიერ ჩატარებული ოპერაციისას სახელწოდებით „ადამის ბომბი“, გამოავლინეს და ბრალი წაუყენეს Silk Road-ის მსგავსი ვებგვერდის, Farmer's Market-ის ოპერატორებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ოპერატორები საკუთარი დომენის დასაფარად Tor-ს იყენებდნენ, ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ დაშიფრული ელექტრონული ფოსტის Hushmail-ის გამოყენებით (ამ სერვისმა ინფორმაცია მიაწოდა სამართალდამცავებს) ანგარიშსწორება კი ხდებოდა PayPal-ით და არა ბიტკოინებით. Atlantis-ის გენერალურ აღმასრულებელთან, ვლადიმირთან სასაუბროდ მისი და მისი „მთავარი საოპერაციო დირექტორის“ დაჟინებული თხოვნით, დაშიფრული IM პროგრამა Cryptocat-ი გამოვიყენეთ. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ აღმოაჩინეს მასში ხარვეზი, რომელმაც შესაძლოა საშუალება მისცეს სამართალდამცავებს გაეცნონ მთელ ჩვენს საუბარს.

სიფრთხილის ყველა ზომის მიუხედავად, რობერტსის უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მაგრამ პიროვნების დადგენის შემთხვევაში მოსალოდნელი სამუდამო პატიმრობის საფრთხე ვერ აფერხებს მისი უკანონო იმპერიის ზრდის ტემპს. „ჩვენ ველურ ჯუნგლებში ჩაგდებული პატარა თესლი ვართ, რომელმაც ეს-ეს არის მიწა ამოჭრა, - დაწერა შარშან მან ვებგვერდის ერთ-ერთი ფორუმზე - ეს დიდი და სახიფათო ჯუნგლებია უამრავი საშიში ნადირით, რომელთაგან თითოეულმა ევოლუციის პროცესში ისწავლა ბრძოლა გადარჩენისთვის იმ მტრულ გარემოში, რომელსაც ადამიანთა საზოგადოება ჰქვია. მაგრამ გარემო სწრაფად იცვლება და ჯუნგლებს არაბოდეს უნახავს ისეთი სახეობები, როგორცაა Silk Road-ი“.

**„მე არ გავყიდი მას ათნიშნა ან, შესაძლოა, ერთმეტნიშნა თანხაზე დაბალ ფასად.... ერთხელაც Forbes-ის მილიარდერთა სიაში საშინელი პირატი რობერტსის ჩაწერა მოვიწვიეთ“.**

ნებას აიღებ, უმნიშვნელოდ შეცვლი მას და შემდეგ ყველას გამოუცხადებ, რომ შენ 'უკეთესი' ხარ, ჩემი პატივისცემა შენ მიმართ ნული იქნება“, - წერს ის. მიუხედავად იმისა, რომ მესიჯის დანარჩენი ნაწილი ძირითადად ეხება ბიტკოინსა და შედარებით ახალ კრიპტოვალუტას - ლიტეკოინს, მომხმარებლებმა ეს კომენტარი შეაფასეს, როგორც არაპირდაპირი მიმართვა Atlantis-სადმი.

ამასობაში Silk Road-იც ითვისებს Atlantis-ის ზოგიერთ მარკეტინგულ ტაქტიკას: პირველი საჯარო ინტერვიუს გარდა, მან დააარსა ახალი საზოგადოებრივი ვებგვერდი, რომელიც მომსახურებას უწევს მომხმარებელს Silk Road-ზე მოსახვედრად, რითაც მისი ბიზნესი ნელ-ნელა სცილდება Tor-ის დახურული ქსელის საზღვრებს.

კონკურენციას რომ თავი დავანებოთ, რობერტსმა საშიში დრო შეარჩია ვებგვერდის ყურადღების ცენტრში მოსაქცევად და შეჯიბრებაში ჩასაბმელად, რადგან კანონდამცველთა წრე მის გარშემო ნელ-ნელა ვიწროვდება. ავსტრალიასა და სამხრეთ კაროლინაში დააპატიმრეს დილეგები, რომლებიც, სავარაუდოდ, Silk Road-ის საშუალებით ვაჭრობდნენ, თუმცა შესაძლოა ისინი ამას რეალურ სამყაროშიც აკეთებდნენ.



ბინესი - ინვესტიციები - ტექნოლოგიები - დოსი - მისაზრებები - სტილი - რეტიინგი

# Forbes

გვერდი:  Forbes TV განხილვის საშუალებები

## ინვესტირება განათლებაში

**ინვესტირება განათლებაში**  
დოი ჯეი ბრანდალიანი  
კარგი ინვესტიცია

**მაგიათაგანელი**  
კონსტანტინე რიათერე  
სოციალური მედიის დამაარსებელი

**მსოფლიოს ყველაზე**  
რესპექტაბელური  
უნაღებოდადები  
ბიზნის სექტორი

**ჯეი ბრანდალის**  
კარგი ინვესტიცია

**ტექნოლოგიები**  
მედიის ინდუსტრია

**დოი ჯეი ბრანდალიანი**  
კარგი ინვესტიცია

**ინვესტირება განათლებაში**  
დოი ჯეი ბრანდალიანი  
კარგი ინვესტიცია

**Facebook's Road To IPO**

**დოი ჯეი ბრანდალიანი**  
კარგი ინვესტიცია

**ინვესტირება განათლებაში**  
დოი ჯეი ბრანდალიანი  
კარგი ინვესტიცია

## რედისის არჩევანი

**ჯეი ბრანდალის**  
კარგი ინვესტიცია

**მსოფლიოს ყველაზე**  
რესპექტაბელური  
უნაღებოდადები

**მაგიათაგანელი**  
კონსტანტინე რიათერე

**დოი ჯეი ბრანდალიანი**  
კარგი ინვესტიცია

**ინვესტირება**  
განათლებაში

## ინვესტიციები

**ინვესტირება**  
განათლებაში  
დოი ჯეი ბრანდალიანი  
კარგი ინვესტიცია

**ინვესტირება**  
განათლებაში  
დოი ჯეი ბრანდალიანი  
კარგი ინვესტიცია

## ინვესტირება

**ინვესტირება**  
განათლებაში  
დოი ჯეი ბრანდალიანი  
კარგი ინვესტიცია

## რეტიინგი

**რეტიინგი**  
დოი ჯეი ბრანდალიანი  
კარგი ინვესტიცია

## ტექნოლოგიები

**ტექნოლოგიები**  
დოი ჯეი ბრანდალიანი  
კარგი ინვესტიცია

## დოსი

**დოსი**  
დოი ჯეი ბრანდალიანი  
კარგი ინვესტიცია

## მისაზრებები

**მისაზრებები**  
დოი ჯეი ბრანდალიანი  
კარგი ინვესტიცია

## სტილი

**სტილი**  
დოი ჯეი ბრანდალიანი  
კარგი ინვესტიცია

## რეტიინგი

**რეტიინგი**  
დოი ჯეი ბრანდალიანი  
კარგი ინვესტიცია

**Forbes**  
© 2011 Media Partners, CJSC  
Developed by Arakid design

გვერდი:  რეკლამა Forbes-ში კონტაქტი

მისამართი: ფალიაშვილის 15,  
0179, თბილისი  
ტელ: (+995 32) 223 77 07  
e-mail: info@forbesgeorgia.ge

GEORGIA  
**Forbes**  
forbesgeorgia.ge

# ინვესტიციები

ჰიზ ობერვაისი – დაბალი კაპიტალიზაციის აქციები

## აქციები მოქნილია აქციები იაფია

**ზოგიერთი კომპანია** სამყაროს შეცვლით აღწევს წარმატებას, მაგრამ ბევრად მეტი ფირმა ამას ცვალებადი სამყაროს მოთხოვნების პროგნოზირებით ახერხებს. გრძელვადიანი ცვლილებები, მაგალითად, ტექნოლოგიებსა და სახელმწიფო რეგულირებაში, ბაზრებზე გაურკვეველობას და არეულობას იწვევს. ეს ზრდის ახალ შესაძლებლობებს ქმნის. იმარჯვებს ის კომპანია, რომელიც ყველაზე სწრაფად ადაპტირდება, ან ის, რომელიც, უბრალოდ, საჭირო დროს საჭირო ადგილას ხვდება. ასეა თუ ისე, გრძელვადიანი ძალების მოქმედების პრინციპის გააზრება დაგეხმარებათ იმის გარკვევაში, თუ რომელი აქციები მოიტანს სარგებელს. ქვემოთ მოყვანილია სამი გრძელვადიანი ცვლილება და ზოგიერთი დაბალი კაპიტალიზაციის აქცია, რომლებიც სარგებელს გვპირდებიან:

პირველი დიდი ცვლილება ხდება დროებითი პერსონალის დაქირავებისა და ადამიანური რესურსების გარედან მოზიდვის (აუტსორსინგის) მიმართულებით. ეს არის ჩვენი მყიფე, ნელა მზარდი ეკონომიკის შედეგი. ბევრი კომპანია, სამუშაო აქტივობის აღსადგენად, ნაცვლად შტატის გაზრდისა, არჩევს დროებითი პერსონალის გამოყენებას, რასაც ხშირად „პროექტულ“ სამუშაოს უწოდებენ.

ეს კარგი ახალი ამბავია ისეთი ფირმებისთვის, როგორიცაა **ON ASSIGNMENT-ი (ASGN, 32)** და **BARRETT BUSINESS SERVICES-ი (BBSI, 70)**. On Assignment-ი ორიენტირებულია



მოკლევადიან შრომით მოწყობაზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისათვის, ძირითადად საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სამედიცინო-ბიოლოგიური მეცნიერებების სფეროებში. აქციები იყიდება ჩემს წინასწარ შეფასებაზე – \$1,45-ზე – 21-ჯერ მეტად, ხოლო შემოსავლები იზრდება 20%-ით ერთ

წინასწარ შეფასებაზე – \$2,80-ზე – 24-ჯერ მეტად, შემოსავლის 35%-იანი ზრდით.

მეორე გრძელვადიანი ცვლილებას მე ვუწოდებ „სმარტფონების ომს“. სმარტფონების ბაზარი, 52%-იანი ზრდით და მეორე კვარტალში მიწოდებული 238 მილიონი ერთეულით, კვლავ რჩება მოქცევის ტალღად, რომელზეც ბევრი ნავი ტივტივებს.

IDC-ს თანახმად, ბაზარზე დომინირებს Samsung-ი და Apple-ი, შესაბამისად, 30%-იანი და 13%-იანი წილებით. კონკურენცია დიდია, მათ შორის LG-ის, Lenovo-სა და ZTE-ს მხრიდან. ყველა მათგანი ცდილობს დაისაკუთროს რაც შეიძლება მეტი წილი განვითარებად ბაზრებზე. გარდა შემცირებული ფასებისა, ტელეფონების მწარმოებლების დიფერენცირება უნდა მოხდეს პრემიუმ-მომსახურების მიხედვითაც.

ორი კომპანია, რომელთა აქციებიც გამორჩეულად მომწონს, „იარაღის“

## სმარტფონების ბაზარი კვლავ რჩება მოქცევის ტალღად, რომელზეც ბევრი ნავი ტივტივებს.

ჯერზე. ბევრად პატარა კომპანია, ვანკუვერში (ვაშინგტონის შტატი) დაფუძნებული Barrett Business Services-ი, ახორციელებს აუტსორსინგს მცირე ბიზნესების ადამიანური რესურსების განყოფილებებისათვის. აქციები იყიდება ჩემს

მიმწოდებლებია ამ გამაღებელი შეიარაღების პირობებში. **IMMERSSION-ი (IMMR, 14)** მუშაობს haptics-ის სახელით ცნობილი სენსორული ტექნოლოგიის შემუშავებასა და ლიცენზირებაზე. Haptics-ი გამოიყენება „ვიბრაციის“ შეგ-

ჰიზ ობერვაისი OBERWEIS ASSET MANAGEMENT-ის პრაივიტის და THE OBERWEIS REPORT-ის რედაქტორია. დასაბამითი ინფორმაციისთვის იხილეთ [WWW.FORBES.COM/OBERWEIS](http://WWW.FORBES.COM/OBERWEIS).

რძნებისთვის თამაშების კონსოლების ჯოისტიკებისთვის, აგრეთვე, მაგალითად, კლავიატურის „მექანიკური შეგრძნების“ იმიტაციისათვის სენსორულ ეკრანებზე, ვიბრაციისა და ზეწოლის გამოყენებით. Immersion-ის აქციები იყიდება ჩემს წინასწარ შეფასებაზე - 60 ცენტზე - 23-ჯერ მეტად, წლიური შემოსავლის 40%-იან ზრდით. დიდი რისკი: მისი გაყიდვების დაახლოებით ნახევარი Samsung-ზე მოდის.

სმარტფონების სფეროში ჩემი მეორე არჩევანია სანიველში (კალიფორნია) განლაგებული **INVENSENSE-ი (INVN, 17)**. ის ქმნის გიროსკოპებს მოძრაობის პროცესორებისათვის. გიროსკოპების მეშვეობით იზომება ერთი ან მეტი ღერძის გარშემო ბრუნვის კუთხური სიჩქარე. ეს ტექნოლოგია თავდაპირველად გამოიყენებოდა თამაშების კონსოლებში, მაგრამ დღესდღეობით ფირმის გაყიდვების 80% სმარტფონებსა და

პლანშეტებზე მოდის. გარდა იმისა, რომ სათამაშო აპლიკაციებს რეალობად აქცევს, გიროსკოპი საშუალებას აძლევს მომხმარებელს, გასცეს ბრძანება ტელეფონის მოძრაობის მეშვეობით - მაგალითად, ზარზე პასუხი თითის გასმით, ან ტელეფონის განბლოკვა შაბლონის მოხაზვით.

InvenSense-ის აქციები იყიდება ჩემს წინასწარ შეფასებაზე - 85 ცენტზე - 19-ჯერ მეტად, 30%-იან ზრდით. ეს კომპანია Samsung-ის კიდევ ერთი ფანია. შემოსავლების დაახლოებით 24% მოდის კორეული კომპანიიდან.

ჩემი ბოლო სანიველსტიციო თემა ბრუნავს ჯანდაცვის რეფორმის გარშემო. **ADVISORY BOARD-ი (ABCO, 58)** კვლევსა და ანალიზის მოწინავე პრაქტიკას სთავაზობს ჯანდაცვის 4100 დაწესებულებას, ისეთი ორგანიზაციების ჩათვლით, როგორცაა მეიოს კლინიკა და ჯონს ჰოპკინსის ჰოსპიტალი. ბოლო დროს ფირმამ დაიწყო პროგრამული უზ-

რუნველყოფის, როგორც სერვისის პროდუქტების, გაყიდვა, რაც ხელს უწყობს ეფექტიანობას, ხარისხის ამაღლების ინიციატივებსა და შემოსავლების აღრიცხვას. შემოსავლები ყოველწლიურად 20%-ით იზრდება, მუდმივი შემკვეთებისათვის უფრო მოგებიანი პროგრამული კომპლექსების მიყიდვის მეშვეობით. ამ ცვლილების წყალობით, აბონენტ მკვლევართა რაოდენობა, რომელიც ამჟამად წელიწადში \$25 000-ს ითვლის, შესაძლოა იქცეს პროგრამული უზრუნველყოფის, როგორც სერვისის მომხმარებელთა \$120 000-იან არმიად.

ერთი შეხედვით, Advisory Board-ის ფასი/მოგების ძვირად ღირებული წინასწარი კოეფიციენტი (forward P/E) - 42 - შემაცბუნებელია. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიათა აქციები უფრო მაღალი კოეფიციენტებით იყიდება მათი რეგულარული შემოსავლიანობის მოდელის გამო. **F**



# SMS Service რეკლამის ყველაზე მოკლე და ეფექტური გზა!

- კლიენტთა დადასტურებული, ლეგალური ბაზა
- წვდომა ყველა მობილურ ოპერატორთან
- SMS-ები ბრენდის სახელით
- კლიენტთა სეგმენტირება-სქესის, ასაკის, თბილისის რაიონებისა და საქართველოს რეგიონების მიხედვით
- სრული სტატისტიკა დისტრიბუციის შედეგების შესახებ და შესაბამისი ანგარიშსწორება
- კლიენტთა საკუთარი ბაზის შექმნის შესაძლებლობა
- კლიენტის ინტერფეისი - SMS-ების დამოუკიდებლად დაგზავნის შესაძლებლობა.



Tel.: + 995570700040  
[www.smsreklama.ge](http://www.smsreklama.ge)  
[www.mmsgroup.ge](http://www.mmsgroup.ge);  
<http://facebook.com/smsreklama>



# ინვესტიციები

ა. გერი შილინგი - ფინანსური სტრატეგია

## რისკიანი დრო რისკიანი ვაჭრობისთვის

### შიზოფრენიული ფასიანი

ქალაქების ბაზრები ფედერალური რეზერვის დილემას ასახავენ. ის ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრი ბანკების უზარმაზარ ჭარბ რეზერვებზე (მარაგზე) მისი მიმდინარე დამატებების შემცირებას, საბოლოოდ აღმოფხვრასა და, მისი ხედვით, უმუშევრობის მიუღებელი მაღალი დონის მქონე, ჯერ კვლავაც ისევ სუსტი ეკონომიკის მხარდაჭერას შორის იხლინება.

ფედერალური ბიუჯეტის ტრილიონდოლარიანი დეფიციტისა და ვაშინგტონში არსებული გამოუვალი მდგომარეობიდან გამომდინარე, საგადასახადო-საბიუჯეტო სტიმულირების საკითხი ამოღებულა და დღის წესრიგიდან, ამიტომაც საკრედიტო-ფულადი ლიბერალიზაცია ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი გახლავთ. და ფედერალური ფონდების საპროცენტო განაკვეთების უკვე ნულის დონეზე არსებობის გათვალისწინებით, მხოლოდ ფულადი მასის გაზრდა (სავალუტო სტიმულირება) რჩება.

როდესაც ფედერალური რეზერვი ფასიან ქალაქებს ყიდულობს, მის მიერ გადახდილი თანხები ემატება საბანკო რეზერვებს, რომლებიც შემდგომ შეიძლება სესხად გაიცეს და განმეორებითაც იქნას გასესხებული ფრაქციული (ნაწილობრივი) რეზერვების სისტემაში. შედეგად, ჩვეულებრივ დროს, რეზერვებში არსებულ თითოეულ ბედმეტ დოლარს დამატებით კიდევ \$79,50 მოაქვს M2 ფულად მასაში. მაგრამ იმის გამო, რომ



ბანკები თავს არიდებენ გასესხებას, ხოლო კრედიტუნარიანი მსესხებლები თავს იკავებენ ახალი სესხებისგან, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, როდესაც ცენტრალური ბანკის მასშტაბური ლიბერალიზაცია დაიწყო, რეზერვებში არსებულმა თითოეულმა ახალმა დოლარმა M2 მხოლოდ \$1,40-ით გაზარდა. ჭარბი რეზერვები არ გახლავთ მნიშ-

ზრდას 2%-ზე. მაგრამ, მსხვილი ფინანსური კრიზისების შემდეგ, დავალიანების დელევერიჯს ჩვეულებრივ ათი წელიწადი სჭირდება, ამიტომ პროცესი დაახლოებით მომდევნო ხუთ წელიწადში უნდა დასრულდეს.

ფედერალური რეზერვის თავმჯდომარემ, ბერნანკემ, განაცხადა, რომ მისი შესყიდვების შემცირება დამოკიდებულია მზარდ ეკონომიკასა და შრომის ბაზარზე, ასევე ფედერალური რეზერვის საყვარელ ინფლაციის მაჩვენებლებზე, რომელიც წლიდან წლამდე 1,1%-დან დაგვემიღ 2%-მდე იზრდება.

ჯიუტი ინვესტორები იგნორირებას უკეთებდნენ ამ გაფრთხილებებს და აჭერდნენ ამოვადების ღილაკს. დავარდა არა მარტო აქციები და სახელმწიფო ობლიგაციები, არამედ ასევე განუვითარებელი და განვითარებადი ბაზრების ობლიგაციები, მაღალდივიდენდიანი აქციები და ყველაფერი დანარჩენი, რაც

### დიდმა შოკმა შესაძლოა აშხიების და ობლიგაციების მთავრებული გადაფასება გამოიწვიოს.

ვნელოვანი, ვიდრე კერძო სექტორის დავალიანების დელევერიჯი აგრძელებს მასიური საგადასახადო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სტიმულების ჩაძირვას. ეს აჩვენებს რეალური მშპ-ის

კი ინვესტორებმა დაიტაცეს დაბალი ფასების პირობებში.

თითქმის მაშინვე დაიწყო უკან დახევა. ახლა ეს ყოველივე ისევ რისკთანაა დაკავშირებული. მაგრამ მყიდველი გაფ-

ა. გერი შილინგი არის A. GARY SHILLING & CO.-ს პრეზიდენტი და ავტორი წიგნის „შემცირების ხანა: ინვესტირების სტრატეგიები ნელი ზრდის და დეფლაციის ათწლეულისთვის“ (THE AGE OF DELEVERAGING: INVESTMENT STRATEGIES FOR A DECADE OF SLOW GROWTH AND DEFLATION. JOHN WILEY & SONS, 2011). [WWW.FORBES.COM/SHILLING](http://WWW.FORBES.COM/SHILLING).

როთილებულია. ფედერალურ რეზერვს საკმაო მიზეზი ჰქონდა ნერვიულობისთვის. ექსპორტი პრობლემატურია, უცხოური მყიდველების ეკონომიკური სისუსტის გათვალისწინებით. შტატისა და მუნიციპალური სამთავრობო ხარჯები კვლავ ვარდება ბიუჯეტის შეზღუდვისა და საპენსიო ფონდების არასაკმარისი ფინანსირების გამო. ფედერალური მთავრობის ხარჯებში განხორციელდა სეკვესტრი და შემცირებები თავდაცვის სფეროში, კაპიტალური ხარჯები კი შეზღუდულია ჭარბი საწარმოო პოტენციალით.

საბინაო სექტორს სახლების ახალი მყიდველები არ ჰყავს, და ამის მაგივრად მასში

იჯარა დომინირებს. რეალური ხელფასებისა და შემოსავლების ვარდნასთან ერთად ერთადერთი გზა, რომელიც მომხმარებლებს შეუძლიათ ხარჯების გაზრდა, გახლავთ მათი ისედაც დაბალი დანაზოვის ნორმის შემცირება.

ფედერალურ რეზერვს ორმხრივი მანდატი გააჩნია ფასების სტაბილურობისა და სრული დასაქმების ხელშეწყობისათვის, რომელიც, მისი აზრით, უმუშევრობის დონის 5%-დან 6%-მდე სიდიდის ტოლფასია, ივლისში არსებული 7,4% ოდენობის დონისაგან განსხვავებით. იგი აცხადებს, რომ არ გაზრდის საპროცენტო განაკვეთებს, ვიდრე უმუშევრობის დონე 6,5%-ზე დაბლა არ დაიწევს.

რას შეუძლია გაამართლოს ინვესტორების მხრიდან ფედერალური რეზერვისა და ირგვლივ ყველგან არსებული საგანგაშო ნიშნების მიმართ ნდობის



სრული დაკარგვა? დიდ შოკს, რომელიც გამოიწვევს აქციებისა და ობლიგაციების მტკივნეულ გადაფასებას. ცოტა ინვესტორი თუ იტყვის ნებაყოფლობით უარს მიმზიდველ მზარდ აქციებზე.

ფედერალური რეზერვის მიერ „მშვიდი“ შემცირება შესაძლოა მოსალოდნელი იყოს, მაგრამ ნაკლებსავარაუდოა შოკისმომგვრელად მკვეთრი შეზღუდვა.

აი რამდენიმე იმ საშინელებებიდან, რაც ძალზე მაფიქრებს: გაუარესებისკენ მიმართული სწრაფი ზრდა ჩინეთში და ფინანსური კრიზისი, რომელიც გამოძინარეობს პეკინის გადაწყვეტილებიდან, დაიმორჩილოს სწრაფად მზარდი ჩრდილოვანი საბანკო სექტორი.

ვალუტის დეველვაციის რაუნდმა ასევე შეიძლება დაშოკოს ინვესტორები, როდესაც ექსპორტზე ორიენტირებული

სხვა ქვეყნები რეაგირებენ აბნეომიკის მიერ იენის გაუფასურებაზე, იაპონიაში ზრდისა და ინფლაციის აღდგენის ხელშესაწყობად. დააკვირდით სამხრეთ კორეას. ჩემთვის ცნობილი საუკეთესო გზა დარტყმისგან პორტფელის დასაცავად გახლავთ ორიენტირება სახელმწიფო ობლიგაციებისა და დოლარის ზრდაზე, ხოლო ნედლეულისა და საფონდო აქციების შემთხვევაში კი - მათ კლებაზე.

აქციები დაუცველია. ფასწარმოქმნის მარაგის არარსებობისა და რეალიზებული პროდუქციიდან მიღებული დაბალი მოგების პირობებში, კორპორაციულ შემოსავლებს ამოძრავებს ხარჯების შემცირების მიერ წარმოქმნილი ცვალებადი მარჟები. ხარჯების შემცირების კასრის ფსკერი გამოფხვკილია. ფრთხილად იყავით იმასთან, რაც შესაძლოა მის ქვეშ დაგხვდეთ. **F**

# ბიზნესგარემოს რელიგიური ფონი

სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟს საქართველოს ვაჭრობის საერთაშორისო პალატის თავმჯდომარის, ფადი ასლის საჯარო განცხადება მოჰყვა. მისი თქმით, ისლამოფობიური განწყობა ქვეყანას ძვირი დაუჯდება. Forbes Georgia გთავაზობთ ინტერვიუს ფადი ასლისთან.

ავტორი: ანდრე ბუთხუბი



**თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველოში არსებული ისლამოფობიური განწყობა აბრკოლებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. უფრო დეტალურად მოგვახსენეთ თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით.**

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი ისლამური ქვეყნებიდან – თურქეთიდან, აზერბა-

იჯანიდან, ყაზახეთიდან, არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან ან ირანიდან მოდის. ამიტომ ნებისმიერი ისლამოფობიური განწყობა საქართველოში სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს იმ ინვესტორების გადაწყვეტილებაზე, რომლებიც წარმოშობით ამ ქვეყნებიდან არიან.

ინვესტორები იქ იწყებენ საქმიანო-

ბას, სადაც თავს უსაფრთხოდ გრძნობენ და სადაც მთავრობაც და ხალხიც გულთბილად ხვდება – ორივე ძალზე მნიშვნელოვანია. იმ დროს, როდესაც საქართველოს ჰაერით სჭირდება უცხოური ინვესტიციები, სიბეცედ მიმაჩნია მაგანთა მიერ ისლამოფობიური გრძნობების გაღვივება გარკვეული პრივილეგიების, ან ხმების სანაცვლოდ. ამგვარი განწყობა საფრთხის მატარებელია ქვეყნის სამოქალაქო მშვიდობისთვის.

უნდა იქონიოთ მხედველობაში ისიც, რომ საქართველოში ანტიისლამური განწყობის გაღვივებამ შეიძლება გამოიწვიოს საპასუხო რეაქცია ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანების მიმართ, რომლებიც მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებში უმცირესობას წარმოადგენენ; რელიგია სულიერი იდენტობაა და არ იზღუდება ქვეყნის გეოგრაფიული საზღვრებით. ის საზოგადოება, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენს საკუთარ ქვეყანაში, შეიძლება განსაზღვრულ რეგიონში უმცირესობას წარმოადგენდეს.

## საქართველოში ინვესტიციების რა წილი მოდის ისლამური ქვეყნებიდან?

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების არსებითი ნაწილი ისლამურ ქვეყნებზე მოდის და ამიტომაც საქართველო ვერ მისცემს თავის თავს უფლებას გააბრაზოს, აწყენინოს ან შეაშინოს ამ ქვეყნების წარმომადგენელი ინვესტორები. მე არ ვფლობ ზუსტ მონაცემებს, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი დიდი მეცნიერი იყო იმის მისახვედრად, რომ საქართველოში ჩადებულ უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებში ისლამური ქვეყნების ხვედრითი წილი მნიშვნელოვანია.

**ამ ბოლო პერიოდში ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია და უფლებადამცველი საუბრობდა საქართველოს მუსლიმანური მოსახლეობის ქრისტიანულ მოსახ-**

**ღეობასთან არათანაბარ პირობებში ჩაყენებაზე. რამდენად დიდია საფრთხე, რომ ეს ფაქტორი მნიშვნელოვან ბარიერად იქცეს მუსლიმან ინვესტორებთან ურთიერთობისას?**

ამჟამად ისლამოფობიური განწყობა საქართველოში აშკარად გამოკვეთილი არ არის და, შესაბამისად, მისი ზეგავლენა მუსლიმან ინვესტორებზე შეზღუდულია; თუმცა, თუ მთავრობა მთელი პასუხისმგებლობით არ მიუდგება საქართველოს კონსტიტუციაში ნათლად განსაზღვრული რელიგიის თავისუფლების უპირობოდ განხორციელების უზრუნველყოფას და ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ისლამოფობიური განწყობა მეტად მოზღვავდება, მაშინ ცხადია, რომ მუსლიმანი ინვესტორები სიფრთხილით მოეკიდებიან საქართველოში მოღვაწეობის პერსპექტივას.

ისიც გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკური აყვავება არის უძლიერესი არგუმენტი, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს თვითაღიარებულ დამოუკიდებლობას დაათმობინებს და გამოიწვევს მათ რეინტეგრაციას საქართველოში; ისლამოფობიური განწყობის დამკვიდრება არა მარტო ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შეაფერხებს, არამედ აფხაზეთს დამატებით არგუმენტს მისცემს საქართველოში რეინტეგრაციაზე უარის სათქმელად.

მე ლიბანელი ქრისტიანი გახლავართ, ანუ ვარ იმ ქვეყნიდან, რომელშიც თვრამეტი სხვადასხვა რელიგიური ჯგუფი ცხოვრობს. ეს ის რეგიონია, სადაც მუსლიმანები დომინირებენ. მე ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის მიმდინარე სამოქალაქო ომის ნაწილი ვიყავი და უამრავი უბედურების გადატანის შემდეგ ერთი რამ ვისწავლე – იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი საკუთარი რწმენა და ტრადიცია, უპირველეს ყოვლისა, სხვების რწმენისა და ტრადიციების შენარჩუნებაზე უნდა ვიზრუნოთ, რათა მათ უსაფრთხოდ იგრძნონ თავი და თავდაცვითი პოზიციის მიღება არ მოისურვონ.

**ამჟამად არსებობს თუ არა უკმაყოფილება მუსლიმან ინვესტორებში საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით?**

რამდენადაც მე ვიცი – არა, გამომდინარე იქიდან, რომ მუსლიმანი ინვესტორების უმრავლესობას სჯერა – სურათი, რომელიც წელს

ვიხილეთ, მხოლოდ დროებითი მოვლენაა და არა ორგანული. მსურს დაგარწმუნოთ, რომ უცხოელი ქრისტიანი ინვესტორებიც ზუსტად ისევე გამოეხილნენ იმ ისლამოფობიურ განწყობას, რომელსაც ზოგიერთები ავლენენ საქართველოში.

**ფეისბუკზე თქვენს განცხადებაში საქართველოში**

**ბოლო დროს გააქტიურებული რელიგიური დებატები შეაფასეთ, როგორც „ქრონიკული ისლამოფობიური განწყობა“.**

**რატომ დაახასიათეთ მოვლენა, როგორც „ქრონიკული“? უახლოეს წარსულში თქვენთვის შესამჩნევი იყო რელიგიური ფონის გამწვავება საქართველოში?**

რა თქმა უნდა, ისლამოფობიის საგრძნობი გამწვავება მართლაც შეიმჩნევა ბოლო თვეებში! წელს ახალ ამბებშიც ბევრჯერ მოვისმინეთ და გაბეებშიც წავიკითხეთ, რომ ქართველ მუსლიმან მოქალაქეებს აუკრძალეს ლოცვა ზოგიერთ სოფელში! მე უკვე 15 წელია, რაც საქართველოში ვცხოვრობ და ეს პირველი წელია, როდესაც მესამის მუსლიმან და ქრისტიან მორწმუნეთა შორის დაძაბულობის შესახებ; მოვლენებს, რომლებიც რეგულარულად მეორდება, ქრონიკული ეწოდება.

**რა გავლენა აქვს რელიგიურ ფონს ქვეყნის ბიზნესგარემოზე?**

რელიგია საერთოდ არ უნდა ახდენდეს გავლენას ბიზნესგარემოზე. ჩემი პირადი მოსაზრებით – რელიგია, პოლიტიკა და ბიზნესი სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს ერთმანეთისგან; ეს ერთადერთი სიცოცხლისუნარიანი სტრატეგია გახლავთ თანამედროვე და მდგრადი სახელმწიფოს ასაშენებლად. ეს არის ასევე ის, რაც მკაფიოდ წერია საქართველოს კონსტიტუციაში, ამიტომაც საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობაა თითოეული მოქალაქის მიერ კონსტიტუციისადმი სრული პატივისცემის უზრუნველყოფა. **F**

**თუ მთავრობა მთელი პასუხისმგებლობით არ მიუდგება საქართველოს კონსტიტუციაში ნათლად განსაზღვრული რელიგიის თავისუფლების უპირობოდ განხორციელების უზრუნველყოფას, მაშინ ცხადია, რომ მუსლიმანი ინვესტორები სიფრთხილით მოეკიდებიან საქართველოში მოღვაწეობის პერსპექტივას.**



# „დიდი ძმის“ გონება

როგორ აქცია „არანორმალურად“ თვითგამოცხადებულმა ფილოსოფოსმა კომპანია PALANTIR-ი ტერორისტების მოთვალთვალე, ყოვლისმხედველ, მულტიმილიარდიან მონაცემთა მოპოვების მანქანად.

ავტორები: ენდი გრინბერგი და რაიან მაკი  
ფოტო: ერიკ მილერი FORBES-ისთვის



Palantir-ის მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელი, ალექს კარპი

**მ**ას შემდეგ, რაც დაიწყო ხმების გავრცელება, რომ სტარტაპმა, სახელწოდებით Palantir-ი, ხელი შეუწყო ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციას, ალექს კარპს საკუთარი თავისათვის დიდი დრო აღარ რჩება.

ივლისის მცხუნვარე დღეა. სილიკონის ველის კომპანია Palantir-ის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი, 45 წლის გამხდარი მამაკაცი ხშირი, გამოფიტული თმით, სტენფორდის უნივერსიტეტის უზარმაზარი სატელეტური ანტენის, Dish-ის, ირგვლივ გამწვანებულ ბაღთან გორაკებს მიუყვება. ეს მისი მედიტირების საყვარელი პროცესია, თუმცა მის სიმართლევს არღვევს ვინმე „მაიკი“, ყოფილი საზღვაო ქვეითი, 6,1 ფუტის სიმაღლისა და 270 ფუნტის წონის, დაკუნთული, მდუმარე ადამიანი, რომელიც ყველგან თან ახლავს. პალო-ალტოს გარეუბნის ქუჩებშიც კი, Palantir-ის სათავო ოფისიდან სულ რამდენიმე ნაბიჯზე, პირადი მცველი ფეხდაფეხ მიჰყვება მას.

„ეს შენს ცხოვრებას მნიშვნელოვან ტვირთად აწევა,“ ჩივის კარპი, თუმცა მის გამომეტყველებას დიდი შავი მზის სათვალე ფარავს. – არაფერია იმაზე ცუდი, როდესაც ხელს გიშლიან, ვილაცასთან უბრალო ფლირტი გააბა“.

უსაფრთხოების ასეთი 24/7 რეჟიმის მიზანი მისი დაიცვაა, ექსტრემისტებისგან, რომელთაც სასიკვდილო მუქარა გამოუგზავნეს და შეთქმულების თეორიების მოყვარულთაგან, რომლებიც Palantir-ს ილუმინატებთან გარიგებაში ადანაშაულებენ. შიზოფრენიკები მუდმივად იყვნენ ჩასაფრებული კარპის ოფისთან. „საკმაოდ ადვილია მოექცე სხვათა ფანტაზიების ცენტრში, – ამბობს იგი, – თუ შენი კომპანია ჩართულია იმ რეალობებში, რომელშიც ჩვენ ახლა ვიმყოფებით“.

Palantir-ი ცხოვრობს თავისი კლიენტების რეალობით: ესენია NSA, FBI და CIA – მისი ადრეული ინვესტორი ვენჩურული ფონდის, In-Q-Tel-ის მეშვეობით – ასევე აშშ-ის კონტრტერორისტული და სამხედრო სააგენტოები სხვადასხვა აბრევიატურით. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში Palantir-ი იმ კომპანიად იქცა, რომელსაც მასობრივი მონაცემების მოსაძიებლად აკითხავს სხვადასხვა სადაზვერვო და სამართალდამცავი სააგენტო; კომპანიას აქვს დახვეწილი პროგრამული

უზრუნველყოფა და ჰყავს პროგრამისტები, რომლებიც კლიენტებისთვის ინდივიდუალურ პროგრამებს ქმნიან. Palantir-ი ინფორმაციის უზარმაზარ მასივებს ინტუიციურად გასაგებ ვიზუალურ რუკებად, ჰისტოგრამებად და დიაგრამებად აქცევს. მიეცით ე.წ. „forward deployed engineers“ –ს რამდენიმე დღე, რათა განახორციელოს მომხმარებლის ყველა სახის მონაცემის ინტეგრაცია და Palantir-ს შეუძლია ისეთი პრობლემების მოგვარება, როგორცაა ტერორიზმი, კატასტროფებზე რეაგირება და ადამიანთა ტრეფიკინგი.

Palantir-ის მრჩეველთა შორის არიან კონდოლიზა რაისი და CIA-ს ყოფილი დირექტორი ჯორჯ ტენენტი, რომელმაც ერთერთ ინტერვიუში განაცხადა: „ვისურვებდი მსგავსი მძლავრი ინსტრუმენტი გვექონოდა“ 9/11 მოვლენებამდე. CIA-ს ბოლო ყოფილი შეფი, გენერალი დევიდ პეტრაუსი, Forbes-ს შემდეგნაირად აღუწერს Palantir-ს: „უკეთესი თავისი ხაფანგი მაშინ, როდესაც უკეთესი თავისი ხაფანგი იყო საჭირო“, კარპს კი „ნამდვილ ბრილიანტს“ უწოდებს.

Palantir-ის ინსტრუმენტების მომხმარებელთა შორისაა აშშ-ის საზღვაო-სამხედრო ფლოტი, რომელმაც ეს ინსტრუმენტები ავღანეთში გამოიყენა დანაღმული გზების კრიმინალური ანალიზისა და ამბოხებულთა თავდასხმების პროგნოზირებისათვის. შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით დაადგინეს მექსიკური ნარკოკარტელის იმ წევრების ადგილმდებარეობა, რომელთაც მოკლეს აშშ-ის საბაჟოს თანამშრომელი; ასევე მიაკვლიეს ჰაკერებს, რომლებმაც დალაი-ლამას კომპიუტერში სათვალთვალო პროგრამა დააყენეს. წიგნში The Finish, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაცია, ავტორი მარკ ბოუდენი წერს, რომ Palantir-ის პროგრამული უზრუნველყოფა „ნამდვილად იმსახურებს მის გავრცელებულ დასახელებას Killer App (მკვლელი პროგრამა)“.

და ახლა Palantir-ი ჯამშუებისა და საიდუმლო ოპერაციების ჩრდილოვანი სამყაროდან დღის სინათლეზე გამოდის, რათა „შტურმით აიღოს“ კორპორაციული ამერიკა. სწორედ ის პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის დახმარებითაც ერაყში ჩასაფრებების პროგნოზირება ხდებოდა, ესმარება

ფარმაცევტულ კომპანიებს მედიკამენტთან დაკავშირებული მონაცემების გაანალიზებაში.

JP Morgan Chase-ის ყოფილი თანამშრომლის თქმით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით კომპანიამ ასობით მილიონი დამოუკიდებელი პრობლემების მოგვარებით, როგორცაა კიბერთაღლითობა და გაუფასურებული იპოთეკები. Palantir-ის მომხმარებელს ბანკში რამდენიმე წაშლილი შეუძლია დაინახოს კავშირები ნიკერიის ინტერნეტპროტოკოლს, სადაღაც ამერიკაში მდებარე პროქსი სერვერსა და სახლის გირაოთი გაცემული საკრედიტო ხაზიდან განხორციელებულ გადახდებს შორის; ასევე სამხედრო სფეროს მომხმარებლებს შეუძლია შეაჯერონ საარტილერიო ჭურვების ფრაგმენტებზე არსებული თითის ანაბეჭდები, ადგილმდებარეობის მონაცემები, ანონიმური ინფორმაცია და სოციალური მედია, რათა მიაკვლიონ ჭურვების დამამზადებლებს ავღანეთში.

ეს ინსტრუმენტები Palantir-ის ახალგაზრდა ჯგუფს დაეხმარა კლიენტების გადმოხილვაში IBM-ის, Booz Allen-ისა და Lockheed Martin-ისაგან იმ პროდუქციის დახმარებით, რომელიც უფრო სწრაფად მუშაობს, უფრო ბუსტ შედეგებს დებს და ხშირად ერთი ინსტალაციის შემთხვევაში \$1 მილიონზე ნაკლები ჯდება - რაც მისი კონკურენტების მიერ შეთავაზებული ფასის მხოლოდ მცირე ნაწილია. მისი კომერციული კლიენტების ნუსხა - რომელსაც იგი კიდევ უფრო მკაცრად ასაიდუმლოებს, ვიდრე სამთავრობო მომხმარებლებს - მოიცავს Bank of America-სა და News Corps-ს. კერძო სექტორთან გაფორმებულ კონტრაქტებზე კომპანიის შემოსავლების 60% მოდის. Forbes-ის შეფასებით, წელს კომპანიის შემოსავალი \$450 მილიონს მიაღწევს, შარშან კი ეს მაჩვენებელი \$300 მილიონზე ნაკლები იყო. კარპის გეგმებით, 2014 წელს Palantir-ი, გრძელვადიანი კონტრაქტების წყალობით, მილიარდიან ნიშნულს მიაღწევს. 2014 შესაძლოა გახდეს წელი, რომელიც კომპანიის პირველ მოგებას მოუტანს.

მთავარი აზრი: CIA-ს მიერ დაფინანსებული კომპანია, მართული ექსცენტრიკული ფილოსოფოსის მიერ, იქცა ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ ტექნოლოგიურ კომპანიად, რომლის ფასიც \$5-დან \$8 მილიარდამდე მერყეობს. კარპს ეკუთვნის კომპანიის დაახლოებით მეათედი - ოდნავ ნაკლები, ვიდრე ყველაზე მსხვილ აქციონერს, პიტერ ტილს, მილიარდერს, რომელსაც წილები აქვს PayPal-სა და Facebook-ში (სხვა მილიარდერ ინვესტორებს შორის არიან კენ ლანგონი და ჰეჯ-ფონდების გიგანტი სტენლი დრუკენმილერი). ამგვარად, კარპს შესაძლებლობა ეძლევა, გახდეს სილიკონის ველის ახალი მილიარდერი, ტილს კი - გააორმაგოს საკუთარი ქონება, თუკი კომპანია აქციების საჯარო განთავსებას გადაწყვეტს. ამ საკითხს, კარპის თქმით, Palantir-ი არცთუ დიდი ენთუზიაზმით განიხილავს.

Palantir-ის უდიდეს პრობლემად შესაძლოა იქცეს მისი პროგრამული უზრუნველყოფის კარგი მუშაობა: ის თავის მომხმარებლებს ძალიან ბევრი რამის დანახვის შესაძლებლობას აძლევს. NSA-ის საიდუმლო ინფორმაციის გამამუდგანებლის, ედუარდ სნოუდენის, მიერ სააგენტოს მხრიდან მასობრივი თვალთვალის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის

ფონზე, კონფიდენციალობის დამცველები Palantir-ის ინსტრუმენტებს განიხილავენ საშიშ იარაღად მონაცემების მოპოვების თვალსაზრისით - Google-ის დონის ინჟინერია, რომელიც პირდაპირ გამოიყენება სახელმწიფო თვალთვალისათვის. „დიდი ძმისა“ და „დიდი მონაცემების“ კომბინაცია განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, რაც Palantir-ი სილიკონის ველის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ სტარტაპად იქცა. ამ კომბინაციამ კი შესაძლოა გააფუჭოს პირველი საზოგადოებრივი შთაბეჭდილება და კომპანია მიუღებელი აღმოჩნდეს კლიენტებისა და ინვესტორებისათვის სწორედ მაშინ, როდესაც მას ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად სჭირდება.

„ისინი საშიშ ბიზნესში არიან“, - აცხადებს Electronic Frontier Foundation-ის იურისტი ლი თიენი. ACLU-ს ანალიტიკოსის, ჯეი სტენლის, აზრით, Palantir-ის პროგრამული უზრუნველყოფამ შესაძლოა გამოიწვიოს „ჭეშმარიტი ტოტალიტარული კომპარი, გაუწევს რა მასობრივ მონიტორინგს უდანაშაულო ამერიკელების საქმიანობას“.

კარპი, სოციალური თეორიის დოქტორი, არ გაურბის ამ უხერხულ კითხვებს. ის განიხილავს Palantir-ს, როგორც კომპანი-



„არავინ არაფერს აკეთებდა Palantir-ის მსგავსს“, - ამბობს თანადამფუძნებელი პიტერ ტილი, რომელსაც თავიდანვე სჯეროდა, რომ „ის ისეთივე ღირებული იქნებოდა, როგორც Facebook-ი“.

ფოტო: REUTERS

ას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების ფუჭი თამაშის წესები. „მე არ მინდა, რომ ხელისუფლებამ იცოდეს, როდის ვეწევი მარიხუანას ან როდის მაქვს სექსი“, - აღიარებს ის. კომპანიასთან დაკავშირებით იგი აცხადებს: „ჩვენ უნდა ვიპოვოთ ის სივრცეები, რომლებსაც დავიცავთ ხელისუფლებისაგან, რათა შეგვეძლოს ვიყოთ უნიკალურები და საინტერესოები, და ჩემს შემთხვევაში, ცოტა არანორმალურებიც, როგორებიც გვინდა, რომ ვიყოთ“.

Palantir-ი ამჟამად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც ბევრად აღემატება მის კლიენტთა უმრავლესობის სამართლებრივ მოთხოვნებს, ასევე მას ჰყავს „პირადი ცხოვრებისა და სამოქალაქო უფლებების ინჟინრები“. მაგრამ საბოლოოდ სწორედ კარბი განსაზღვრავს კომპანიის მიმართულებას. „ის ჩვენი სინდისია“, - აცხადებს მთავარი ინჟინერი არი გემერი.

თუმცა მთავარი კითხვა მაინც ის არის, მოახერხებს თუ არა ბიზნესრეალობა და კონკურენცია ამ კეთილშობილური იდეების გადაგვარებას. როდესაც საქმე ეხება ბიზნესკონკურენტებს, კარბი სულ უფრო ნაკლებად გვეჩვენება Palantir-ის სინდისად და უფრო მეტად - მის ქვეცნობიერად. თავისი მთავარი მოტივაცია მან გამოხატა ივლისში, კომპანიისადმი გაკეთებულ მიმართვაში: „განადგურონ ან დაასახირონ“ ისეთი მეტოქეები, როგორიცაა IBM-ი და Booz Allen-ი. „ჩემთვის ეს თვითგადარჩენის ტოლფასია, - განაცხადა მან. - უნდა დავასწროთ ჩვენს კონკურენტებს, სანამ ისინი გაგვანადგურებენ“.

**პ**არპს, როგორც ჩანს, ძალიან ახალისებს იმ მიზეზების ჩამონათვალი, რომელთა გამოც იგი არ შესაბამება თავის სამუშაოს. „მას არა აქვს ტექნიკური ხარისხი, მას არა აქვს რაიმე სახის კულტურული კავშირი მთავრობასთან ან კომერციულ სექტორთან, მისი მშობლები ჰიპები არიან, - ამბობს იგი და გაუჩერებლად სცემს ბოლოას თავის

ოფისში, აღწერს რა საკუთარ თავს მესამე პირში, - როგორ მოხდა, რომ 2005 წლიდან ეს ადამიანი თანადამფუძნებელი და მთავარი აღმასრულებელი დირექტორია და ეს კომპანია ჯერ კიდევ არსებობს?“

ამ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძიოთ კარბისა და პიტერ ტილის მრავალწლიან მემორიაში, რომელიც სტენფორდის იურიდიულ სკოლაში დაიწყო. ორივე Crothers-ის უბრალო საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და სკოლაში ყოფნის პირველ წელს ლექსითაა უმეტესობა ერთად უტარებდით, მაგრამ მათ უაღრესად დაპირისპირებული პოლიტიკური მსოფლმხედველობა ჰქონდათ. როგორც კარბი იხსენებს, იგი ფილადელფიაში გაიზარდა, მის მშობლებს, ხელოვანსა და პედიატრს, უქმე დღეებში ხშირად მიჰყავდათ შვილი მუშათა უფლებების დასაცავად და „რეიგანის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედების“ გასაპროტესტებლად. ტილს კი უნივერსიტეტის ბოლო კურსზე უკვე დაარსებული ჰქონდა ღრმად ლიბერტარიანული Stanford Review.

„როგორც წესი, ჩვენ შემთხვევით გადავეყრებოდით ხოლმე ერთმანეთს და იწყებოდა... თითქოს ორი ველური ცხოველი ერთ ბილიკზე მოხვდაო, - იხსენებს კარბი. - პრინციპში, მე მომწონდა მასთან შეჯახება“.

კარბმა არ მოინდომა იურიდიული საქმიანობის გაგრძელება და ფრანკფურტის უნივერსიტეტს მიაშურა, რათა ესწავლა იურგენ შაბერმასთან, XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ ფილოსოფოსთან. დოქტორის ხარისხის მოპოვებიდან მოკლე ხანში მან ბაბუსაგან მემკვიდრეობა მიიღო და მისი საოცარი წარმატებით დაბანდება დაიწყო სტარტაპებსა და აქციებში. მისი თქმით, ზოგიერთმა დიდი ფულის პატრონმა ინდივიდმა გაიგო, რომ „ეს ბიჭი კარგად აბანდებდა ფულს“ და მისი მომსახურების მოძიებით დაკავდა. მათი ფულის სამართავად მან ლონდონში დააარსა Caedmon Group-ი: კედმონი კარბის მეორე სახელია - ისევე როგორც პირველი ინგლისურენოვანი პოეტისა.

ამასობაში კი სილიკონის ველზე ტილი

გახდა თანადამფუძნებელი PayPal-ისა, რომელიც 2002 წლის ოქტომბერში \$1.5 მილიარდად მიჰყავდა eBay-ს. მან შემდეგ შექმნა ჰეჯ-ფონდი სახელწოდებით Clarium Capital-ი, თუმცა ახალი კომპანიების დაფუძნებაც განაგრძო: ერთ-ერთი მოგვიანებით იქცა Palantir-ად, რომლის სახელწოდებაც ჯ.რ.რ. ტოლკინის „ბეჭდების მბრძანებელი“ (Lord of the Rings) აღწერილი Palantiri-ის ქვებიდან მომდინარეობს. ნაწარმოების თანახმად, ეს არის სფეროსების ხსეულები, რომლებიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს ხედავდეს ძალიან შორს და აგებდეს მეგობრებსა და მტრებს.

9/11 მოვლენების შემდეგ ტილს სურდა კომპანია მიეყვინა ნაციონალური უსაფრთხოების სულ უფრო მზარდი კომპლექსისათვის: მისი კონცეფციის მიხედვით, Palantir-ს უნდა გამოეყენებინა PayPal-ისათვის შექმნილი თაღლითობის ამომცნობი პროგრამული უზრუნველყოფა, რათა შეეჩერებინა ტერორისტთა თავდასხმები. მაგრამ თავიდან ეს ლიბერტარიანული Palantir-ს აღიქვამდა, როგორც ანტიდოტს - და არა ინსტრუმენტს - პირადი ცხოვრების უფლებების დარღვევისათვის იმ საზოგადოებაში, რომელიც უსაფრთხოების მარწუხებში ექცეოდა. „ეს მისი ბედი იქნებოდა უნივერსული კომპანია იყო, - ამბობს ტილი, რომელმაც პირადად \$40 მილიონის ინვესტიცია განახორციელა Palantir-ში და დღეს მისი თავმჯდომარეა. - მე პრობლემა ასე განვსაზღვრე: უნდა შეგვესუსტებინა ტერორიზმი და შეგვეწარმუნებინა სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები“.

2004 წელს ტილმა შექმნა გუნდი სტენფორდის კურსდამთავრებულ ორ პროგრამისტთან, ჯო ლონსდეილთან და სტეფან კოვთან და PayPal-ის ინჟინერ ნათან გეთინგსთან ერთად, რათა დაეწერათ ახალი პროგრამის კოდი. თავდაპირველად ფინანსურად მათ მთლიანად ტილი უზრუნველყოფდა, ასაღებდა გუნდს ძალიან უჭირდა ინვესტორების მოძიება და პოტენციურ მომხმარებელთა თვალში სერიოზულად წარმოჩენა. „როგორ უნდა მოახერხოთ, რომ მოვისმინონ 22 წლის



ასაკში? – ამბობს ლონსდეილი, – ჩვენ გვჭირდება ადამიანი, რომელსაც ოდნავ მეტი შევერცხვით თმა ექნებოდა”.

ამ დროს გამოჩნდა კარპი, რომლის კრამერისეული წაბლისფერი ხვეული თმა, ევროპული კავშირები და დოქტორის ხარისხი კარგად ნიღბავდა მის გამოუცდელობას. მიუხედავად იმისა, რომ მას არავითარი ტექნიკური გამოცდილება არ ჰქონდა, დამფუძნებლები გაოცებულნი იყვნენ მისი უნართი სწრაფად ჩასწვდომიდან კომპლექსური პრობლემების არსს და გადაეთარგმნა ისინი არაინჟინერებისათვის.

ლონსდეილმა და კოენმა სთხოვეს მას გამხდარიყო მოქმედი მთავარი აღმასრულებელი დირექტორი და როდესაც ისინი ესაუბრებოდნენ სხვა კანდიდატებს მუდმივი სამუშაოსათვის, ვერც ერთმა გახანებულსაყვლოიანმა ვამინგტონელმა „ტიპმა“ ან ბიზნესადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მფლობელმა კანდიდატმა ვერ შეძლო მათი მოხიბვლა „ისინი გვისვამდნენ კითხვებს ნაღდი ფულის საერთო ბაზრის ჩვენეული შეფასებების შესახებ, – ამბობს კარპი, არ მაღავს რა გაღიზიანებას ბიზნესსკოლის ლექსიკის მიმართ. – ჩვენ კი ესაუბრობდით მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი კომპანიის შემქმნის შესახებ”.

კარპმა ზოგიერთი ევროპული ენჯელ-ინვესტორის გადმოხიზება მოახერხა, ამერიკულ კაპიტალისტებს კი კომპანიის მიმართ თითქოს აღერგია ჰქონდათ. კარპი იხსენებს, რომ Sequoia-ს ხელმძღვანელი მაიკლ მორიცი მთელი შეხვედრის განმავლობაში რაღაცას ხატავდა. Kleiner Perkins-ის აღმასრულებელმა დირექტორმა კი Palantir-ის დამფუძნებლებს საათნახვერიანი ლექსია წაუკითხა მათი კომპანიის უცილობელი მარცხის შესახებ.

Palantir-ი გადაარჩინა CIA-ის ვენჩურული კაპიტალის ფონდმა In-Q-Tel-მა, რომელიც დათანხმდა განეხორციელებინა ორუტაპიანი ინვესტიცია \$2 მილიონზე მეტი საერთო მოცულობით. „ნათელი იყო, რომ ისინი უმაღლესი დონის ტალანტები იყვნენ, – აცხადებს In-Q-Tel-ის ყოფილი ხელმძღვანელი ჰარშ პატელი. – ამ გუნდში ყველაზე შთაბეჭდავი იყო მათი ფოკუსი-

რება პრობლემაზე... როგორ უნდა ესაუბრაოთ ადამიანებს მონაცემებთან”.

კომპანიის მისია რეალურად იმაზე ბევრად რთული აღმოჩნდა, ვიდრე ამას რომელიმე დამფუძნებელი წარმოიდგენდა. PayPal-ი იწყებდა იდეალურად სტრუქტურირებული და ორგანიზებული ინფორმაციით თაღლითობის ანალიზისათვის. სადაზვერვო სფეროს კლიენტებს კი პირიქით, ჰქონდათ ელფოსტების, ჩანაწერებისა და ელექტრონული ცხრილების შეუსაბამო ნაკრებები.

იმისათვის, რომ Palantir-ს შეესრულებინა საკუთარი დაპირებები კონფიდენციალობის დაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით, კომპანიას სჭირდებოდა ერთიან კატალოგში მოექცია მომხმარებელთა მონაცემები და უზრუნველყო, რომ მათზე წვდომის საშუალება ჰქონოდათ მხოლოდ დაშვების უფლებით აღჭურვილ პირებს. სპეციალურ ინფორმაციასთან დაშვების ეს სისტემა გულისხმობდა კლასიფიცირებული ინფორმაციის ნახვის შეუძლებლობას შესაბამისი უფლების არმქონე პირებისათვის და ასევე სენსიტიური პერსონალური მონაცემების არამართებულად გამოყენების პრევენციას.

მაგრამ Palantir-ის პირადი მონაცემებისა და უსაფრთხოების დაცვის მთავარი ასპექტი უნდა ყოფილიყო ის, რასაც კარპი, აკადემიური ჟარგონებისადმი მისი სიყვარულის გათვალისწინებით, უწოდებს „მუდმივ პროტოკოლს“. ყველაფერი, რასაც მომხმარებელი აკეთებს Palantir-ის სისტემაში, ტოვებს შესაბამის ნაკვალევს, რომლის აუდიტაც შესაძლებელია. არც ერთ რუს ჯაშუშს, ეჭვიან ქმარს ან ედუარდ სნოუდენს არ შეუძლია ამ ინსტრუმენტის ისე გამოყენება, რომ თავისი მოქმედებების წარუშლელი კვალი არ დატოვოს.

2005-დან 2008 წლამდე CIA იყო Palantir-ის ერთადერთი მფარველი და მომხმარებელი, თავდაპირველად სწორედ მათ გამოსცადეს და შეაფასეს მისი პროგრამული უზრუნველყოფა. მაგრამ, ლანგლის ნებართვით, გავრცელდა ხმები Palantir-ის მზარდი შესაძლებლობების შესახებ და კალიფორნიელთა მრავალფეროვანმა

ჯგუფმა დაიწყო ახალი გარიგებებისა და თანამშრომლების მოზიდვა. ფილოსოფოს კარპს საუკეთესო ინჟინრების მოძიებისა და მოხიბვლის უნიკალური უნარი აღმოაჩნდა. კოლეგები იმდენად შემცბარნი იყვნენ მისი ყნოსვით ტექნიკური ტალანტებისადმი, რომ ერთხელ გამოსაცდელად გასაუბრებისათვის ორი დაბალი დონის აპლიკანტი მიუგზავნეს. მან ორივე მაშინვე „იყნოსა“.

Palantir-ის უნიკალური კულტურის ფორმირებას კარპის მემბოხე ნატურამ მისცა ბიძგი. კომპანიის პალო-ალტოს სათავო ოფისში, რომელსაც ტოლკინის ჰობიტების სამშობლოს პატივსაცემად „the Shire“ ეწოდება, არის უზარმაზარი ბურთის ფორმის საკონფერენციო დარბაზი, მისი სართულები კი მოფენილია Nerf-ის დარტხითა და ძაღლის ბეწვით (ძაღლებისათვის აქ კარი ყოველთვის ღიაა). კომპანიის თანამშრომლები, რომელთა უმრავლესობაც ამჟობინებს Palantir-ის საფირმო სამოსის ტარებას, იმდენად დიდ დროს ატარებენ სამსახურში, რომ ზოგიერთ მათგანს სააბაზანოს ნიჟარასთან კბილის ჯაგრისივც აქვს დატოვებული.

თავად კარპი კი, რა თქმა უნდა, ექსცენრიკული Palantir-ის ყველაზე ექსცენტრიკული ნაწილია. მარტოხელა, რომელიც ამბობს, რომ დაღვინებისა და ოჯახის შექმნის იდეა საშინლად არ მოსწონს. იგი ცნობილია თავისი შეპყრობილობით: ის რუბიკის კუბს სამ წუთზე ნაკლებ დროში აწყობს, ყოველდღიურად ცურავს და მისდევს ციგუნის მედიტაციურ პრაქტიკას, გაიარა აიკიდოსა და ჯიუ-ჯიუს ეტაპებიც, რომლის დროსაც თანადამფუძნებლები მას Shire-ის შესასვლელში ელოდნენ. მისი ოფისის უჯრები საგვსა ვიტამინებით, 20 წყვილი იდენტური საცურაო სათავალითა და ხელის სადებინფექციო საშუალებებით. თანამშრომლებს იგი უკავშირდება შიდა ვიდეოარხით, რომელსაც KarpTube-ი ეწოდება და ესაუბრება ისეთ საკითხებზე, როგორცაა სიძუნწე, ინტეგრირებულობა და მარტქიზმი. „Palantir-ზე არ ვფიქრობ მხოლოდ მაშინ, – ამბობს იგი, – როდესაც ცურვით, ციგუნით ან სექსით ვარ დაკავე-

ბული“.

2010 წელს Palantir-ის კლიენტებმა ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტი-დან კომპანიას რეკომენდაცია გაუწიეს JP Morgan-თან, რომელიც მოგვიანებით მისი პირველი კომერციული კლიენტი გახდა. ინჟინერთა გუნდმა იქირავა ბინა ტრიბეკას რაიონში, მათ ორსართულიან საწოლებზე ეძინათ და დღე და ღამე მუშაობდნენ, რათა დახმარებოდნენ ბანკს თაღლითობასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრაში. მალე მათ მიიღეს ახალი დავალება გამოველინათ „ტოქსიკური“ იპოთეკური პორტფელი. დღეისათვის Palantir-ის ნიუ-იორკის ოპერაციებმა სრულად გაშალა ფრთები ბუტმენის სტილის ოფისში, რომელიც ცნობილია Gotham-ის სახელწოდებით, მათი მოგებიანი ფინანსური მომსახურება მოიცავს ყველაფერს, იპოთეკის გამოსყიდვის პროგნოზირებით დაწყებული, ჩინელ ჰაკერებთან ბრძოლით დამთავრებული.

მაგრამ Palantir-ის სამომხმარებლო ბაზის ზრდასთან ერთად ფართოვდებოდა ნაპრალი მის იდეალისტურ კულტურაში. 2011 წელს გამოჩნდა ელექტრონული წერილები, რომლებმაც აჩვენა, რომ Palantir-ის ინჟინერი დათანხმდა შემოთავაზებებზე მიეხედათ WikiLeaks-ის მუქარებისათვის Bank of America-ს დოკუმენტების გავრცელებასთან დაკავშირებით. Palantir-ის თანამშრომელი ამ ელექტრონულ წერილებში დიდი სიამოვნებით თანხმდება ამ ჯგუფის დონორების მიკვლევისა და იდენტიფიცირების, WikiLeaks-ის ინფრასტრუქტურაზე კიბერშეტევების წამოწყებისა და მისი მხარდამჭერისადმი მუქარის წინადადებებზე. როდესაც სკანდალი ატყდა, კარპმა შიდა განაწესის დამრღვევი ინჟინერი სამსახურიდან დაითხოვა და გაავრცელა პირადი განცხადება, რომელშიც მოიხილეთ და კიდევ ერთხელ დაადასტურა კომპანიის მხარდაჭერა „პროგრესული ღირებულებებისადმი“. ფირმის ქმედებებისა და პოლიტიკის შესაფასებლად მოწვეული იყვნენ გარეშე მრჩეველები და, გარკვეული დაფიქრების შემდეგ გადაწყდა, რომ შესაძლებელი იყო გათავისუფლებული



სან-ლევანდროს საზოგადოებრივი აქტივისტი მაიკლ კაც-ლაკაბე დაუპირისპირდა პოლიციელებს, რომლებიც სანომრე ნიშნების წამკითხველი კამერით მძღოლებისათვის გადაღებული მილიონობით ფოტოს გასაანალიზებლად Palantir-ს იყენებენ.

თანამშრომლის სამსახურში ხელახლა მიღება, რაც კომპანიის კრიტიკოსთა მხრიდან დაცინვის საგანი გახდა.

WikiLeaks-თან დაკავშირებული ინციდენტის შემდეგ Palantir-ის პირადი ინფორმაციისა და სამოქალაქო თავისუფლებების ჯგუფმა ინჟინრებისათვის შექმნა ეთიკური ცხელი ხაზი, რომელსაც ეწოდა Batphone-ი: ნებისმიერ ინჟინერს შეუძლია გამოიყენოს იგი, რათა ანონიმურად შეატყობინოს Palantir-ის დირექტორებს ისეთი კლიენტების შესახებ, რომლებთან მუშაობაც, მათი აზრით, არაეთიკურია. მაგალითად, Batphone-ის კომუნიკაციის გამოყენებით, კომპანიამ უარი თქვა იმ სამუშაოს შესრულებაზე, რომელიც ითვალისწინებდა facebook-ის საჯარო გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის ანალიზს. კარპმა ასევე განაცხადა, რომ კომპანიამ უარი თქვა თამბაქოს მწარმოებელ ფირმასთან მუშაობაზე და, საერთო ჯამში, ეთიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, კომპანია საშუალოდ უარს ამბობს შესაძლო ბიზნესგარიგებების 20%-ზე (ჯერ კიდევ გასარკვევია, ასეთივე მკაცრი კრიტერიუმებით მიუდგება თუ არა შესაძლო ბიზნესგარიგებებს, თუ Palantir-ი ანგარიშვალდებული გახდება საჯარო აქციონერების მიმართ და გაჩნდება კვარტალურ შედეგებთან დაკავშირებული მოთხოვნა).

და მაინც, ყოფილი თანამშრომლების ინფორმაციის თანახმად, Palantir-ი განიხილავს საუდის არაბეთში მუშაობის შესაძლებლობებს, მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლებს რეალური კითხვები აქვთ ამ სამეფოში ადამიანის უფლებათა დარღვევების კუთხით. და მიუხედავად იმისა, რომ კარპი ხაზგასმით საუბრობს ღირებულებებზე, როგორც ჩანს, WikiLeaks-თან დაკავშირებული სკანდალის გამო მოხდელი ბოდიში მას კარგად აღარ ახსოვს. ივლისში, როდესაც მან კომპანიის ინჟინრებს მიმართა, მისი სიტყვები უტიფრად ჟღერდა: „ჩვენ არასოდეს გვექონია ისეთი სკანდალი, რომელიც ნამდვილად ჩვენი ბრალი იყო“.

**2009** წლის 14 ნოემბერს, დღის 4:07 საათზე, მაიკლ კაც-ლაკაბე ოკლენდის წყნარ გარეუბანში მდებარე საკუთარი სახლის წინ თავის წითელ Toyota Prius-ს აჩერებდა, როდესაც გვერდით პოლიციის მანქანამ ჩაუარა. საპატრულო მანქანაზე დამონტაჟებულმა ნომრების წამკითხველმა კამერამ ჩუმად და ავტომატურად გადაიღო ამ სცენის ფოტო: მისი მონაცრისფრო-მოთეთრო ერთსართულიანი სახლი, გახუნებული გაზონი, ვარდის ბუჩქები და მისი 5 და 8 წლის გოგონები, რომლებიც მანქანიდან

გადმოდიან.

ადგილობრივი სკოლის საბჭოს წევრმა, საზოგადოებრივმა აქტივისტმა და ბლოგერმა, ჭაღარაწვერიანმა, გაბურძენილმა კაც-ლაკაბემ ეს ფოტო მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იხილა: 2010 წელს მან შეიტყო სან-ლუანდროს პოლიციის დეპარტამენტის სანომრე ნიშნების ავტომატური წამკითხველების შესახებ, რომლებიც განკუთვნილი იყო ქალაქში მოძრავი თითოეული ავტომანქანის გადასაღებად და მათი გადაადგილების გასაკონტროლებლად. მან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია მისი ორი მანქანისათვის გადაღებული ყველა ფოტოს შესახებ. ამ მოთხოვნის საფუძველზე პოლიციამ მას 112 ფოტო გაუგზავნა. მისთვის ყველაზე გამაღიზიანებელი სწორედ ის ფოტო აღმოჩნდა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ – სადაც მისი ქალიშვილებიც არიან აღბეჭდილი.

„ვინ იცის, კიდევ რამდენი ადამიანის შვილებია ასახული ასეთ ფოტოებზე? – კითხულობს იგი. მისი შემოთავაზება სცილდება უბრალოდ მშობლის მზრუნველობის ფარგლებს. – ამ ტექნოლოგიის გამოყენებით შეგიძლიათ უკან გადაახვიოთ დრო და ნახოთ, სად იმყოფებოდა თითოეული ადამიანი, სად იდგა მათი მანქანა: სხვა ქალის სახლთან, სამედიცინო მარიხუანას კლინიკასთან, ოჯახის დაგეგმვის ცენტრთან, საპროტესტო აქციასთან თუ სადმე სხვაგან“.

როდესაც კაც-ლაკაბე კიდევ უფრო ჩაუღრმავდა ამ შემთხვევას, აღმოაჩინა, რომ სან-ლუანდროს პოლიციის დეპარტამენტის მიერ სანომრე ნიშნების წამკითხველი სისტემით გადაღებული მილიონობით ფოტო გადაეცა ჩრდილოეთ კალიფორნიის რეგიონალური უსაფრთხოების ცენტრს (NCRIC) – ერთ-ერთს ფედერალური მთავრობის მიერ შექმნილი იმ 72 უსაფრთხოების სამსახურიდან, რომლებიც 9/11 მოვლენის შემდეგ მოქმედებენ. სწორედ აქ ხდება ფოტოების გაანალიზება იმ პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, რომელიც სწორედ სან-ფრანცისკოს ყურის გადაღმა მდებარე კომპანიაში, Palantir-მა შექმნა.

ბიზნესშეთავაზებაში, რომელიც

Palantir-მა გაუგზავნა NCRIC-ს, იგი ეყრდნობოდა მისი უკვე არსებული კლიენტების რეკომენდაციებს ლოს-ანჯელესისა და ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტებიდან, ამაცობდა რა, რომ ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტს დაეხმარა 500 მილიონი ფოტოს გაანალიზებაში სულ რაღაც ხუთ წაში. კაც-ლაკაბე დაუკავშირდა Palantir-ს და გაუზიარა თავისი შემოთავაზება პირადი ინფორმაციის შეგროვებასთან დაკავშირებით, საპასუხოდ კომპანიამ იგი სათავო ოფისში სასაუბროდ მიიწვია. Shire-ში მისულს, Palantir-ის თანამშრომლებმა მოუწყვეს ერთსაათიანი პრეზენტაცია Palantir-ის საამაყო უსაფრთხოების ზომების შესახებ: ინფორმაციასთან და მონაცემებთან დაშვების კონტროლი, მუდმივი პროტოკოლები და Batphone-ი.

კაც-ლაკაბე სულაც არ იყო მოხიბლული. Palantir-ის პროგრამული უზრუნველყოფას, როგორც იგი მიუთითებს, არ გააჩნია დროითი საზღვრები – ყველა შეგროვებული მონაცემი მანამდე ინახება, სანამ

იგი არსებობს მომხმარებლის სერვერებზე. და კომპანიის აუდიტის ფუნქცია? „მე მიმაჩნია, რომ ეს საერთოდ არაფერს ნიშნავს, – ამბობს იგი. – პროტოკოლები სრულიადაც არ არის ქმედითი, თუ ვინმე არ აკონტროლებს მათ“.

კაც-ლაკაბეს ისტორიის მოსმენისას, კარპი სწრაფად იგერიებს ბრალდებას: Palantir-ის პროგრამული უზრუნველყოფა ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენას ემსახურება. „აი ამ პროგრამის გამოყენების ნამდვილი მაგალითი“, – ამბობს იგი და გვიყვება ისტორიას „დანჯღრეული კადილაკით“ მოძრავ პედოფილზე, რომელიც ბავშვზე თავდასხმიდან ერთ საათში დააპატიმრეს სწორედ ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტის ავტომანქანებზე დამონტაჟებული კამერების წყალობით. „ნომრების წამკითხველის იმ მონაცემების დახმარებით, რომელთაც თავი მოუყარეს ჩვენს ბაზაში, მათ შეძლეს ამ დამნაშავეს ქუჩიდან აყვანა და გადაარჩინეს ბავშვების სიცოცხლე“.

უსაფრთხოების სამსახურების ინვესტიციები

ჩრდილოვანი წამოწყებები

ამერიკის სადაზვერვო სამსახურების მიერ გამოყენებული ყველა ტექნოლოგია ჯეიმს ბონდის მსგავს საიდუმლო ლაბორატორიებში არ იქმნება. პირიქით, მათ უმეტესობას ქმნის კომერციული საწარმოები, რომლებსაც ნაწილობრივ აფინანსებს In-Q-Tel, 14 წლის დამოუკიდებელი გენერული კაპიტალის ფონდი, რომელიც CIA-ს ფრთას წარმოადგენს. ეს ფონდი, როგორც წესი, ახალ წამოწყებებში \$1 მილიონიდან \$3 მილიონამდე აბანდებს. გენერული კაპიტალის სფეროს მიმოიხილველის, CB Insights-ის, თანახმად, 2012 წელს ის 20 ახალ წამოწყებაში მონაწილეობდა. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი მისი წარმატებული წამოწყება – ავტორი: სამანტა შარფი.

**ARCSIGHT, კუპერტინო, კალიფორნია:** ქმნის პროგრამული უზრუნველყოფას, რომელიც გამოიყენება ციფრული საფრთხეების მონიტორინგისათვის, დაწყებული კომპრომეტირებული მონაცემებით, დამთავრებული სისტემური ჩავარდნებით. IQT-მა ინვესტიცია განახორციელა 2001 წელს. 2008 წელს კომპანიამ აქციები საჯაროდ განათავსა, 2010 წელს იგი შეისყიდა HP-მა \$15 მილიარდად.

**KEYHOLE, მაუნტინ-ვიუ, კალიფორნია:** იყენებს სატელიტებსა და აეროფოტოებს, რათა შექმნას ინტერაქტიული სამგანზომილებიანი მოდელები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. IQT-მა ინვესტიცია განახორციელა 2003 წელს, ერთი წლის შემდეგ ფირმა Google-მა შეიძინა და დღეს ის Google Earth-ის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია.

**SYSTEMS RESEARCH & DEVELOPMENT, ლას-ვეგასი, ნევადა:** მისი პროდუქცია ეხმარება კორპორაციებსა და ხელისუფლებას „ბუნდოვანი“ კავშირების რუკის შედგენაში. შეიძინა IBM-მა 2005 წელს.

**PERCEPTIVE PIXEL, ნიუ-იორკ-სიტი:** ეს კომპანია 2012 წელს შეიძინა Microsoft-მა. ფირმამ შეიმუშავა უზარმაზარი სენსორული ეკრანები, რომლებიც ფართოდ გახდა ცნობილი არჩევნების შედეგების რუკების დემონსტრირებით, რითიც უკან ჩამოიტოვა CNN-ი.

**FLUIDIGM, სან-ფრანცისკო:** შექმნა ტექნოლოგია, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია მარკეტების სწრაფი ანალიზი გენეტიკური ნიმუშების უზარმაზარი მასივიდან. 2011 წელს კომპანიამ აქციები საჯაროდ განათავსა და ახლა იყიდება Nasdaq-ზე FLDM-ის სახელით.

„თუ ჩვენ, როგორც დემოკრატიულ საზოგადოებას, გვჯერა, რომ სარეგისტრაციო ნომრებს შეუძლია საზოგადოებაში გამოიწვიოს პროტესტი მეოთხე შესწორების დასაცავად, ჩვენი პროდუქტი უზრუნველყოფს იმას, რომ თქვენ ეს საშიში ხაზი არ გადაკვეთოთ“, - ამბობს იგი და ამატებს, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული დროის ლიმიტი, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება მსგავს მონაცემებზე წვდომა. მაგრამ სანამ კანონმდებლობა შეიცვლება, Palantir-ის არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოებში იმოქმედებს. „რეალურ სამყაროში, სადაც ჩვენ გვიხდება საქმიანობა - რომელიც არასოდეს არის იდეალური - აუცილებელია რაღაც დათმოს სხვა რაღაცის სანაცვლოდ“.

და რა მოხდება, თუ Palantir-ის აუდიტის პროტოკოლები - მისი მთავარი უსაფრთხოების იარაღი მონაცემებზე არასანქცირებული წვდომის წინააღმდეგ - უბრალოდ იგნორირებული იქნება? კარპი გვპასუხობს, რომ ეს პროტოკოლები განკუთვნილია მესამე მხარისათვის. სახელმწიფო სამსახურების შემთხვევაში, იგი გვთავაზობს შეიქმნას საბედადამხედველო უწყება, რომელიც განახორციელებს ყველა სახის თვალთვალისა და მიყურადების მონიტორინგს - მაგრამ ამ ეტაპზე მსგავსი ინსტიტუტი მხოლოდ თეორიაა. „რაღაც ამის მსგავსი აუცილებლად იარსებებს მომავალში, - დაუინებით იმეორებს კარპი, - საზოგადოება შექმნის მსგავს ინსტიტუტებს, რადგან სხვა ალტერნატივა არის ის, რომ უფლება მიეცეთ ტერორიზმს გაგრძელდეს ან დაეკარგოს ჩვენი უფლებები და თავისუფლება“.

Palantir-ის კრიტიკოსებს, ბუნებრივია, არ აკმაყოფილებთ კარპის ეს ჰიპოთეტური სასამართლო. Electronic Privacy Information Center-ის აქტივისტის, ემი სტეფანოვიჩის, განცხადებით, Palantir-ი გულუბრყვილოა, თუ სჯერა, რომ ხელისუფლება მის მიერ გამოყენებული ტექნოლოგიების ზედამხედველობას დაიწყებს. Electronic Frontier Foundation-ის წარმომადგენელი ლი თიენი კი, უბრალოდ, მასხრად იგდებს კარპის არგუმენტს, რომ თვალთვალისა და მიყ-

რადების სისტემებს შეიძლება დაემატოს კონფიდენციალობის გარანტიები. „იმაზე, თუ რას უზამ ტოქსიკურ ნარჩენებს, მანამდე უნდა იფიქრო, სანამ ატომურ ელექტროსადგურს ააგებ, - ამბობს იგი, - და არა მას შემდეგ, რაც ეს ელექტროსადგური ფუნქციონირებას დაიწყებს“.

Palantir-ის ზოგიერთი ყოფილი თანამშრომელი ამბობს, რომ მათაც იგრძნეს ერთგვარი შემოთება ადამიანის უფლებების შელახვის იმ პოტენციალთან დაკავშირებით, რომელსაც მათი სამუშაო შეიცავდა. „შენ ქმნი რაღაცას, რაც შესაძლოა ბოროტი განზრახვით იყოს გამოყენებული. სრული კომპარი იქნებოდა, ჯ. ედგარ ჰუვერს რომ მსგავსი შესაძლებლობები ჰქონოდა მარტინ ლუთერ კინგის წინააღმდეგ ბრძოლისას, - ამბობს ერთ-ერთი ყოფილი ინჟინერი. - ერთი რამ, რაც ნამდვილად მაწუხებდა, იყო ის ფაქტი, რომ იმას, რის შექმნაშიც მე წვლილი შემქონდა, შეედლო ხელი შეეშალა არაბული გაზაფხულის მსგავსი რევოლუციებისათვის“.

მიუხედავად Palantir-ის მაღალი პრინციპებისა, ამბობს სხვა ყოფილი ინჟინერი, კომპანიის ყოველდღიური საქმიანობა და პრიორიტეტები პოლიციისა და უსაფრთხოების სფეროს კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილებაა: „სამართალდამცავებთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნება და მუდმივი კონტროლის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი გადახვევაა კომპანიის იდეალებისაკენ“.

ის ამტკიცებს, რომ თვით Palantir-ის დამუშავებლებსაც არ ესმით კარგად „ბეჭდების მბრძანებლის“ Palantir-ის ყოვლისმხედველი ქვების არსი. ტოლკინის სფეროები მათ მფლობელებს, როგორც წესი, არ აძლევენ რეალურ სურათს. „Palantiri ჭეშმარიტებას ამრუდებს“ - ამბობს იგი. და ის, ვინც ამ სფეროებში იხედება, ამატებს იგი, „მხოლოდ იმას ხედავს, რისი დანახვაც სურს“.

**მ**იუხედავად იმისა, თუ რას ამბობენ კრიტიკოსები, ნათელია, რომ ალექს კარპი ნამდვილად აფასებს კონფიდენციალობას - საკუთარს. მისი ოფისი, რომელსაც ამშვენებს

Palantir-ის თანამშრომლების მიერ შექმნილი მისივე მუყაოს მაკეტი, ასევე Lego-ს ციხესიმაგრე ყავის მაგიდაზე, გადაჭყურებს პალო-ალტოს ალმას ქურჩას, ორმხრივი სარკეებით. თითოეული პანელი აღჭურვილია ხელსაწყოთი, რომელიც წააგავს ჰოკეის ბურთს. აკუსტიკურ გარდამქმნელებად წოდებული ეს გაჯეტები ე.წ. „თეთრი ხმაურის“ მეშვეობით იწვევს მინის შეუმჩნეველ ვიბრაციას, რათა უზრუნველყოს შენობის შიგნით მიმდინარე საუბრების დაცვა მიყურადების სხვადასხვა ტექნიკისაგან.

კარპი იხსენებს თავის ადრეულ უზრუნველ ცხოვრებას - Palantir-ამდე წლებს. მან თავისი რუბიკის კუბიც ძირს დადო, რათა უფრო თავისუფლად მოახერხოს უსტიკულაცია. „საბანკო ანგარიშზე \$40 000 მერიცხებოდა და არავინ იცოდა, ვინ ვიყავი. მე ეს მომწონდა. მე ეს მომწონდა. მე, უბრალოდ, ძალიან მომწონდა ეს, ძალიან, - ამბობს იგი, ხმას თანდათან უწევს და ხელებს თავს ზემოთ იქნევს. - მე, უბრალოდ, ვსეირნობდი, მთელი ღამით ვსტუმრობდი საშინელ ადგილებს ბერლინში. ვესაუბრებოდი ყველას, ვინც ჩემთან ლაპარაკს მოისურვებდა, ხანდახან ვილაყვს სახლში მივყვებოდი. მე დავდიოდი იმ ადგილებში, სადაც ხალხი რაღაცებს აკეთებდა, რაღაცებს ეწეოდა. ეს ყველაფერი ძალიან მომწონდა“.

„ერთ-ერთი, რაც ყველაზე რთულია ჩემთვის და რაც უზარმაზარ ტვირთად მაწევს... არის ის, რომ ვკარგავ შესაძლებლობას ვიყო სრულიად ანონიმური“.

კარპის პოზიციაზე მყოფი ადამიანისათვის სულაც არ არის მარტივი იყოს „არანორმალური“ თანამედროვე სამყაროში. და როდესაც ხელისუფლების ხელში არის ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა Palantir-ი, ყველა სხვა დანარჩენისათვისაც ნორმიდან გადახრა საკმაოდ რთული იქნება. მიუხედავად იმისა, იარსებებს თუ არა კონფიდენციალობის დაცვის ზომები, „სრული ანონიმურობა“, რომელიც ასე ენატრება კარპს, შესაძლოა XX საუკუნის ფუფუნებად დარჩეს.

კარპი ხელებს დაბლა უშვებს და მის ხმაში აღარ ისმის ადრინდელი ენთუზიამი: „ამას როგორმე უნდა გავუმკლავდე“.

# სასწაულმოქმედები

**როგორ შექმნეს მეწარმემ, გენიოსმა მკვლევარმა და დარგის ლეგენდამ საუკუნის ყველაზე „შემოქმედებითი“ ახალი მედიკამენტების კომპანია. ერთად მათ შესაძლოა, უბრალოდ, შეცვალონ მედიცინა.**

ავტორი: მეთიუ ჰერპერი  
ფოტო: დევიდ იაქსონი, FORBES-ისაბათვის

დალასის ერთ-ერთ გარეუბანში ცხოვრობს აერობიკის ინსტრუქტორი, 40 წელს ოდნავ გადაცილებული ქალბატონი, რომლის ქოლესტერინის დონეც იმდენად დაბალია, - ექვსჯერ ნაკლები ნორმალურ ადამიანთან შედარებით - რომ, მეცნიერთა აზრით, მიუხედავად იმისა, როგორ საკვებს მიიღებს, იგი მაინც დაცული იქნება გულის დაავადებებისაგან. გერმანიის დედაქალაქ ბერლინის საავადმყოფოში მიიყვანეს ბიჭუნა, რომელსაც საოცრად მძლავრად განვითარებული კუნთოვანი მასა ჰქონდა. ოთხი წლის ასაკში მას შეეძლო გაწვდილი ხელებით 7-ფუტიანი სავარჯიშო ჰანტელები დაეჭირა.

ეს ადამიანები - გენეტიკური მუტანტები, რომლებიც X-Man-ის პერსონაჟებს უფრო ჰგვანან - მხოლოდ ბუნების წყალობით არ არიან ასეთები. ისინი მიგვიძღვებიან ადამიანთა ჯანმრთელობის მომავლისაკენ - ასე მიიჩნია ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერ „მედიკამენტების მაძიებელს“ - ჯორჯ იანკოპულოსს, ფარმაცევტული კომპანია Regeneron Pharmaceuticals-ის 53 წლის მთავარი სამეცნიერო დირექტორს. ფარმაცევტულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ახალი მოვლენაა მკურნალობის ის ექსპერიმენტული მეთოდი, რომელიც მან გულის მუტაციის საფუძველზე შეიმუშავა. მკურნალობის მეორე მეთოდი, რომელიც ახალშობილის კანს იყენებს, შესაძლოა დაეხმაროს სიმსივნით დაავადებულ იმ ადამიანებს, რომელთა კუნთოვანი მასაც ნელ-ნელა ატროფირდება. ტესტირების პროცესშია იანკოპულოსის სხვა მედიკამენტებიც - ასთმის, რევმატიოიდული ართრიტისა და სიმსივნის საწინააღმდეგო. ყველა ეს პრეპარატი დაფუძნებულია მისი გუნდის მიერ შემუშავებულ უნიკალურ მეთოდზე, რომელიც გულისხმობს ადამიანის დნმ-ის გრძელი ზოლების შეტანას თავგების დნმ-ში და შემდეგ ამ მღრღნელების გამოყენებას ადამიანებზე გათვლილი მედიკამენტების დაჩქარებული წარმოებისათვის.

„აი რატომ ერთვები ამ საქმიანობაში, - ამბობს იანკოპულოსი. - ფიქრობ, რომ კარგად გესმის ბიოლოგია. ფიქრობ, რომ გაქვს

მოვლენათა არსში გაკრკვევის კარგი უნარი და ფიქრობ, რომ ამით შეძლებ დაავადებათა განკურნვას“.

ფარმაცევტულ ბაზარზე უკვე შესულია მის მიერ შემუშავებული სამი მედიკამენტი, რაც საოცარი მოვლენაა ამ სფეროსათვის, რომელშიც, როგორც წესი, მკვლევარები მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთი ახალი მედიკამენტის შემუშავებაზე მუშაობენ და თუ ორის შექმნას მოახერხებენ, ნამდვილ სუპერვარსკვლავებად ითვლებიან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ამ სამი წამლიდან ორი კომერციული სიყალბე აღმოჩნდა: ერთ-ერთი - იშვითი გენეტიკური დაავადების, მეორე კი - სიმსივნის სააწინააღმდეგო, რომელიც Genentech-ის Avastin-ს წააგავდა. მაგრამ მისი მთავარი წარმატება 2011 წელს მოვიდა, მედიკამენტ Eylea-სთან ერთად, რომელიც ზრდასრულ ადამიანებში სიბრმავის მთავარ მიზეზს ებრძვის. და მაშინ, როდესაც უოლ-სტრეტი დარწმუნებული იყო, რომ ფარმაცევტულმა ინდუსტრიამ ამოწურა დიდი გაყიდვების მომტანი პროდუქტები, ამ მედიკამენტმა პირველსავე წელს \$838 მილიონი მოაგროვა, წელს კი ელიან, რომ მისი გაყიდვების მაჩვენებელი 55%-ით გაიზრდება და, სავარაუდოდ, \$1,3 მილიარდს მიაღწევს.

თუმცა ის, რომ Regeneron-ი მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ინოვაციური კომპანია (მიმდინარე წლის Forbes-ის სიაში იგი მე-4 ადგილს იკავებს) გახდა, არა მხოლოდ მეცნიერების, არამედ გონივრული ბიზნესის დამსახურებაა. იანკოპულოსის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მისი ბოსის მხარდაჭერაა. ეს გახლავთ კომპანიის დამფუძნებელი და მთავარი აღმასრულებელი დირექტორი ლეონარდ შლაიფერი, 61 წლის მედიცინისა და ფილოსოფიის დოქტორი. იგი ბიოტექნოლოგიების სფეროს ერთ-ერთი ყველაზე გამჭრიახი საქმიანი ადამიანია, რომელიც ორი ათწლეულის განმავლობაში იცავდა იანკოპულოსს შედეგების მომლოდინე ინვესტორებისაგან, როდესაც მცდელობები წარუმატებლად მთავრდებოდა. „ჯორჯი ძალიან ნიჭიერი იყო, - ამბობს შლეიფერი. - ძალიან ნიჭიერი იყვნენ მის ირგვლივ მყოფი ადამიანებიც. საკითხი, შევძლებდით თუ არა ამის გაკეთებას, არასოდეს დამ-



**Regeneron-ის ჯგუფი, იანკოპულოსი (მარცხნივ) და ლეონარდ შლაიფერი. ბიზნესში ერთად გატარებული 25 წლის შემდეგ ისინი რაღაც დიდის მოლოდინში არიან.**

დგარა. მთავარი კითხვა იყო, როდის შევძლებდით ამას ან შევძლებდით კი საკმარისად დიდხანს გაგვეტანა თავი, რათა მთავარი წარმატებისათვის მიგვეღწია?”.

და მათ არაერთ წარმატებას მიაღწიეს. ფარმაცევტული სფეროს ძირითადი ტენდენციების საწინააღმდეგოდ, მათ მოახერხეს ახალი ეფექტიანი მედიკამენტების შექმნა მწირი ბიუჯეტით. მას შემდეგ, რაც FORBES-მა ჩაატარა ბოლო ათწლეულის განმავლობაში ღია სააქციო კომპანიების მიერ შექმნილი და მოწონებული 220 მედიკამენტის ანალიზი, ნათლად გამოჩნდა, რომ იმ კომპანიებმა, რომელთაც სამი ან მეტი ახალი მედიკამენტი შექმნეს, საშუალოდ ერთი მედიკამენტის კვლევა-განვითარებაზე \$4,3 მილიარდი დახარჯეს. ფარმაცევტული სფეროს „დიდი ბიჭები“ კიდევ უფრო მეტს ხარჯავენ: Merck-ი - \$5,5 მილიარდს, Pfizer-ი - \$7,8 მილიარდს და Sanofi-ი, რომელიც Regeneron-ის პარტნიორია ბევრ პროექტში, \$10 მილიარდს. რამდენია Reeneron-ის დანახარჯი ერთ მედიკამენტზე? მხოლოდ და მხოლოდ \$736 მილიონი. „ის იმაზე ბევრად წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე წარმოვიდგენდი“, - ამ-

ბობს ფრედ ალტი, ჰარვარდის სამედიცინო სკოლის გენეტიკოსი, რომელმაც იანკოპულოსის შესახებ პირველმა უთხრა შლაიფერს.

შესაბამისად, შლაიფერი მილიარდერის სტატუსს უახლოვდება. Forbes-ის შეფასებით, მისი ქონების წმინდა ღირებულება \$800 მილიონს შეადგენს, უმეტესწილად Regeneron-ის აქციებით. ამავე დროს, იანკოპულოსმა ყველაზე დიდი ფული გამოიმუშავა, ვიდრე ნებისმიერმა მკვლევარ-ბიოლოგმა. შარშან მან მიიღო \$82 მილიონის ღირებულების ანაზღაურების პაკეტი, შემდგარი ძირითადად კომპანიის აქციებისაგან, რითაც გადააჭარბა ამერიკის ყველა აღმასრულებელი დირექტორის შემოსავალს, თუ არ ჩავთვლით ლარი ელისონს. იანკოპულოსის ქონების სავარაუდო წმინდა ღირებულება \$400 მილიონს შეადგენს.

მაგრამ, მიუხედავად ყველა ამ ფინანსური და პროფესიული წარმატებისა, იანკოპულოსს ჯერ კიდევ შესაქმნელი აქვს მედიკამენტი, რომელიც რეალურად შეცვლის მედიცინას. მისი ახალი პროექტები - გულის პრეპარატი, ასთმის წამალი - შესაძლოა იმ რანგის პროდუქტთა რიცხვში შევიდეს, რომელთაც ათასობით

ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია და რომელთა დასახელებაც საყოველთაოდ არაა ცნობილი. Regeneron-ის ტერეიტაუნის (ნიუ-იორკის შტ.) სრულიად ახალ სათავო ოფისში სტუმრობისას იანკოპულოსმა ჩვენზე იმ ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა, რომელიც ლაბორატორიაში ცხოვრობს. „ვან დეიკის“ სტილის დაბალ წვერში ჭაღარა შეჰპარვია, ოქსფორდის პიჯაკის ღილები გახსნილი აქვს, პერანგი კი ქამართან გახვრეტილია. ოფისში მდგარი თეთრი დაფა აჭრელებულია ბარათებით მისი ტინეიჯერი შვილებისაგან, რომლებიც ხშირად სტუმრობენ მას სამსახურში.

„ყველაფერი, რასაც ჩვენ 25 წლის განმავლობაში ვაკეთებთ, ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ისე არ არის, რომ შუა გზაზე შევიცვალეთ მიმართულება ან სრულიად ახალი რამ გავაკეთეთ. ყველაფერი სწორედ იმ ძველ იდეებზეა დაფუძნებული, რომლებიც უბრალოდ ახალ საფეხურზე ავცყავს“.

**Regeneron-ის ფესვები** ჩინურ რესტორანში უნდა ვეძიოთ. 1988 წელს, მანჰეტენის ზემო ისტ-საიდში, შლაიფერმა, რომელიც მაშინ Weill Cornell Medical College-ის ნევროლოგიის პროფესორის ასისტენტი იყო, ხელსახოცზე სწრაფად მოაწერა ხელი კონტრაქტს Merrill Lynch-ის ვენჩურულ კაპიტალისტთან და რესტორნიდან გამოვიდა უკვე \$1-მილიონიანი დაფინანსებით, აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობითა და ახალი კომპანიით, რომლის

მთავარი მიზანიც ნერვული სისტემის მკურნალობა იყო. შემდეგ მან მრჩეველებად დაიქირავა წამყვანი მეცნიერები, მათგან სამი ნობელის პრემიის ლაურეატი, რომლებიც შემდეგ Regeneron-ის დირექტორთა საბჭოში შევიდნენ.

ერთ-ერთმა მრჩეველმა ასხენა შლაიფერთან იანკოპულოსი, რომელიც მაშინ კოლუმბიის უნივერსიტეტის 28 წლის პროფესორი იყო, როგორც „თავისი თაობის ახალგაზრდა სუპერგარსკვლავი“. იანკოპულოსსაც ჰქონდა მიზეზები, თუ რატომ უნდა მოესმინა შლაიფერის ინიციატივისათვის. მამამისი ბერძენი იმიგრანტი იყო, რომელიც ამერიკაში იმ იმედით ჩამოვიდა, რომ აღადგენდა მამის (რომელიც თურქეთში ჰყავდათ დატყვევებული, სანამ საბერძნეთში გაქცევას მოახერხებდა და იქ ამ ქვეყნის ერთ-ერთ პირველ თბოელექტროსადგურებს ააგებდა) ქონებას, რომელიც ამ უკანასკნელმა ნაცისტების მოსვლასთან ერთად დაკარგა. იანკოპულოსის მამას საშინლად არ სიამოვნებდა, რომ მისი ბრწყინვალე გონების შვილმა ისეთი კარიერა აირჩია, რომელიც მხოლოდ აკადემიკოსის მწირ ხელფასს სთავაზობდა. იანკოპულოსმა გრანტების სახით მიიღო \$2 მილიონი, რომელიც მის საქმიანობას რვა წლის განმავლობაში დააფინანსებდა, მაგრამ ამ თანხიდან მის ჯიბეში მხოლოდ \$35 000 აღმოჩნდა. ამერიკა კი, როგორც მამამ უთხრა, უფრო გულუხვი უნდა ყოფილიყო მის მიმართ.

შლაიფერი და იანკოპულოსი თითქმის ერთი უბანში გაიზარდნენ, მხოლოდ ქუინ-ბულვარი ჰყოფდათ, მაგრამ ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან; ორივე მათგანი საკუთარ დოქტორის ხარისხს ქუჩური ცხოვრებით აბალანსებდა. იანკოპულოსმა შლაიფერთან ერთად მონახულა ის პოტენციური ლაბორატორიები, სადაც მას მოუხდებოდა საქმიანობა, მაგრამ სამუშაო კონტრაქტზე ხელის მოწერისაგან თავს იკავებდა. ბოლოს ნიუ-იორკის ვესტჩესტერის ოლქის ერთ-ერთ იტალიურ რესტორანში შეხვედრისას, იანკოპულოსი მამასთან ერთად გამოცხადდა. „არსებითად, ნაცვლად იმისა, რომ მე დამერწმუნებინა ჯორჯი, ჩემთან ემუშავა, მამამისს სურდა ჩემთან გასაუბრება, თითქოს მე ვეძებდი სამსახურს“, - იხსენებს შლაიფერი. იტალიურ რესტორანში შემდგარი საუბრის შემდეგ მამამ თანხმობა განაცხადა და იანკოპულოსსაც მოაწერა ხელი შეთანხმებას.

მაგრამ იმ რვა მეცნიერმა, რომლებიც თავის დროზე იანკოპულოსთან კოლუმბიის უნივერსიტეტში მუშაობას დათანხმდნენ, უარი განაცხადეს გაყოლოდნენ მას ახალ სამსახურში. იმ დროს კომპანიაში მუშაობის დაწყება აკადემიურ კარიერაზე უარის თქმას ნიშნავდა. და ისინი ამ გადაწყვეტილებაში

**მომავლის წამლების ქარხანა**  
**უამრავი წამალი არსებითად ანთისხეულია – ანუ ცილების ბლოკირების წამლები, რომლებიც წარმოადგენს ორგანიზმის იარაღს ბაქტერიებისა და ვირუსების წინააღმდეგ. აი როგორ ქმნის მათ REGENERON-ი.**

- 1. თავისი ანთისხეულის შემთხვევითი მთავარი გენები ნაცვლდება.**
- 2. თავი ექვემდებარება იმ პროცესს, რომელიც ანთისხეულს აბლოკირებს და მისი ორგანიზმში შესაბამისი ანთისხეულს გამოიშვავს.**
- 3. კირველი ნაბიჯის გამო ამ ანთისხეულის წინა ნაწილი ადაპიანის იქნება, ხოლო უკანა ნაწილი – თავისი.**
- 4. ეს წინა ნაწილი გენეტიკური ინჟინერიის მეშვეობით შესაძლებელია კომბინირებული იყოს ადაპიანური ანთისხეულში.**
- 5. 100%-ით ადაპიანური ანთისხეულის წარმოება მოხდა გაზონას კვირცხუჯრედში, ის, რასაც შედეგად ვიღებთ, უკვე ადაპიანის-სათვის განკუთვნილი.**

მარტო არ იყვნენ. იანკოპულოსს ჰქონდა 10 000 კვადრატული ფუტის ფართის ლაბორატორია და ვერ პოულობდა ვერავის, ვინც მასთან მუშაობას მოინდომებდა. მას რამდენიმე თვე დასჭირდა იმისათვის, რომ გაეფორმებინა პირველი შრომითი ხელშეკრულება – უმუშევარი ფიზიკოს-თეორეტიკოსისა, რომელიც ბიოლოგიით იყო დაინტერესებული – და ორი წელი იმისათვის, რომ ჩამოეყალიბებინა თავისი კვლევითი გუნდის ძირითადი ბირთვი. თუმცა თანამშრომლების მოზიდვის ამ ნელმა და სწორმა მიდგომამ გაამართლა. თავდაპირველ კვლევით ჯგუფში შემავალი რამდენიმე ადამიანი იანკოპულოსის ყველა გამარჯვების თანამოზიარე იყო და თითქმის ყველა მათგანი დღემდე Regeneron-ის შემადგენლობაში რჩება. „მეთოდები, რომლებსაც ვიყენებდით, მართლაც მოწინავე და ახალი იყო, – ამბობს ნეილ შტალი, იანკოპულოსის მარჯვენა ხელი 1991 წლიდან. – მე დავრწმუნდი, რომ სამეცნიერო თვალსაზრისით აქ უფრო მეტს ვაგაკეთებდი, ვიდრე სადმე სხვაგან, მარტოხელა ადიუნქტ-პროფესორის რანგში“.

თავდაპირველად დიდებისაკენ მიმავალი გზა მარტივი ჩანდა. იანკოპულოსმა აღმოაჩინა, რომ ზრდის ფაქტორის ცილები, მთავარი ქიმიური სიგნალები, რომლებიც აღდგენის პროცესს აძლევს ბიძგს, თითქმის ერთი და იგივე იყო როგორც ტვინში, ასევე სხეულის სხვა ნაწილებში. შესაბამისად, უნდა მომხდარიყო ამ ცილის იზოლირება, პაციენტის ტვინში მისი მოთავსება და – ჰოი, საოცრება! – ისინი დაეხმარებოდნენ პაციენტებს ლუ გერიგის დაავადებისაგან განკურნებაში. შლაიფერს უკვე წარმოუდგინა, როგორ ტრიუმფს მიაღწევდნენ ისინი ერთად, მიიღებდნენ მუდმივ აბონემენტს საპატიო ლოჯიაში Yankee Stadium-ზე – სტადიონზე, სადაც გერიგი თამაშობდა და პაციენტთა ცხოვრების გარდაქმნის პარალელურად საკუთარ შემოსავალს დაითვლიდნენ. ნაცვლად ამისა, პრეპარატმა კლინიკური გამოცდა ვერ გაიარა.

იმედგაცრუებულმა შლაიფერმა იანკოპულოსს მოულოდნელი წინადადება შესთავაზა: „რატომ არ მოვუხმით დასახმარებლად როი ვაგელოსს? იქნებ მან შეძლოს ეს“.

ეს ძალიან გაბედული იდეა იყო. კომპანია Merck-ის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი, ვაგელოსი, იმ წამლების წყალობით, რომელთაც შეცვალეს გულით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა და გამოაჯანმრთელეს ე.წ. „მდინარის სიბრძავით“ დაავადებული ადამიანები აფრიკაში, იყო ერთ-ერთი ყველაზე კარგად ცნობილი და პათისვაცემი აღმასრულებელი დირექტორი ფარმაცევტულ სფეროში და იანკოპულოსის კუმირი. შეთავაზება საკმაოდ შემთხვევით მოხდა. ვაგელოსი Merck-იდან წამოსვლას აპირებდა კომპანიის მენეჯმენტის რეორგანიზაციის გამო და დათანხმდა, შეხვედროდა იანკოპულოსის გუნდს, თუ ისინი შეხვედრის ორგანიზებას დაუყოვნებლივ მოახერხებდნენ. იანკოპულოსმა კომპანიის სადღესასწაულო წვეულების შემდეგ მთელი ღამე იმუშავა პრეზენტაციის მოსამზადებლად. ამან გაამართლა. ვაგელოსმა შესაძლებლობები დაინახა. ის Regeneron-ის თავმჯდომარე გახდა. „მათ არჩევულებრივი გენერალური აღმასრულებელი და არჩევულებრივი სამეცნიერო ხელმძღვანელი ჰყავთ

კომპანიაში, – ამბობს ვაგელოსი. – და იცით რა, სწორედ ეს არის მთავარი ჩვენს სფეროში. გენერალური აღმასრულებელი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ახალი პროდუქტების გარეშე აღმასრულებელ დირექტორებს დიდი პრობლემები შეექმებათ“.

**ასე დაიწყო ვაგელოსის სკოლის პერიოდი.** ვაკვეთილი პირველი: შეაჩერეთ იმ წამლებზე ფსონის ჩამოსვლა, რომელთა წარმატებაზე მინიშნება მანამდე არ გექნებოთ, სანამ კლინიკური ცდები არ დასრულდება (ამ მიდგომამ გამოიწვია კომპანიის საქმიანობის გაგრძელება ნეირომეცნიერების მიმართულებით – და ასევე გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სხვა კომპანიებმა შეაჩერეს ისეთი დაავადების საწინააღმდეგო მედიკამენტების შექმნის მცდელობები, როგორცაა ალკჰიმერის დაავადება). ვაკვეთილი მეორე: არ შეიძლება მხოლოდ მედიკამენტის აღმოჩენის ადრეულ პერიოდზე ფოკუსირება და ადამიანებზე მათი გამოცდის სტადიების იგნორირება. წარმატებისათვის საკმარისი არ არის, რომ მედიკამენტის ფორმულამ პეტრის ჯამზე გაამართლოს. შესაბამისად, Regeneron-მა აქცენტი გადაიტანა იმ ორი მიზეზის შემცირებაზე, რომელთა გამოც ძალიან ხშირად მედიკამენტები ვერ ამართლებენ: ან კარგად არ არის გაგებული მიზნობრივი დაავადების ბიოლოგია, ან წამალი მოქმედებს მოულოდნელი მიმართულებით და იწვევს თანამდევ მოვლენებს.

ჯერ კიდევ წინ იყო სხვა მარცხებიც: ლუ გერიგის დაავადების მეორე წამალი; წონის დასაკლები პრეპარატი. შემდეგ კი მცდელობიდან, აღმოეჩინათ ზრდის ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს უჯრედებს მიღმა არსებულ რეცეპტორებზე, გაჩნდა ახალი ტექნოლოგია. იმ დროს ადვილი იყო რეცეპტორების მიგნება, მაგრამ ძალიან რთული იყო ზრდის ფაქტორების აღმოჩენა. იანკოპულოსის პირველმა თანამშრომელმა, ფიზიკოსმა, იოკვა მეთოდი, როგორ უნდა გამოეცალკეებინათ შესაბამისი ზრდის ფაქტორი რეცეპტორის გამოყენებით. შემდეგ კი უკვე იანკოპულოსმა მიაკვლია, როგორ უნდა გამოეყენებინათ ეს რეცეპტორები, როგორც საფანგები, რომლებიც დაიჭერდნენ და დაბლოკავდნენ სისხლში არსებულ ყველა ზრდის ფაქტორს. იანკოპულოსმა ამ მედიკამენტებს უწოდა „Traps“ (საფანგები).

პირველი Trap-მედიკამენტი, რომელიც თირკმლის იშვიათ დაავადებას კურნავს, ბაზარზე 2008 წელს გამოჩნდა. გარდა იმისა, რომ ეს პრეპარატი ყოველწლიური გაყიდვების შედეგად \$20 მილიონის შემოსავალს იძლევა, მან ასევე გაუკვალა გზა სიმსივნის საწინააღმდეგო Zaltrap-ს, რომელმაც პირველ კვარტალში \$14 მილიონი მოიტანა და Eylea-ს, ძალიან პოპულარულ შიფტს, რომელიც ებრძვის ასაკობრივ მაკულარულ დეგენერაციას. 2011 წლის ნოემბერში მედიკამენტის ოფიციალური აღიარების შემდეგ მისმა წარმატებამ Regeneron-ის აქციების ფასი 400%-ით გაზარდა. „მე, რა თქმა უნდა, ველოდი, რომ წარმატება მოსალოდნელზე დიდი იქნებოდა, მაგრამ არა ამდენად, – ამბობს Jefferies-ის ანალიტიკოსი ბირენ ამინი. – ეს ფენომენალური წარმატება იყო“.

მაგრამ ზრდის ფაქტორების გამოყოფა და Trap-



მედიკამენტების შექმნა მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო. იანკოპულოსს, თავისი მენტორისაგან განსხვავებით, მიაჩნია, რომ ასალი მედიკამენტებისაკენ მიმავალი მთავარი გზა იმ ტექნოლოგიების აღმოჩენაა, რომლებიც წამლების შექმნას უფრო გაამარტივებს. ასევე, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს ასალი პრეპარატები ზუსტად მიაღწევდა მიზანს, იანკოპულოსს სჭირდებოდა უკეთესი მეთოდის მოძებნა ორგანიზმის მუშაობის უკეთ გასაგებად და შესაბამისი მიზნობრივი მედიკამენტების შესაქმნელად. ანუ მას სჭირდებოდა არა უბრალოდ უკეთესი თავისი ხაფანგი, არამედ უკეთესი თავგები.

ლაბორატორიულ თავგებთან დაკავშირებული პრობლემა მარტივია: ისინი არ არიან ადამიანები და მიუხედავად შოკისმომგვრელი გენეტიკური მსგავსებისა, მათი პაწაწინა ორგანიზმი ყოველთვის ისე არ ფუნქციონირებს, როგორც ადამიანისა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წამალი, რომელიც თავგებში სიმდივნიური წარმოქმნის შემცირებას იწვევს, ადამიანებში იმავე შედეგებს ვერ აღწევს; სისხლის ინფექციების საწინააღმდეგო უამრავი წამალი ჩავარდა, რადგან, როგორც აღმოჩნდა, თავისი იმუნური სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენი იმუნური სისტემისაგან. იანკოპულოსმა და მისმა გუნდმა შეიმუშავეს მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ადამიანის დნმ-ის 6 მილიონი სიმბოლო ერთდროულად შეტანა თავისი გენომში. აშშ-ის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი Regeneron-ს ფულს უხდის, იყენებს რა ამ მეთოდს, რათა განსაზღვროს 3 500 სხვადასხვა გენის ფუნქციები.

თავგებში კიდევ უფრო დიდ შესაძლებლობებს გაუხსნეს გზა. ბიოტექნოლოგიების ეპოქის ბევრი მედიკამენტი, მათ შორის Herceptin-ი მკურდის კიბოსათვის, Rituxan-ი ლიმფომასთვის და Humira რევმატოიდული ართრიტისათვის, არსებითად ანტისხეულებია, გონიერი ჭურვები, რომლებსაც იმუნური სისტემა იყენებს ბაქტერიებისა და მიკრობების წინააღმდეგ. ეს წამლები ტრადიციულად თავისი სხეულში მზადდება და შემდეგ, თითოეული ამინომჟავის დონეზე, ხდება მათი გარდაქმნა ისეთ ანტისხეულებად, რომელთაც ადამიანის ორგანიზმი მიიღებს. მაგრამ იანკოპულოსის თავგების შემთხვევაში შესაძლებელი გახდა თავისი იმუნური სისტემის ნაწილი ადამიანის გენებით ჩანაცვლებულიყო. ეს კი ნიშნავს, რომ ანტისხეულები თავად თავგების ორგანიზმში უფრო სწრაფად ჩამოყალიბდებოდა და მარტივი მოქმედებით გარდაიქმნებოდა მზა პრეპარატად ადამიანისათვის, რაც რამდენიმე თვის დაზოგვის საშუალებას იძლეოდა.

შეუფასა რა ამ ტექნოლოგიის პოტენციალი, კომპანია Sanofi 2007 წელს დათანხმდა Regeneron-ისათვის ყოველწლიურად გადაეხადა \$100 მილიონი კვლევა-განვითარების საქმიანობისათვის იმ პირობით, რომ ანტისხეულების მედიკამენტების რეალიზაციიდან მიღებული მოგების 50% მისი იქნებოდა. პირველ ორ წელიწადში კლინიკური ტესტირების პროცესში ხუთი დასახელების პრეპარატი ჩაერთო, ამ მომენტისათვის Sanofi-მ ყოველწლიური დაფინანსება \$160 მილიონამდე გაზარდა, ასევე განაცხადა, რომ

საკუთარ თავზე აიღებს კლინიკური ტესტირების რეალიზაციისა და მარკეტინგის ხარჯების დიდ ნაწილს. ამჟამად Sanofi-ს თანაბარი უფლებები აქვს ქოლესტერინის პრეპარატზე, ასთმის წამალსა და Regeneron-ის სხვა ექსპერიმენტულ წამოწყებებზე.

**REGENERON-ს (და SANOFI-ს) იმისათვის,** რომ რეალურად მიიღოს სარგებელი ამ ასალი სისტემიდან, სჭირდება უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ თავგების გენეტიკა: მას სჭირდება მუტანტები. ყველაზე კარგი მტკიცებულება იმისა, რომ წამალი მიზნობრივად მუშაობს ადამიანებში, არის თავგების მონაცემები, კომბინირებული ადამიანთა გენეტიკასთან.

როგორ მუშაობს ეს რეალობაში? მაგალითისათვის, ავიღოთ გენი სახელწოდებით PCSK9, რომელიც პირველად გამოვლინდა საფრანგეთში, პაციენტში ქოლესტერინის ძალიან მაღალი დონით, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა მისთვის ინფარქტის რისკს ახალგაზრდა ასაკში. როგორც წესი, უფრო ხშირია ისეთი მუტაცია, რომელიც აზიანებს გენს, ვიდრე ისეთი, რომელიც არსებითად აუმჯობესებს მას. ამგვარად, UT Southwestern Medical Center-ის მკვლევარებმა გააანალიზეს მონაცემთა უზარმაზარი ბაზა გულით დაავადებული პაციენტებისა ქოლესტერინის დაბალი დონით. მათ აღმოაჩინეს, რომ PCSK9 გენის დაზიანებული ასლის მქონე პაციენტების ერთ ჯგუფს ჰქონდა 28%-ით დაბალი ქოლესტერინის დონე და ინფარქტის განვითარების 88%-ით ნაკლები რისკი. თუმცა არსებობს რამდენიმე ადამიანი, რომელთაც ორი PCSK9 გენი აქვთ დაზიანებული – მათ შორის აერობიკის ინსტრუქტორი ქოლესტერინის უკიდურესად დაბალი დონით – ყველა მათგანი ჯანმრთელია, უბრალოდ, მათ აქვთ დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის დონე, დეცილიტრზე 15 მილიგრამი, მაშინ როცა ჩვეულებრივი გენეტიკის ჯანსაღი ადამიანისათვის ეს მაჩვენებელი 100 მილიგრამს შეადგენს.

ეს უბრალო მათემატიკაა: ამ შემთხვევაში გენის გააქტიურება ცუდია, ხოლო მისი გათიშვა – კარგი. და თუ მისი გათიშვა მართლაც კარგია, მაშინ პრეპარატი, რომელიც ამ გენს დაბლოკავს, ასევე ძალიან კარგი უნდა იყოს. Regeneron-მა და Sanofi-მ აჯობეს Amgen-ს კლინიკურ გამოცდებში ამ თეორიის დამტკიცებით. არიან კი მზად პაციენტები გაიკეთონ შესაბამისი ინიექცია, რათა გააკონტროლონ ქოლესტერინის მაღალი დონე? „ეს დებატები ფარმაცევტულ სფეროში უკვე ათწლეულებია, გრძელდება“, - ამბობს კარდიოლოგი სტივენ ნისენი Cleveland Clinic-იდან, რომელიც Amgen-თან მუშაობს. მას მიაჩნია, რომ PCSK9 პრეპარატები კარგია, მაგრამ ნამდვილი მეგაპიტი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება, თუ დამტკიცდება, რომ ისინი ინფარქტებისა და ინსულტების რისკს იმაზე მეტად ამცირებს, ვიდრე სტატინები, რომელთა წარმოებას ამჟამად ბევრად იაფი ჯდება. თუ აღმოჩნდება რაიმე ხარვეზი, როგორც ეს იანკოპულოსის ბევრი მედიკამენტის შემთხვევაში მოხდა, მაშინ ისინი შედიან სათამაშოდ იმ მიმდორზე, რომელზეც ისედაც ბევრი კონკურენტია: Pfizer-ი, Alnylam-ი და Roche - ყველა მათგანი PCSK9 გენზე მუშაობს.

# „ჩვენ ასე გონიერნი, უბრალოდ, არ ვართ“

## Regeneron-ის გენერალური აღმასრულებელი საუბრობს იმაზე, თუ რისი სწავლა შეუძლია ყველა სტარტაპს მეცნიერებაზე დაფუძნებული ბიზნესისაგან.

**თქვენი კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრთა შორის ვისთვისაა ძალიან მაღალი დონის მნიშვნელობა რატიონალური და ასე მნიშვნელოვანი?**

მე ვცერა, რომ კომპანიები იხრნებიან, და ისინი იხრნებიან შემოდან ქვემოთ. ძალიან ხშირად მართვის სადავეები ხელთ უპყრიათ კომერციულად მოაზროვნე ადამიანებს, რომლებიც ვერ აფასებენ გრძელვადიანი კვლევითი საქმიანობის მნიშვნელობას. როდესაც არ აფასებ რაღაცას, შესაბამისად, მისგან კარგ შედეგსაც ვერ იღებ და საბოლოოდ უცებ აღმოჩნდება, რომ გრძელვადიანი მიზანი მოკლევადიანით იცვლება და საერთოდ ვერაფერს აღწევ.

**როგორ შეინარჩუნეთ თქვენი პარტნიორები 25 წლის განმავლობაში?**

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომა, რომელსაც ადამიანები უშვებენ, არის ის, რომ, მათი წარმოდგენით, შეუძლიათ იყვნენ არა მხოლოდ მთავარი სამეცნიერო-კვლევითი ხელმძღვანელი, არამედ მთავარი ოპერაციული დირექტორი, მთავარი სამეცნიერო დირექტორი, მთავარი სამედიცინო დირექტორი და მთავარი გამოგონებელი. ეს ეგოს გამოა, როდესაც ახალგაზრდა ადამიანები ფიქრობენ, რომ ამ ყველაფერს მართლ გაკეთება ძალუძთ. ჯორჯი, ცხადია, გენიალური მეცნიერია, მე კი მიმაჩნია, რომ საკმაოდ კარგი ყნოსვა მაქვს სამეცნიერო თვალსაზრისით. მაგრამ ამავდროულად ჯორჯი შენარმეცა და მეც შემიძლია ვიყო მეცნიერი.

**ინვესტორები ხშირად მოითხოვენ, რომ კომპანიები ერთ საკითხზე იყვნენ ფოკუსირებული: ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმდინარეობა ან ახალი ტექნოლოგია. თქვენ ამ მიდგომას არ ეთანხმებით.**

მოდ, შევთანხმდეთ, „ფოკუსი“ ჩვენთვის უცნაურ სიტყვას ტოლფასია. ძალიან დიდი შეცდომაა ფიქრი, რომ შეიძლება აირჩიო ერთი ძალიან კარგი საკითხი, მთელი აქცენტი მასზე გადაიტანო და ყველაფერ დანარჩენს, უბრალოდ, იგნორირება გაუკეთო. ნუთუ საოცარი არ იქნებოდა, რომ შეგვძლებოდა მხოლოდ ის საკითხები აგვეჩინა, რომლებიც ჩვენს ბიზნესს წარმატებას მოუტანდა? როგორც გავიგე, Amgen-ის ახალმა გენერალურმა აღმასრულებელმა განაცხადა, რომ ისინი მხოლოდ იმაზე აპირებენ მუშაობას, რაც წარმატებული იქნება. წარმატებებს ვუსურვებ. ჩვენ ასეთი ტკივიანები, უბრალოდ, არ ვართ.

**თქვენ უბაღლო ხართ საშვიან გარიგებებში. ერთხელ Sanofi-ი მამინას კი დაითანხმეთ თქვენთვის ფული გადაახადა, რომდსაც მიმდინარეობდა უფლებები უკან დაგიბრუნათ. რა არის თქვენი საიდუმლო?**

როდესაც მოლაპარაკებებს ვანარმოებთ, არსებითად ვფიქრობთ იმაზე, თუ რა მოხდება ხუთი და ათი წლის შემდეგ. უამრავი ადამიანი დებს გარიგებას და მათ მხოლოდ ის აინტერესებთ, რა ბედი ელის მათს აქციებს ამ კვირაში, ან შესაძლოა მომდევნო თვეში; ისინი მზად არიან საკუთარი მომავალი გაიღონ მოკლევადიანი წარმატების სანაცვლოდ. ჩვენ ასე არასოდეს ვიქცევით. რა იყო ჩვენი საიდუმლო? ჩვენ მოთმინებით ველოდით წარმატებას, რადგან ვიცოდით, რომ ბოლოს და ბოლოს იმ კომპანიებს, რომელთაც ვმუშაობდით, სჭირდებოდათ ის, რაც ჩვენ გვქონდა.



იმ შემთხვევაში, თუ ინკუბულონი წარმატებით შექმნის კიდევ რამდენიმე შიტი-მედიკამენტს, მას ეძლევა შანსი შეუერთდეს მედიკამენტების იმ ლეგენდარულ მკვლევართა ბანთონს, რომელთაც 1960-70-იან წლებში შექმნეს მედიკამენტების სრულიად ახალი კატეგორიები, მაგალითად, Roche-ს ლეო შტერნბახი, რომელმაც გამოიგონა ვალიუმი და ექვსი მსგავსი მედიკამენტი; აგრეთვე Merck-ის მაურის ჰილემანი, რომელმაც 36-ზე მეტი ვაქცინა შეიმუშავა და დაადგინა ის კოლეგები, რომლებიც კითხულობდნენ, რაზე მუშაობდა იგი მთელი დროის განმავლობაში. „ჯორჯი ინკუბულონი საოცარი მეცნიერია, - ამბობს ბიოლოგი და ვენჩურული კაპიტალისტი კორი გუდმანი. - არის თუ არა ეს უმაღლესი დონის მოლეკულარული ბიოლოგია, გარდაქმნილი მედიკამენტად, უკვე სხვა საკითხია“.

ინკუბულონის პრეპარატი, რომელიც ეფუძნება უკიდურესად განვითარებული კუნთოვანი მასის მქონე ბავშვს, განვითარების ადრეულ ეტაპზე, ჯორჯი-რობით ბარიერებს არ წასწყდომია; მისი აზრით, სხვა მსგავსი ანტიბიოტიკები იმიტომ ჩავარდა, რომ ისინი არ იყო საკმარისად კარგი. ასევე არსებობს რევმატიკული ართრიტის წამალიც. მაგრამ ინკუბულონს ყველაზე მეტად აღეფერებს ის პრეპარატები, რომელთაც უნდა უმკურნალონ ალერგიებსა და ასთმას - პრობლემებს, რომლებიც მის ბავშვობაში თითქმის არ არსებობდა. მათი მდგომარეობა, ვისაც ამ მედიკამენტის სამიზნე გენში გარკვეული მუტაციები აქვთ, უფრო და უფრო მძიმდება, ადამიანებზე ჩატარებული პირველი გამოცდები კი საკმაოდ დამაიმედებელია. ათზე მეტი წამლის კვლევის შედეგები ათწლეულის ბოლოსათვის გახდება ცნობილი, სხვა სფეროებისათვის ეს ძალიან დიდი დროა, ახალი პრეპარატების კვლევისათვის კი საკმაოდ მოკლე პერიოდი.

ინკუბულონი კიდევ უფრო შორს იხედება. ადამიანის დნმ-ის გაშიფრვის სამომავლო შესაძლებელი გაიაფება დასაბამს მისცემს თავებსა და ანტიბიოტიკების მოქმედების ობიექტებზე ჩატარებული ექსპერიმენტების სრულიად ახალ ნაკადს. „ჩვენ აქ გენეტიკურ ცდებს უკვე 25 წლის განმავლობაში ვატარებთ; ეს, უბრალოდ, მომდევნო ნაბიჯი იქნება, - ამბობს იგი. - ეს უფრო მძლავრი მეთოდია“. და Traps-ებიდან ანტიბიოტიკებზე გადასვლების მსგავსად, იგი აცხადებს, რომ მისი მედიკამენტების განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა „ცვლილებათა უფსკრულის პირას ყოფნა“. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარღვევა მედიცინაში? - ეს, უბრალოდ, დროის საკითხია. **F**



## 4. Regeneron Pharmaceuticals

ბიოტექნოლოგია, აშშ  
**აყიდვები \$1,740**  
**შემოსავლის ზრდა 29%**

ინფორმაციის  
 ღირებულება  
**63,1%**



ვოლ სტრუქტურა და რისკი, რომ ფარმაცევტულ ინდუსტრიას გამოეყოლოს ბლოკ-ბასტერები, მაგრამ Regeneron-მა იპოვა გზა მათ შესაქმნელად შეზღუდული ბიუჯეტის მეშვე-

ობით. მისმა მოზრდილთა სიბრძნის საწინააღმდეგო პრეპარატმა, Eylea-მ, თავისი პირველი სრული წლის განმავლობაში \$850 მილიონი გამოიმუშავა, ხოლო წელს მოსალოდნელია, რომ გაიზარდოს 50%-ით გაიზარდება \$1,3 მილიარდამდე. მისი კვლევისა და განვითარების ღირებულება ერთ მედიკამენტზე შეადგენს მხოლოდ \$736 მილიონს, Pfizer-ის \$7 მილიარდისაგან განსხვავებით.

## 5. ARM Holdings

ნახევრადგამტარები, გაერთიანებული სამეფო  
**აყიდვები \$1,020**  
**შემოსავლის ზრდა 27%**

ინფორმაციის  
 ღირებულება  
**61,2%**



ARM-მა შექმნა ისეთი მოგებიანი პროექტი დაბალი სიმძლავრის მიკროპროცესორებისთვის, რომ მისი სქემები ახლა მსოფლიოს სმარტფონების 90%-შია. მის მიერ კვლევასა და განვითარებაზე დახარჯულ თითოეულ დოლარზე კომპანია იღებს სუფთა შემოსავალს გადასახადების გადახდამდე \$2-ის ოდენობით.

## 6. Baidu

ინტერნეტმომსახურება, ჩინეთი  
**აყიდვები \$4,182**  
**შემოსავლის ზრდა 25%**

ინფორმაციის  
 ღირებულება  
**60,6%**

ჩინეთის უდიდესი საინფორმაციო-საძიებო სისტემა (67%-იანი წილი) კიდევ უფრო მეტად მოზილურ ბაზარზე დომინირებს (85%), მაგრამ მის დამატარებელს, რობინ ლის, კიდევ უფრო შორს უნდა წასვლა. ივლისში მან განახორციელა ამ დრომდე თავისი ყველაზე მსხვილი შესყიდვა, შეიძინა რა \$1,9 მილიარდად 91 Wireless-ი, აბლიკაციების აქტიურად მომუშავე მაღალი, რომელიც ერთი წლის წინ \$115 მილიონად იყო შეფასებული.



## 7. Amazon

საბაზო ვაჭრობა, აშშ  
**აყიდვები \$66,848**  
**შემოსავლის ზრდა 35%**

ინფორმაციის  
 ღირებულება  
**60,2%**

დამატარებელი ჯგუფი იღებს თანამშრომლებს, მაგრამ ეძებს მხოლოდ ინოვაციურად მოაზროვნე ადამიანებს. „მათი ინოვაცია შეიძლება მცირემას-შტაბიანი იყოს – მაგალითად, პროდუქტის ახალი თვისება ან პროცესი, რომელიც აუჭიკბნის კლიენტთა მომსახურების ხარისხს – მაგრამ მე მინდა ვიცი, რომ ისინი სიახლის შემოტანას ეცდებიან“, – ეუბნება ბეზოსი Forbes-ს.



## 8. Intuitive Surgical

სამედიცინო აპარატურა, აშშ  
**აყიდვები \$2,337**  
**შემოსავლის ზრდა 15%**

ინფორმაციის  
 ღირებულება  
**53,9%**

მისი რობოტიკული ქირურგიული სისტემა da Vinci ქირურგის ხელის მოძრაობებს აქცევს უფრო ზუსტ მანევრებად ადამიანის სხეულის შიგნით. კომპანია ჩამოვიდა გასული წლის #3 პოზიციიდან, რადგან აშშ-ის ბაზარი კრიზისის განიცდის, ხოლო სავაჭრო-ფიციები ამერიკელებს დანახარჯს ძვირად ღირებულ ახალ აპარატურაზე. კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოები ასევე თვალყურს ადევნებენ

Alexion-ის ახალი ოფისები კონკეტკუტის ქალაქ ნიუ-პეივერში.


ექიმებს იმ ბრალდებების ფონზე, თითქოს Intuitive-ის რობოტები დაკავშირებული იყვნენ პაციენტების გარდაცვალებასთან. 2012 წლის შემდეგ ინვესტორებმა აქციების ფასები 20%-ით დააგდეს.

## 9. Rakuten

საბაზო ვაჭრობა, იაპონია  
**აყიდვები \$5,571**  
**შემოსავლის ზრდა 37%**

ინფორმაციის  
 ღირებულება  
**50,7%**

Rakuten-ი კონსერვაციას უწევს Amazon-ს იაპონიის შიდა ბაზარზე, მაგრამ ის აგრეთვე იბრძვის Amazon-ის ტერიტორიაზე, აძლიერებს რა თავის პოზიციებს Rakuten.com-ის (ყოფილი Buy.com) მეშვეობით აშშ-ში განხორციელებულ საქმიანობაში. მისი კანადაში შექმნილი ელექტრონული წიგნების წამკითხველი Kobo ლიდერობს რამდენიმე ქვეყანაში, მაგრამ პროდუქტი ჯერ არ არის მოგებიანი წიგნების მაღალი Borders-თან მისი პარტნორობის შეწყვეტით გამოწვეული შეფერხების გამო.



## 10. Natura Cosmeticos

პირადი ჰიგიენა, ბრაზილია  
**აყიდვები \$3,206**  
**შემოსავლის ზრდა 15%**

ინფორმაციის  
 ღირებულება  
**48,5%**

1969 წელს მილიარდერ ანტონიო ლუსის სებასტაო მიერ დაარსებული Natura არის ბრაზილიის უმსხვილესი კოსმეტიკური კომპანია და ის იყო პირველი ქვეყანაში, რომელმაც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები თავისი ნომენკლატურის ცენტრში მოაქცია. მისი შემოსავლის დაახლოებით 40% ახალი პროდუქტებიდან მოდის. მისი კვლევითი განყოფილება მთელ მსოფლიოში აქტიურად ეძებს ახალ ინგრედიენტებს და თანამშრომლობს უნივერსიტეტების ისეთ მკვლევარებთან, რომლებსაც მათ რაიმეს სწავლა უფასოდ შეუძლიათ. მან მოიპოვა მაღალი შეფასება თავის რეკლამებში სუბერმოდელების მაგივრად ჩვეულებრივი ქალების გადაღებისთვის.



„ჩვენ მივიღებთ ინოვაციის ნებისმიერი სახით, რომლითაც თქვენ მას გადმოგვცემთ“. Salesforce-ის დამატარებელი და მთავარი აღმასრულებელი დირექტორი მარკ ბენიოფი.



რეიტიინგი კომპანია ინოვაციური დარგი / ქვეყანა ღირებულება

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბიზნესლიდერებთან მუშაობისას საინტერესო სქემა აღმოვაჩინეთ: საშუალოდ კრეატიულ ლიდერებს შეუძლიათ კომპანიის ინოვაციური პოტენციალის გაზრდა, მაგრამ მეტის-მეტად გენიალური ხელმძღვანელი შესაძლოა სახიფათო აღმოჩნდეს ორგანიზაციისთვის, რადგან ხშირად ის სხვათა უნარებსა და იდეებს თრგუნავს.

ჩვენ მიერ გაკეთებული 1000-ზე მეტი შეფასების მიხედვით, მსოფლიოს ყველაზე ინოვაციური ლიდერების (მათი უნარების სხვათა მიერ შეფასების საფუძველზე) 10%-15% თავს არ იწუხებს იმით, რომ წაახსნისოს გარშემომყოფთა ინოვაციები. ხშირად ამ ლიდერების აზრით, მათი იდეები იმდენად ჯობია მათი კოლეგებისას, რომ ზედმეტად თვლიან გარშემო ნიჭიერი ადამიანების შემოკრებას. ბევრ მათგანს ასევე არ ჰყოფნის მოთმინება, მისცეს სხვებს შანსი განავითარონ და წარმოაჩინონ საკუთარი იდეები, ამიტომ მარტო მუშაობენ. ეს შესაძლოა კარგიც იყოს მოკლე პერიოდში, მაგრამ დამდუბველია გრძელვადიან პერსპექტივაში. თანამშრომლები აღარ იგონებენ ახალ იდეებს; მათი კრეატიული კუნთები ატროფირდება. ამან შესაძლოა კომპანიის მუშაობას სერიოზული საფრთხე შეუქმნას იმ შემთხვევაში, თუ ძალიან ინოვაციური ლიდერი მას დატოვებს, განსაკუთრებით, თუ ის ცნობილი პიროვნებაა.

Apple-ის ახალი იდეების გენერირების უნართან დაკავშირებით ინვესტორებმა დღევა ჯერ კიდევ სტივ ჯობსის გარდაცვალებამდე (2011 წ. ოქტომბერი) დაიწყეს. ბოლო ორი წლის განმავლობაში Apple-ის ინოვაციური პრემიუმი (სხვაობა საბაზრო კაპიტალიზაციასა და არსებული პროდუქტებიდან და მომსახურებიდან მიღებული მომავალი ფულადი ნაკადის წმინდა მიმდინარე ღირებულებას მო-



**Henan Shuanghui**

გაყიდვები (\$ მილ.) \$6,410  
3-დან 5 წლამდე შემოსავლის ზრდა (დაახლოებით) 97%

ვინ თქვა, რომ სასაკლაობე ინოვაციების დანერგვა შეუძლებელია? ჩინეთში ღორისა და სხვა ხორცის უმსხვილესი მწარმოებელი იყენებს პროგრამული უზრუნველყოფის დარგში მისი ფილიალის მიერ შემუშავებულ კონტროლის ხარისხის მძლავრ სისტემას, რათა თავალური ადენოს სანარმოებში 15 მილიონი ღორის მდგომარეობას მოელი ჩინეთის მასშტაბით. მისის ბოლოს კომპანიამ სენსაციის მოახდინა, როდესაც \$4.7 მილიარდზე შეიძინა შაჰის მეფე - აშშ-ის კომპანია Smithfield Foods-ი. Shuanghui-მ შეისწავლა Oscar Mayer-ის მარკეტინგული სტრატეგია და დაამატა მას ახორციელების ტელეფონური სერვისის თანაბრობის სისტემაზე, სადაც ნაჩვენებია იქნება მისი საფირმო ლოგოს მიხედვით მოდელირებული ათი პერსონაჟი.

**Unicharm**

გაყიდვები \$5,981  
შემოსავლის ზრდა 9%

იაპონიის სამომხმარებლო საქონლის გიგანტი პირველად მოხვდა სიაში მას შემდეგ, რაც მოხერხებულად გამოიყენა ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებები. მან გადააკეთა თავისი მალაზიები და საწარმოო ასორტიმენტი საზოგადოების მოხუცებულ წევრებზე გათვლილი. მოზრდილთა საფეხების გაყიდვები აჭარბებდა საბავშვო საფეხების გაყიდვებს ყოველ წელს, 2011 წლიდან დაწყებული. კომპანიაში მკაცრი რეჟიმია: თანამშრომლები ყოველკვირულად გადიან რევისტაციას და აპირებენ ანგარიშს თავისი საქმეების ვითარების შესახებ.



**Pernod Ricard**

გაყიდვები \$10,940  
შემოსავლის ზრდა 10%


ალკოჰოლური სასმელების ფრანგული კონგლომერტი (Absolut-ი Chivas-ი, Beefeater-ი), რომლის ისტორიაც 208 წლის წინ იღებს სათავეს, აგრძელებს კლასიკის გადახედვას. წელს Pernod-მ გამოუშვა 1805 ბოთლი აბსენტი მოლური ბრენდით Maison Kitsuné, აშშ-ს მიერ 1912-დან 2007 წლამდე ამ ძლიერი, მწვანე აბსინდის ლიკიორის აკრძალვის აღსანიშნავად.



**Fanuc**

გაყიდვები \$5,376  
შემოსავლის ზრდა 4%

Fanuc-ის ყვითელი რობოტები (როგორც M-2000iA) საკმაოდ ძლიერები არიან იმისთვის, რომ გაშენდონ და ასწიონ 2550 ფუნტის წონის მატერიალის ბორობალი თავის „თავს“ ზევით, და საკმაოდ უსუსტები არიან საიმოსოდ, რომ კლვის სისწრაფით ჩასვან AAA ბოძის ბატარეები თავის პლასტიკის შესადგენში. ზოგიერთ რობოტს ისეთი მძლავრი სენსორები გააჩნია, რომ მათ შეუძლიათ სხვადასხვა ფორმის, ფერისა და წნევაში მცირე განსხვავებების გარჩევა. 2016 წელს იაპონური კომპანია მწიფის ხდება.



- 11 **HENAN SHUANGHUI INVESTMENT & DEVELOPMENT** 48.0%  
სურსათი / CN
- 12 **COLOPLAST** 46.5  
სამაგიდინო აპარატურა / DE
- 13 **CERNER** 45.9  
ჯანდაცვა / US
- 14 **UNICHARM** 43.5  
საოჯახო/პირადი ჰიგიენის საშუალებები / JA
- 15 **ESTEE LAUDER COS** 41.4  
საოჯახო/პირადი ჰიგიენის საშუალებები / US
- 16 **JERONIMO MARTINS** 41.3  
სურსათის სახალე მარკეტინგ / PO
- 17 **FMC TECHNOLOGIES** 40.8  
ნავთობი და გაზი / US
- 18 **TENCENT HOLDINGS** 40.7  
მართვითი მომსახურება / CN
- 19 **STARBUCKS** 40.6  
რესტორანი / US
- 20 **PERNOD RICARD** 40.5  
სასმელები / FR
- 21 **BEAM** 40.0  
სასმელები / US
- 22 **PERRIGO** 39.9  
ფარმაცევტიკა / US
- 23 **ESSILOR INTERNATIONAL** 39.3  
სამაგიდინო აპარატურა / FR
- 24 **BEIERSDORF** 38.3  
საოჯახო/პირადი ჰიგიენის საშუალებები / GE
- 25 **GRIFOLS** 38.2  
ფარმაცევტიკა / SP
- 26 **FANUC** 37.9  
სამრეწველო დანადგარები / JA
- 27 **DIAGEO** 37.5  
სასმელები / UK
- 28 **HERSHEY** 36.2  
სურსათი / US
- 29 **DANONE** 35.6  
სურსათი / FR
- 30 **PROCTER & GAMBLE** 35.5  
საოჯახო/პირადი ჰიგიენის საშუალებები / US
- 31 **DASSAULT SYSTEMES** 35.5  
პროგრამული უზრუნველყოფა / FR
- 32 **COLGATE-PALMOLIVE** 35.3  
საოჯახო/პირადი ჰიგიენის საშუალებები / US
- 33 **ECOLAB** 34.6  
ქიმიური პროდუქტები / US
- 34 **MONSANTO** 34.3  
ქიმიური პროდუქტები / US
- 35 **RECKITT BENCKISER GRP** 34.1  
საოჯახო/პირადი ჰიგიენის საშუალებები / UK
- 36 **KEYENCE** 33.9  
ელემენტარული / JA
- 37 **KONE** 33.1  
საინჟინერო მომსახურება / FI

ამსტრალია **AU**; ბელგია **BE**; ბრაზილია **BR**; კანადა **CA**; ჩინეთი **CN**; დანია **DE**; ფინეთი **FI**; საფრანგეთი **FR**; გერმანია **GE**; ინდოეთი **IN**; ირლანდია **IR**; იაპონია **JA**; ლუქსემბურგი **LU**; ნიდერლანდი **NE**; პორტუგალია **PO**; ესპანეთი **SP**; შვედეთი **SW**; შვეიცარია **SZ**; ტაივანი **TA**; გაერთიანებული სამეფო **UK**; შვეიცარიის შტატი **US**

რის) 50%-დან 22%-მდე დაეცა. წელს ჩვენს სიაში კომპანია მე-5 ადგილიდან 79-მდე ჩამოქვეითდა. შესაძლოა Apple-ი ჯობის გარეშე აგრძელებს თამაშის წესების შეცვლას, მაგრამ ინვესტორებმა თავის არიდება არჩიეს.

იგივე სცენარი გათამაშდა Starbucks-ში. 2000 წელს მისმა გენერალურმა აღმასრულებელმა, ჰოვარდ შულცმა, ეს პოსტი დატოვა. მომდევნო წლის განმავლობაში კომპანიის ინოვაციური პრემიუმი ნორმალურ 45%-იან დონეზე რჩებოდა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ 11%-მდე დაეცა. 2008 წელს შულცის დაბრუნებამ ყავის ქსელის შემოქმედებითი დიდება აღადგინა და დღეს მისი ინოვაციური პრემიუმი მყარად დგას 41%-ზე, რის გამოც ის სიის ტოპ-ოცეულში მოხვდა. შულცის კომპანიაში ყოფნა მნიშვნელოვანია ინვესტორების იმედებისთვის, რომლებიც Starbucks-ის ინოვაციებისა და ზრდის უნართანაა დაკავშირებული.

უფრო წინდახედულმა ლიდერებმა იციან, რამდენად მნიშვნელოვანია შემოქმედებითი უნარების განვითარება სხვა ადამიანებში. Salesforce-ის დამფუძნებელმა, მარკ ბენიოფმა, ჩვენთან ბოლო საუბრისას განაცხადა: „მე ყველაფრის გაკეთება არ შემძლია. მე არ მაქვს ყველა იდეა. ეს არ არის ჩემი სამუშაო. ჩემი სამუშაოა ინოვაციის კულტურის გამომუშავება. ჩვენ ამის დანერგვას ვცდილობთ. ჩვენ ამას ხელს ვუწყობთ. ჩვენ ამას ვაფასებთ. ჩვენ ამას ვამჩნევთ. ჩვენ ამას ვანაზღაურებთ. ჩვენ ამას მოვითხოვთ“. სხვათა შორის, ზედიზედ სამი წელია Salesforce-ი პირველ ადგილზეა ინოვაციურ კომპანიათა სიაში.

ბოლო პერიოდში ბენიოფი დაკავებული იყო ნოვატორთა დაქირავებით და ასევე მათი მომზადებით კომპანიის შიგნით. 2011 წლიდან მან თითქმის \$4 მილიარდი დახარჯა პროგრამული უზრუნველყოფის



**Google**  
 გაიფრთხილეთ (\$მლნ) **\$56,594**  
 3-დან 5 წლამდე შემოსავლის ზრდა (დაახლოებით) **17%**

Google-მა 23 ადგილით ჩამოიწია, მაგრამ საკმარისი ფულადი სახსრების პრობლემა ის ენთუზიაზმით განაგრძობს ექსპერიმენტირებას. თვითმართვადი ავტომობილები და მინიატურული კომპიუტერები სენსაციას ქმნიან, მაგრამ მისი უშუალოდ მომდევნო დიდი ბუმი ნაკლებად თვალში საცემი და სავარაუდოდ უფრო მოგებიანია: ილუსტრაციული და ვიდეორეკლამები, რომლებზეც გამომწვეულია სატელევიზიო სარეკლამო ბუქეტებიდან მილიარდობით დოლარის წახართმევად.



**Yahoo Japan**  
 გაიფრთხილეთ **\$4,119**  
 შემოსავლის ზრდა **11%**

ყველაზე მეტი მომხმარებლების მქონე ვებსაიტი იაპონიაში პირველად მოხვდა სიაში, ხოლო მისი ნაწილობრივი მფლობელი Yahoo – ვერ მოხვდა. 2012 საბუჯეტო წელს სარეკლამო გაყიდვები 15%-ით გაიზარდა რეკლამების ახალი თამამი ფორმატის წყალობით. კომპანია ახლა თანამშრომლებს ნების რთავს, აიღონ აუნაზღაურებელი შევებულა ერთ წლამდე. ეს საკმაოდ გავრცელებული პრივილეგიაა აშშ-სა და ევროპაში, მაგრამ ძალზე იშვიათი – იაპონიაში.

**Mondelez**  
 გაიფრთხილეთ **\$35,160**  
 შემოსავლის ზრდა **12%**

საუბმე-ულის მსოფლიოს უმსხვილესმა მწარმოებელმა (Oreo, Ritz, Nilla, Toblerone, Cadbury) თავისი 2012 წლის შემოსავლის 13%-ი ახალი პროდუქტებიდან მიიღო. ერთ-ერთი ახალი იდეა, საუბმის ბისკიტი belVita (belVita Breakfast Biscuit) გვირდებოდა ცენტრით უზრუნველყოფას ოთხი საათის განმავლობაში, ნახშირწყლების ნელ-ნელა გამოთავისუფლების გზით. გასულ წელს belVita-ს შემოსავალი 50%-ით გაიზარდა, და გაითხოვდა 2008 წელს მისი პირველი გამოშვების შემდეგ.



**China Oilfield Services**  
 გაიფრთხილეთ **\$3,503**  
 შემოსავლის ზრდა **12%**

ჩინეთის ერთ-ერთი ეროვნული სანავთობო კომპანიის ფილიალმა წარმატებით დაძლია რიგი ტენიკური პრობლემები ბოხაის ზღვაში მძიმე ნავთობის მოპოვებისა და საზღვრით ჩინეთის ზღვაში წყალღრმა ძიების წარმოებისთან დაკავშირებით. ივლისში კომპანიამ მოახდინა ორი ახალი აღმოჩენა ბოხაიში, ჯაბურჯილის წარმატებით დღეში 3460 ბარელის ოდენობით სატესტო პერიოდის განმავლობაში. 2012 წელს წინააღმდეგ შემოსავალმა \$745 მილიონი შეადგინა.

- 38 YAHOO JAPAN** **32.8%**  
 გამომწვევითი მომსახურება / **JA**
- 39 BRF-BRASIL FOODS** **32.8**  
 სურსათი / **BR**
- 40 TATA CONSULTANCY SERVICES** **32.6**  
 გამომწვევითი მომსახურება / **IN**
- 41 YUM! BRANDS** **31.7**  
 რესტორნები / **US**
- 42 TERADATA** **31.5**  
 გამომწვევითი მომსახურება / **US**
- 43 PRAXAIR** **31.4**  
 ძირითადი პროდუქტები / **US**
- 44 CSL** **31.1**  
 ბიომედიცინული / **AU**
- 45 ANHEUSER-BUSCH INBEV** **31.1**  
 სასმელები / **BE**
- 46 KWEICHOW MOUTAI** **30.9**  
 სასმელები / **CN**
- 47 GOOGLE** **30.9**  
 გამომწვევითი მომსახურება / **US**
- 48 L'OREAL** **30.8**  
 საოჯახო/კირაი კოზმეტიკის საწარმო / **FR**
- 49 SHERWIN-WILLIAMS** **30.8**  
 საფრთხიანობისთვის საჭირო საწარმო / **US**
- 50 CITRIX SYSTEMS** **30.7**  
 პროგრამული უზრუნველყოფა / **US**
- 51 SMITH & NEPHEW** **29.8**  
 სამედიცინო აპარატურა / **UK**
- 52 MONDELEZ INTERNATIONAL** **29.8**  
 პროგრამული უზრუნველყოფა / **US**
- 53 INFOSYS** **29.1**  
 გამომწვევითი მომსახურება / **IN**
- 54 KELLOGG** **29.0**  
 სურსათი / **US**
- 55 ULTRAPAR PARTICIPACOES** **28.9**  
 ძირითადი პროდუქტები / **BR**
- 56 INTUIT** **27.9**  
 პროგრამული უზრუნველყოფა / **US**
- 57 TECHNIP** **27.3**  
 ნავთობი და გაზი / **FR**
- 58 PEPSICO** **27.1**  
 სასმელები / **US**
- 59 SCHLUMBERGER** **26.3**  
 ნავთობი და გაზი / **NE**
- 60 FRESENIUS MEDICAL CARE** **26.1**  
 ჰანდაცვა / **GE**
- 61 SMC CORP** **26.0**  
 სამრეწველო დანადგარები / **JA**
- 62 VALEANT PHARMACEUTICALS INTL** **25.8**  
 ფარმაცევტიკა / **CA**
- 63 UNILEVER NV** **25.8**  
 სურსათი / **NE**
- 64 CHINA OILFIELD SERVICES** **25.4**  
 ნავთობი და გაზი / **CN**
- 65 AUTOMATIC DATA PROCESSING** **25.3**  
 ბიზნესმომსახურება / **US**
- 66 CARLSBERG** **25.1**  
 სასმელები / **DE**
- 67 COVIDIEN** **24.9**  
 სამედიცინო აპარატურა / **IR**
- 68 BAJAJ AUTO** **24.0**  
 მითვისიკლები / **IN**



შედარებით მცირე კომპანიების შესასყიდად. „მე მზად ვარ შევიძინო კომპანია, რომელსაც შესაძლოა არ ჰქონდეს დიდი შემოსავალი, მაგრამ აქვს მრავალი ინოვაცია, – ამბობს ის. – ჩვენ მივიღებთ ნებისმიერ ინოვაციას, რომელსაც შემოგვთავაზებენ... მე არ მაღუღლებს, ეს ჩემი იდეაა, თანამშრომლის, კონკურენტის, პარტნიორის თუ ვინმე სხვისა“.

ამჟამად ბენიფიციარის დიდ ნაწილს მომხმარებლებთან ატარებს და ახალისებს თავის გუნდს, იგივე გააკეთოს, რათა მიიღოს ახალი იდეები GE-ს, Bank of America-ს, Toyota-სა და Philips-ის მსგავსი კომპანიებიდან. თუმცა ის აღიარებს, რომ ამ უნარის სხვა ადამიანებში გაძლიერება მისი კომპანიაში ყოფნის პირობებში რთულია და მის მიერ დროთა განმავლობაში დაგროვილი „ინოვაციური კაპიტალის“ სხვისთვის გადაცემა არ შეიძლება. იმ ადამიანმა, ვინც საბოლოოდ მის ადგილს დაიკავებს, თავად უნდა მოიპოვოს საკუთარი კაპიტალი.

ჯეფ ბეზოსმა გვითხრა, რომ, მისი აზრით, Amazon-ი ხანგრძლივად დარჩება ნოვატორ კომპანიად, რადგან მან ის ყველას სამუშაოს ნაწილად აქცია. ბევრი მსხვილი კომპანია ნიშნავს მთავარ ინოვაციურ დირექტორს, Amazon-მა კი ეს შეგნებულად არ გააკეთა. ბეზოსს არ უნდა, რომ ეს ფუნქცია რომელიმე კონკრეტულ ადამიანზე იყოს დელეგირებული. ბეზოსი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ინოვაციური კულტურის გამოსაშუშავებლად, განსაკუთრებით გამოპყროფს სამ, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს:

პირველი: ის გარშემო იკრებს ადამიანებს, რომლებსაც შემოქმედე-

ჯეფ დაიერი ბრიგემ-იანგის უნივერსიტეტის სტრატეგიის პროფესორია, ჰელ გრეგერსენი კი ინოვაციისა და ლიდერობის პროფესორი INSEAD-ში. ისინი არიან თანავტორები წიგნისა „ნოვატორის დნმ“ (The Innovator's DNA).



**Apple**

ბაიოდამიტი (ჯამლ) \$169,404  
3-დან 5 წლამდე შემოსავლის ზრდა (დასაბუთებით) 12%

გაქვთ რაიმე პრეტენზია Apple-ის ახალი აიფონის, აიპადის ან Mac-ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოვლასთან დაკავშირებით? კრეფ ფედერიცი თქვენი ადამიანია. ამომავალმა ვარსკვლავმა საყოველთაო ურადლება მიიქცია Apple-ის დეველოპერების ფესტივალზე იფონში, გაატარა რამდენიმე დრო სვენანგ, ვიდრე მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა ტიმ კუკმა. კი. მან მიიღო არაერთი აპლოდისმენტი მრავალი საზრიანი კონფერანსისთვის, როდესაც აღნიშნა, რომ Apple-მა გადააკეთა პოკერის მაგიდა თავის აპლიკაცია Game Center-ში, რადგან „მოლინადა გავითავადა მწვენი ფერი და ხე“. ფედერიცი იყო სტივ ჯობსის გუნდის წევრი NeXT-იდან, რომელიც Apple-მა 1996 წელს შეისყიდა. იგი ოთხი წლის განმავლობაში დარჩა, მაგრამ ის კვლავ გადმოიბრუნა 2009 წელს. გასულ წელს კუკმა ის უმაღლესი ხელმძღვანელობის გუნდში შეიყვანა.

**Secom**

ბაიოდამიტი \$9,094  
შემოსავლის ზრდა 10%

უსაფრთხოების მომსახურების ფირმა ტოკიოდან წელს დაბრუნდა ინოვაციების სიაში მას შემდეგ, რაც 2012 წელს სიიდან ამოვიარდა. ის ასორციელებს სახლებისა და სამუშაო ადგილების კონტროლს სულ უფრო მეტად მალატექნოლოგიური აპარატურის მეშვეობით. ახალ ავტომატურ აპარატს შეუძლია თვალყურის ადევნოს და დააფიქსიროს დამრღვევები არასანქცირებული შემოჭრის დროს. მისმა ვანდაგის განყოფილებამ შეიმუშავა რობოტები, რომლებსაც შეუძლიათ ავტომატურად დააგვირგვინონ.



**Campbell Soup**

ბაიოდამიტი \$8,376  
შემოსავლის ზრდა 6%

ახალმა მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა დენის მორისონმა გაანაწილა თანამშრომლები ისეთ პოსტერულ ცენტრებში, როგორცაა ტენსის ოსტინი და ორეგონის პორტლენდი, რათა გაეგრძედა, თუ რა სურს ორიათასიანელების თაობაზე. გასულ წელს Campbell-მა 50-ზე მეტი ახალი პროდუქტი გამოუშვა, 32 სუბის ჩათვლით, 2010 და 2011 წლებში მხოლოდ 3-ისგან განსხვავებით. აქციები წელს 36%-ით გაიზარდა.



**Adidas**

ბაიოდამიტი \$18,986  
შემოსავლის ზრდა 19%

მის ინოვაციების გუნდს ჰყავს 80 ინჟინერი ორეგონის ქალაქ პორტლენდსა და გერმანიაში, რომლებიც მუშაობენ პროგრესულ იდეებზე. მან გამოუშვა რამდენიმე უკანასკნელი ბურთი მსოფლიო თასისთვის, სპორტული კონტროლის ხელსაწყო miCoach-ი, და ორი მნიშვნელოვანი ახალი სპორტული ფეხსაცმელი: Energy Boost-ი და Springblade-ი. ამ უკანასკნელის ძირების უზოროლონო განვლადგებული ნეცტების შემუშავებას შვიდი წელი დასჭირდა – ყველაფერი ეს კომპანიის სურვილის გამო, მოიპოვოს Nike-ის გავლენა ამერიკაში.



ყველა მფობრ მოხაზულობა ახმ დოლარშია. მსართობი: HOLT, CREDIT SUISSE-ის ბანკოთქობა, INNOVATOR'S DNA LLC-სთან თანამოროთქობა; FACTS ET ESTIMATES, THOMSON REUTERS FUNDAMENTALS და WORLDSCOPE, FACTSET RESEARCH SYSTEMS-ის ბიზნისობი; BLOOMBERG.

**რეიტიინგი კომპანია ინოვაციური დარბი / ქვეყანა ლიბეაბულობა**

- 69 **TYCO INTERNATIONAL** 23.9%  
კონსტრუქციები / **SZ**
- 70 **NOVO NORDISK** 23.4  
ფარმაცეპიტიკა / **DE**
- 71 **JOHNSON CONTROLS** 23.0  
აბოთ ნაწილები / **US**
- 72 **SAP** 22.7  
პროგრამული უზრუნველყოფა / **GE**
- 73 **AMPHENOL** 22.6  
ელექტრონიკა / **US**
- 74 **SANDVIK** 22.6  
სამრეწველო დანადგარები / **SW**
- 75 **LVMH MOET HENNESSY LOUIS VUITTON** 22.6  
ბანასამელოტიკისუბარები / **FR**
- 76 **ROPER INDUSTRIES** 22.4  
სამრეწველო დანადგარები / **US**
- 77 **ASML HOLDING** 22.3  
ნახმარბაპობარები / **NE**
- 78 **ASSA ABLOY** 22.3  
ლიტონები / **SW**
- 79 **APPLE** 22.3  
აბარბაბული უზრუნველყოფა/ პროგრამული უზრუნველყოფა / **US**
- 80 **AIR PRODUCTS & CHEMICALS** 22.2  
ქიმიური პროდუქციები / **US**
- 81 **TENARIS** 22.2  
ლიტონები / **LU**
- 82 **PRECISION CASTPARTS** 21.8  
ლიტონები / **US**
- 83 **ROCKWELL AUTOMATION** 21.3  
სამრეწველო დანადგარები / **US**
- 84 **NINTENDO** 21.1  
პროგრამული უზრუნველყოფა / **JA**
- 85 **CAMERON INTL** 21.1  
ნახმარბი და ბაზი / **US**
- 86 **SECOM** 20.9  
ბიზნესმომსახურება / **JA**
- 87 **SCHINDLER HOLDING** 20.8  
სამრეწველო დანადგარები / **SZ**
- 88 **CAMPBELL SOUP** 20.6  
სურსათი / **US**
- 89 **KUBOTA** 19.9  
სამრეწველო დანადგარები / **JA**
- 90 **MYLAN** 19.8  
ფარმაცეპიტიკა / **US**
- 91 **BG GROUP** 19.8  
ნახმარბი და ბაზი / **UK**
- 92 **ADIDAS** 19.6  
ბანასამელოტიკისუბარები / **GE**
- 93 **HENKEL** 19.6  
საოჯახოქირბადი ჰიგიენის საბანი / **GE**
- 94 **ATLAS COPCO** 19.6  
სამრეწველო დანადგარები / **SW**
- 95 **SYNGENTA** 19.5  
ქიმიური პროდუქციები / **SZ**
- 96 **PENTAIR** 19.3  
სამრეწველო დანადგარები / **SZ**
- 97 **KAO** 19.2  
საოჯახოქირბადი ჰიგიენის საბანი / **JA**
- 98 **FIDELITY NATIONAL INFORMATION SERVICES** 19.1  
პროგრამული უზრუნველყოფა / **US**
- 99 **MEDIATEK** 18.6  
ნახმარბაპობარები / **TA**
- 100 **DAIKIN INDUSTRIES** 18.6  
სამრეწველო ბასაბები / **JA**

ბითი მუშაობის გამოცდილება აქვთ. სამუშაოს მსურველ ნებისმიერ კანდიდატს ის სთხოვს დაასახელოს რაიმე, რაც მან გამოიგონა: „მათი ინოვაცია შესაძლოა მცირემასშტაბიანი იყოს – მაგალითად, პროდუქტის ახალი თვისება ან პროცესი, რომელიც აუმჯობესებს კლიენტთა მომსახურების ხარისხს – მაგრამ მე მინდა ვიცოდე, რომ ისინი სიახლის შემოტანას ეცდებიან“. ის აგრეთვე ეძებს სიჯიუტისა და მოქნილობის კომბინაციას. „ეს ორი თვისება თითქოს ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ მე მიმიჩნია, რომ ეს ასე არ არის, – ვთხრობა ბეზოსმა. – მე მჭირდება ადამიანები, რომლებიც ჯიუტები არიან რაიმე ახლისა და ფასულის შექმნის მათეულ ხედვასთან დაკავშირებით. მე მინდა, რომ ისინი შეუპოვარნი იყვნენ საკუთარი იდეის

გატანისას, მაგრამ ძალიან, ძალიან მოქნილები – მისი ხოცხეხისას“.

მეორე: ბეზოსმა განახორციელა ახალი პროდუქტის ან მომსახურების გამოგონების პროცესის რადიკალური დეცენტრალიზაცია, რათა თანამშრომლებმა იგრძნონ, რომ მათგან ამას ელიან. თანამშრომელთა უმეტესობა მუშაობს ინოვაციურ ამოცანებზე Amazon-ის ცნობილი „ორპიცნიანი გუნდების“ (გუნდი, რომელიც საკმარისად პატარაა იმისთვის, რომ ორი პიცა ეყოს) ფარგლებში. „თითოეული ჯგუფს ჰყავს საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინრები, საკუთარი ბიზნესმენები, საკუთარი დიზაინერები და ასე შემდეგ, – განმარტა მან. – ვფიქრობ, ასეთი სახის დეცენტრალიზაცია მნიშვნელოვანია ინოვაციისთვის, რადგან ასე უფრო ახლოს ხარ შენი მომავალი იდეის მართვის ბერკეტთან“.

მესამე: ბეზოსი ასწავლის ამ გუნდებს ექსპერიმენტირებას ინოვაციის შემუშავების პროცესში. „ექსპერიმენტები ინოვაციის გასაღებია, რადგან ისინი იშვიათად იძლევა მოსალოდნელ შედეგებს და ამით ბევრს სწავლობ“, – გვეუბნება ის.

ბიზნესლიდერებმა არასოდეს იციან, რამდენად ძლიერი დარჩება მათი კომპანია ბაზარზე ახალი იდეების გატანის კუთხით მას შემდეგ, რაც ისინი მას დატოვებენ. ეს ყველაზე სახიფათო ზონაა – არ იცოდე, რა არ იცი, სანამ ეს არ მოხდება. მანამდე კი მსოფლიოს ყველაზე კარგად აწყობილი კომპანიები, Salesforce-ისა და Amazon-ის ჩათვლით, განაგრძობენ თავიანთი დაკვირვების, ექსპერიმენტებისა და სტატუს კვლის კვლევის უნარების დახვეწას. **F**



# გამოიწერეთ შურნალი

## Forbes GEORGIA ყოველთვიური ბიზნეს – ეკონომიკური გამოცემა

### შურნალის გამოწერა

6 ნომერი – 36 ლარი     12 ნომერი – 72 ლარი

სახელი, გვარი \_\_\_\_\_

თანამდებობა, კომპანიის დასახელება \_\_\_\_\_

მისილების მისამართი:  სამსახური     სახლი \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ ინდექსი \_\_\_\_\_

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა \_\_\_\_\_

თიბისი ბანკის ნაბისიძეი ფილიალი  
ს.ს. Media Partners.  
ბანკის კოდი: TBCBGE 22.  
ანგარიშის ნომერი:  
GE09TB722 563 608 01 00001. ს.პ. 404408690.

**შეგებულნი ხელმოწერის ფორმა  
გამოგვიგზავნეთ მისამართზე:  
info@forbesgeorgia.ge**

დამატებითი კითხვების შემთხვევაში  
დაგვიკავშირდით: ტელ.: +995 (32) 223 77 07  
[www.forbesgeorgia.ge](http://www.forbesgeorgia.ge)



### შურნალის ელ. ვერსიის გამოწერა

3 თვე – 11 ლარი; 6 თვე – 21 ლარი; 12 თვე – 42 ლარი

სახელი, გვარი: \_\_\_\_\_

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: \_\_\_\_\_

ელ. ფოსტა: \_\_\_\_\_

შურნალის ელ. ვერსია ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე – [www.forbesgeorgia.ge](http://www.forbesgeorgia.ge). გამოწერილსათვის ამოირჩიეთ გამოწერის პერიოდი, გადაიხადეთ შესაბამისი თანხა TBC ბანკის ნებისმიერ ფილიალში, ან TBC Pay Box-დან (სერვისი: სხვადასხვა – პრესა – ფორბსი), რის შემდეგაც თქვენს ელ. ფოსტაზე მიიღებთ აქტივაციის კოდს, რომელიც აქტიური იქნება გამოწერის პერიოდის განმავლობაში.



# ინვესტირება ნოვატორებში

შესაძლოა ვერ  
მიიღოთ დიდი  
მოგება სამეცნიერო  
მიღწევიდან. ის  
შესაძლოა მოგიტანოთ  
ყავის ჭიქამ.

ავტორი: უილიამ ბოლდუინი



**თ**უ გსურთ ფული იშოვოთ ინოვაციურ კომპანიების საშუალებით, ნუ დაუწყებთ ძებნას რობოტებსა და სარაკეტო ხომალდებს. ნაცვლად ამისა, მოიძიეთ ახალი ბიზნესმეთოდები – გვირჩევენ უილიამ მარტინდეილ უმცროსი და რობერტ მიტჩელი, საფონდო მენეჯერები, რომლებმაც 2002 წელს შექმნეს ფონდი Conestoga Small Cap-ი. ისინი ეძებენ შემოქმედებით კომპანიებს, რომლებიც მეტისმეტად პატარები არიან იმისთვის, რომ ნოვატორთა ასეულში შედიოდნენ, მაგრამ ისეთ ზრდას აჩვენებენ, რომ ოდესღაც შესაძლოა ამ საიში მოხვდნენ.

Conestoga-ს პორტფელში შედის კომპანია, რომელსაც აქვს მცირე საწარმოო დეტალების მიწოდების დაჩქარების მეთოდი; კომპანია, რომელიც ფლობს კომერციული უძრავი ქონების აუცილებელ მონაცემთა ბაზას და კომპანია, რომელიც ყიდის ალგორითმებს, რომელთა მეშვეობითაც სასტუმროები ანგარიშობენ ტარიფებს. შეგიძლიათ უწოდოთ ამას მარტივი ტექნოლოგია – სივრცე, სადაც გამოშვებულია კვეთს საყოფაცხოვრებო საწარმოო ხაზს.

საყოფაცხოვრებო სფერომ საკმაოდ კარგი შედეგები მოუტანა Conestoga-ს. გასული ათწლეულის განმავლობაში \$500-მილიონიან ფონდმა 11,4% წლი-

ური მოგება მიიღო, გაუსწრო რა S&P 500 ინდექსს 3,5 პროცენტული პუნქტით.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია დიდი მოგების მიღება მაღალი ტექნოლოგიების სფეროში – თუ, ვთქვათ, გენეტიკოსები, რომლებმაც ფსონი დადეთ, სუპერწარმატებულ მედიკამენტს გამოიგონებენ. მაგრამ თქვენ ვერ ნახავთ ფარმაცევტულ სტარტაპებს იმ 50 კომპანიას შორის, რომლებშიც Conestoga-ს ფული აქვს ჩადებული. მიტჩელის თანახმად, „ეს ორმაგი რისკია“ – ეს არის ზრდილობიანი ფორმით ნათქვამი, რომ ფონდი არ დადებს ფულს საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების კონტროლის სამმართველოს (FDA) რულების ბორბალზე.

მარტინდეილი და მიტჩელი არც ისეთ წამოწყებაზე დებენ ფსონს, რომელსაც შემოსავალი ჯერ არ მოაქვს. მარტინდეილი სინანულით აღნიშნავს, რომ მათ უარი თქვეს წაგებიან Tesla Motors-ზე, რის გამოც ზედიდან გაუშვეს ამ კომპანიის აქციების შთამბეჭდავი ზრდის გამოყენების შესაძლებლობა. ისინი უპირატესობას ანიჭებენ ისეთ ბიზნესს, რომელიც თავის ინოვაციას არსებული პროდუქტებიდან მიღებული მოგებით აფინანსებს.

Proto Labs-ი, საწარმოო დეტალების მწარმოებელი კომპანია, ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს. მისი მომხმარებლები არიან მცირე მწარმოებლები, რომლებიც

უკვეთენ ლითონისა და პლასტმასის ნაწილებს სხვადასხვა ხელსაწყოსათვის. მათ სურთ სამუშაო ნახაზის მომზადებიდან რამდენიმე დღეში მიიღონ დასრულებული დეტალები, Proto-ს კი აქვს პროგრამული უზრუნველყოფა და აპარატურა, რომლის მეშვეობითაც ის ამას თითქმის ავტომატურად აკეთებს. აქ კვლევა-განვითარება (R&D) არ ნიშნავს მოწინავე მეცნიერებას. ის ნიშნავს თერმოპლასტური ელასტომერებიდან მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენზე გადასვლას. ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანიის გაყიდვები გაორმაგდა.

Conestoga-ს ყველაზე დიდი კაპიტალდაბანდება აქვს CoStar Group-ში, რომელიც ფლობს მონაცემთა დიდ ბაზას ბროკერების, დამქირავებლებისა და მშენებლებისთვის საინტერესო კომერციული შენობების შესახებ. CoStar-ი ხარჯავს ბევრ ფულს მონაცემების შეგროვებაზე – თუნდაც პარკირების ადგილების ჩათვლით – და ასევე ბევრ ფულს პროგრამული უზრუნველყოფის დაწერაზე ამ მონაცემებში გასარკვევად.

კომპანია Pros Holdings-ი ამზადებს ფასწარმოქმნის ინოვაციურ ფორმულებს. ჩვეულებრივ, ფასების ცვალებადობა აიძულებდა ავიანაზებს ან სასტუმროებს რეზერვი, რომლის ვადაც იწურებოდა, გაესაღებინათ ფასდაკლებაზე მონადირეებზე ისე, რომ არ დაერღვიათ ფასები, რომლებ-

ფოტო: BILL GRAMER/VONDERHEIL MACHINE FOR FORBES

საც მუდმივი კლიენტებისაგან იღებდნენ. Pros Holdings-მა ტურისტულ ბიზნესში შესწავლილი ტექნიკური მეთოდები ახალ სივრცეში გადაიტანა. მის ვებგვერდზე ჩამოთვლილია ისეთი კლიენტები, როგორცაა, მაგალითად, ჰაერის კონდიციონერების დანადგარების მწარმოებელი და სამრეწველო პროდუქციის დისტრიბუტორი, და ამაცხობს იმით, რომ დაეხმარა მათ თავიდან აერიდებინათ მეტისმეტად ხელგაშლილი ფასდაკლებები.

ეკონომიკური ზრდა დაკავშირებულია ინოვაციებთან, მაგრამ მათი მხოლოდ მცირე ნაწილია ისეთი გრანდიოზული, როგორცაა ნათურის გამოგონება ან აეროკოსმოსური მრეწველობის შექმნა. დანარჩენი ისეთივე პრობლემაა, როგორც სამრეწველო დეტალების სწრაფად მიწოდება ან ფასების ოსტატურად მომატება.

ავიღოთ თუნდაც ყავის ჭიქების გაყიდვის მარტივი ბიზნესი. ნოვატორმა მოიფიქრა „ყავის“ გადათარგმნა იტალიურად და ფასის გაორმაგება. ამ ჭკვიანური იდეის ღირებულება \$50 მილიარდი აღმოჩნდა, თუ ვიმსჯელებთ Starbucks-ის საბაზრო ღირებულების მეტობით მის მატერიალურ აქტივებთან შედარებით.

მარტინდეილსა და მიტჩელს აქვთ

მზარდი აქციების სასურველი ატრიბუტების საკონტროლო სია: მენეჯერების კუთვნილი 10% ან მეტი; კაპიტალის რენტაბელობა, სულ მცირე, 15%; დავალიანების ოდენობა სააქციო კაპიტალის ორ მესამედზე ნაკლები და ბიზნესმიმართულება, რომელსაც ახალბედები ადვილად ვერ დააკობიან.

მაგრამ ყველა ინვესტორს უნდა კარგი ბიზნესი კარგი საბალანსო ანგარიშით, ამიტომ წილში შესასვლელად მეტი უნდა გადაიხადოთ. გაყიდვების ან საოპერაციო ფულადი ნაკადის კუთხით, Conestoga-ს კომპანიები ერთობლივად შეფასებულია Russell 2000 ზრდის ინდექსის ორმაგ ოდენობაზე ძვირად (ეს სტატისტიკა ეკუთვნის Morningstar-ს, CoStar-ის მსგავს მონაცემთა ბაზების კომპანიას და Conestoga-ს ერთ-ერთ კაპიტალდაბანდებს).

თუმცა არსებობს რისკებიც. რა მოხდება, თუ Amazon-ი ინტერნეტშეკვეთების ისეთ სისტემაზე გადავა, როგორც Proto Labs-ს აქვს? რა მოხდება, თუ Google დააკობიან CoStar-ის შერბობების ფოტოების კოლექციას?

მზარდი კომპანიები ქვემოდანაც განიცდიან დარტყმებს. Conestoga-ს ერთ-ერთი ფავორიტია Simpson

Manufacturing-ი, ნოვატორი კარკასული შენობებისთვის სამაგრიების წარმოების ბიზნესში. ეს არის სამაგრი ზოლები, რომლებიც ამცირებს სამუშაო ძალის ხარჯებსა და შერბობის დაშლის რისკს.

Simpson-ი ამაცხობს თავისი კვლევითი ლაბორატორიებით, რომლებიც მოიცავს მიწისძვრის სიმულატორს. მაგრამ ლითონის სამაგრი კვლავაც მხოლოდ ლითონის სამაგრად რჩება. Simpson-მა დაკარგა თავისი ბიზნესი Lowe-ის ლითონის ნაკეთობათა საცალო ვაჭრობის ქსელში, როდესაც უორენ ბაფეტის Berkshire Hathaway-ს ფილიალი შემოიჭრა თავისი ფასდაკლებებით.

მოკლედ რომ ვთქვათ, როდესაც ყიდულობ მზარდ კომპანიას, მასზე დიდ იმედს ამყარებ, მაგრამ ასევე დიდია იმედგაცრუების რისკიც. ცხრილში მოყვანილია რამდენიმე პერსპექტიული კომპანია Conestoga-ს პორტფელიდან. დადებითი მომენტი: ისინი დიდ თანხებს ხარჯავენ კვლევა-განვითარებაზე. უარყოფითი მომენტი: ისინი შეფასებულია ფასი/მოგების მომატებული კოეფიციენტებით – ყოველ შემთხვევაში, საკმარისად მომატებული იმისთვის, რომ დააფრთხოს ღირებულებაზე ორიენტირებული ისეთი ინვესტორი, როგორცაა ბაფეტი. **F**

## მცირე კომპანიები დიდი იდეებით

CONESTOGA-ს პორტფელის მს კომპანიები დიდ დაბანდებებს აკეთებენ თავიანთ მომავალში

კომპანია/ ბიზნესი	ახალი ფასი	გაყიდვები (\$ მილ)	კვლევა-განვითარება/გაყიდვები	ფასის მიმართება			გაყიდვების ზრდა%
				მომსახურების ფასი	ნაღდი ფასი	კაპიტალის ღირებულება	
PROS HOLDINGS / ფასების ოპტიმიზაციის ალგორითმები	\$31	\$132	21,8%	176	36	8,8	12%
MEDIDATA SOLUTIONS / პროგრამული უზრუნველყოფა კლინიკური ცდებისთვის	87	246	18,2	106	68	14,4	26
BLACKBAUD / პროგრამული უზრუნველყოფა შინამშენებლის შემართებისთვის	35	484	14,1	102	16	10,3	10
COSTAR GROUP / მონაცემები უძრავი ქონების შესახებ	162	409	9,7	263	47	5,4	11
HEALTHSTREAM / სამედიცინო მომსახურება ინფორმაციით	34	116	8,5	115	38	6,6	18
STAMPS.COM / ციფრული შთაბეჭდილებები	40	123	8,2	20	21	9,0	6
MORNINGSTAR / მონაცემები ფასიანი ქაღალდების შესახებ	78	676	7,8	31	21	5,0	9
ABAXIS / სისხლის ანალიზის პორტატიული სისტემები	41	187	7,4	33	31	5,0	13
ALIGN TECHNOLOGY / სტრუქტურული პლასტიკის მწარმოებელი	44	597	7,4	NM	23	6,7	15
PROTO LABS / დეტალების საცდელი ნიმუშები	63	143	7,3	52	35	8,8	30
MERIDIAN BIOSCIENCE / სამედიცინო დიაგნოსტიკის კომპლემენტები	24	183	5,9	27	21	6,7	6
TYLER TECHNOLOGIES / პროგრამული უზრუნველყოფა მთავრობებისთვის	75	388	5,4	67	38	13,2	9
SIMPSON MANUFACTURING / ქარხნული საწინააღმდეგო საბაზრები, კოჭის საყრდენი საბაზრები	32	667	5,3	37	32	2,0	-5
<b>ზრდის ინდექსი RUSSELL 2000</b>				24	20	4,2	

ფასები მოხმობილია 7 აპრილისთვის. '1 ბოლო 12 თვე. 'საზარტო საპროგნოზიდან. 35 წლის განმავლობაში, საშუალო წლიური. წყაროები: INTERACTIVE DATA AND THOMSON REUTERS FUNDAMENTALS VIA FACTSET RESEARCH SYSTEMS; MORNINGSTAR; BLOOMBERG.

# ღვინის ევანგელისტის გოლფერი

PGA Tour-ის პროფესიონალი გოლფერები უკვე დიდი ხანია უშვებენ ღვინოს საკუთარი ეტიკეტებით, მაგრამ ძალიან ცოტა მათგანი თუ უყურებს თავის ყურძენს ისე სერიოზულად, როგორც ლუკ დონალდი.

ავტორი: : რანდილ ლინი



**ს**ოტა ხნის წინ FedEx-მა ორი უზარმაზარი ყუთი მიიტანა PGATour-ის (პროფესიული გოლფ-ტურების ოფიციალური ორგანიზატორი) ვარსკვლავის, ლუკ დონალდის ჩიკაგოს გარეუბანში მდებარე სახლში, რომელიც სამეზობლოში გიგანტური ზომებით გამოირჩევა. ყუთებში იდო 200 ფუნტი გაყინული მიადაკის საქონლის ხორცი - იაპონიაში ახლახან მოგებული ტურის ჯილდო. დონალდი ყუთის ერთი მხარეს სწევს და იმით შეშინებული, რომ წელი არ იტკინოს, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს გოლფის თამაშში (PGA Tour-ში მას \$30 მილიონი დოლარი აქვს მოგებული), სასწრაფოდ ვეჭვიდები ყუთს მეორე მხრიდან. ყუთს სახლისკენ მივათრევთ და შეგვაქვს ავტოფარეხში, სადაც დიდებულ, მარმარილოსავით სრიალა ხორცს, რომლის ერთი ფუნტიც \$250 დოლარი ღირს, ელოდება ახალი ბინა - ხორცის მაცივარი, რომელიც დონალდმა სპეციალურად შეუკვეთა.

თუ ლუკ დონალდის ბიოგრაფია არ იცით, გამოდის, ის არ ყოფილა თქვენი საყვარელი გოლფერი. ის ხელოვნებას ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტში ეუფლებოდა, სადაც შეხვდა თავის მეუღლეს, დაიანს. ის ძირითადად ჩიკაგოს გარეუბანში ცხოვრობს, განსხვავებით ბევრისაგან, რომლებიც ამერიკის მზიანი საკურორტო ზოლის კომუნის რიგებს ავსებენ. დონალდი ინგლისში იზრდებოდა, სადაც უყურებდა, როგორ წრუპავდნენ მისი მშობლები ბორდოს. მამამისი ადგილობრივ ღვინოს მოყვარულთა საზოგადოების მთავარი

საყრდენი გახლდათ.

დონალდი მამას დაემსგავსა საუკეთესო ღვინის სიყვარულში, რომელიც მას სრულ ერთგულებაში გადაეზარდა. მისი საკუთარი ეტიკეტი Luke Donald Collection (ლუკ დონალდის კოლექცია) დაეკვრება 72 000 ბოთლს, რომლებშიც ჩამოისხმება კალიფორნიული შარდონე, ვინიე და, მშობლების პატივსაცემად, ბორდოს სტილის წითელი ღვინო, რომელიც კლასიკური ბრიტანული ტიპის შინდისფერია.

გოლფსა და ღვინოზე დაქორწინებული დონალდი, რომელმაც შარშან მსოფლიოში ნომერი პირველი გოლფერის ტიტული მოიპოვა, სასმელის მწარმოებელ გოლფერთა რიგებს უერთდება. ავსტრალიელმა გრეგ ნორმანმა, რაღა თქმა უნდა, დიდი წვლილი შეიტანა ღვინის რუკაზე თავისი ქვეყნის ყურძნის დატანის საქმეში. აფრიკელებს ერნი ელსა და დევიდ ფროსტს ასევე აქვთ ღვინის ეტიკეტები თავიანთი სამშობლოდან. ისეთი ბრენდული სახელები, როგორებიცაა ჯეკ ნიკლაუსი და არნოლდ პალმერი, განიხილავენ თავიანთ ღვინოებს, როგორც დამატებით პროდუქტს. ამ ბიზნესში გოლფის კომენტატორებიც კი ებმებიან: ჯიმ ნანტსმა თავის კალიფორნიულ ღვინოს მისთვის ბუნებრივი სახელი შეარქვა - Calling.

სხვა ცნობილი სახეების მსგავსად, დონალდმაც კარგად აითვისა ბიზნესის სხვების ფულით კეთების პრაქტიკა. Terlato Wines-ი, დახვეწილი ღვინოების უმსხვილესი მიმწოდებელი ამერიკაში, დებს ფულს, დონალდი კი თავის როიალიტის იღებს. „რისკი საკმაოდ დაბალია“, -

**მოედანზე და მოედანს მიღმა: მეღვინედ ქცეული PGA Tour-ის ვარსკვლავი ლუკ დონალდი თავისი სახლის ღვინის სარდაფში, ჩიკაგოს გარეუბანში.**

ადიარებს ის.

სწორედ ამ სფეროში წარმოაჩინეს თავს დონალდი მრავალმხრივად: ის პრაქტიკულად ერთგვარადაა პროცესის ყოველ ეტაპში. მან მონაწილეობა მიიღო თანამედროვე, მოდულური ეტიკეტის შექმნაში, რომელსაც ამშვენებს მისი ეფექტური ხელმოწერა. ის მონაწილეობდა ყურძნის შექმნაში და სპეციალისტებს წვენი შეზღვევაშიც კი ეხმარებოდა. „მინდოდა, ჩემი საკუთარი სტილის ღვინო მიმეღო - თანამედროვე ვეროპული“, - ამბობს ის.

რა თქმა უნდა, უმაღლესი ხარისხის ყურძნისაგან თანამედროვე ვეროპული ღვინის მიღება დიდ ხარჯებს მოითხოვს. დონალდის ღვინის საცალო გაყიდვების ფასი \$30-\$50 შორის მერყეობს, რასაც პარადოქსამდე მივყავართ: ის, ვინც ღვინოს ცნობილი ადამიანების სახელის გამო ყიდულობს, ერთ ბოთლში \$50-ს არ იხდის, ხოლო ის, ვინც \$50-ს იხდის ბოთლში, არ ყიდულობს ღვინოს ცნობილი სახელიდან გამომდინარე. „ისე უნდა გავგეტანა პროდუქტი ბაზარზე, რომ ადამიანების თავები მისკენ მოგვებრუნებინა“, - ამბობს დონალდი. თავის მობრუნებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ მისი შარდონე, ცხადია, ფართო ღიმილს იწვევს, ისევე როგორც ცოცხალი, შუშუნა ბურგუნდიული.

ღვინის სფეროში დონალდის ნამდვილი განათლება დაიწყო კოლეჯის წლებში, გოლფის მოედანზე, სადაც მას და ბილ ტერლატოს, Terlato-ს მეორე თაობის გენერალურ ადმინისტრატორებს, ერთი მწვრთნელი ჰყავდათ. „მე გოლფით ვიყავი გატაცებული, - ამბობს ტერლატო, რომლის, როგორც გოლფერის, პოტენციალი ექვსი ჰენდიკაპია. - ის კი - საჭმლითა და ღვინით“. მათ დაიწყეს ერთმანეთისთვის შესაბამისი რჩევა-დარიგებების მიცემა, ხოლო როდესაც დონალდი გოლფის პროფესიონალი გახდა და დიდი შემოსავალი გაუჩნდა, სთხოვა ტერლატოს, დახმარებოდა ღვინის საკუთარი კოლექციის შექმნაში.

დონალდის კოლექცია 800 ბოთლამდე გაიზარდა, ისინი ინახება ხორცის მაცივრის ქვეშ მდებარე, შემინული თაროებითა და კლიმატკონტროლით აღჭურვილ სარდაფში, რომელიც დონალდმა ლითონის იატაკითა და სპეციალურად დამუშავებული ხით მოაპირკეთებინა. ის იკეტება პაროლით კოდირებული კლავიატურით. როდესაც სარდაფში იცვლება საათის ისრის მიმართულებით: მარცხენა შორეულ კუთხეში ინახება შამპანურები, მათ შორის, ძველი DomPerignon-ი და Bollinger-ი (დახვეწილი „მინაურული ჩამოსხმა“); შემდეგ

მოდის თეთრი ღვინოები, რომლებსაც მოჰყვება წითელი, დაწყებული მსუბუქით, დამთავრებული მძიმე ღვინის სახეობებით. რა ხდება შორეულ მარჯვენა კუთხეში? „ეს ხელშეუხებელი ადგილია და ჩემს მეუღლეს ეკუთვნის“.

დიახ, მას აქვს უამრავი ძვირფასი წითელი ღვინო დაწყებული Insignia-თი, დამთავრებული Opus One-ითა და მისი საყვარელი 1985 წლის Lynch Bage-ით. თუმცა, როგორც ღვინის ყველა ჭეშმარიტ თაყვანისმცემელს, მასაც აქვს რჩეული ბოთლები თავიანთი წინასტორიით: Vega Sicilia Unico ესპანეთის რიბერა-დე-დუეროდან სერხიო გარსია ამჩუქა ქორწილში; შავი პინოსაგან დამზადებული ერთი ბოთლი George-ი სონომადან ჩიკაგოს გოლფის „მაფის“ კიდევ ერთმა წევრმა, მაიკლ ჯორდანმა, მიართვა პატივისცემის ნიშნად. სპეციალურ თაროზე მოთავსებულ pata negra-ს ღორსაც კი საინტერესო წარმომადგენლობა აქვს: შარშან ის საჩუქრად მიართვა European Ryder Cup-ის (ევროპული რაიდერის თასი) კაპიტანმა ხოსე მარია ოლასაბალმა. დონალდს მისი ვგოსთვის მნიშვნელოვანი ქონება „Costco-ში რამდენიმე კარგი გარიგების შედეგად მოპოვებულ საქონელთან“ აურევია. მათ შორისაა 1999 FaustinoRioja, რომელიც ჩემი მაცივრის თაროსაც ამშვენებს.

2007 წლისთვის დონალდმა საკმარისი ნოუ-ჰაუ და მიზანდასახულობა გამოამუშავა - და საკმარისი სახელი მოიპოვა ამ კუთხით - იმისათვის, რომ დაერწმუნებინა ტერლატო მსგეველობა მიეცა ეტიკეტის გამოშვების საქმისთვის. პირველი ბოთლი თაროებზე ხუთი წლის წინ გამოჩნდა და მას შემდეგ რამდენიმე მილიონი დოლარის პროდუქცია გაიყიდა. როდესაც დონალდთან ერთად ლანჩს მივითრთავდით, მის საუბარში გურმანის პრეტენზიულობის ნიშნები დავიჭირებ („რაბინი - იგივე ბროკოლი - სიმკვეთრეს არბილებს“, - აღნიშნავს ის და ბატონის ხორცს თავისი სახელობის წითელ ღვინოს აყოლებს).

დონალდს ჩაფიქრებული აქვს საკუთარი ღვინის ჰოლდინგის გაფართოება PGA Tour-დან წასვლის შემდეგ („თუმცა შეგიძლია 60-წლამდეც ითამაშო“, - აღნიშნავს 35 წლის გოლფერი). მას შეუძლია იყიდოს ნაპას ვენახების ნაწილი, საიდანაც საკუთარი ყურძენი ექნება. მანამდე კი კონცენტრირებულია ზამთრის სახლზე, რომელსაც იუპიტერში (ფლორიდა) აშენებს. ღვინო ამ სახლის მთავარი ელემენტი იქნება, შუშუბიანი სადევუსტაციო ოთახითა და სასადილო მაგიდით. და ვინაიდან არავინ იცის, როდის გამოჩნდება სერხიო გარსია საჩუქრებით, ამჯერად მას ჩაფიქრებული აქვს გააკეთოს უფრო ფართო ღვინის სარდაფი, რომელშიც 1000 ბოთლი დაეტევა. **F**



რაზე საუბრობს Forbes.com-ის 48მილიონი მომხმარებელი? ამის უკეთ გასარკვევად თვალი გადაავლეთ ქვემოთ მოცემულ ტექსტს ან აკრიფეთ შემდეგი მისამართი:

[FORBES.COM/BUSINESS](http://FORBES.COM/BUSINESS)

**პერსონა „ჭონი ფეხბურთი“ მანჩესტერი**

ბოლოს და ბოლოს, აიძულეს თუ ვერა სავარაუდო ავტორგრაფების გამყიდველის ვარსკვლავური ძალა NCAA-ს („ეროვნული საუნივერსიტეტო ათლეტიკური ასოციაცია“), დაუპირისპირდეს საკუთარ ფარისევლურ ეკონომიკას?

**იდეა სამარცხვინო სპამერები**

მობილური ტელეფონის ანტისპამის აპლიკაცია PrivacyStar-ი გამოამაჰარავებს და თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნებს ყველაზე დიდი დამნაშავეების სახელებს.

**კომპანია GM**

ფართოდ რეკლამირებული Volt-ს ფასი აკლდება, რადგან GM-ი ემზადება „კაილიაკის“ პრემენტაციისთვის. იქნებ ელექტრონული ბაზარი ყოველთვის ელიტური იყო?

“ ხანდახან ვფიქრობ, როგორი იქნებოდა ათი მცნება, მოსეს კონგრესისთვის რომ გაეტანა იგი დასამტკიცებლად.



- რონალდ რეიგანი

## ამერიკის პრეზიდენტების გამონათქვამები

**თავისუფლების** ხე დროდადრო პატრიოტებისა და ტირანების სისხლით უნდა მოირწყას.


- თომას ჯეფერსონი

**საარჩევნო** ხმა შაშხანასავით არის; მისი სარგებლიანობა განისაზღვრება მოსარგებლის ხასიათით.

- თეოდორ რუზველტი

**სჯობს** გაჩუმდე და ყველამ იფიქროს, რომ სულელი ხარ, ვიდრე ხმა ამოიღო და ყველა ეჭვი გააქარწყლო.

- აბრაამ ლინკოლნი



**ამ სამყაროში** ვერაფერი შეედრება სიჯიუტეს: ვერც ნიჭი, რადგან ნიჭიერი და წარუმატებელი ადამიანი ყველაზე გავრცელებული მოვლენაა; ვერც გენიალობა, რადგან გენიოსების უმრავლესობა არაღიარებულია; ვერც განათლება, რადგან მსოფლიო სავსეა განათლებული სულელებით. მხოლოდ სიჯიუტესა და მიზანდასახულობას გააჩნია ყოვლისშემძლე პოტენციალი.

- კელვინ კულიჯი

**შეუნდეთ** მტრებს, მაგრამ არასოდეს დაივიწყეთ მათი სახელები.

- ჯონ კენედი

**ომისთვის** მზადება მშვიდობის შენარჩუნების საუკეთესო გზაა.

- ჯორჯ ვაშინგტონი